


კვირის პალიტრა


გზა



„გადავწყვიტე
რძლისთვის
ნიღაბი
ჩამოვებლიჯა“

№11(196) 11/III.-17/III.2004.
ფასი 60 თ.

თემა —
როსა
ზრდილობით
ინიღბებიან



ლული ზოგინკაშვილი გაგედნიერებას ჩვენ რუბრიკას „აბრკლებს“



ინგა
ბრიგოლია:
„...გაეშვს
მანის გავარან“



დავით
საბანელიძე:
სიტყვის გატეხას
ხელისუფლებას
საზოგადოება არ აუბთიებს

განსხვავებული უჩინარი

TV-პროგრამა
08.03-14.03 2004 წ.

100 განმარტებული
ღანაგაული
საპარტიველოვი

მოდელაჟი სოლი — თბილისი, ალიგურ მოსკვი

მოდელი

№10



ჩოქის
იხლის
სანდრა
შვილისთვის

„ბედნიერი
ვიქნები,
გაორა
გავხვიც თუ
გაყოლა“

რას ფიქრობენ სტუდენტები
პირველ ლედიზე

24



ოჯახი — ვესალუზიური
ინფორმაცია შენაწა
შეპარდნაქესთან

45

ჩაბი
ანაღლოვალი
მამა განდა



„გა ოფიციალური
ურთიერთობების
ენინაღმდეგები ვარ...“

ყოველ ორშაბათს!



მინიატურები	
ყველანი ჩარბი ანუ „მინისტრებო – სწორდით, სმენა!“	3
ეპოროეიკა	
ახალი კანონი კორუფციის წყაროდ რომ არ იქნეს...	4
ერთი კითხვა	5
ექსსავარკლონები	
რა სარგებლობა მოაქვს პოსტიდან წასვლას ანუ უკალსტუხოდ დარჩენილი ყოფილი მესაჭენი	7
კოლეგა	
ინგა ბრიგოლიასთვის პოლიტიკოსთან ფლირტი მისაღებია მხოლოდ პირდაპირ ეთერში	10
აღვოკატი	
„პატიმრობის შეშარლება ტაბელის გადაბრუნების პროცესს დაემსგავსა...“	12
კრიმიწალი	
„ბროსა პოლიციის კიღერი იყო“ – ანხალებს ღაგარალებული	14
საპატარკლო	
● „მინდა კოლიფუდის დედოფალი გახდე“	18
● „ხშირად ვხუმრობ – კარგი საპატარკლო ვარ-მეთქი...“	19
თემა	
ზრდილობის ნიღაბი ანუ კეთილშობილებას ამოწარაბული სულმდაბლობა	21
ჯაუჯი	
აგენტი ქალი, რომელიც სიკვდილის შემდეგ, მგლად გადაიქცევა...	24
გემოვნება	
გველვეროკული ავეჯი, რუსი გეოგრაფის ნაქონი ხალიჩები და ნანი ბრეგვაძის საოცნებო სახლი	26
ნამდვილი აგავი	
„ტვინის ნათამაღის არ გაქვთ...“	28
გზავნილები	
სოქმერული უსიამოვნება, რომელიც ახლა კლიერ გვაცინებს	29
კოლორიტი	
ნოვატორი კლარნება: ხალხის თვალში ქალიშვილი, „სკალნაში“ კი – ცოლი...	32

თემა – ზრდილობის ნიღაბი



როდის არის ზრდილობა და თავაზიანობა მოჩვენებითი? როგორები არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, სახეზე ნიღაბი აიფარონ, ისე იმოქმედონ, თითქოს ძალიან ზრდილობიანები და კეთილშობილები არიან და საგულდაგულოდ შენიღბონ თავიანთი ხასიათის მანკიერი მხარეები?

21

ახალი კანონი კორუფციის წყაროდ რომ არ იქნეს...

მისასალმებელია პრეზიდენტის ინიციატივა საგადასახადო სისტემაში ცვლილებებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა დაიწყოს გადასახადების ლიბერალიზაციის პროცესი, რათა გადასახადების ჯამური მაჩვენებელი არ იყოს ისეთი მაღალი, რომ მეწარმეს არაფერი დარჩეს.



4

აგენტი ქალი, რომელიც სიკვდილის შემდეგ, მგლად გადაიქცევა...



ნინა ლავროვა კა-გებეს პოლიციონიკი გახლავთ და დაუფარავად მოჰყვა თავს გადახდენილი შემზარავი ამბები და ამ ინტერვიუს გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლებაც მოგვცა. ლავროვასთვის მიცემულ პირობას ვასრულებთ და ინტერვიუს, თბილისიდან მისი წასვლის შემდეგ ვაქვეყნებთ.

24

ღალი ტობიკაუვილი გათხოვდა

მართალია, პრესისთვის კომენტარს ჯერ არ აკეთებს, მაგრამ მე, როგორც „შუამავალს“, უარი ვერ მითხრა. მას 9 მარტს დაუკავშირდი და როდესაც ყურმილში ჩემი ხმა გაიგონა, გადაიკისკისა: – მარი, მართალი ყოფილხარ – შენი რუბრიკა მართლაც, ჯადოსნური ყოფილა...



20

ტაქარი	
შეწინდით თუ არა უზლის სახელზე აღთქმული „სადერთო“?	34
ტკივილი	
გელი გელახიანი: „პატიმრობა კნელია, მაგრამ უფრო კნელია პატიმრების მოვლა...“	35
ფაქტობრივი	
NBA-ს ბანგსტერი	39
უქლიერისთა ასეული	
ფხვარეთის მფხვე	
თანამდებარეული აღაფროთა	41
რომანი	
რუსულან ბერიძე.	
თავისუფალი თემა (ბაბრკელება)	42
ბოროდი	46
შეუხმეველი	
პარაფსიქოლოგი ღალი ავაგუმაფვილი: „ლოვის კალა სასწაულს ახლენს“	48
მარჩიელი	
„ამ მინისტრის პირად ცხოვრებას უკომენტაროდ დატოვებ...“	50
სოკრტული მოზაიკა	52
პარსკვლავები	
სიყვარულმა განსობიდან 23 წლის შემდეგ იფეთქა...	53
...არასოდეს დავაპიწყებ	
ღენიელ მაკაჩელი, თამაზ ბუაჩიძე, რაჭოვან ბანდი...	54
ავტო	56
წანერთელოა	
• წამლისმიერი აღერბი	57
• მელისინის სიხლეები	58
იუმორი	59
კოროსკოვი	
კვირის (15-21 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანოკრი	61
მოუბიზენი	62
ტესტი	
ვინ ხართ თქვენ: „ბუ“ თუ „ტორლოა“?	63
კალეიდოსკოვი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

ბარაკანვა: გიორგი შორლოინის კოლაჟი
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში მრთხემლ, სუიზაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ ღამატმბა შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მეწევეერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლორი“

ინგა გრიგოლისთვის პოლიტიკოსთან ფიგბი მისაღებია



„...ამის მცდელობა ძირითადად, პოლიტიკოსებს აქვთ. მაგრამ მე მტკიცე გადაწყვეტილება მაქვს მიღებული – პოლიტიკოსთან რომანი აღარასდროს მექნება. რამდენიმე მათგანისთვის პირდაპირ მომიწია ამის თქმა...“

10

„ამ მინისტრის პირად ცხოვრებას უკომენტაროდ დატოვებ...“

ის მინისტრად მუშაობისას სულიერ სიამოვნებას ვერ მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ამის იმედი აქვს. ენთუზიაზმით არის აღსავსე და თავის მინისტრობას ძალზე იმედიანი თვალთ შეყურებს. მაგრამ ის მალე დატოვებს ამ თანამდებობას...



50

სიყვარულმა განსობიდან 23 წლის შემდეგ იფეთქა...



თუ დეპარდიეს სასიყვარულო თავგადასავლები მულამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, ფანი არდანის შესახებ პუბლიკამ ფაქტობრივად, მხოლოდ ის იცოდა, რომ ის ფრანსუა ტრიუფოს ცოლი იყო...

53

თავისუფალი თემა


– ახლა მდემეგი კითხვების დასმის დრო არ არის: ამ ქუჩის მეორე მხარეს, აი, იქ, – თვალთ ანიშნა მან ერთ-ერთ შენობაზე, – საქართველოს საკონსულოა... რას იზამ – გაბედავ?

– გაბედავ... – ახლა კი მტკიცე უპასუხა გვანცამ და როგორც კი უმარმა ნიშანი მისცა, მანქანიდან გიქვივით გადახტა...



42

ყველანი ჭარში ახე „მინისტრები – სწორდით, სმენა!..“



მთელი ცხოვრება ვოცნებობდით ისეთ პრეზიდენტზე, სიტყვას რომ იტყოდა და აასრულებდა კიდეც. ა, ბატონო, ახლა გვყავს ასეთი, მაგრამ ვეღარ გავიგეთ, უნდა გვიხაროდეს თუ უნდა გვწყინდეს. თუ ჩვენმა „მამა-მარჩენალმა“ ისევე გააგრძელა დანაპირების შესრულება, როგორც დაიწყო, მალე შეიძლება ქვეყანა უპატრონოდ დაგვრჩეს: თვითონ კვირაში ხუთი დღე გასულია საზღვარგარეთ და უცხოეთთან ურთიერთობებს აგვარებს, პარლამენტი ჩვენ არ გვყავს და კიდეც რომ გვყავდეს, მაგის იმედზე ჩვენი მტერი იქნა; ერთადერთი, მინისტრთა კაბინეტი დაგვრჩა, მაგრამ...

– კეთილი უნდა ინებონ მინისტრებმა და ერთი თვით მაინც უნდა გაიარონ სამხედრო სამსახური! – ბრძანა პრეზიდენტმა და აასრულებს კიდეც. მე შენ გეტყვი, 200 ლარის გადახდა უშველით, ჯარიდან თავის გასათავისუფლებლად – სადღაა ეს კანონი?!

ჰოდა, უნდა მოემზადონ ჩვენი მინისტრები „სალდათობიზა“. ერთი სპეცდანიშნულების რაზმი დაკომპლექტდება თურმე მათგან, რომელსაც სათავეში, რა თქმა უნდა, მინისტრების „უსტაბაში“ ჩაუდგება. უკვე იზებიან თურმე სამხედრო ბრძანებებს: „რაზმი, მარჯსაკენ! სწოით, სმენა! ბატლო პრეზიდენტო, რაზმი მოწყობილია!...“

კარგია, რომ მოწყობილია, მაგრამ ჯარში მთავარი ფუნქციების სწორად გადანაწილებაა და მინდა, ამით მაინც დავეხმარო ჩვენს ჯარისკაც-მინისტრებს:

სახელმწიფო მინისტრი რომ გვყავს, გაბარიტული კაცი, ის თურმე თავის დროზე, ჯარში იმიტომ არ წაუყვანიათ, რომ მისი ზომა ტანსაცმელი ვერ უპოვიათ... არა უშავს, 12-კაციანი ბრეზენტის „პალატკა“ რომაა, იმას გამოჭრიან მკლავებს, ჩააკერებენ ელვას და ქურთუკიც მზად იქნება. რაც შეეხება ამპლუას, ნურავინ იფიქრებს, რომ მისი ადგილი სამზარეულოშია. ეგ რომ „პოვრად“ დანიშნო, ხომ დარჩა მშვიერი მთელი პოლკი? მე თუ მკითხავთ, დაზვერვაშია მისი ადგილი – ჯერ მარტო, თოვლზე ხოხვით ისეთ ნაკვალევს დატოვებს, მტერი იფიქრებს – ათასმა კაცმა გაიარა და შიშით პირს იბრუნებს... თუ დასჭირდა, გვირახსაც გათხრის, არ ეხერხება თუ რა? იმისიგანე გვირახი გათხარა რუსთავის კოლონიიდან, რომ მერე 129 პატიმარი ერთად გაეტია...

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მინისტრს, მისი მოვალეობა მჭადის გამოცხობა იქნება. თანაც, ეს ერთი მჭადი ისე უნდა გაანაწილოს, რომ ყველას ეყოს და ნახევარი კიდეც მორჩეს, ბიუჯეტში „გადასარიცხად“...

ენერგეტიკის მინისტრმა „სვიაზისტობა“ უნდა იკისროს,

გაწყვეტილი კაბელის გადაბმას ისწავლის, ბოძებზე აძრომაში დახელოვნდება და მერე ისე უპრობლემოდ გადაჭიმავს მაღალი ძაბვის კაბელს მე-9 ბლოკიდან თბილსრესამდე, რომ ყველა წინამორბედ მინისტრს შეშურდება...

ფინანსთა მინისტრი „საპირობას“ ისწავლის, თანაც, ნადმის მაგივრად, ფული უნდა დამალოს ისეთ ადგილას, რომ პროკურატურამაც ვერ მიაგნოს, ოღონდ, ისე არ უნდა მოუვიდეს, რომ თვითონაც ვეღარ მიაგნოს, თორემ, ვინ დაუჯერებს?!

განათლების მინისტრი ყოველ დღით, უთენია ოვლის 5 კილომეტრით მოშორებულ სანგრებში, ფეხშიშველი, თან წაიღებს მე-9 კლასის ისტორიის, მე-8 კლასის ალგებრის და მე-7 კლასის სექსის სახელმძღვანელოს, რომ ნახოს, როგორია უბრალო მასწავლებლისა და მოსწავლის ცხოვრება, გაეინული ხელებით საკონტროლოს წერა მათემატიკაში და „დამოუკიდებელი სამუშაო სექსში“...

ყველაზე მომხიბვლელად კულტურის მინისტრის სამხედრო პერსპექტივა მერყეობს – იგი ტანკისტადაა დაბადებული. მერე მამამისი – ბატონი ყოფილი ელჩი ჩააკითხავს და კედლებზე რომ წარწერას წაიკითხავს: „Здесь прошли танки Габашвили“-ო, სიხარულით შესძახებს – „სუკინ სინ, ეტო მოი სინ“...

თუმცა, ყველაზე აუცილებელი ჯარში წასვლა თვითონ თავდაცვის მინისტრისათვისაა: ხომ გაგიგონიათ – მე ისეთ გენერალს რა ვუთხრა, რომელიც ჯარისკაცობაზე არ ოცნებობს... ჰოდა გაიგებს, როგორ უნდა ეყოს ჯარისკაცს ერთი ულუფა ბორში, რომელშიც „ტიტანიკით“ დაცურავს „მორიგე“ კარტოფილის ნაჭერი...

ასე რომ, პირდაპირ მისწრებაა ჩვენი მინისტრებისათვის ჯარში წასვლა, ჯარი ხომ დაჯაყაცების ბრწყინვალე გაკვეთილია... ის კი არა და, წინადადება შემომაქვს, ახალ პარლამენტს რომ ავირჩევთ, სანამ „მუშაობას“ შეუდგებიან, დეპუტატებსაც ვუკრათ თავი ჯარში ერთი-ორი თვით...

P.S. – ბატონო მაიორო, მხვერავთა ჯგუფი დაბრუნდა. დავალება შესრულებულია, ორი მოწინააღმდეგე ტყვედ ავიყვანეთ.

– ყოჩაღ, ჯარისკაცო, მაგრამ სად არის მეორე ტყვე?
– ვისადილეთ, ბატონო მაიორო...

პროპოკატორი

ახალი კანონი კორუფციის წყაროდ რომ არ იქცეს...

მიხეილ სააკაშვილი ბიზნესმენებს დამალული გადასახადების რესტრუქტურული ზაციისა და ოპტიმალური საგადასახადო კანონმდებლობის შექმნას სთავაზობს. მათ, ვინც წინა წლებში გადასახადების გადახადს აარიდა თავი, ამ თანხების დეკლარირება პირველ იენისამდე უნდა მოახდინოს. ამის შემდეგ რესტრუქტურული ზაციის პროცესიც დაიწყება. პრეზიდენტის ინიციატივა, რომელიც ჩვენში, ფინანსური ამნისტიის სახელით დამკვიდრდა, ბიზნესმენებმა ძირითადად მოიწონეს, თუმცა, მათი აზრით, „დამალული გადასახადების შესახებ“ კანონპროექტი საფუძვლიანი განხილვის საგანი უნდა გახდეს, რათა უკვე კანონად ქცეული, კორუფციის კიდევ ერთ წყაროდ არ მოგვევლინოს. „ახალი მემარჯვენეების“ წევრის, **დავით საბანელიძის** თქმით, ხელისუფლება ან საგადასახადო მარნუხებიდან ბიზნესის გათავისუფლებას შეძლებს, ან, მცდარი გზის არჩევის შემთხვევაში, ამ მცდელობას თავად შეენიერება...



მომდგენლებმა. თითოეული პუნქტი ზედმიწევნით სწორად უნდა იყოს გათვლილი, რომ ახალი კანონი კორუფციის წყაროდ არ იქცეს. თუ მაკარად არ განისაზღვრა, ვინ უნდა დაიჭირონ და ვინ – გაუმჯან, მაშინ ვარიანტების ახალი ტალღა აგორდება და სადამსჯელო ღონისძიებები პირადი ანგარიშსწორების ნიშნით წარიმართება. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს ინიციატივა ფართო განხილვის საგნად იქცეს. კარგია, რომ დეკლარირების ვადა პირველ იენისამდე გადაიწია. პარლამენტს საშუალება ექნება, ორი თვის განმავლობაში, გულდასმით გაეცნოს ამ საკითხს და საკუთარი კორექტივები შეიტანოს.

— **ბიზნესმენებისთვის საგადასახადო დავალიანებიდან 1 მლნ-ის ჩამონერა ავტომატურად მოხდება; რამდენად მისაღებია ეს ზღვარი?**

— სწორად მიმჩნია ის, რომ თუ დაფარული შემოსავლები 1 მილიონს აღწევს, მას სრული ამნისტია შეეხოს. საერთოდ, ძალზე ძნელია, იდეალური ზღვარი განსაზღვრო: დღევანდელი ათვლის სისტემა იმდენად დამძიმებულია, რომ ცალკეული გადასახადების ჯამმა შეიძლება, 1 მლნ შეადგინოს. ამიტომ ამ თანხის ჩამოწერა სავსებით ნორმალურად მჩვენება. ბიზნესმენებს მცირე გადასახადებზე არ უნდა მოედავო, მათი დავალიანება მახინჯი საგადასახადო სისტემის ბრალია და არა ბიუჯეტთან მიმართებაში ამა თუ იმ მეწარმის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. მე თუ მკითხავთ, გადასახადების გადაუხდელობის გამო დაჭერებზე საუბარი დღის წესრიგში არც უნდა დამდგარიყო.

უნდა მიგველო ახალი საგადასახადო კოდექსი, რის შემდეგაც, ხელისუფლება განაცხადებდა, რომ არსებობს ახალი დაბეგვრის რეჟიმი, მოგწონთ – კარგია, არ მოგწონთ – თავი დაანებეთ ბიზნესში მოღვაწეობას. პასუხისმგებლობაზე საუბარი ამის შემდეგ უნდა დაგვეწყოს.

— **ეი. მათ, ვინც გადასახადების დამალვით ქვეყნის ბიუჯეტის საფუძვლიანად დააზარალა, პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ?**

— დღევანდელი პრეზიდენტი ოპოზიციაში ყოფნის დროს აცხადებდა: ნუ გადინდით გადასახადს, დაბეგვრა არასწორად ხორციელდება და გატყუებენი!.. სააკაშვილი ამას ამბობდა პრესითა და ტელევიზიით. ზოგი ალბათ მის მოწოდებებსაც აჰყვა; ახლა, მისი აზრით მიუღებელი საგადასახადო კოდექსის დაუმორჩილებლობის გამო ადამიანების დაპატიმრება, ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

— **მაშ, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა?**

— მათ, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ და ბიზნესზე ზეწოლის წყალობით შოულობდნენ ფულს. ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც იღებდნენ მსგავს კანონებს და ანგრევდნენ ქვეყნის ეკონომიკას. მათი უმეტესობა დღესაც ხელისუფლებაშია და ჭკუას გვარიეგებს. მე არავის დაჭერის მომხრე არა ვარ, მაგრამ ამ პიროვნებების გადასაწყვეტი აღარ უნდა იყოს ის საკითხები, რომლებშიც მათი კომპეტენცია ნულის ტოლია.

— **ხელისუფლების გადანაცვებით, ფინანსური ამნისტია არ შეეხება იმ პირებს, რომელთა მიმართაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. თქვენი აზრით, რატომ მოხდა ბიზნესმენების ასეთი დიფერენცირება?**

— ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია. მოსწრებაზე ხომ არ არის საქმე?! კანონი ყველასათვის კანონი უნდა იყოს. პროკურატურამ არაერთი ადამიანი დააპატიმრა, ზოგიერთმა გადაიხდა გარკვეული თანხა და შინ გაუმჯავს, ზოგს კი, ორჯერ მეტი თანხის დაფარვამაც არ უშველა. ასეთი მოქმედება ხშირ შემთხვევაში, პირად ანგარიშსწორებას უფრო ჰგავს, ვიდრე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ვის მიმართაც უკმაყოფილება ჰქონდათ – დაიჭირეს, ვის წინააღმდეგაც პოლიტიკური სიძულვილი არ ჰქონდათ – ფინანსური ამნისტიით ათავისუფლებენ.

ხატიუნა მაღრაძე

— საქართველოში მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა დაანერგა და გაანადგურა ქართული ეკონომიკა და ფაქტობრივად ყველა მეწარმე აიძულა, სხვადასხვა ხერხით დაეძალა შემოსავლები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მუშაობას საერთოდ ვერ შეძლებდნენ. აქედან გამომდინარე, მისასაღებელია პრეზიდენტის ინიციატივა საგადასახადო სისტემაში ცვლილებებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა დაიწყოს გადასახადების ლიბერალიზაციის პროცესი, რათა გადასახადების ჯამური მაჩვენებელი არ იყოს ისეთი მაღალი, რომ მეწარმეს არაფერი დარჩეს. ახალი ხელისუფლება მოვიდა დაპირებით, რომ ორი წლის განმავლობაში, წვრილ და საშუალო მეწარმეს გადასახადებისგან გათავისუფლებდა. საზოგადოებას ეს ასსოვს და მიცემული სიტყვის გატეხას ხელისუფლებას არ აპატიებს.

— **რაც შეეხება „დამალული გადასახადების დეკლარირების“ შესახებ პროექტს: როგორია თქვენი აზრი?**

— ასეთი კანონი ძალაში უნდა შედიოდეს არა პრეზიდენტის განკარგულების, არამედ პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე, მის განხილვაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბიზნესსწრეების წარ-

— როგორ ფიქრობთ — შეიტანენ ბიზნესმენები დეკლარაციაში დამალულ გადასახადებს?

— ჩემი აზრით, ყველა კეთილსინდისიერი მეწარმე, ვინც ობიექტური მიზეზების გამო აღრე, გადასახადების გადახდას აარიდა თავი, უეჭველად დააფიქსირებს ამ თანხას, მით უმეტეს, რომ ფინანსური ამინსტია საკმარის შეღავათებს აწესებს. მათი ვალის რესტრუქტურისაცაა მოხდება და მთელი თანხის გადახდა 15 წელიწადზე გადაანაწილდება, რაც დაგვიანების დაფარვისთვის საკმარისი დროა.

— მოსალოდნელია თუ არა, რომ ეს კარგ ფისკალურ ეფექტსაც მოგვცემს?

— არა მგონია, ეს ინიციატივა სწრაფ ფისკალურ ეფექტზე იყოს გათვლილი: შესაძლოა, რამდენიმე ადამიანმა მილიონზე მეტი გადაიხადოს, მაგრამ საბიუჯეტო პარამეტრებისთვის ეს თანხა ზღვაში წვეთია.

— შესაძლებელია, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც მაკონტროლებელი ორგანოების რიცხვის გაზრდას ითვალისწინებს და ეს ბიზნესმენთა აღშფოთებას იწვევს...

— ბიზნესმენი, რა თქმა უნდა, არ არის ხელშეუხებელი პირი და მას ხელისუფლება უნდა აკონტროლებდეს. მაგრამ ის, რომ 50 მაკონტროლებელი სტრუქტურა გვექნება და ვისაც გაუზარდება, ის შედიოდეს საწარმოში — დაუშვებელია. დღემდე ეს სასამართლოს პრეროგატივა იყო და შემოწმებაც მის მიერ გაცემული სანქციის საფუძველზე ხდებოდა. ახლა, პროკურატურის რეგიონული წარმომადგენელი ვთქვით, ბოლნისში ან ჭიათურაში, რომ მიაკითხავს ბიზნესმენს, ფულის გამოძალვის მიზნით, ვინ გააკონტროლებს მის ქმედებას?! ყველა კანონის გათვალისწინებით, საწარმოში შესვლის უფლება უნდა ჰქონდეს საგადასახადო ინსპექციას; თუ იქ სერიოზული დარღვევა აღმოჩნდება, საქმეში მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩაერთოს პროკურატურა.

— რეზიუმეს სახით ზოგადად რა შეგიძლიათ გვითხრათ — ბოლოს და ბოლოს, მოხდება თუ არა საქართველოში ბიზნესის ლეგალიზება?

— დეკლარირების დონეზე, ხელისუფლებამ ამის სურვილი უკვე გამოთქვა. უახლოეს ხანში კი, დაეინახავთ, თუ რა პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ტერორისა და შანტაჟის მეტს ვერაფერს ვხედავ. თუ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ზედმეტი მარწმუნებისგან ბიზნესის გათავისუფლება, ქვეყანა კვლავ გააგრძელებს უკუსვლას, რასაც მთავრობის მთელი შემადგენლობა გადაწყვებს...

„შვანის მითითებას უღანაგაულო გააოჩიოვლავი შაჰნირნე“

— როდესაც ბათუმელი სტუდენტები გაათავისუფლეს, გაგრცელდა ინფორმაცია, რომ ამის ბრძანება ზურაბ ჟვანიამ გასცა. გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრის გადამწყვეტილებაზე პასუხს გამომძიებლებს სთხოვენ?

ზურაბ ტაბიძე, ადვოკატი:

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს ინფორმაცია არც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ უარყო. სტუდენტების გათავისუფლება მოხდა ამ საკითხით მისი და სხვა მაღალჩინოსნების დაინტერესების შედეგად და ამის გამო გამოძიებლები გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბატონი ზურაბის განცხადება — გამოძიებლებს არ ჰქონდათ უფლება, ნება დაერთოთ ბათუმე-

ლი სტუდენტებისათვის, თბილისს გასცლოდნენო — ყოვლად უსაფუძვლოა, რადგან კანონი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა წასულიყვნენ ისინი შინ. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რაც გამოძიებლებს აქვთ წაყენებული, ნაკლებად მძიმე დანაშაულია და ასეთ შემთხვევაში, სამთვიან პატიმრობას არ უფარდებენ, მაგრამ ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაწყვედა. დღეს შვანიასა და სააკაშვილის გუნდებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებული რომ იყოს, უღანაშაულო გამოძიებლები ამ მდგომარეობაში არ ჩაიკვივებოდნენ: ზურაბ ჟვანიას მითითებით სტუდენტები გაათავისუფლეს. ეს არ მოეწონა ხელისუფლების რომელიმე შტოს და ასეთი შედეგიც მივიღეთ.

„სხოლოდ იძინება შთაბეჭდილება, რომ ლარი გააყარდა“...

— ლარის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით ექსპერტთა შეხედულებები განსხვავებულია. თქვენი აზრით, რა არის ამის მთავარი მიზეზი და უნდა გვეშინოდეს თუ არა ლარის გამყარების?

ნოდარ ჯავახიშვილი,

პარლამენტის წევრი:

— როცა ქვეყანაში მსგავსი პროცესები იწყება, ეროვნული ბანკი ვალდებულია, საზოგადოებას აუხსნას ლარის კურსის გამყარება შეგნებული პოლიტიკის შედეგად განხორციელდა თუ ეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებები დღესდღეობით ძალზე ბუნდოვანია. თუ ლარის გამყარება სტიქიურად მოხდა, მაშინ ქვეყნისათვის სასიკეთო ძერებს არ უნდა ველოდოთ. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, შეიძლება მთავრობას უფრო შორს მიმავალი გეგმები აქვს და ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას გეგმავს. ისე, ლარის გამყარება სწორი ფორმულირება არ გახლავთ, რადგან, ლარის კურსი,

ლოლარის გარდა, ყველა ვალუტასთან მიმართებაში დაეცა. ლოლართან მიმართებაში არ დაცემულა იმიტომ, რომ თვით ლოლარის კურსი (მნიშვნელოვნად — 30%-ით) დაეცა ევროსთან მიმართებაში. სწორედ ამის გამო, მხოლოდ იქნება შთაბეჭდილება, რომ ლარი გამყარდა, მაგრამ ამჟამად ქართული ვალუტის გამყარების რაიმე ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. შექმნილი პირობების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი ვალდებულია, ლარის ემისია მოახდინოს. ხოლო ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტში ჭარბად მობილიზებული შემოსავლები ისევ მიმოქცევაში დააბრუნოს. რაც შეეხება ამ პროცესის უარყოფით ტენდენციას — ეს ტვიროდ დააწვება საქონლის ექსპორტიორებს, რომელთა პროდუქციის ღირებულება ძვირდება. ეს ნეგატიური მოვლენა ასევე ქართველი მომხმარებლისათვის, რადგან ლოლარის გაუფასურების მიუხედავად, სამომხმარებლო ფასები არ შემცირდა და ამას არც უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ.

„არჩევნების ბოიკოტირება გონივრული გადაწყვეტილება არ არის“

— **ოპოზიციური პარტიები არჩევნების ბოიკოტთან დაკავშირებით კონსულტაციებს მართავენ. თქვენი გაერთიანება თუ აპირებს ამ პროცესში მონაწილეობის მიღებას?**

ფიძრია ჩინრაძე, პარლამენტის წევრი:

ჩვენს ბლოკთან ჯერ არავის არანაირი კონსულტაცია არ გაუმართავს. ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ლეიბორისტების პოზიცია მოვისმინეთ. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე, ბოიკოტი ხელისუფლებისთვის იქნება სასარგებლო: არა მგონია, ხელისუფლება დიდად შემოფოთდეს იმის გამო, რომ ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს. ამით კიდევ ერთხელ დაზარალდება საზოგადოება და ამომრჩეველი, რომელსაც საშუალება არ ექნება, ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს. შეფერხდება დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც დღეს ქვეყანაში არცთუ ისე წარმატებულად მიმდინარეობს. ახალი მთავრობა ცალსახად აცხადებს, რომ აქვს დიდი ნდობის მანდატი და აქედან გამომდინარე, უფლება, აკონტროლოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. მმართველი ძალები ვარაუდობენ, რომ პარლამენტში მათივე წიაღიდან აღმოცენდება ოპოზიცია. თუ ჩვენ ბოიკოტს გამოვაცხადებთ, მათი პოზიცია ასეთი იქნება: მზად ვიყავით, ჩავვეტარებინა დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ ოპოზიციამ ეს არ ისურვაო... მაგრამ თუკი საარჩევნო კამპანიის დროს, ხელისუფლება მიმართავს შანტაჟს და ტერორს, თუ რეგიონებშიც შეუძლებელი გახდება საარჩევნო კამპანიის წარმართვა, მაშინ ოპოზიციას სხვა გზა არ ექნება და ბოიკოტსაც გამოართლებულად მივიჩნევთ.

„ოპოზიციის გარეშე ხელისუფლების ბრალი არ იქნება“

— **სახელისუფლებო ბლოკის სია შედგენილია. ეს ის ბირთვია, რომელიც ახალ პარლამენტში ალბათ, საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა. ასეთ პირობებში, როგორ იქნება ის 28 მარტს არჩეული საკანონმდებლო ორგანო და რითი იქნება განსხვავებული 1999 წლის მონვევის პარლამენტისგან? რამაზ საყვარელიძე**,

პოლიტოლოგი:

მმართველი ძალა მესამედ აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევს და ხელისუფლება რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ შტოდ არ არის დაყოფილი: ამის პირველი პრეცედენტი ზვიად გამსახურდიას არჩევის შემდეგ შეიქმნა, როცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოები ერთი ძალის წარმომადგენლები იყვნენ; მეორედ ეს მოხდა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, როდესაც მმართველი „მოქცევი“ გახლდათ. ახლაც, ყველა ორგანო კვლავ ერთი პოლიტიკური ძალის ხელშია თავ-

მოყრილი. უცხოეთში, როცა ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი პარტიის ხელში ხდება, ამომრჩეველს ეს არ მოსწონს და ხმას მის კონკურენტ პარტიას აძლევს, რათა ძალთა დაბალანსების სისტემა არ დაირღვეს. ეს ჯანსაღი პროცესია და ოპოზიციამ ქართველი ამომრჩეველი სწორედ ამის საჭიროებაში უნდა დაარწმუნოს. მაშინ არასახელისუფლებო პარტიებს გამარჯვების შანსიც გაეზრდებათ. მაგრამ, ოპოზიციურ გაერთიანებებს ჯერ ისიც კი ვერ გაურკვევიათ, უნდათ თუ არა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. შოკიდან გამოსვლა ვერ შეძლეს და გაურკვეველ პოზიციებს აფიქსირებენ. ეს არის მათი რეიტინგის იმ ნიშნულამდე დაწვევის მიზეზი, რაც 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსს არ დაუტოვებს. ასეთ შემთხვევაში, მათი დამარცხება ხელისუფლების ბრალი ნამდვილად არ იქნება. რაც შეეხება მომავალ პარლამენტს — იგი თავისი წინამორბედისგან ბევრად განსხვავებული არ იქნება. არჩევნების დამთავრებისთანავე, დაიწყება შიდაპროცესები, რომლებიც სახელისუფლებო გუნდს დაშლის და პარლამენტში პარტიული პლურალიზმის დეფიციტიც შეივსება.

მომავალ ხათუნა მაღრაძე

ქართული და უცხოური შუქნალ-გაზეთების გამოცემა



დაიწიოს გამსოვრებულთათვის და ორგანიზაციებისათვის
სახლიდან გაუსვლელად
მის „ელვასერვისი“
www.elvaservice.com



რას სარგებლობა მოაქვს მაღალი პოსტიდან წასვლას

ანუ უჭალსტუხოდ დარჩენილი ყოფილი მესაჭენი

მარი ჯაფარიძე

სოფლის მეურნეობის ექსპერტიზის არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ მათ შორის, ყველაზე მოცლილი ამ მომენტისათვის **დავით პირვალიძე** აღმოჩნდა...

— ბატონო დავით, როგორ მოხდა თქვენი სამსახურიდან გათავისუფლება?

— ეს ძალზე მარტივი პროცედურა გახლავთ: როდესაც ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოდის, ძველი მთავრობა წერს განცხადებას გადადგომის შესახებ და ახალი პრეზიდენტი ახალ კაბინეტს აყალიბებს. ეს კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმაა და საკმაოდ მარტივი, ტექნიკური პროცესია. წინასწარ იყო ნათქვამი, რომ არც ერთი ძველი მინისტრი არ დარჩებოდა თანამდებობაზე და მეც შეგუბული ვიყავი იმას, რომ წავიდოდი. ეს თანამდებობა მეშვიშებდა არ გადადის და როდესაც ამ პოსტზე დამნიშნეს, ვიცოდი, რომ მოვიდოდა დრო, როცა ჩემს მინისტრობას ვადა გაუვიდოდა და წავიდოდი.

— არ გაგიჭირდათ, შეჩვეულ გარემოსთან განშორება? რა გრძნობა გეუფლებოდათ, როდესაც კაბინეტში საკუთარ ნივთებს ალაგებდით და წასასვლელად ემზადებოდით?

— ამ პროცედურას 3-4 დღე დასჭირდა, რადგან ერთი დღე ჩემი ნივთების ჩასალაგებლად არ მეყო. შემდეგ საქმე გადავაბარე ჩემს ადგილზე დანიშნულ ახალ მინისტრს, ბატონ დათო შერვაშიძეს.

— ახლა რას საქმიანობთ?

— ჯერჯერობით არაფერს — ვისვენებ და ვფიქრობ. შესაძლოა, საზღვარგარეთ გავემგზავრო. ჩემი მინისტრობის პერიოდში, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრაზეც ვმუშაობდი და იქ მუშაობას განვაგრძობ. გარდა ამისა, მაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება და ვფიქრობ, ერთ-ერთს ავირჩევ, ოღონდ, ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებ, დაფიქრება მჭირდება.

— რას ურჩევთ ახალ მინისტრს?

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, პრესისა და ტელევიზიის ყურადღება ახალმა სახეებმა მიიპყრო. მაგრამ საინტერესოა, რას საქმიანობენ ის ადამიანები, რომლებიც ძველ ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ?

იპოვენ თუ არა ახალი ადგილი რევოლუციის შემდგომ საქართველოში? სწორედ ამის გასარკვევად დაფუკავშირდი ყოფილ სახელმწიფო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს. მინდა გითხრათ, რომ ერთადერთი დეტალი, რომელიც მათთან შეხვედრისას თვალში საცემია, ის გახლავთ, რომ არც ერთი მათგანი აღარ იკეთებს პალსტუხს, უპირატესობას ჯინსს ანიჭებს და როგორც თითოეულ მათგანთან საუბრისას დაგრწმუნდი, ამით ძალზე კმაყოფილიცაა. ჩემი რესპონდენტები არიან: **დავით პირვალიძე, გიორგი ისაბაძე, არმაზ თავაძე და ირაკლი გომავა.**

— ტექნიკური რჩევებისგან თავს შევიკავებ, რადგან ის აღრეც სამინისტროს თანამშრომელი გახლდათ და თავისი საქმის პროფესიონალია. ყველა ახალ მინისტრს კი უურჩევ, რომ მუდამ ასსოვდეთ: ისინი პირველ რიგში, ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შემდეგ — მინისტრები. ეს იქნება მათი წარმატების საწინდარი.

— ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ თანამდებობიდან თქვენს გათავისუფლებას?

— ვფიქრობ, გაუხარდათ კიდევ, რადგან, მათთან უფრო მეტ დროს ვატარებ.


— წინათ, ჩემთან ინტერვიუში თქვით, რომ ცოლი მოუცლელი ბის გამო ვერ მოგყავდათ. ახლა ხომ არაფერი შეიცვლება ამ მხრივ?

— არ გამოვიცნავ. შესაძლოა, სულ მალეც შეიცვალოს...

გვინებ, ჩემს რესპონდენტებს შორის, საქმე ყველაზე კარგად სახელმწიფო მინისტრის ყოფილ მოადგილეს **გიორგი ისაბაძეს** აქვს აწყობილი: მან თანამდებობიდან წასვლის შემდგომ, პირველსავე დღეებში ჩაუყარა საფუძველი კომპანია — Worldwide Trading Corporation და მისი გენერალური დირექტორიც გახლავთ. გიორგისთან ოფისში მისულს, სწორედ ისეთი სიტუაცია დამხვდა, როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობისას ჰქონდა. თანამშრომლებიც კი არ შეუცვლია და მის მეუღრო კაბინეტსაც კვლავ ძველებური იერი დაჰკრავს.

— ბატონო გიორგი, გული ხომ არ დაგწყდათ, როდესაც კანცელარიიდან წამოხვედით?

— საერთოდ, ჩვევად მქონდა: როდესაც ახალ თანამდებობაზე ვინიშნებოდი, პირველსავე სამუშაო დღეს მიგუჯდებოდი კომპიუტერს და აკრებდი განცხადებას გადადგომის შესახებ და ამ ფაილს ვინახავდი. ასე რომ, წამოსვლისას მხოლოდ თარიღის დასმა სჭირდებოდა. ასე იყო ამ შემთხვევაშიც... 22 ნოემბერს, როდესაც მომიტინგეები კანცელარიის შენობაში შემოვიდნენ, იქ მხოლოდ მე და პეტრე მაძრაძე ვიყავით და ქვევით, მათთან ჩავედით. მთელი ღამე ამ ადამიანებთან ერთად გავატარე და შემაყვება, რომ კანცელარია უნებელი დარჩა და იქ არაფერი დაზიანებულა. მე მოვიქეცი ისე, როგორც საჭირო იყო და არა-



დავით პირვალიძე



გიორგი ინსაკაძე

სოდეს, არავის წინაშე არ შემცირდება ჩემი საქციელის გამო. მეამაყება, რომ ამ ამბის მონაწილე ვარ... მეორე დღეს, ბატონ პეტრეს ჩავაბარე განცხადება გადადგომის შესახებ და ცოტა მოგვიანებით, ამ განცხადებას ხელი მოეწერა. მანამდე კი, იყო შემოთავაზებები ბატონი ზურაბ ნოღაიდელისა და ბატონი ზურაბ ჟვანიასგან და მადლობელი ვარ მათი იმისთვის, რომ გაგებით მოეკიდნენ ჩემს უარს, საგადასახადოს უფროსის თანამდებობაზე. ვფიქრობ, ამჟამად, ჩემი ადგილი კერძო სექტორშია.

— **კერძოდ, რას აკეთებთ?**

— ჩამოვყალიბე „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“. ამაში დამეხმარნენ ჩემი მეგობრები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ჩვენ ვხდებით სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციების კონტრაქტორები და მომავალში, საკმაოდ დიდი ბიზნესის კეთებას ვგეგმავთ. ახალი სახე ვარ საქართველოს „ბიზნეს-ჯაზში“ და შეცდომის დაშვება ჩემთვის ისევე არ შეიძლება, როგორც სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას. კარგა ხანია, ამ საქმის წამოწყება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ქვეყანას აქაც გამოვადგები — როგორც გადასახადის გადამხდელი, კონსულტანტი, ექსპერტი და თუ ამაღ ვერ შევდექი, მაშინ ჩემი ადგილი არ ყოფილა არც აქ და არც სახელმწიფო სტრუქტურაში.

— **თუ გრძნობთ რაიმე სხვაობას ძველსა და ახალ ამბულუაში?**

— ხომ კარგად მიცნობთ? თქვენ რა სხვაობას მაჩვენებთ?

— **ცოტა გამხდარხართ, უშალ-**

სტუხოდ ხართ და ჯინსში გამონყობილხართ.

— გეთანხმებით, სწორედ ასეა: ათი კილოგრამი დაეკვიცი, ჩაცმულობის სტილიც შევიცვალე. წინათ, თუ კვირაში 7 დღე ჰალსტუხით დავდიოდი, ახლა მხოლოდ სამი, ჰა-ჰა — ოთხი დღე მჭირდება ეს აქსესუარი. წინათ, თუ უჰალსტუხოდ სიარული მეხამუშებოდა, ახლა — პირიქითაა. მშობლები და მეგობრები მომესიყვარულნენ, მათთან გაცილებით მეტ დროს ვატარებ და უხარიათ. ერთი სიტყვით, ნამდვილი რევოლუცია მოხდა ჩემს ცხოვრებაშიც.

— **ფფიქრობ, თავისუფალი დრო უფრო მეტი გაქვთ, ვიდრე წინათ. რაში ხარჯავთ ამ დროს?**

— მეგობრებთან ურთიერთობაში. ახლა ბევრი დრო გამომიტავისუფლდა და ჩემი გართობა მარტო გვიან ღამიდან გარიჟრაჟამდე არ გასტანს და დღისითაც შემიძლია, ამის საშუალება გამოვწახო. ვფიქრობ, პირად ცხოვრებაშიც შევიტან ცვლილებებს, რადგან ყოფითი პრობლემებიც მომეხსნება და მზის შუქზე გამოსულ მზეთუნახავებსაც უკეთ შეგვათვალეერებ...

— **რას ურჩევდით ახალ მთავრობას?**

— ძალზე კარგია, რომ თანამდებობებზე ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ აუცილებელია, მათი ნიჭიერების შეზავება გამოცდილებასთან და არ უნდა დაივიწყონ მამების თაობა, რადგან ენერჯიასა და ნიჭს ასაკი არა აქვს — ასაკი აქვს გამოცდილებას და აუცილებელია გამოცდილი ადამიანების ჩაბმა ყველა სფეროში...

ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფილი უფროსი ბრმაზ თაყაძე საკუთარ თავს „მოესველს“ ებხის და რამდენიმე პროექტზე ერთდროულად მუშაობს. დანარჩენებივით, ისიც კმაყოფილია, ბევრი თავისუფალი დრო რომ აქვს და შეუძლია, აკეთოს ის, რაც მოესურვება.

— **ჟურნალისტებთან ურთიერთობას გადავეჩვიე და უკვე მეხამუშება. ყველაფერს ეჩვევი და გადაჩვევაც შეგიძლია...**

— **მათ შორის თანამდებობაზე მუშაობასაც?**

— დიას. ჩემთვის თანამდებობიდან წასვლა ძალზე მარტივად მოხდა — საკუთარი

განცხადების საფუძველზე გამათავისუფლეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებაში ვინმესთვის მიუღებელი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ მათ თავისუფალი არჩევანის საშუალება მივეცი.

— **...და მათაც სხვა აირჩიეს, ხომ?**

— ამ ხელისუფლებაში, წინასთან შედარებით, შინაურიც მეტი მყავს, პროტექტორიც და მფარველიც, მაგრამ იმ პერიოდში, ქვეყანაში სიტუაცია არ იყო „დალაგებული“, არ გვყავდა პრეზიდენტი... ამ და ბევრი სხვა გარემოების გამო გადავწყვიტე, წავსულიყავი. ასეთი ლაპარაკი მოღამია, მაგრამ მკითხველმა განსაჯოს, რამდენად გულწრფელი ვარ. ალაღად შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერ სტატუსს, თანამდებობას, სამსახურს ვუყურებ, როგორც ცხოვრების ახალ საფეხურს და არა როგორც ცხოვრებისთვის განმსაზღვრელ ფაქტორს.

— **გული არაფერზე გწყდებოდა?**

— მხოლოდ იმაზე, რომ ბევრი კარგი იდეა განუხორციელებელი, უჯრაში ჩადებული ღამრჩა. ამ სამსახურიდან წამოვედი საკმაოდ მდიდარი. ამ სიტყვას ვინ როგორ გაიგებს, მისი ნებაა, მაგრამ მე ვგულისხმობ მდიდარ გამოცდილებას, ცოდნას და ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობას, ეს ყველაფერი შესაძლოა, კოლოსალური თანხის ტოლფასი იყოს.

— **ახლა რას საქმიანობთ?**



ბრმაზ თაყაძე

— თითქოს მარტივი კითხვაა, მაგრამ პასუხის გაცემა რთული გახლავთ. სიმართლე რომ ვითხრა, მე თვითონ არ ვიცი, რა ჰქვია იმას, რასაც მე ვაკეთებ. თუ გინდათ, მოგიყვებით და სახელი თქვენ დაარქვით. ისე, როცა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვხვდები და ვეკითხები — რას აკეთებთ-მეთქი? — მპასუხობენ — ბიზნესში წავიდეთ. ათიდან ცხრა ამას მპასუხობს. მეც, ლამის დავიჯერო, რომ ქვეყანაში ბიზნესგარეშე ისე გაუმჯობესდა, რომ ყველა იქ წავიდა. არადა, ჩემი აზრით, ათი წელი მინც იქნება, რაც საქართველოში ახალი ბიზნესმენი არ გამოჩნდება. ახლა, იმდენი ახალი სახე დამატა, რომ იმედია, ბიუჯეტი აღარ გაირღვევა. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას — ხან ვისვენებ, ხან ვმუშაობ, ხან ფულს ვაკეთებ, ზოგჯერ, ჯიპისა და „ნივის“ პატრონებს ვხვდები — გუდაურში წავიდეთ და თხილამურებით ვისრიალოთ-მეთქი. ამასთან ერთად, ბევრ საინტერესო პროექტზე ვმუშაობ. ჯერ „მთეველი“ ვარ: თესლი მიმოვამბიე, ყოველდღე მივდივარ და „წყალს ვასხამ“... 5-6 საინტერესო საქმეს ვარ შევტივებული და მათგან ორმა-სამამც რომ გამართლოს, კარგი იქნება. ერთი რამ მახარებს — არასოდეს მეკარგება საქმის კეთების სურვილი. სარეველასავით ვარ: ნებისმიერ ნიადაგზე აღმოცენდება და ჩემი გამარგვლა არცთუ ისე იოლია... რამდენიმე შემთავაზება სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც მივიღე. მაგრამ ამჯერად თავი შევიკავე. მომავალში კი, ვფიქრობ, ჩემი ადგილი იქაც გამოჩნდება.

— რაში ხარჯავთ გამოთავისუფლებულ დროს?

— ყველაზე მეტად ცვლილება სწორედ ამით ვიგრძენი. მართლაც, ძალზე დაკავებული ვიყავი. გამიჭირდა სხვანაირ რეჟიმზე გადასვლა, მაგრამ ახლა ისეთი განწყობა მაქვს, რომ დღევანდელ რეჟიმს ძნელად თუ გავცვლი ძველზე. თითქოს უსაქმურობა გამომდის, მაგრამ საქმეს მაინც ვაკეთებ. ახლა არც თათბირზე მემხიან, არც დილის 10 საათიდან გვიან ღამემდე მიწვევს სამსახურში ყოფნა.

— პირად ცხოვრებაში ცვლილების შეტანას არ აპირებთ?

— ახლა მარხვაა და ცოლის მოყვანა არ შეიძლება... შესაძლოა, შევცვალო კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, ახლა აღარავის აინტერესებს ჩემი პირადი ცხოვრების დეტალები...

რეგულაციის შემდეგ, პარლამენტარ **ირაკლი გოგავა** პირად ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა — დაოჯახდა და საკმაოდ ბედნიერადაც გრძნობს თავს. მაქსიმ გორკის თუ დავუჯერებთ, „ოჯახური ცხოვრება ამცირებს რეგულაციონერის ენერჯის“, მაგრამ ირაკლი უწინდებურად ენერჯიულად გამოიყურება, რეგულაციურად განწყობილიც გახლავთ და ძლიერი ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბებასაც აპირებს.

— ე.წ. რეგულაცია გახლავთ ხელისუფლების ხავერდოვანი გადაბარება ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მეორე პოლიტიკური ძალისთვის. უბრალოდ, ამას დაერქვა სახელმწიფო გადატრიალება. სცენარი კი წინასწარ იყო დაგეგმილი.

— თქვენ რას აკეთებდით ამ დროს?

— მე ვიყავი პარლამენტის წევრი და შორიდან ვადევნებდი თვალყურს მოვლენებს. სხვა რა უნდა გამეკეთებინა?..

— ახლა რას საქმიანობთ?

— ვიდრე პარლამენტის სხდომები მიმდინარეობდა, ხანდახან ვესწრებოდი სხდომას, რადგან ვცდილობდით, ნებისმიერი ტრიბუნა გამოგვეყენებინა იმისთვის, რომ ჩვენი, ალტერნატიული აზრი დაგვეფიქსირებინა. ახლა არჩევნებში მონაწილეობას ვაპირებ. ჩვენმა მეგობრებმა შემოგვთავაზეს, კენჭი ვიყაროთ მათი პარტიის სახელით. ეს გახლავთ კონსტიტუციური უფლებების დაცვის პარტია. ამჯერად ამ პარტიით ვისარგებლებთ, რადგან ხელისუფლება ძალზე ჩქარობდა და ჩვენ ვერ ვასწრებდით ახალი პარტიის დაფუძნებასა და რეგისტრაციას. არჩევნების შემდეგ კი, მე და ზვიად მუკბანიანი შევქმნით ახალ, ძლიერ ოპოზიციურ პარტიას. ჩვენი გუნდი პოლიტიკურ ცხოვრებას ნულ-იდან იწყებს და მზადაა მრავალწლიანი პოლიტიკური მოღვაწეობისთვის.

— თქვენ ახალი ხელისუფლების ოპოზიციის პირველსავე დღეებიდან გადახვედით. წინასწარ იცოდით, რომ ისინი არასწორ პოლიტიკას აირჩევდნენ?..

— მე მათ ძალზე კარგად ვიცნობ, რადგან 1994 წლიდან, ერთად ვმუშაობდით. ვიცი, ვინ რისი გამკეთებელია და ასეც აღმოჩნდა — ისინი იბრძოდნენ



ირაკლი გოგავა

სკამებისთვის! ოპოზიციონერობა ჩემთვის თვითმისწავლაა კი არ არის. თუ ახალი ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რომელიც ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება, მხარს დავუჭერ. მაგრამ როგორც ვხედავ, ესენი სახელმწიფოებრიობას თამაშობენ. ხალხისთვის თვალის ასახვევად, ვილაცას დაიჭერენ, „დაატლევინებენ“ და ჰკონიათ, საქმეს აკეთებენ. მასსოვს, „ნაციონალები“ ითხოვდნენ ოთხმილიარდიანი ბიუჯეტის დამტკიცებას. ახლა პრეზიდენტმა პარლამენტს ჩამოართვა ბიუჯეტის განხილვის უფლება და დეკრეტით, თავად აქვს უფლება, გამოსცეს ბიუჯეტი; ვნახოთ, რამდენმილიარდიანი ბიუჯეტს შესთავაზებს. „დემოკრატები“ მოითხოვდნენ, ხელფასის მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდას. ვნახოთ, შესრულდებიან თუ არა. უბრალოდ, ეს წინასწარჩვენო დაპირება იყო და მეტი არაფერი. გულახდილად გეტყვი — უკეთესობას ველოდი, მაგრამ ვგრძნობ, ესენი ქვეყანას დალუპავენ.

— თქვენი მოსალოდნელი არაფერი გაუკეთებია ახალ მთავრობას?

— ჩემთვის მისაღები ერთადერთი ის გახლავთ, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოწესრიგდეს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ხომ ხედავთ, დოლარის კურსი როგორ დაეცა? ეს ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობაა. ზოგიერთმა ექსპერტმა ისიც მითხრა, რომ ახლა ხდება სოროსის იმ ვალის გასტუმრება, რომელიც რეგულაციის მოსაწყობად დასჭირდა. თუ შევამჩნევთ, რომ არჩევნების გაყალბება მოხდება, გავიზიარებთ შალვა ნათელაშვილის აზრს და არჩევნებს ბოიკოტს გამოვუცხადებთ...

პოპულარული ტელენამყვანი ინგა გრიგოლია სულ მალე გამოჩნდება „პირველი არხის“ ეკრანზე. მას შეეძლება, რაც მან ტელეკომპანია „მზე“ დატოვა, ბევრი ქორი გაფრცვლდა და უამრავი კითხვაც გაჩნდა. ყოველივე ამას ინგა თავად გასცემს პასუხს.



ინგა ბრიგოლიასთვის კოლიტიკოსთან ფლირტი მისაღებია

მხოლოდ პირდაპირ ეთერში

ლელა ჭანკობაძე

— პირველად ვამბობ — ძალზე დიდ დისკომფორტს მიქმნიდა ის ფაქტი, რომ „მზის“ მაუწყებლობა ვიწრო სივრცეზე ვრცელდებოდა. პრაქტიკულად, უზარმაზარ აუდიტორიას ვკარგავდი. ეს ძნელია იმ ფურნალისტისთვის, რომელსაც მიერუებულ სოფელშიც კი იცნობენ. ამიტომაც დავთანხმდი იმაზე, რომ დავბრუნებულიყავი „პირველ არხზე“. ზაზა შენგელია დაინიშნა თუ არა მის ხელმძღვანელად, ორ საათში უკვე შევხვდით ერთმანეთს. მითხრა, რომ „პირველი არხი“ საზოგადოებრივ ტელევიზიად უნდა გადაკეთდეს... წინა ხელისუფლების დროს, ამის განხორციელების სურვილი არსებობდა, მაგრამ არ გამოვიდა. ამ ხელისუფლების პირობებში რა იქნება, არ ვიცი. პირველ რიგში, პოლიტიკური ნება სჭირდება იმას, რომ არ იყოს სამთავრობო — ე.ი. „ჯიბის ტელევიზია“. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩა, ვიტყვი, რომ დიდი შეცდომა დავეუშვი, როცა „პირველ არხზე“ დაბრუნებას დავთანხმდი...

— როცა „პირველ არხს“, „ჯიბის ტელევიზია“ უნოდეს, მაშინ შენც ძალზე მწვავე რეაქცია გქონდა, სხვა ფურნალისტებთან ერთად. ახლა ამ ტერმინს თავად ახსენებ...

— რა თქმა უნდა, სერიოზული, უზარმაზარი ზეწოლა იყო, მაგრამ ზეწოლას ახორციელებდა ის გუნდიც, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია. ის ადამიანები, რომლებიც მაშინ სტუდიაში ისხდნენ, ახლა ხელისუფლებაში არიან. მათგან ითქვა — „ჯიბის ტელევიზია“ ხართო. იძულებულები გავხდით, გვეოქვა: ეს წნეხი თქვენგან მოდიო-

და, იმისთვის, რომ თქვენი „ჯიბის ტელევიზია“ ვყოფილიყავით-ოქო...

— ამბობენ, რომ შეიძლება, ზაზა შენგელიას მოადგილედ დაინიშნო. მართალია?

— არა. მე არ შემიძლია მართვა, გუნდის ხელმძღვანელობა. ჩემი გუნდი ყოველთვის მეხმარებოდა და ხელს მიწყობდა. ასეთი შემთავაზება კი, ზაზა შენგელისგანაც არ მიმიღია. რომ მიმეღო, აუცილებლად უარს ვიტყვოდი... რამდენიმეთვიანი ტაიმ-აუტი უნდა აძელო, რათა ახალი გადაცემა მოემზადებინა, მაგრამ არ არის გამოცხადებული, რომ ეკრანზე ძალიან მალე გამოჩნდეს. საბოლოო ვარიანტი განახლებული არხის ეკრანზე უნდა გასულიყო, მაგრამ გვემბეი შეიცვალა. ასე რომ, სულ მალე, ისევე ჩემი გადაცემით წარვდგები მსყურებლის წინაშე.

— ინგა, როცა შენს გადაცემაში პრეზიდენტმა შევადრნაქემ დარეკა, მალე კი „ლამის მოამბე“ გაუქმდა, ითქვა, რომ ეს იყო მხოლოდ დამთხვევა და ისედაც აპირებდი „პირველი არხიდან“ წამოსვლას. ახლა, მხოლოდ ქორია, თითქოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ინგა გრიგოლიას გამო დახურა ლამის ანალიტიკური გადაცემები?

— ეს კითხვა მეც გამიჩნდა. მაღალი თანამდებობის პირსაც ვესაუბრე ამის შესახებ. მან უარყო. მეც ასე მგონია. ჩემზე ზეწოლა რომ ყოფილიყო, არავინ მომცემდა საშუალებას, „პირველ არხზე“ — სახელმწიფო ტელევიზიაში დავბრუნებულიყავი — მიუხედავად ზაზა შენგელიას დიდი სურვილისა. არ ვიცი, ხორციელდებოდა თუ არა ზეწოლა „მზის“ ხელმძღვანელე-

ბზე. თუმცა, ეს მათაც უარყვეს. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლებისა და „მზის“ ხელმძღვანელობას შორის მოხდა ურთიერთობის გარკვევა, რასაც „ლამის მზერა“ შეეწირა. უბრალოდ, გადაცემა დაიხურა.

— მაყურებლების აზრი შენ შესახებ რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ შენი რეიტინგი მაინც ძალზე მაღალია. როგორ შეგელია ტელეკომპანია „მზე“ ასეთ მაღალრეიტინგულ ფურნალისტს?

— სკანდალური იმიჯი მაქვს. რაც არ უნდა მოხდეს ჩემ ირგვლივ, ყოველთვის ხმაური ატყდება ხოლმე. არ ვიცი, არის თუ არა ეს მაღალი რეიტინგის მიზეზი. არიან ადამიანები, რომლებსაც ინგა გრიგოლია აღიზიანებთ. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მაყურებელს ვუყვარვარ თუ არა — მთავარია, მიყურებს თუ არა. თუ ის ამბობს, რომ სამინელება, რასაც მე ვამბობ და ჩემი ფრაზები აღიზიანებს, ე.ი. მიყურებს კიდევ... არასდროს ვუმღერებ დიტირამებს ხელისუფლებას. რაც ვარ, ეს ვიქნები. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ თავის დროზე, ტელეკომპანია „მზე“ გათვლილი იყო ორი ფურნალისტის მაღალ რეიტინგზე — ჩემსაზე და ეკა ბერიძისაზე. ეკა მალე წავიდა ტელევიზიიდან, რადგან ის ამბობს, რომ მისი პოლიტიკური ხედვა არ ეთანხმებოდა არხის ხელმძღვანელობისას. შემდეგ, მეც წამოვივდი. აბსოლუტურად ვერ ვუგებდით ერთმანეთს მე და არხის განერალური დირექტორი. დღემდე ვერ გამოვივა, რა უნდოდა ჩემგან ან საერთოდ, არხისგან. ასე რომ, კარგად მესმის ეკა ბერიძის... მინდა, იქ ვიმუშაო, სადაც ჩემი ესმით. დავილაღე იმის გარკვევით, თუ რა უნდათ ჩემგან.

— ახალი პროექტის მომზადებასთან ერთად, ახალ იმიჯზეც ხომ არ ფიქრობ?

— ვერც „მზეზე“ შეეძელი ახალი იმიჯის შექმნა. თან, არც არავის მოუთხოვია. ასეთივე ვებრუნდები „პირველი არხის“ ეთერშიც. თუმცა, ოცი კილოგრამი დავიკელი. ამისთვის წელიწად-ნახევარი დამჭირდა. მოვიშორე ხალი და რამდენიმე კორექციაც გავიკეთე. როცა მეუბნებიან — „მზეზე“ შენი სექსუალურობა და გარეგნობა იყო წინა პლანზე წამოწეულიო, ეს ჩემთვის მხოლოდ კომპლიმენტია.

— ტელეეკრანზე ყოველთვის ძალზე აგრესიული ხარ. ვინ არიან ის მამაკაცები, რომლებიც ასეთ ქალთან ფლირტს ბედავენ?..

— ამის მცდელობა ძირითადად, პოლიტიკოსებს აქვთ. მაგრამ მე მტკიცე გადაწყვეტილება მაქვს მიღებული — პოლიტიკოსთან რომანი აღარასდროს მექნება. რამდენიმე მათგანისთვის პირდაპირ მომიწია ამის თქმა. ეს შეიძლება, კომპლექსია:

მეშინია, რომელიმე მათგანმა იმის გამო არ გააბას ჩემთან რომანი, რომ მის კარიერას სჭირდებოდა ინვა გრივოლია, როგორც ჟურნალისტი. საერთოდ, ვერ ვიტან, როცა მამაკაცები მელაპარაკებიან სააკაშვილზე, ჟვანიაზე, ოპოზიციაზე. როცა პაემანზე მამაკაცი მეკითხება — რამდენი წელი იქნება მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი? — სამინლად ვბრაზდები...

— მაგრამ როცა სტუდიაში ისეთი რესპონდენტი ხის, რომლის მიმართაც სიმპათია გაქვს ან — პირიქით, მაშინ როგორ გრძნობ თავს?

— ყოველთვის მეტყობა... ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან ტელედეკლამაციის დროს, პროდიუსერმა პირდაპირ ჩამამხა ყურში: მორჩი, ქალო, ფლირტაობას და სწრაფად დაუსვი შეკითხვა...

— როგორ გამოხატავენ პოლიტიკოსები აღშფოთებას, გადაცემის დასრულების შემდეგ?

— აგრესიას ძირითადად, იმით გამოხატავენ, რომ არხის ხელმძღვანელობას ურეკავენ, ჩემთვის საყვედურების თქმას ერიდებიან ხოლმე. ვინც გაბედავს, პასუხს ყოველთვის მიიღებს, რადგან აგრესიული რესპონდენტებისთვის მეც აგრესიული პასუხები მაქვს. ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული რესპონდენტი იყო ხოლმე ლევან მამალაძე. საკმაოდ ენამწარე რესპონდენტია ირინა სარიშვილი. ზურაბ ჟვანიასაც მძაფრი რეაქცია აქვს, როცა მწვავე შეკითხვას ვუსვამ, ასე მგონია, ეკრანთან გადმოხტება... მაგრამ მაინც ვამბობ, რომ ის ჩემი საყვარელი რესპონდენტია, იმიტომ, რომ კარგი „ტანდემი“ გამოგვიღის. არ ვიცი, ხდება ამას თუ არა, მაგრამ ამას წინათ მომიწია მისთვის მეთქვა: ბატონო ზურაბ, ტონი შეგეცვალათ, ცოტათი ხომ არ დაარბილებდით-მეთქი?..

— მიხეილ სააკაშვილი როგორ რესპონდენტია?

— ის მაგარი „პიარშიკია“ და შესაბამისად — კარგი რესპონდენტი. გადაცემაში მისი მონაწილეობა ყოველთვის მაღალ რეიტინგს უზრუნველყოფდა, მაშინაც კი, როცა ის ერთ-ერთი დეპუტატი იყო. როცა სტუდიაში სააკაშვილი იჯდა — ეი. მაყურებელთა თითქმის 100% გვიყურებდა. მან ზუსტად იცის იმის აფიშირება, რასაც ხალხი ფიქრობს. ეს ჩვენი პოლიტიკოსების უმეტესობას არ შეუძლია. ძალიან კარგი რესპონდენტია შალვა ნათელაშვილი. არასდროს მყოლია რესპონდენტად ასლან აბაშიძე. თუმცა, სულ ვაწარმოებდი მოლაპარაკებას ამ საკითხზე მის გარემოცვასთან. გაგიმხელ, რომ სავარაუდო კითხვების შეთანხმებაზეც კი არ ვამბობდი უარს, მაგრამ მაინც ვერ დავითანხმე.

— და მაინც, ყველაზე გამორ-

ჩეული რესპონდენტებიც ხომ არ გაყავს?

— ძალიან სუბიექტური ვარ, როცა ვამბობ, რომ ეს კოტე გაბაშვილი გახლავთ. ყველა ჩემი პირველი გადაცემის პირველი სტუმარი ის გახლდათ. როცა „პირველი არხიდან“ მოვიდოდი, ბოლო რესპონდენტიც ბატონი კოტე იყო და დიდი შოუც გამოგვივიდა... სულ ვამბობ — რაც არ უნდა მოხდეს მასთან დაკავშირებით, ყოველთვის მის მხარეზე ვიქნები. საკმაოდ საინტერესო და კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი რესპონდენტია ნინო ბურჯანაძე. მას „რკინის ქალის“ იმიჯი აქვს, მაგრამ როცა ტანსაცმელსა და ვარცხნილობაზე ვკითხვ, ის საოცრად ქალური გახდა...

— როცა გადაცემის შემდეგ, რესპონდენტი აგრესიული ხდება ან უბრალოდ, შენი კითხვების გამო უკმაყოფილობას გამოთქვამს, როგორ ახერხებ მის შემორკებას?

— არ შემიხვედრია რესპონდენტი, რომელიც სტუდიაში მეორედ მოსვლაზე უარს მეტყობდა, მიუხედავად იმისა, თუ რა ვაწყენინე... ახლა ახალ პროექტზე ვმუშაობ და ალბათ, კიდევ უფრო მეტი ახალი და საინტერესო შემთხვევა მექნება. სიახლეები მიყვარს. როცა რაიმე ახალი კეთდება, სამოთხეებით ვმონაწილეობ ამ პროცესში. ცხივრება საინტერესო ხდება. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლიათ ადამიანებს, დიდი ხნის მანძილზე ერთსა და იმავე ადგილზე მუშაობა. ატმოსფერო თუ არ შევიცვალე, არ შემიძლია. მობილურ ტელეფონებსაც კი ხშირად ვიცვლი. იგივე მჭირს ტანსაცმელთან დაკავშირებითაც, სამი თვის მანძილზე მხოლოდ ძალზე საყვარელი ტანსაცმელი შეიძლება მეცვას, მერე, დაქალბებს ვჩუქნი.

— მაგრამ შეგიძლია, ერთი მამაკაცით დიდი ხნის მანძილზე იყო გატაცებული, ხომ?

— თუ შემიყვარდა, შემიძლია, სამუდამოდ მიყვარდეს. იმიტომ, რომ ძალიან ერთგული ვარ და ადამიანებს საოცრად ვეჩვენე. ახლა შეყვარებული არა ვარ. რომ ვიყო, ყველას ეცოდინებოდა, რადგან რომც არ მინდოდა, მაინც მოხდება ამის აფიშირება... ბევრი დრო გავიდა წინა რომანიდან. ისევ მარტო ვარ. რომანი არავისთან მაქვს. თუმცა, არიან მამაკაცები, რომლებზეც დაფიქრებულვარ და საკუთარი თავისთვის მიკითხავს — მასთან, მეგობრობაზე ცოტა მეტი ხომ არ მაკავშირებს-მეთქი?..

— ინციტავას მამაკაცს უთმობ ხოლმე?

— ინციტავას არასდროს ვიჩენ. შეიძლება, უცნოდ მენატროდეს მამაკაცი, მაგრამ მაინც არ დავურევავ.

არ მიყვარს ქალები, რომლებიც ინციტავას იჩენენ. შეიძლება, ეს კომპლექსია. თუ მამაკაციც უინციტავაა, მაშინ ჩვენი ურთიერთობა არ შედეგა. საერთოდ მგონია, რომ არც მამაკაცებს უყვართ, როცა ინციტავა ქალისგან მოდის. ვერ ვიტან მამაკაცებს, რომლებიც იჯერებენ, რომ სრულყოფილები და ყველაზე მაგრები არიან. მამაკაცი ის არის, ვინც ცდილობს, ქალის საუკეთესო თვისებები წინა პლანზე წამოსწიოს...

— ბოლო ჭორი შენ შესახებ — ინვა გრივოლია ბავშვს აჩენსო — აბსოლუტურად უსაფუძვლოა?

— თუ ვინმე შემეყვარდება, აუცილებლად გავთხოვდები. მნიშვნელობა არა აქვს, გავთხოვდები თუ არა, ბავშვს მაინც გავაჩენ. ძალიან პატარა ვიყავი, როცა მარიამი გაჩნდა. დედობის განცდა პრაქტიკულად, არ მქონია. ბავშვი მხოლოდ გავაჩინე — არ გამიზრდია. ამიტომ, როცა ჰყვებიან ბავშვის აცრებსა და ავადმყოფობებზე, ჩემთვის ეს უცნობა... მინდა, დამოუკიდებლად გავზარდო შვილი. მარიამი უკვე 14 წლისაა. ჩვენ დელაშვილური ურთიერთობა არც გვაქვს — დებივით ვართ. თუმცა, ჩემი ძალიან ეშინია... ამას წინათ, ჩემს დაქალბებს ვუბნებოდი — შვილს აუცილებლად გავაჩინებ-მეთქი. ჩემი და ჩაერია საუბარში და გაოცებულმა იკითხა: ახლავა შვილი გვაყვს და ბავშვი რაღად გინდაო?! მისთვის ეს გაუგებარია, რადგან შვილი დამოუკიდებლად გაზარდა. ჩემი შვილი კი, დედაჩემის გაზრდილია. თანაც, სიგიჟემდე მიყვარს ჩემი და და მინდა, რომ მარიამსაც ჰყავდეს დედამამშვილი. ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი, საქორწინო ბეჭედი გავიკეთო... დიდი ხანია, რაც ჩემს სახლში მამაკაცის ნივთი არ ყოფილა. შესაბამისად, ძალზე გამიჭირდება, გათხოვება გადავწყვიტო, თუ ისე არ შემიყვარდა ვინმე, რომ არ გავგიჟედ და გადავირიო...



ხათუნა მაღრაძე

— ბატონო სოსო, როგორ ვითარდება მოვლენები „ომეგა-ჯგუფის“ გარშემო?

— ფაქტობრივად, არაფერი იცვლება. მას შემდეგ რაც სასამართლოს მიერ მიღებული სანქციით, პროკურატურის წარმომადგენლები სპეცრაზმის წევრებთან ერთად შევიდნენ „ომეგა-ჯგუფის“ დაქვემდებარებაში მყოფი ოფისების ტერიტორიებზე და სამხედრო ტყვეებივით, ავტომატის მუქართა და ფიზიკური შეურაცხყოფით გამოყარეს თანამშრომლები, ყველა დაწესებულება დალუქულია. შეჩერებულია სამუშაო პროცესი და ამ უკანონობის აღკვეთაზე არავინ ფიქრობს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სტამბის დალუქვა. სამართალდამცავებს მისი ჩხრეკის ორდერიც კი არ გააჩნდათ, მისი დახურვის მიზეზს კი არავინ გვეუბნება.

— როგორც პროკურატურაში აცხადებენ, სტამბაში აღმოჩენილია კლიშეები და ყალბი აქციზური მარკები...

— ეს მტკნარი სიცრუეა, არავითარი კლიშე მათ არ აღმოუჩენიათ. არც „ომეგა-თეგში“ და არც პოსტსაბჭოურ სივრცეში არ არსებობს ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელია ჰოლოგრამების დაბეჭდვა. მსოფლიოში სულ ექვსი ფირმაა, რომელიც ამ ჰოლოგრამებს ამზადებს. ვინც „ომეგას“ ამ ბრალდებას უყენებს, თვითონაც არ იცის, რამხელა აბსურდს ამტკიცებს. ამ საკითხზე

«საბიუროსი
შეფარდა
სტამბის
მალაგუნაის
პროცესს
ლაქსმასს...»



საქართველოში ადვოკატის ინსტიტუტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანდათან იკრებდა ძალას და უკანასკნელ პერიოდში, საკმაოდ პრესტიჟულ სპეციალობადაც იქცა. ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური ღონისძიებების დაწყების შემდეგ, არაერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ ცნობილი და გავლენიანი ადამიანების მიმართ, რომელთა ბედი ახლა, მნიშვნელოვანწილად მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. სოსო ბარბათაშვილი, რომელსაც არაერთი გახმაურებული პროცესი ჩაუტარებია და ახლა, „ომეგა-ჯგუფის“ ინტერესებს იცავს, აცხადებს, რომ ამჟამად, მის კოლეგებს განსაკუთრებით აქტიური მუშაობა მართებთ, რათა ერთი მხრივ, ქვეყანაში არ ირღვეოდეს სამართლებრივი ნორმები, მეორე მხრივ კი, ადვოკატის პროფესიის დისკრედიტაცია არ მოხდეს...

იმავე პოზიციას აფიქსირებენ უცხოელი ექსპერტები, თუმცა, პროკურატურას არ სურს, რომ ელემენტარული ჭეშმარიტება აღიაროს.

— გენერალურმა პროკურორმა პრესკონფერენციაზე ფურნალისტებს უჩვენა „ომეგა-თეგადან“ ამოღებული აქციზური მარკა, რომელიც მისი განცხადებით, ყალბია.

— ეს არ იყო ჰოლოგრამიანი აქციზური მარკა, მისი წარმოშობა ასეთია: აზერბაიჯანში აქციზურ მარკებთან დაკავშირებით ტენდერი იყო გამოცხადებული, შპს „ილიონს“ მასში მონაწილეობა უნდა მიეღო, რისთვისაც დაამზადეს ნიმუში, რომელიც ჩვეულებრივ ფურცელზე იყო დაბეჭდილი და ზედ პრიალა ქაღალდი ჰქონდა დაკრული. გენერალურმა პროკურორმა სწორედ ეს ნიმუში წარმოადგინა, როგორც ჰოლოგრამიანი აქციზური მარკა. ნებისმიერი ჭკუათამყოფელი, რომელიც ამ „ნივთ-მტკიცებას“ ნახავს, დარწმუნდება, რომ სიმართლეს ვამბობ.

— მთარული სმებით, „ომეგა-თეგში“ ყალბი ფულის ბეჭდვის ტექნიკური საშუალებაც კი არსებობს...



— არა, ყალბი ფული საქმეში არ ფიგურირებს და ამაზე საუბარი აბსურდია. ჩხრეკის პროცესი კიდევ რამდენიმე წელი რომ გაგრძელდეს, მსგავს სამხილს მაინც ვერ იპოვიან, რადგან „ომეგა-თევის“ სინამდვილეში ასეთი რამ ნამდვილად არ არსებობს.

— როგორ ფიქრობთ — ზაზა ოქუაშვილისთვის სადებუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხი სომ არ შეიძლება დადგეს დღის წესრიგში?

— ეს პარლამენტის გადასაწყვეტია. თუმცა, ბატონი ზაზა ამბობს, რომ მას არავითარი იმუნიტეტით დაცვა არ სჭირდება.

— 2002 წლიდან, პროკურატურა „ომეგა-უგუფს“ სოლიდური გადასახადის დაფარვაში ადანაშაულებს. სააკაშვილის ახალი ინიციატივის შესაბამისად კი, ვინც გადაუხდელობაში თანხას გამოამზეურებს, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება. რატომ განდა მოსაზრება, რომ ფინანსური ამნისტია ზაზა ოქუაშვილს არ შეეხება?

— საქმეზე, რომელიც 2002 წელს, გადასახადების დაფარვისა და საბაჟო წესების დარღვევის მუხლით აღიძრა, საგამოძიებო მოკვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ დასაბუთებული არ არის ის, რომ ბატონი ზაზა გადასახადებს მალავს. რაც შეეხება პრეზიდენტის ინიციატივას — ვცდილობ, გავიაზრო, თუ რასთან გვაქვს საქმე. ნონსენსია, რომ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი შეეხებოდეს ერთ ადამიანს და არ ვრცელდებოდეს მეორეზე — ასეთი რამ საკანონმდებლო პრაქტიკაში არ არსებობს. ვფიქრობ, ფინანსური ამნისტია თავისთავად, კარგი იდეაა, მაგრამ მას დახვეწა სჭირდება.

— ბატონო სოსო, ბოლო პერიოდში, არაერთი ცნობილი პიროვნება დააკავეს. თქვენი კოლეგები პოლიტიკურ ზენოლაზე საუბრობენ, მაგრამ ზოგი გამოთქვამს ეჭვს, რომ ქართველი ადვოკატები ძლიერი ხელისუფლების პირობებში მუშაობისთვის მოუშაადებლნი აღმოჩნდნენ...

— იმ განმარტებულ პროცესებში, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, მაღალპროფესიონალი ადვოკატები არიან ჩაბ-

მულნი. თითქმის ყველა მათგანი სრულყოფილად ასრულებს თავის მოვალეობას. ასე რომ, მოუშაადებლები ნამდვილად არ არიან — უბრალოდ, დღეს მიმდინარე პროცესები კანონის მოქმედების სფეროს სცილდება. ადამიანებისთვის პატიმრობის შეფარდება ტაბელის გადაბრუნების პროცესს დაემსგავსა: აპატიმრებენ და ციხეში აგზავნიან, სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების შეუფარდებლად. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ევროპის სასამართლოში მოგვიწევს სამართლის საძიებლად წასვლა.

— ზოგიერთი ბრალდებულის ახლობელი უცხოელი ადვოკატების ჩამოყვანას გეგმავს. თქვენი აზრით, შეძლებენ თუ არა ისინი ჩვენს პირობებში კარგი შედეგების მიღწევას?

— მეეჭვება, რადგან უცხოელები ჯერ კარგად უნდა გაერკვნენ საქართველოს კანონმდებლობაში; ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება, რაც ბრალდებულისა თუ განსასჯელის ინტერესებში არ შედის. ამდენად, ეს ნაბიჯი უფრო, სარეკლამო ხასიათის იქნება. აი, თუ საქმე ევროპის სასამართლომდე მივიდა, მაშინ უცხოელი ადვოკატების გამოცდილება ალბათ, გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

— თქვენ ერთდროულად რამდენიმე სასამართლო პროცესში ხართ ჩაბმული. განმარტებული საქმეების ფონზე, ნაკლებად მნიშვნელოვანი პროცესები სომ არ იჩრდილება?

— არავითარ შემთხვევაში. ყველა

საქმეს თანაბარი ენერჯია უნდა მოახმარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არ უნდა მოჰკიდო ხელი. ყველა საქმეს თანაბარი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგე: ბრალდებული თუ განსასჯელი სწორედ ამაში გიხდის ფულს და მისი ღალატი დაუშვებელია.

— გასამრჯელოს საკითხი საინტერესოა. ალბათ, დიფერენცირება ამ საკითხში მაინც ხდება, მით უმეტეს ახლა: ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსხვილი კომპანიის ინტერესების დაცვისას, ფასებმა მოიმატა, არა?..

— ეს კონფიდენციალური საკითხია. თუმცა, არ მეულება საქართველოში ცნობილი ადვოკატი, რომელსაც ყოველწლიურად, უფასოდ 10 საქმე მაინც არ ჰქონდეს გასაკეთებელი — მეგობრების, ახლობლებისა თუ გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად... რაც შეეხება ადვოკატის შრომის ანაზღაურებას — იმდენად მცირეა, რომ სასაცილოც კი შეიძლება ეწოდოს. თუმცა, გადახდისუნარიანი ფირმის დაცვის შემთხვევაში, რასაკვირველია, განსხვავებული სიტუაციაა...

— როგორ დამთავრდება „ომეგას“ საქმე? რა პროგნოზს გააკეთებდით?

— ძალზე რთული საქმეა. იურიდიული თვალსაზრისით, პრობლემა არ არსებობს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან გამოხატულია გარკვეული ნება, რომელიც სიტუაციას ამძიმებს. თუმცა, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ სიმათლის დასამტკიცებლად...



„ქროსა პოლიციის კილერი იყო“ — ასხაღებს დაზარალებული

ადვოკატების თქმით კი, სამუდამო პატიმრობა მას დაუმსახურებლად მიუსაჯეს


დაზარალებული — მიმოზა ჟორჯოლიანი-კახიანი ყოფილი გენპროკურორის — ნუგზარ გაბრიძისადმი დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ მას ერთადერთი შვილი იმერეთის პოლიციის კილერმა — მეტსახელად ძროხამ მოუკლა. დაზარალებული კილერში, 1967 წელს დაბადებულ დავით მიქაბერიძეს გულისხმობს, ამ განცხადების საფუძველად კი, იმას ასახელებს, რომ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შს სამინისტროების მიერ ოფიციალურად ძებნილი მიქაბერიძე წლების მანძილზე, ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ, ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში, მამისეულ სახლში ცხოვრობდა, ქართველ სამართალდამცავებს კი, მის დასაკავებლად არანაირი ზომები არ მიუღიათ. მიმოზა ჟორჯოლიანი-კახიანის თქმით, მიქაბერიძეს იმერეთის პოლიციის მაშინდელი ხელმძღვანელობა მფარველობდა. ამას თავად მიქაბერიძე, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები და სამართალდამცავები კატეგორიულად უარყოფენ. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა მიქაბერიძეს 4 ადამიანის (2 მათგანის კი — განსაკუთრებული სისასტიკით) მკვლელობაში ადანაშაულებდა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიქაბერიძე დაამნაშავედ ცნო და მას უვადო პატიმრობა მიუსაჯა (მომხდარი დანაშაულების შესახებ ვრცლად „გზის“ 2003 წლის №29-ში ვწერდით).

განაჩენის თანახმად, დავით მიქაბერიძემ 1995 წელს ქ. მოსკოვში, იზმაილოვის პროსპექტზე ნადეჟდა ივანჩენკოს სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი იქირავა. იმ პერიოდში გაიცნო ნარკოტიკების გამსაღებელი მარია მუნტიანუ, რომელთანაც შემდეგ, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. მოსკოვში მიქაბერიძე პერიოდულად, მგობრებს, წარსულში სასამართლო პირებს — ლევან ფაცურიას, დემურ როგავასა და ალექსანდრე ომარაშვილს ხვდებოდა. ისინი მუნტიანუსაც იცნობდნენ და მისგან სისტემატურად ყიდუ-

ლობდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, თუმცა მუნტიანუსა და მიქაბერიძის ნაცნობობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მოგვიანებით, როცა შეიტყვეს, რომ მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, განაწყენდნენ. ჩათვალეს, რომ მიქაბერიძე და მუნტიანუ ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად აღებულ ფულს ერთმანეთს უყოფდნენ; ამის გამო მიქაბერიძეს უსაყველურეს და უთხრეს: „კაბიჭობაზე თავს ტყუილად დებ, შენი საქციელი არაქურდულია“. შელაპარაკება მათ შორის 1996 წლის 10 იანვარს საღამოს, ნადეჟდა ივანჩენკოს საცხოვრებელ სახლში მოხდა. იმ დროს, ბინაში, მათ გარდა, იმყოფებოდნენ: დიასახლისი, მისი ვაჟი, მიქაბერიძის მეგობარი — ზვიად ნიშინანიძე და ტატიანა მუნტიანუ (მარია მუნტიანუს და). მიქაბერიძემ პისტოლეტიდან ლევან ფაცურიას სამჯერ ესროლა, დემურ როგავას — ოთხჯერ. შემდეგ, დანით ჯერ კიდევ ცოცხლებს მიაყენა მრავალი ჭრილობა. ფაცურიას მან დანა 15-ჯერ ჩაარტყა, 12-ჯერ — მარტო კისრის არეში და ბოლოს, ყელი გამოსჭრა. როგავას კისრის მიდამოში ერთი დიდი ჭრილობა მიაყენა. ფაცურია და როგავა ადგილზევე გარდაიცვალნენ, მიქაბერიძე კი ოთახიდან გავიდა, სააბაზანოში გასისხლიანებული ხელები დაიბანა და ბინაში მყოფებს უთხრა — მილიციაში ჯერ არ დარეკოთ, რომ მამალვა მოვასწორო.

მორიგი დანაშაული მან 2001 წლის 3 მარტს ჩაიდინა. ნასვამი მიქაბერიძე ავტომანქანას მართავდა, მოძრაობის წესები დაარღვია და ავტოავარია მოახდინა, რომლის შედეგადაც, მის გვერდით მჯდომი ბაჩუკი ჩივაძე დაიღუპა. როგორც ადვოკატებმა გვითხრეს, ამ ეპიზოდში მიქაბერიძე თავს დაამნაშავედ ცნობს.

2002 წლის 2 იანვარს, საღამოს 9 საათისთვის, სოფელ წითელხევში იგი დაუპატიჟებლად მივიდა მეზობლად მცხოვრები ლაშა ბრეგაძის ოჯახში, დაბადების დღესთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე. სუფრის ერთ-ერთ



განსასჯელი — დავით მიქაბერიძე (ძროხა)

წევრთან — დავით ჟღენტთან შელაპარაკება მოუხდა. წავიდა შინ, აიღო სანადირო თოფი და ისევ ბრეგაძის ოჯახში დაბრუნდა. მის მიერ გასროლილმა ტყვიამ ოჯახში სტუმრად მყოფი რევაზ კახიანი იმსხვერპლა. სასამართლომ მიქაბერიძე განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. თავად მიქაბერიძე ბრალდებებს უარყოფს. მოსკოვში მომხდარი მკვლელობების შესახებ, როგორც ამბობს, არაფერი იცის. რაც შეეხება ბაღდათის რაიონში ჩადენილ დანაშაულს, აღნიშნავს, რომ კახიანისთვის მას თოფი არ დაუბიზნებია, ტყვია მაშინ გავარდა, როცა მას სცემდნენ და კახიანსაც შემთხვევით მოხვდა.

თინათინ სუბატაშვილი, მიქაბერიძის ადვოკატი:

„უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი გავასაჩივრეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი უკანონოა. საქმის მასალების გაცნობისას, უამრავი დარღვევა აღმოვაჩინე და შემოიძლია განცხადო, რომ კანონი სრულიად იგნორირებულია. მიქაბერიძეს კახიანთან იმ დღეს, არანაირი უთანხმოება არ მოსვლია, რასაც ბრალდების მოწმეებიც ადასტურებენ თავ-თავიანთ ჩვენებებში. ერთადერთი ადამიანი, ვისზედაც ის განაწყენდა, ჟღენტი გახლდათ და კახიანის მოკვლა რატომ უნდა ნდომებოდა? სუფრასთან და შემდგომ, ეზოში განვითარებული მოვლენები და მოწმე-

თა ჩვენებები ცხადყოფს, რომ მიქაბერი-
დიეს კახიანთან შეხება არ ჰქონია და
აქედან გამომდინარე, არც მისი მოკვ-
ლის განზრახვა ექნებოდა. ამის მიუხე-
დავად, სასამართლომ იგი 109-ე მუხ-
ლით ცნო დამნაშავედ.

აღსანიშნავია, რომ მიქაბერიდეს ვინმეს
მოკლა არ ჰქონია ჩაფიქრებული. მარ-
თალია, შინიდან სანადირო თოფი გამ-
ოიტანა, მაგრამ მასში საფანტი ჩადო
და არა რომელიმე მძიმე ტყვია — მა-
გალითად, „კარტეჩი“. იარაღით მას
მოწინააღმდეგე მხარის დაშინება უნ-
დოდა და ამიტომაც გაისროლა თავდა-
პირველად, ჰაერში. მკვლელობა რომ
ჰქონოდა განზრახული, ყოველგვარი
გაფთხილების გარეშე შევიდოდა სახ-
ლში და ტყვიას ესროდა მას, ვისი მოკვ-
ლაც ენდომებოდა.

განაჩენის თანახმად, სასამართლო
პროცესზე მოწმეებმა აღნიშნეს, რომ
სროლის ხმაზე ეზოში გავიდნენ და
მიქაბერიდის დაწინარება და განიარაღება
სცადეს, მაგრამ ის უმისამართოდ სრო-
ლას განაგრძობდა. ერთ-ერთმა გასრო-
ლილმა ტყვიამ ლაშა ბრეგაძეს რამდენ-
იმე მილიმეტრში ჩაუქროლა და საბედ-
ნიეროდ, მხოლოდ სვიტრი დაუზიანა.
მიქაბერიდის დაწინარებას რევაზ კახ-
იანიც შეეცადა, სწორედ ამ მიზნით
შეუპასუხა მას და ამ დროს, ტყვია გა-
ვარდა; კახიანი გულმკერდის არეში
დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა.
განაჩენის თანახმად, გაბრახებულმა
მიქაბერიდემ ტყვია მას განზრახ ესრო-
ლა. ამის შემდეგ, ეზოში მყოფმა დანარ-

ჩენმა პირებმა მიქაბერიდეს ცემა დაუწ-
ყეს, თუმცა, მან შემთხვევის ადგილიდან
გაქცევა და მიმალვა მაინც მოახერხა.

თიანგი სუპატაშვილი:

„ექვექვემ ვაყენებთ გარდაცვლილის
გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერ-
ტიზის ჩატარების ფაქტსაც. გამოძიებ-
ის მასალების მიხედვით, ტყვია ახლო
მანძილიდანაა ნასროლი. სანადირო
თოფში, რომელიც მიქაბერიდეს ეჭირა,
35 გრამი №9 საფანტი ჩადის, საფან-
ტის ბურთულების რაოდენობა კი, დაახ-
ლოებით 650-700 ცალს აღწევს. ექსპერ-
ტის თქმით, კახიანის სხეულზე დაფიქ-
სირებულ ჭრილობაში 15 ბურთულა
აღმოჩნდა. საინტერესოა, სად წავიდა
დანარჩენი? სასამართლო პროცესზე
დაკითხვისას, პროკურორმა თქვა —
ალბათ გაიფანტაო, — მაგრამ ეს აბსურ-
დია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერ-
ტიზის თანახმად, კახიანის სხეულზე,
კერძოდ, გულმკერდის არეში დაფიქ-
სირებული შემავალი ჭრილობის სიღ-
იდე 3-5 სმ-ია და აქედან გამომდინარე,
ბურთულები შიგ უნდა დარჩენილიყო.
ამას გარდა, გამოძიების მასალებში წე-
რია, რომ გარდაცვლილის სხეულზე
ექსპერტიზა ქუთაისის №5 კლინიკურ
საავადმყოფოში ჩატარდა. მოვიძიეთ
ცნობები და აღმოჩნდა, რომ არც ერთ
ჟურნალში გვამის მიღების ან გამოკვ-
ლევის შესახებ მონაცემები დაფიქსირე-
ბული არ არის. სათანადო ცნობა სასა-
მართლოშიც წარუადგინეთ, მაგრამ კოლე-
გიამ რეაგირება არ მოახდინა. ყოველი
ეს უზუსტობა გვაძლევს ეჭვის საფუძ-

ველს. ვფიქრობთ, ექსპერტიზა საერთოდ
არ ჩატარებულა, ყალბ ოქმში კი, შეუსა-
ბამობებია დაფიქსირებული. ამ და სხვა
დარღვევების გამო მოვითხოვთ, საკასა-
ციო პალატამ საქმე დამატებით გამო-
ძიებაში დააბრუნოს“.

ადვოკატები ცდილობენ, დაამტკიცონ,
რომ მიქაბერიდეს არც მოსკოვში ჩაუდ-
ნია ორი ადამიანის მკვლელობა. მათი
თქმით, საქმეში საკმარისი მტკიცებულე-
ბები არ არსებობს. „გვაქვს ინფორმაცია,
რომ მოსკოვის პროკურატურაში ქუთაი-
სის საოლქო პროკურატურის მიერ
გაგზავნილ ფოტოებზე მოწმეებმა (სა-
ბრალოდებო დასკვნით, დანაშაულის დროს
ივანჩენკოს ბინაში მყოფმა პირებმა)
მიქაბერიდე ვერ ამოიცნეს“, — აცხადებს
ადვოკატი, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ
ამის შესახებ მათ სხვა წყაროებიდან
შეიტყვეს. ოფიციალურად ეს ინფორ-
მაცია არ დასტურდება.

მსჯავრდებულის ადვოკატები — თენ-
გი სუპატაშვილი და ვალერი ბანძელაძე
საკასაციო პალატისგან საქმის (ორივე
ეპიზოდში — მოსკოვსა და ბაღდათის
რაიონში მომხდარი მკვლელობების ნაწ-
ილებში) დამატებით გამოძიებაში დაბ-
რუნებას მოითხოვენ. რამდენად გაითვალ-
ისწინებენ პალატის მოსამართლეები
ადვოკატების არგუმენტებს, ამას, სავარ-
აულოდ, მომავალ კვირას შევითვალთ.
საქმის განხილვა 10 მარტისთვის იყო
დანიშნული, მაგრამ სხდომა პროკურორის
თხოვნით, ერთი კვირით გადაიდო.
როგორც განაცხადა, მას მოსამზადებლად
დრო სჭირდება. ■

**ქრიშინალური ავტორიტეტი —
ჭალარა სეისმოპეკრასიას შეხიჩრა**

1-ელ მარტს, ღამის 12 საათზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძ-
ის საავტომობილო მაგისტრალზე, ყაჩაღური თავდასხმა მოხ-
და. ქარელის რაიონის სოფელ დოღლიაურთან, თბილისიდან
ხაშურის მიმართულებით მიმავალ სატვირთო ავტომანქანა —
„მაზ“-ს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაუდ-
გენელი ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს. „მაზ“-ს თბილისე-
ლი ვია დემურისძევილი მართავდა. რაც შეეხება თავდამ-
სხმელებს, გაირკვა, რომ ისინიც ავტომანქანით — „ვაზ 2106“-
ით იყვნენ. მათ იარაღის მუქარით აიძულეს დემურისძევილი,
მანქანა გაჩერებინა, გამოსტაცეს მას 100 ლარი და შემთხვე-
ვის ადგილიდან მიიმალნენ. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ
ბოროტმოქმედებმა მორიგი დანაშაული ჩაიდინეს. ქარელის
გადასახვევიდან 300 მეტრში მდებარე ავტოგასამართ სად-
გურთან საწვავის შესავსებად გაჩერებული სამგზავრო ავტო-
ბუსი — „იკარუსი“ შენიშნეს. შემთხვევით ისარგებლეს და
ავტობუსში აცვიდნენ, იქ მყოფ მგზავრებს ძალადობით, გან-
საკუთრებული სისასტიკით — სიცოცხლის ხელყოფის მუ-
ქარით გასტაცეს ფული (რაოდენობა დგინდება). ამის შემდეგ

თავს დაესხნენ ავტოგასამართი სადგურის მფლობელს —
ილია კუთხაშვილს. ავტომატიდან გასროლით მას გულ-
მკერდის არეში მიაყენეს დაზიანება, დაცხრილეს ასევე ამ
უკანასკნელის კუთვნილი „ვაზ 3110“, კუთხაშვილს 150
ლარი გასტაცეს და მიმალვის მიზნით შემთხვევის ადგილ-
იდან წავიდნენ.

მომხდარი ფაქტის შესახებ შეტყობინება მიიღო ქარელის
შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილმა. ოპერატიულმა
ჯგუფმა შეძლო ბოროტმოქმედთა კვალში ჩადგომა, მათი
ავტომანქანის დაფიქსირება და ბლოკირება. თავდამსხმელებმა
შენიშნეს თუ არა პოლიციელები, მაშინვე ცეცხლი გახსნეს
მათი მიმართულებით. საპასუხო სროლის შედეგად ერთ-ერთ
ბოროტმოქმედი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცავთა
ცნობით, იგი 2003 წლის 31 მაისს №5 საპრობილედან
გაქცეული, ძებნაში მყოფი, განსაკუთრებით საშიში დამნაშავე,
ქურდული ტრადიციების მიმდევარი და კრიმინალური ავ-
ტორიტეტი, წარსულში ორჯერ ნასამართლევი, ხაშურელი,
40 წლის კობა ლომიძე, მეტსახელად ჭალარა აღმოჩნდა.
დათვლიერების დროს მას ავტოგასამართი სადგურიდან გატა-
ცებული 150 ლარი და „აკმ“-ის სისტემის ავტომატი (ორი
მჭიდითა და 25 ვაზნით) უპოვეს. პოლიციელებმა დანაშაულ-

ში მონაწილე ორი პირის - 1968 წელს დაბადებული ვლადიმერ სამხიაშვილისა და 1968 წელს დაბადებული მამუკა კოკონაშვილის ვინაობაც დაადგინეს. სხვა მონაცემები მათ შესახებ ამჟამად ღვინდება. იძებნება კიდევ ერთი ბოროტმოქმედი.

როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ხსენებულმა პირებმა წარსულში არაერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინეს.

ბანდის ნაწილი ავტომატებითაა ერთად ჩაიხრახიანა იტალიაში

8 მარტს გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში პოლიციელებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს. ნანა ხართიკაშვილის სააგარაკო ბინაში ყაჩაღობისთვის ძებნილი ორი კრიმინალი - სამჯერ ქურდობისა და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 27 წლის პაატა მერებაშვილი და ორჯერ ძარცვისა და ქურდობისთვის ნასამართლევი 24 წლის ზვიად შიოშვილი დააკავეს. პოლიციელებმა ბინიდან 1 ხელყუმბარა „ფ“-1, ორლულიანი გადაჭრილი 16-კალიბრიანი თოფი 4 ცალი საბრძოლო ვაზნით, 2 ცალი „აკს“-ის ავტომატი და „აკმ“-ის სისტემის ავტომატის 1 ვაზნა ამოიღეს. დაადგინეს ასევე საშიშ ბოროტმოქმედთა ჯგუფის სრული შემადგენლობა. სამართალდამცავთა ცნობით, ბანდაში შედიოდნენ ზვიად შიოშვილი, პაატა მერებაშვილი, ამჟამად მიმალვაში მყოფი ჯამბულ მერებაშვილი, ზაზა შავლოხაშვილი (იგი პოლიციამ მიმდინარე წლის 7 თებერვალს დააკავა), თამაზ პაპიტაშვილი და ლევან ყველაშვილი.

ბანდა 2002-2003 და 2004 წლებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გორში, გორის რაიონში, ხაშურისა და ქარელის რაიონებში სწადიოდა სხვადასხვა სახის მძიმე კატეგორიის დანაშაულებს - ყაჩაღობებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცებებს, ქურდობებს.

2003 წლის 29 ივლისს, აღნიშნული ბანდის წევრები, კერძოდ, შიოშვილი და ჯამბულ მერებაშვილი გორის რაიონის სოფელ დიცში თავს დაესხნენ ქსენია მინდიაშვილის ოჯახს. ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, სახეზე ნიღაბფარგებულმა ბოროტმოქმედებმა სახლიდან მხოლოდ ტელევიზორი „კორუფჯისა“ და სხვადასხვა საოჯახო ნივთის გატაცება მოახერხეს.

2003 წლის 27 სექტემბერს ზვიად შიოშვილმა და ზაზა შავლოხაშვილმა გორის რაიონის სოფელ ზელიდულეთში მცხოვრები გიორგი ცერცვაძის საქონლის სადგომიდან ორი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოიპარეს. იმავე წლის 29 ნოემბერს კი, ღამის 2 საათზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულებმა, ნიღბიანებმა - ზვიად შიოშვილმა, პაატა მერებაშვილმა, თამაზ პაპიტაშვილმა, ლევან ყველაშვილმა და ჯამბულ მერებაშვილმა ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლში მცხოვრები მერაბ კაპანაძის ოჯახი დააყაჩაღეს. იქიდან მათ 700 დოლარი, 460 ლარი და საოჯახო ნივთები გაიტაცეს.

მიმდინარე წლის 5 იანვარს ბანდა გორის რაიონის სოფელ თორტიზანში მცხოვრებ ვალერი ბერძენიშვილს დაესხა თავს. ბოროტმოქმედებმა იქიდან 300 დოლარი, უცხოური წარმოების ორლულიანი სანადირო თოფი, 2 მობილური ტელეფონი და დიდი რაოდენობით ოქროს ნივთები წაიღეს. ამ დანაშაულში, სამართალდამცავთა თქმით, უშუალოდ შიოშვილმა, პაატა მერებაშვილმა და ჯამბულ მერებაშვილმა მიიღეს მონაწილეობა.

26 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ზემოთ ხსენებულმა პირებმა გორის რაიონის სოფელ ბერბუკში მცხოვრები გრიგოლ როსტომაშვილი დააყაჩაღეს, თუმცა ამ უკანასკნელის საცხ-

ოვრებელი სახლიდან ვერაფერი გაიტაცეს. დაზარალებულმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, ამ დროს მათ შეთხვევის ადგილზე გადაჭრილი ორლულიანი თოფი, ე.წ. „აბრეზი“ დაუვარდათ.

8 მარტს, პაატა მერებაშვილის ბინის ჩხრეკის დროს პოლიციელებმა ბერძენიშვილის სახლიდან გატაცებული სანადირო თოფი და მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. დაკავებულებმა - შიოშვილმა და მერებაშვილმა სამართალდამცავთა წინაშე აღიარეს ჩადენილი დანაშაულები და ისიც აღნიშნეს, რომ სხვადასხვა დროს გორის რაიონიდან ავტომანქანების გარდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც გაუტაციათ.

ბოროტმოქმედებმა სკოლის დარაჯი დანით დაჭრეს

1-ელ მარტს, დილის 5 საათისთვის, დანებით შეიარაღებული სამი ბოროტმოქმედი ლალიძის ქუჩაზე მდებარე №39-ე საშუალო სკოლის დარაჯს დაესხა თავს. თავდამსხმელებს სკოლაში შეღწევა სურდათ, დარაჯის - 1932 წელს დაბადებული გიორგი მუმლაძის მხრიდან წინააღმდეგობის აღსაკვეთად, ძალადობას მიმართეს და სხეულის სხვადასხვა ადგილას მას დაზიანებები მიაყენეს. ამის შემდეგ დაარბიეს სკოლის კაბინეტები, გატუნეს დირექტორის კაბინეტში არსებული რკინის სეიფი და გაიტაცეს სხვადასხვა სასკოლო ინვენტარი.

სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში მცხოვრები, წარსულში სამჯერ ნასამართლევი, 1974 წელს დაბადებული ანდრია (გელა) ჩახვაშვილი, თბილისელი, ადრე ორჯერ ნასამართლევი, 1976 წელს დაბადებული ივანე ჯაჭვაძე და გორის რაიონის სოფელ რეხაში მცხოვრები, 1974 წელს დაბადებული ბესიკ ცხოვრებაძე.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამსახური აწარმოებს.

ნავასაყრელთან 13 წლის გოგონას გვამი იპოვეს

7 მარტს, სოფელ გლდანის ნავასაყრელის მიმდებარე ტყეში 13 წლის თონა ჯემალის ასულ ყველაშვილის დაზიანებული და გახრწნილი გვამი იპოვეს. სამართალდამცავთა თქმით, იგი მოკლული იყო. თონა ყველაშვილი ელექტროქვესადგურ „გლდანი 220“-ის ტერიტორიაზე დროებით ცხოვრობდა. მეორე დღეს, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს მცხეთის შს სამმართველოსა და რაიონის პროკურატურის თანამშრომლებმა გარდაცვლილი გოგონას ნახევარძმა - შოთა ჯემალის ძე ყველაშვილი დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, იგი თონას მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. 22 წლის შოთა ყველაშვილი თბილისელია, დაკავებამდე ლოტკინის დასახლებაში ცხოვრობდა. ოფიციალური ცნობებით, იგი წარსულში ორჯერ ნასამართლევი ქურდული ტრადიციების მიმდევარი გახლავთ. როგორც სამართალდამცავები იუწყებიან, 2004 წლის 10 თებერვალს შოთა ყველაშვილმა ნავასაყრელის ტერიტორიაზე ქაბრით დაახრჩო თონა ყველაშვილი. მათივე თქმით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკებისას მოხდა. დანაშაულის მოტივის დასადგენად ამჟამად დეტალები მოწმდება. გამოძიებას მცხეთის რაიონის პროკურატურა აწარმოებს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„საადვოკატო-საკონსულტაციო
ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი)
ბთავაზობთ სამართლებრივ
მომსახურებას შემდეგ საკითხებში:**

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლენია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38



მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომრის „საპატარკლო“ თავშეაპირა ამონაწილი გახლდათ. მის ინტერვიუს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის, ბევრი გოგონაც. ისინი მომღერლისადმი სიბოძის, სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატავენ და თან, მთხოვენ, მივცე სიტყვა, რომ თამუნას აუცილებლად გადავცემ მათ დანაბარებს. ერთ-ერთ თაყვანისმცემელ მამაკაცს კი, მისივე დაჟინებული მოთხოვნით, შევხვდი. ის გურული აღმოჩნდა და ამ კუთხის მკვიდრთათვის დამახასიათებელი იუმორის გრძობაც ჭარბად აღმოაჩნდა:

– რაა, შეგჭამდი თუ რეიზა არ გინდოდა ჩემთან შეხვედრა, ცა?

– უბრალოდ, ტელეფონით შეგეძლოთ იმის თქმა, რასაც ახლა მეტყვი.

– ის დღე დეიწვა, ტელეფონი რომ შეიგონეს! სა მაქ ტელეფონზე ლაპარაკის თავი?! ერთი შოფერი ყაძახი ვარ. ასე რომ შემხედავ და შემაფასებ, მერე თამუნას რომ მუყუყები ყოლფერს, ტელეფონზე რაფერ უნდა გეიგო, რავარი ვარ? შენ ის მითხარი, ხომ შემხებდა იი გოგო?

– ასე წვერგაუპარსავი აპირებთ თამუნასთან შეხვედრას?

– შე აბაღა, წვერი აქვენ ფიდეღე კასტროს და ქვეყანას მართავს, მე რაი მჭირს საიმისო, ერთი ავტობუსი ვერ ვმართო?! იი გოგო რომ ჩივა, ისეთი ყაძახი მომწონს, ცოტას რომ ლაპარაკობს და ბევრ საქმეს ახაზირებსო, ხომ იცი?

– დიახ.

– ჰოდა, მაგფერი კაცი ვარ მე. მაი გოგო კაი ტიპებს ნაყვარება და ხომ ვარ მეც კაი ტიპი?

– დიახ.

– რაა ისეთი მელაპარაკები, გოგო? რა გაციინებს? არ გჯერა, ხომ, რასაც ვამბობ? ერთხელ ჩოხატაურში...

ჰოდა, რამდენიმე „კაი ტიპობის“ დამადასტურებელი ამბავი მომიყვა, რომლებიც არცთუ ისე საინტერესოდ მომეჩვენა, თქვენ რომ ვიამბოთ. შემდეგ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ არ ვუსმენდი, მომიბრუნდა და მითხრა:

– არ მისმენ, ხომ? შენდა ვჩივი, ცა, თორემ მე ქე ვიცი აი ამბავი...

თავი ვეღარ შევიკავე და გულიანად გამეცინა. თამუნას თაყვანისმცემელმა შემბღვრა, – ისეთი გნახე გაციინებული,



„მინდა, ჰორიჯუდის რეპოტაჟი გახდე“

რავარც ფატიმამ გეიცინა ბოლო სერიამში, – მომაცხველა და დამემშვიდობა. წარმატებები ვუსურვოთ გურულ ბედისმადიებელს და მკითხველების „მესიჯებს“ გავეცნოთ:

„თამუ, ძალიან დიდ პატივს ვცემ შენს შემოქმედებას. მაგარი „ზმანი“ ხარ. მაიკო, ქუთაისი“.

„თამუნა, შე კაი ქალო, საბან-ლეიბი გქონია და რა გვინდა მაგის გარდა?.. ველოდები შენს ზარს. ლევანი“.

„თამუნა, შენზე ვითიშები, ქართველი ავაზა ხარ. მინდა, ჰოლივუდის დელოფალი გახდე. მართალია, 18 წლის ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სუპერწველი ვიქნებით. მიყვარხარ“.

„თამუნა, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ სიცოცხლე ძნელია. დათო“.

„ძალიან დიდი სურვილი მქონდა და მაქვს, თამუნა გავიცნო. თუნდაც ერთხელ მასაუბრა მასთან. მართალია, ამის დიდი იმედი არ მაქვს, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს“.

„ჩემო სიცოცხლე, ჟურნალში შენი

ინტერვიუ წავიკითხე და მაშინვე შემეცვარა. ძალიან გთხოვ, შემეხმანე.“

„თამუნას „დაცემა“ ტუჩები აქვს. მინდა, გავიცნო და თუშურ ყველს არ მოვაკლებ. შმაგი“.

„თამუნა, ბიჭი არ ვარ, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ შენით აღფრთოვანებული ვარ. პირველი ვარსკვლავი ხარ, რომელიც ამბობს, რომ სადილის მომზადება და საოჯახო საქმე ეხერხება. ზოგი მეტი-ჩრობს – არაფერი ვიციო. თონა“.

„თამუნა, ძალიან კარგი გოგო ყოფილხარ. შენი მზითვი არ მჭირდება. ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს. ჩემი თუ გახდება, ხელისგულზე გატარებ. შენ ამის ღირსი ნამდვილად ხარ. ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან უყვარხარ. ოთო“.

„საინტერესოა, ასეთი კარგი გოგო გასათხოვარი რად არის? ნუთუ ასე ძნელია მისი გულის მოგება? თამუნა, მომეცი საშუალება, დაგიახლოვდე და კარგად გაგაცნო თავი. იქნებ, სწორედ მე ვარ ის, ვისაც შენ ეძებ? პატივისცემით, სანდრო“.

ამჯერადაც, ბოლოდროინდელმა ტენდენციამ იჩინა თავი – ვგულისხმობ იმას, რომ ბევრი თაყვანისმცემელი თავის კერპს ლექსს უძღვნის...

„გათენდა და გამახსენდი ისევ, ვეღარ ვუძლებ უშენობის ტკივილს, მენატრები, მენატრები ძლიერ, შენზე ვფიქრობ და მოვყვები ტირილს. შენი სახე სულ თვალებში მიდგას, გიყურებ და ვერა ვძლები ცქერით, მოგეფერო, ჩაგვხუტო მინდა, ჩემს თვალებზე მინდა შეშრეს ცრემლი. კახა“.

„ნუ ფიქრობ, რომ არაფერი არ გამოვა, ნუ ფიქრობ, რომ სიყვარული აღარ მოვა, გაგაგიყვებს მარტოობის უსასრულო, ცივი თოვია, დამიჯერე, მალე შენთვის სიყვარულის მზე ამოვა“.

„უკვე ლამეა, შენ ალბათ გძინავს, გამოსავს სიმშვიდის თეთრი ნისლეები, მე მოვალ შენთან ძალიან ფრთხილად და შენს ტკბილ სიზმრებს შევენიშნები“.

„მე ისე ჩუმად და ნაზად მეყვარები, ჩემს გრძობას არავის გავანდობ, ამიტომ არ გეძებ, როცა მესიზმრები, მხოლოდ შენს „მესიჯებს“ ვდარაჯობ“.

აი, ეს არის სულ, რაც ჟურნალის ერთ გვერდზე დავტყვი. თუცა ბევრი „მესიჯი“ „ფარდის მიღმა“ დარჩა, მის ავტორებს ვპირდებით, რომ თამუნამდე თითოეული მათგანი მივა, თქვენს კოლექციონატებთან ერთად.

ჩვენს მორიგ „საპატარძლოდ“ მომღერალსა და ტელეკომპანია „იმედის“ პროგრამა „დილის“ ნამყევანს თათია გიორგიშვიანს ნარმოგიდგენთ. თავდაპირველად, გათხოვებაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, — არა, არა, არ არსებობსო, — ჯიუტად იქნევა და თავს, მაგრამ ბოლოს, როცა კარგი „სასიძოს“ პოვნის პერსპექტივა დაეუზნა, ინტერვიუზე დამთანხმდა და მონადინებული გაიძახოდა — პერსპექტიული „სასიძოები“ გამოუმეზურონო... მოკლედ, ნაივითხეთ ინტერვიუ, ანონ-დანონეთ „საპატარძლოს“ პლუსები და მინუსები და გამოეხმაურეთ.

თათიას ოჯახი სულ სამი წევრისგან შედგება:
დედა — ია გოდერძიშვილი, ბიოლოგი.
მამა — გიორგი გიორგიშვილი, გეოლოგი.

მარი ჯაფარიძე

— თათია, ზოღიაქოთი ვინ ხარ?

— ზოღიაქოთი სასწორი განლაგართ. საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი ზოღიაქოს ნიშანი, რადგან ქალურობის ბევრ თვისებას შეიცავს. „აიწონა-დაიწონა“ სასწორი არა ვარ, შუალედური მდგომარეობა არ მიყვარს და საქმის კეთების დროსაც ასეთი ვარ — ან ბოლომდე მივიყვან, ან საერთოდ არ მოვიკიდებ ხელს.

— შენი თვისებებიდან დადებითად რომელს მიიჩნევ?

— ერთგული ვარ, მიყვარს სიმართლე და ადამიანებთან ურთიერთობა. აქტიური ადამიანი არა ვარ, არ მიყვარს თავის გამოჩენა. არადა, ისეთ სფეროში ვმოდგა, რომ ეს თვისება აუცილებლად უნდა მახასიათებდეს. ძალზე მიყვარს ზომიერება. ყოველთვის ვცდილობ, ყველგან და ყველაფერში დავიცვა ზღვარი. დადებითთან ერთად, ბევრი უარყოფითი თვისებაც მაქვს — ძალზე ემოციური ვარ, ძალიან მიყვარს სიმართლის პირში თქმა და შესაძლოა, ბევრს ეს არ მოსწონდეს, მაგრამ მირჩევნია, სიმართლე იცოდეს, ვიდრე მოვატყუო. ამასთან, ყოველთვის ვცდილობ, ეს სიმართლე ისეთი ფორმით ვუთხრა, რომ ნაკლებად მტკივნეული იყოს.

— დედისერთები ხშირად, ეგო-

**„ნუიხე
ხეხე
— ჩახი
სასიძოს
ხე-ქეთი...“**

ისტები არიან, შენ თუ გახასიათებს ეგოიზმი?

— ბევრი დეიდაშვილი და ბიძაშვილი მყავს და თავს დედისერთად არ ვგრძნობ. ეგოისტი არ ვარ. ვალიარებ, რომ დიდი სურვილი მაქვს, და ან ძმა მყავდეს, მაგრამ ეს ჩემი ნება არ არის.

— ჯიუტი ხარ?

— კი. აი, ერთ-ერთი ჩემი უარყოფითი თვისება სწორედ ეს გახლავთ. როდესაც რამეს ვწყვეტ, მირჩევნია, მე თვითონ გადავდგა თუნდაც მცდარი ნაბიჯი, ვიდრე შემდეგ ვინანო, რომ სხვას დავუჯერე და არასწორად მოვიქეცი. თუმცა, რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ. სულ ვამბობ, გამოვსწორდები-მეთქი, მაგრამ არ გამოძის.

— ხშირად იბუტები ხოლმე?

— კი, ბუტიაობა მჩვევია. რომ გავიბუტები, თავს დავხრი და ისე გავრბივარ ხოლმე. ჩემმა ახლობლებმა იციან ჩემი ხასიათი და გაბუტულს რომ დამინახავენ, ელიმბათ. ბოღმანი არ ვარ. ძალიან ძალე გამივილის ხოლმე წყენა. გაბრაზებული ვიტყვი: მორჩა, გაბრაზებული ვარ და ხმას არ გავცემ-მეთქი, მაგრამ საკმარისია, იმ ადამიანმა გამიდიდოს და თბილად დამელაპარაკოს, რომ მაშინვე გული მომიბრუნდება.

— რამდენი წლის ხარ?

— ჯერჯერობით ისეთ ასაკში ვარ, როცა წლოვანებას არ უნდა ვმაღავდე, მაგრამ საერთოდ, ქალს ასაკს არ ეკითხებიან.

— საოჯახო საქმე თუ გეხერხება?

— (იციანის) ხომ გითხარით — არა ვარ თქვენი რუბრიკისთვის მზად-მეთქი... ჩემს ოჯახში იმდენი ქალი ტრი-ალებს, რომ არ მეძლევა საშუალება, სრულად გამოვავლინო ჩემი შესაძლე-



ბლობები. თუმცა, როდესაც დამჭირვებია, ისეთი გემრიელი კერძები მომიმზადებია, რომ თითებს ჩაიკვნეტლით. რაც მიყვარს, იმის მომზადება ვიცი. ძირითადად, სალათებს ვამზადებ. ჩემს ოჯახში ყველა ქალი არაჩვეულებრივი კულინარია და მომავალში, მეც შევისწავლი ამ საქმის ყველა საიდუმლოს.

— მშობლები რის გამო გასაყვედურობენ ხოლმე?

— სიჯიუტის გამო. მეუბნებიან ხოლმე — ასე არ შეიძლება, შვილო, ხანდახან რალაც-რალაცები უნდა ღათ-მო.

— ბუზღუნ თუ გჩვევია?

— არა, ბუზღუნა არა ვარ, მაგრამ ჩემზე ძალზე დიდ გავლენას ახდენს ამინდი. ამიტომ, თუ ცუდი ამინდია, შესაძლოა, ცოტა ვიბუზღუნო კიდევ.

— ხშირად ტირი?

— არა, ხშირად არ ვტირი. თუმცა, ცრემლი შეიძლება მომგვაროს ფილმმა, წიგნმა, ლექსმა... ვფიქრობ, ეს ზედმეტი სენტიმენტალურობის გამო ხდება.

— იქნებ, ყველაზე ორიგინალური თავყვანისმცემელი გაიხსენო?

— მამაკაცისგან ყველანაირი სიურპრიზი და აქსტი სასიამოვნოა, თუ გულთ არის მოძღვნილი. ქალებს ძალიან გვიყვარს ყურადღება. რაც უფრო ხშირად გავგანებიერებენ, თუნდაც ელემენტარული, სატელეფონო ზარით, სასიამოვნო კომპლიმენტით, მით მეტად დავაფასებთ მათ. მასსოვს თავყვანისმცემლისგან მოწყობილი პოეზიის ხუთი წუთი, ნიჟარების ფეხებთან დაყრა, ულამაზესი თაიგულები და ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე ძვირფას საჩუქარზე უფრო ძვირფასია.

— როგორია შეყვარებული



თათია გიორგობიანი?

— ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რადგან სერიოზულად შეყვარებული არ ვყოფილვარ. ნამდვილად არ ვიცი, როგორი ვიქნები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი, რადგან წარმოიდგინეთ, ახლა რომ ასე კარგი ვარ, მერე როგორი ვიქნები?!

— **ახლა ის დრო მოვიდა, რომ გაგვიზილო, როგორი მამაკაცები მოგწონს.**

— ხშირად, მეგობრებთან ჭორაობის დროს, მამაკაცებზე რომ ვსაუბრობდი, გვითქვამს — ასეთი და ასეთი კაცია კარგი-თქო, — მაგრამ რეალურად, სხვაგვარად ხდება: შესაძლოა, ისეთი ტიპი მოგეწონოს, როგორზეც არც კი გიოცნებია. ამიტომ, არასოდეს არ უნდა თქვა „არასოდეს“. წინასწარ ვერაფერ იტყვის, როგორი უნდა იყოს მისი რჩეული. როდესაც ქალი და მამაკაცი ერთმანეთს შეხვდებიან, მაშინვე მიხვდებიან, არიან თუ არა ერთმანეთისთვის დაბადებული ან აქვს თუ არა მათ ურთიერთობას რაიმე პერსპექტივა.

— **რადგან ვერ აკონკრეტებ იმას, თუ როგორი უნდა იყოს შენი რჩეული, იქნებ, ის მაინც გვითხრა, როგორი არ უნდა იყოს?**

— ეს უფრო იოლია. არ უნდა იყოს მატყუარა, უზრდელი, მექალთანე... თუმცა, ხანდახან ისეც ხდება, რომ მამაკაცი გატყუებს, უზრდელობს და მაინც მოგწონს. ბევრ ქალს სწორედ „ნავლი“ და უხეში მამაკაცი უფრო ხიბლავს, ვიდრე ნაზი და ფაქიზი. სიტყვა „მამაკაცი“ საკმაოდ ფართო ცნებაა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

— **მის ფინანსურ მდგომარეობას თუ მიაქცევ ყურადღებას?**

— ვფიქრობ, რომ ქალიც და მამაკაციც დამოუკიდებელი უნდა იყოს, მატერიალური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ფული ბევრ პრობლემას წყვეტს. საუკეთესო ვარიანტია, როდესაც მამაკაცი არ არის დამოკიდებული მშობლებზე ან ვიღაც სხვაზე. მთავარია, წყვილს უყვარდეს ერთმანეთი — დანარჩენს ყველაფერს მოეგვება. სადაც გაგება და ურთიერთპატივისცემაა, იქ ყველა პრობლემა თავისით მოგვარდება. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად ვერ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს.

— **მოდის, შენი მზითვის ჩამოთვალე.**

— ხშირად ვხუმრობ — კარგი საპატარძლო ვარ-მეთქი: განათლებით დაწყებული, მზითვით დამთავრებული, პოტენციური საპატარძლო ვარ, ამიტომ გამომეხმაურონ პოტენციური სასიძოები, თანაც, მზითვის საკითხი საკმაოდ კარგად მაქვს მოგვარებული...

— **ბედისწერის თუ გჯერა?**

— კი. ვფიქრობ, რაც გვიწერია, იმას ვერ ავიცდნით, მაგრამ ჩვენც ხანდახან უნდა გავანძიოთ ხელი, რომ ბედისწერას დავეხმაროთ...

— **მკითხავის თუ გჯერა?**

— არ მეგულება ადამიანი, რომელიც არ ინტერესდება საკუთარი მომავლით. წინათ, ხშირად დავდიოდი ხოლმე ხან აქ, ხან იქ და ვმკითხაობდი. ახლა უკვე — აღარ, თუმცა, შესაძლოა, ფინჯანი ყავა გადმოვაბრუნო ხოლმე...

— **შენი თავი, მხოლოდ ოჯახით დაკავებული თუ წარმოგიდგენია?**

ლალი გოტიკაშვილი გათხოვდა



— ქალისთვის ყველაზე დიდ ბედნიერებად მიმაჩნია კარგი ოჯახი, მოსიყვარულე ქმარი და ჯანმრთელი შვილები. მაგრამ მამაკაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალი შინ უნდა იჯდეს. მე ისეთ მამაკაცს ცოლად არ გავყვები, ვისაც ჩემი საქმე არ ეყვარება. ვერ წარმოიდგენია, როგორ უნდა მითხრას, რომ არ ვიმდერო, სცენაზე არ ვიდეგ ან თუნდაც, ტელეგადაცემა არ წავიყვანო. ამიტომ, გამომეხმაურონ ისეთი მამაკაცები, ვინც ჩემს სამსახურსა და საქმიანობას შეეგუება.

— **რას უსურვებ შენს თავ-ვანისმცემლებს, ვინც ამ ინტერვიუს გამოეხმაურება?**

— წარმატებას...

მეც წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო მამაკაცებო და თუ გსურთ, თათიას თქვენი ხმა მიაწვდინოთ, დამირეკეთ ან „დამიმესიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. აქვე ერთ სასიამოვნო ამბავს გაუწყებთ.

ცოტა ხნის წინ, „საპატარძლოდ“ ლალი გოტიკაშვილი წარმოვიდგინეთ. როდესაც მას ინტერვიუზე შესათანხმებლად დაეურეკე, მკითხა — მართალია, რომ ამბობენ — მათ შორის, ვინც ამ რუბრიკაში მიგიწვევია, ბევრი დაოჯახდაო?.. — და როდესაც დადებითად ვუპასუხე, მითხრა — კარგი, ვნახოთ, რამდენად მართალს ამბობო... და აი, 8 მარტს, ლალი გათხოვდა და მართალია, პრესისთვის კომენტარს ჯერ არ აკეთებს, მაგრამ მე, როგორც „შუამავალს“, უარი ვერ მითხრა და რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხა. მას 9 მარტს დაეკუთვნებოდა და როდესაც ყურმილში ჩემი ხმა გაივინა, გადაიკისკისა:

— მარი, მართალი ყოფილხარ — შენი რუბრიკა მართლაც, ჯადოსნური ყოფილა...

— **ლალი, ვინ გახდა შენი რჩეული?**

— ჩემი მეუღლე ვია ხუბულია გახლავთ.

— **დიდი ხანია, ერთმანეთი გიყვართ?**

— კი, ორი წელია, რაც ერთმანეთი გვიყვარს. ხან რამ შეგვიშალა ხელი და ხან რამ, მაგრამ როგორც იქნა, მოვახერხეთ...

— **გაიპარეთ?**

— შეიძლება, ასეც ითქვას, თუმცა, პრინციპში, ყველამ იცოდა. ჰოდა, ავღეპით და წავედით...

როდის არის ზრდილობა და თავაზიანობა მოჩვენებითი? როგორები არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, სახეზე ნიღაბი აიფარონ, ისე იმოქმედონ, თითქოს ძალიან ზრდილობიანები და კეთილშობილები არიან და საგულდაგულოდ შენიღბონ თავიანთი ხასიათის მანკიერი მხარეები?

ზრდილობის ნიღაბი



ანუ კეთილშობილებას ამოფარებული სულმდაბლობა

ლელა ჭანკობაძე

ნაილი, 69 წლის:

— ისეთ ადამიანზე მინდა ვიამბოთ, რომელიც თავისი თანატოლებისგან თავაზიანობით გამოირჩეოდა. მეგონა, მასზე ზრდილი გოგო მთელ დუნიაზე არ დადიოდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. ნათია ჩემი შვილის თანაკლასელი იყო. მასსოვს, კლასის დამრიგებელი დედამისს ყოველთვის მადლობას ეუბნებოდა კარგი შვილის აღზრდისათვის. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგორი მოწიწებით ესაუბრებოდა ნათია უფროსებს. მისი ქცევა აღტაცებას იწვევდა. როცა ჩემმა ვაჟმა გამოგვიცხადა — შეყვარებული ვარ, ნათია ცოლად უნდა შევირთოთ, — სიხარულით ცას ვეწიე. ჩემს ოჯახში კარგად აღზრდილი გოგონა თავის ბუდეს მოიწყობდა, მე და ჩემს ქმარს ბედნიერი სიბერე გვექნებოდა — ამაზე მეტი რა უნდა გვენატრა?! ქორწილი გადავინადეთ და რძალი ოჯახში ზარ-ზეიმით შემოვიყვანეთ. თურმე, მისი სიმორცხვით დახრილი თვალების მიღმა, ჩვეულებრივი ენაჭარტალა ქალი იმალებოდა, რომელიც ყველაზე უტიფარი და თავხედი იყო.

— პირველად როდის აღმოაჩინეთ, რომ ნათია სინამდვილეში, სულაც არ იყო ისეთი ზრდილი, როგორც გარეგნულად ჩანდა?

— ამის შემჩნევა ძნელი არ იყო, რადგან ოჯახში თავისი ნაკლოვანი მხარეების დაფარვას სულაც არ ცდი-

ლობდა, პირიქით — შეეძლო, საღამურით ევლო მთელ სახლში, უბოდიშოდ შესულიყო მამამთილის საძინებელში, რომელიმე წიგნის ასაღებად; ჩემი მეუღლე ბევრს კითხულობდა, ამიტომ წიგნების კარადა მის საძინებელში იდგა. მაგრამ ყველაზე საშინელი ის გახლდათ, რომ როცა ვინმე გვესტუმრებოდა, ნათია ისევ თავაზიანი და მოკრძალებული ხდებოდა. ასეთი ქცევით ნებისმიერი ადამიანის სიყვარულს იმსახურებდა. ამიტომაც მეუბნებოდნენ — რა ბედნიერი ხარ, ასეთი რძალი რომ გყავსო. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის: როგორ შეუძლია 20 წლის გოგოს ასეთი უცაბელი გარდასახვა და მუდამ თამაშით თქვი?! ერთხელ, ჩემმა ქალიშვილმა მითხრა: იქნებ, მიზეზი ის არის, რომ პატივს არ გცემთ და თავისი ცუდი ქცევით გაგარძობინებთ — მეტს არ იმსახურებთო?... ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, მისთვის ნიღაბი ჩამომეგლიჯა. არ შემეძლო, მშვიდად მეყურებინა, თუ რა ირონიული სახით მიყურებდა, როცა მარტონი ვიყავით. ხოლო თუ ვინმე გვესტუმრებოდა, მაშინვე „დედას“ დამიძახებდა და თქვენობით მომმართავდა... ერთ დღეს, ჩემმა მეუღლემ ცუდად იგრძნო თავი; ძალიან ავლელდი, როცა თქვა: მეგონი, საწოლიდან ადგომა არ შემეძლიაო. ისეთი ჯანმრთელი იყო, მუხას მოგლეჯდა, ცხოვრებაში ფრჩხილიც არ წამოსტკენია. ნათიას ვთხოვე, უბნის ექიმში გამოეძახებინა. გულწრფელად აღელდა, შეწუხდა და რადგან

ექიმს ტელეფონით ვერ დაუკავშირდა, მის მოსაყვანად წავიდა. როგორც კი კარი გაიხურა, ჩემმა ქმარმა მითხრა: ნეტავ, იცოდე, რა მოხდა — მიკვირს, გულმა რომ არ დამარტყაო, — შემდეგ კი, ასეთი რამ მიაბო: ღამით, „ბორჯომი“ მონდომებია და თავისი ოთახიდან გამოსულა; სამზარეულოს როგორც კი მიახლოვებია, საუბრის ხმა შემოსმია: ნათია ჩვენს ვაჟს ეუბნებოდა — შენი მშობლები სიცოცხლეს მიმწარებენ, ან მარტო ვიცხოვრებთ, ან გაგაყვრებო...

— იქნებ, ჰქონდა ამის თქმის მიზეზი?

— არა. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობდით, მისი გული მოგვევო. ვიცოდით, რომ ჩვენს შვილს უყვარდა, არ გვინდოდა, შვილის ბედნიერებისთვის თუნდაც უმნიშვნელო რაიმეთი შეგვეშალა ხელი. ამიტომ, როცა ნათია გამოგვიცხადებდა ხოლმე — ტელევიზორი არ ჩართოთ, დასვენება მინდაო, — უსიტყვოდ ვემორჩილებოდით. არც მაშინ ვეუბნებოდით საყვედურს, როცა გათენებამდე მაგნიტოფონი ჰქონდა ჩართული და ძილის საშუალებას არ გვაძლევდა. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ შვილს გვიმხედრებდა, ჩვენი მოთმინების ფილა აავსო. ჭკუა უნდა ვასწავლო-მეთქი, — ვუთხარი ჩემს ქალიშვილს და ვთხოვე, ჩემთვის ვიდეოკამერა ეყიდა. წარმოიდგინეთ, როგორი გამწარებული ვიქნებოდი, რომ ასაკოვანმა ქალმა შევძელი და ჩუმად გადავიღე ნათიას იმ უზრდელობის გამოვლინებები, რომელიც მე და ჩემს ქმარს გულს გვიხეთქავდა 3 წლის მანძილზე. როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, თავად ვერაფერი შეამჩნია, ეჭვიც არ აუღია, ამიტომ ისიც კი დავაფიქსირე, თუ როგორ მეუბნებოდა: დაბერდი და გამოყვეყნდი... მე და ჩემი ქმარი მართლა გვიან დავოჯახდით. 43 წლის ვიყავი, პირველი შვილი რომ შემეძინა. ამიტომაც ამბობდა ნათია — დაბერდიო. საღამოს, ჩემი შვილი რომ მოვდა, გულმა რეჩხი მიყო. ისე ავწერვიულდი, რომ ვერ შევძელი, ვიდეომაგნიტოფონი ჩამერთო და კასეტა ჩამეღო. ამიტომ დილით, როცა სამსახურში წასვლა დააპირა, მალულად პორტფელში ჩავუდე, ხოლო შემდეგ, დავურეკე და ვთხოვე: თუ მშობლები გიყვარს, ეს კასეტა ნახე-მეთქი. ისე დაინტერესებულა — ნეტავ, დედაჩემი ასეთს რას მთხოვსო? — რომ მაშინვე უნახავს.

— როგორი რეაქცია ჰქონდა? — ცოლს გაეყარა. ვერ ვაპატიებ, ჩემს

მშობლებს გამოჩერებულს რომ ეძახდა, — თქვა... მათი ოჯახის დანგრევა არ მნდობია. შეიღს სიმართლე გადავუშალე თვალწინ, გადაწყვეტილება კი, მან დამოუკიდებლად მიიღო... ნათიას ბევრი ქომაგი გამოუჩნდა. ჩვენი ნათესავების უმეტესობა ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ნათიასნაირი ზრდილი გოგო არ შეიძლება, დედამთილ-მამამთილს ცუდად მოაყრობდა. რას წარმოიდგენდნენ, რომ მისი ზრდილობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო, სინამდვილეში კი, ნათიამ სწორედ უზრდელობით მოგვაბეზრა თავი...

ლია, 50 წლის:

— 30 წელი ვიძუშავე სკოლაში. სხვადასხვა ზნისა და ხასიათის ბავშვებთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ერთი — გოგიტა — ყველაზე მეტად დამამანსოვრდა. ყოველთვის, როცა გონების თვალთ ვიხსენებ ჩემს მოსწავლეებს, პირველ რიგში, ის მასწავლებს. ლამაზი, თმანუჭუჭა, ცისფერთვალე ბიჭი, რომელზეც გოგონები ჭკუას კარგავდნენ, უამრავ თავსატეხს მიჩენდა: ერთხელ, ჩანთაში ვირთხა ჩამისვა; ჩანთიდან სათვალე უნდა ამომეღო, ხელი როგორც კი ჩაგვავი, სამინელი ტკივილი ვიგრძენი — გააფთრებულმა ვირთხამ რამდენიმე ადგილას მიკბინა; ვიკვილე; შიშისა და მოულოდნელობისგან სტრესში ჩავვარდი... მეორე დღეს, სკოლის დირექტორმა მკითხა: რომელ მოსწავლეზე გაქვთ ეჭვი? პასუხი ვერ გავეცი, რადგან 3 სექტემბერი იყო — ე.ი. მოსწავლეებთან სამი დღის ნაცნობობა მაკავშირებდა, თანაც, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მეოთხეკლასელ ბავშვს მსგავსი სამინელების ჩადენა შეეძლო. სულ რამდენიმე დღეში კი მივხვდი: ასეთ რამეს მხოლოდ გოგიტა თუ გააკეთებდა...

— ასე რატომ იფიქრეთ?

— მასზე უზრდელი ბავშვი არ მინახავს. მისნაირ ქცევას კლასში სხვა არავინ იკადრებდა. ზოგჯერ სული მეხუთებოდა, ისეთ რამეს ჩაიდენდა... კრებაზე მისი მშობლები არ მოდიოდნენ. პროტესტს არც გამოვთქვამდი, რადგან წარმომედგინა, როგორები იქნებოდნენ, მეგონა, ჩვენი შეხვედრა და საუბარიც უსიამოვნო აღმოჩნდებოდა, ამიტომ მათი ნახვის სურვილი არც გამომითქვამს... მასსოვს, ერთხელ, ისე მატირა, რომ სხვა მოსწავლეებსაც თვალზე ცრემლი მოადგათ. ჩვევად მქონდა ქცეული — კლასში გაკვეთილზე პიჯაკის გარეშე არ ვჩერდებოდი. იმ დღეს კი, ისე ცხელია, იძულებული გავხდი, პიჯაკი

გამეხადა და სკამზე გადამეკიდა. გაკვეთილები რომ დამთავრდა, ჩავიცვი და სამასწავლებლოში გავედი. ერთმა მოსწავლეებმა მითხრა: სახე ცარციტ გაქვს გათეთრებულიო. ჯიბეში ჩავიყავი ხელი ცხვირსასოცის ამოსაღებად და იქიდან უამრავი ჭიკაყვლა ამოვიყვანე. მოსწავლეებსაც ელდა ეცათ, მე კი, დიდი ხნის მანძილზე ვეღარ ვიყოფდი ჯიბეში ხელს... სწორედ მაშინ მითხრა დირექტორმა: ჩვენი ბელ-ილბალი მაგის ბაბუაზე რომ არ იყოს დამოკიდებული, სკოლიდან დიდი ხნის წინ გავრიცხავდი, მაგრამ იძულებული ვარ, თქვენც ცრემლიც ვაპატოო... თურმე, ბაბუამისი მინისტრი ყოფილა. მტკიცედ გადავწყვიტე, მასთან შინ მივსულიყავი და გოგიტას შესახებ ყველაფერი დავწვრილებით მომეხსრო. სკოლის დირექტორმა შეხვედრა მომიწყო. გოგიტას მშობლებმა თავიანთ ოჯახში დამაპტიეს. თვალს არ დავუჯერე, როცა გოგიტა დავინახე — შეუძლებელი იყო, ასეთი წესიერი, მორცხვი, თავაზიანი და სიტყვატუნწი მოზარდით აღამიანი არ მოხიბულიყო... ნუთუ ეს გოგიტა? ნუთუ შეიძლება, ზრდილობა და თავაზიანობა, რომელსაც ოჯახის წევრების მიმართ იჩენს, მოჩვენებითი იყოს-მეთქი?! ბაბუამისმა განცვიფრება შემატყო და მეორე დღეს, სამსახურში მანქანა გამომიგზავნა. მძლოლი გზაში მესაუბრა. მითხრა: ვიცი, გოგიტა ყველაზე უზრდელი ბავშვი რომ არის, მაგრამ „მიხაილოვიჩს“ როგორ გავუბედავ ამის თქმასო?! მე გაუბედე, ვირთხის ამბავიც ვუამბე, ჭიკაყვლებისაც და კიდეც ბევრი სხვა-ყურადღებით მომიმინა და ჩაილაპარაკა: ვერ ვიჯერებ, როგორ მინდა, თქვენც სიტყვები ტყუილი იყოს... ერთხანს დედა, შემდეგ კი მითხრა: მითხარით, რით მოვანდნო იმ ტკივილის კომპენსირება, რომელსაც გოგიტა გაყენებთო? — დირექტორს მოსთხოვეთ, სხვა კლასის დამრიგებლად გადამიყვანოს, უთხარით, რომ თქვენი შვილიშვილისთვის უფრო ძლიერი პედაგოგი გინდათ-მეთქი.

— შეგისრულათ თხოვნა?

— არა. მაგრამ ერთი კარგი საქმე ნამდვილად გააკეთა: გოგიტას არ უთხრა ჩვენი შეხვედრისა და საუბრის შესახებ, თორემ, დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ, ჩემი ცხოვრება ნამდვილად ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა... გამოსაშვებ საღამოზე ტრაგედია

დატრიალდა: გოგიტამ დანით დაჭრა თანაკლასელი. ამის შემდეგ, ბაბუამისმა დამირეკა და მითხრა: მაპატიეთ, მაშინ რომ არ დაგიჯერეთ. ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი შვილიშვილი მყავდაო...

ნანა, 70 წლის:

— დიდხანს ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა იმ საშინელი რეალობის შესახებ, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები ვხვდებით, როცა რომელიმე დეპუტატთან შეხვედრის სურვილს გამოვთქვამთ. არადა, ყოველთვის აქვს გაჭირვებულსა და ხელმოცარულს სათქმელი და სათხოვარი მაჟორიტარ დეპუტატთან. მე ავადმყოფი შვილი მყავს, მარტოხელა ქალი ვარ, თანაც — დამსახურებული პედაგოგი. ვიფიქრე, ჩემი რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან მივალ, იქნებ, დახმარების ხელი გამომიწოდოს-მეთქი. თანაც მეგონა, რომ ძალიან გულისხმიერი და კეთილშობილი ადამიანი იყო, ჩემს სატკივარს გულთან ახლოს მიიტანდა და უარით არ გამომისტუმრებდა. მის მშობლებსაც ვიცნობდი. კარგი ხალხი იყო. წესით, მათი შვილი ურიგო კაცი არ უნდა ყოფილიყო... დავურეკე. ჩემი გაჭირვების შესახებ ვუამბე. დახმარება აღმიტყვა. შეხვედრაც დამინიშნა. მივედი, ვესაუბრე. მიღიძოდა და დაიმედებულნი წამოვიდა. მაგრამ გავიდა ერთი კვირა, თვე, მაგრამ მისგან არავინ გამომხმამურა. მეგონა, თავის ხელქვეითებს დაავალა, დაეხმარეთო და მისი სიტყვა არ შეასრულეს, ამიტომ ისევ ვცადე მასთან დაკავშირება. მობილურ ტელეფონზე თითქმის მთელი კვირა ვურეკავდი; ალბათ, ნომერი იცნო და არ მიპასუხა. ამის შემდეგ, გამეობამიც მივდი, სადაც მას მიღების დღედ ოთხშაბათი ჰქონდა დაწესებული. იქ მითხრეს: ტყუილად მოხვედით, არ სცალია და აქ არ მოდის ხოლმე... ამის შემდეგ გადავწყვიტე, მასთან პარლამენტში მივსულიყავი. კართან



ავიტუზე და ველოდებოდი, როდის მოვიდოდა. მთელი დღე ველოდი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. რომ შემომხვდა, უსიამოვნო სახე მიიღო. მივხვდი, ჩემმა დანახვამ გააღიზიანა. ამას მისგან არ მოველოდი. მივუახლოვდი, მაგრამ ზედაც არ შემომხვდა, ზურგი შემაქცია და პარლამენტის შენობაში შევიდა... მეორე დღესაც მივედი. მინდოდა, გამეკო — ასე რატომ მომექცა. მისნაირი ზრდილობიანი ადამიანისგან ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი. მიჭირდა იმის დაჯერება, რომ მისი ზრდილობა მხოლოდ ნიღაბი იყო... როგორც კი გამოჩნდა, წინ გადავუღექი. არავინ გვიყურებდა, თითქმის მარტოები ვიყავით. მეგონა, აჯერად მაინც, ღმილით მომესალმებოდა, მან კი დამიყვირა: გამატარე, ქალო, შენთვის მცალია? — ხომ ხედავ, სხლომაზე მაგვიანდებაო!.. ადგილზე გავექვავდი. მოულოდნელობისგან კინაღამ დაემუნჯდი. მე რე ვიფიქრე: იქნებ, ვეღარ მიცნო, იქნებ, ცუდი მესისიერება აქვს და ერთი ნახვით ვერ დამიმანსოვრა-მეთქი?... თავზარდაცემული, იმედს მაინც ჩავებლაუჭე და შეილის გამო, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე, გამომეცადა. მესამე დღესაც დავხვდი პარლამენტის მისაღებში. ალბათ, იფიქრა — ცოტა მკაცრად თუ არ მოვექციე, თავიდან ვერ მოვიშორებო, — ისევ შემაქცია ზურგი და გარეთ გავარდა. გავეკიდე, ვიფიქრე — გარეთ ბევრი ხალხი დგას და ვერ გაბედავს, რომ არ დამელაპარაკოს-მეთქი... ვიღაც კაცთან მივიდა და უთხრა: ვინ არის? მომაშორეთ, მაგის დედაც! მაგის გამო, აქ მოსვლა შემძულდა... ყვირილი მოვრთე: როცა გვეხვეწებოდი — ხმა მომეკითო, — მაშინ „გენაცვალეთი“ რატომ მელაპარაკებოდი-მეთქი?... — მაგრამ ჩემი ნათქვამი ალბათ, აღარც გაუგია, უცხოურ მანქანაში ჩაჯდა და გაუჩინარდა. მე კი სახლამდე ძლივს მივლასლასდი, შერცხვნილი და შეურაცხყოფილი.

იან, 28 წლის:

— ალბათ, არავინაა იმაზე საშიში, ვისაც იოლად შეუძლია, კეთილშობილი, ზრდილი ადამიანის ნიღაბი მოირგოს, სინამდვილეში კი, ბოროტი და სასტიკი ადამიანია. გიგა ასეთ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. 10 წლის წინ, ვერის ბაღში გავიცანი. მეგობართან შეხვედრა მქონდა დანიშნული. დათქმულ დროზე ადრე მომიხდა მისვლა, ამიტომ უსაქმოდ ვინებთილავი, ბოლოს კი, დაღლილმა, თავისუფალი სკამის მოსაძებ-

ნად მიმოვიხედე. მოულოდნელად, უცნობი ყმაწვილი მომიანლოვდა და მითხრა — ნება მიბოძეთ, დაგეხმაროთო. ეს ფრაზა ჩემი თანატოლებისგან არასდროს გამეგონა. ამიტომაც დავაკვირდი სრულიად უცნობ ყმაწვილს და საუბარშიც ავეყვი. ჩემზე ათი წლით უფროსი იქნებოდა. დაბრძენებული მამაკაცით საუბრობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გავეო ჩემ შესახებ. მოვიხიბლე. ვიფიქრე: ასეთი ზრდილობიანი მამაკაცი ალბათ, მთელ ქვეყანაზე არ არსებობს-მეთქი... ერთი თვის შემდეგ, დაქალებს ვკითხე ახრი მის შესახებ. მითხრეს: ზედმეტად თავაზიანია, ზოგჯერ მისი გადამეტებული თავაზიანობა მომაბეზრებელიც კი არისო... მე კი სწორედ ამის გამო მომწონდა. შემდეგ, შემიყვარდა კიდევ. ერთმანეთს დავუახლოვდით. მასთან იმდენ დროს ვატარებდი, რომ მეგობრები კინაღამ დაეკარგე. აღარავინ მინდოდა. ჩემი ცხოვრების ახრი გიგა გახდა. მაგრამ ერთი სერიოზული პრობლემა გვექონდა: ზოგჯერ, გიგა თბილისიდან რაიონში მიდიოდა და მთელი კვირით მტოვებდა.

— რატომ? მიზეზს არ ეკითხებოდით?

— მეუბნებოდა, რომ ბრმა დედა ჰყავდა, რომელიც სიკვდილის პირას იყო მისული. ხშირად უთქვამს ჩემთვის — შენ რომ არა, გვერდიდან არ მოვიცილებოდი და წუთითაც არ მივატოვებდიო... მჯეროდა, რადგან არ მქონდა საფუძველი, მის სიტყვებში ეჭვი შემპარვოდა. გიგა სხვებსაც მოსწონდათ, განსაკუთრებით — ჩემს მშობლებს. ზრდილობიანია, ასეთი თავაზიანობა ნამდვილად ქების ღირსიაო, — მითხრა ერთხელ მისი ქცევით მოხიბლულმა ბაბუამ. მაგრამ ჩემმა ძმამ ათივალწუნა — მისი ზრდილობა მოჩვენებითია, არა მგონია, დღეში ასი ბოდიშის და მადლობის თქმა მისთვის ჩვეულებრივი რამ იყოს, ვფიქრობ, რაღაცას გვიმალავსო... ამ სიტყვებმა მამაჩემი ძალზე გააღიზიანა და მან ჩემს ძმას მიახალა: მაშინ დაამტკიცე და აქვე, ჩემი სახლის საძირკველზე დავაკლავო!.. ერთი სიტყვით, გიგას გამო მამაჩემსა და ჩემს ძმას შორის განხეთქილება მოხდა. როცა მამას რაიმე არ მოეწონებოდა, მაშინვე ეუბნებოდა: ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, გიგას რომ დამსგავსებოდი და ეგეთი უზრდელი არ ყოფილიყავიო... კოკა თხუთმეტი წლის იყო და გამაფრებელი ჰქონდა თავმოყვარეობის გრძნობა, ამიტომ მამის ნათქ-

ვამზე ძალზე მტკიენეულად რეაგირებდა. გადაწყვიტა, გიგასთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა. შეიძლება, ეს გამოსვლიდა კიდევ, რომ არა ერთი საზარელი შემთხვევა.

— რა შემთხვევა?

— გიგამ ბოლომდე ზრდილობიანი ბიჭის როლის თამაში ვერ შეძლო. მისი თავაზიანობა და კეთილშობილება თურმე, მოჩვენებითი ყოფილა... ზაფხულის თბილი საღამო იდგა. გიგამ მამაჩემს სთხოვა: თუ ნებას დამრთავთ, იას სასიერნოდ წავიყვანო. მამაც დათანხმდა. მე და გიგა ხელიხელჩაკიდებულები გამოვედით ქუჩაში. კოკას მოკარი თვალი, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ აველეწებოდა?... ვაკის პარკში ერთ-ერთ სკამზე დავსხვდით. როგორც შეყვარებულებს სჩვევიათ, ჩვენც ჩავეხუტეთ ერთმანეთს. გიგამ ფერება დამიწყა. მართალია, ზღვარს გადავიდა და შუა პარკში კინაღამ გამაუპატიურა, მაგრამ კოკას რეაქცია მაინც გადაჭარბებული მგონია: დიდ ხის ნაჭერს სტაცა ხელი და ორივეს გვესროლა. მერე მან და გიგამ ერთმანეთი ისე სცემეს, რომ ორივე კინაღამ პოლიციამ დააპატიმრა... შინ რომ მივედი, ფეხზე დგომა მიჭირდა, ისე დამიყუვა გვერდები ძმის ნასროლმა ხის ნაჭერმა. ჩემი მშობლები საშინლად აღშფოთდნენ, კოკამ კი გამოაცხადა: თავაზიანი და კარგად აღზრდილი ყმაწვილი საცოლეს პარკში კაბას არ წამოხდისო!.. მამაჩემი შეკრთა. კოკას ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა, შემდეგ კი მითხრა: თუ გიგას სადმე გადავეყვრები, ცოცხალს არ გაუშვებ, შენი შეურაცხყოფის გამო... მამაჩემის გადარწმუნებას ახრი არ ჰქონდა. იძულებული გავხდი, გაწუმებულყავი.

— გიგამ არ სცადა მდგომარეობის გამოსწორება?

— იმ დღიდან, აღარც გამოჩენილა. ან კი, როგორღა გამოჩნდებოდა?! — ერთი კვირის თავზე, „ვიდეოპატრულში“ აჩვენეს: თურმე, თაღლითი ყოფილა, გულუბრყვილო ხალხს ფულს ართმევდა — ბანკის თანამშრომელი ვარ და „გაყინულ“ წიგნაკებს გაგინადლებთო... მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ასე უკვალოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. სამაგიეროდ, დამიტოვა უამრავი უპასუხო კითხვა და დაუძლეველი შიში იმისა, რომ ადამიანების ცნობა არ შემიძლია და კვლავაც შეიძლება მოვტყუდე...

ჩემი რესპონდენტი 80 წლის ქალბატონი გახლავთ. ის ეროვნებით რუსია და თბილისში ცოტა ხნის წინ, დის შვილიშვილთან სტუმრად გახლდათ ჩამოსული. ჩამოსავლის მიზანი ის გახლდათ, რომ მისთვის ანდერძით თავისი ქონების გაფორმებისთვის საჭირო საკითხები დაეზუსტებინა.

წინა ლაშქარში კა-გუბეს პოლკოვნიკი გახლავთ და დაუფარავად მოჰყვა თავს გადახდენილი შემზარავი ამბები და ამ ინტერვიუს გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლებაც მოგვცა, თუმცა მისთვის რუსეთში ბევრ ცნობილ ჟურნალისტს მიუმართავს და ყველა უარით გაუსტუმრებია... ლაგროვასთვის მიცემულ პირობას ვასრულებთ და ინტერვიუს, თბილისიდან მისი ნასვლის შემდეგ ვაქვეყნებთ.

აბნები ქალი, ჩრდილის სიკვდილის შედეგ, მგლად გაღიქცა...

მარი ჯაფარიძე

— დავიბადე 1914 წელს. მამჩემი, სერგეი ლაგროვი, მეფის ოფიცერი გახლდათ. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ის ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. ყირგიზეთში, სადამსჯელო რაზმში მსახურობდა. ბევრ ცნობილ ადამიანთან, მაგალითად, თვით ცნობილ მხატვართან, რერიხთანაც კი ჰქონდა ურთიერთობა.

— თქვენც ყირგიზეთში გადახვედით საცხოვრებლად?

— არა, მე დედასთან ერთად ლენინგრადში დავრჩი. შემდეგ, მამჩემს რაღაც მიზეზი მოუძებნეს და დახვრიტეს. 1937 წელს მეც რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდი — როგორც მეფის ოფიცრის შვილი... მაშინ 23 წლის ვიყავი. გვიან ღამით, შინ მოგვაკითხეს და მე და ჩემი და წავგიყვანეს. სხვადასხვა ოთახში შეგვიყვანეს... ტყავის ქურთუკში გამოწყობილი, უღვაშის ან ალგაზრდა კაცი თვალბმობილი მომჩერებოდა და ათას კითხვას მისვამდა. ტანდაბალი ვარ, მაგრამ საკმაოდ კონტაგოზ ვიყავი; ვერძობდი — თუ ამ კაცს ჩემს თავს შევთავაზებდი, უარს არ იტყოდა. სკამიდან წამოვდექი, მაგიდაზე შემოვჯექი და გახდა დავიწყე. მაშინვე მეცა... ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ, მისი ავტობილით შინ მიმიყვანეს. ჩემი და იმის შემდეგ არ მინახავს... მერე დაიწყო დიდი სამამულო ომი. მე ვითხოვე — ფრონტზე გამიშვი-მეთქი. აღრიცხვაზე ამიყვანეს და ჯავშნოსან მატარებელზე დამაწყობინეს სამსახური. იქ დავიჭერი. ჯავშნოსანს ჭურვი რომ მოხვდეს, ვაგონს ვერაფერს აკლებს, მაგრამ შვე რაც არის, ყველაფერს მტვრად აქცევს. ჭურვი წინა ვაგონს მოხვდა, მე კი დარტყმის ძალამ ბურთივით ამაგლო ჰერში და მუცლით ბასრ საგანზე დავეცი. სასწრაფო ოპერაცია გამიკეთეს და სწორედ ამის შედეგად დავკარგე დედობის უნარი — შვილს ვერასოდეს გააჩენდი.

— როგორც ვიცი, ბლოკადის დროს, ლენინგრადში იმყოფებოდით.

— დას. ჩემი უმცროსი და (რომელიც 1937 წლის რეპრესიებს იმის წყალობით გადაურჩა, რომ 12 წლის იყო) და დედა ქალაქიდან წაიყვანეს, მე დავრჩი. კა-გუბემ სწორედ მაშინ გადაიბირა. მოგესვენებთ, ბლოკადა 900 დღე გრძელდებოდა და ქალაქი სურსათის იმ მარაგის იმედად იყო დარჩენილი, რომელიც ბლოკადის დაწყებამდე არსებობდა. დამშეულ ხალხს დღეში 200 გრამი პურის გარდა, არაფერი ჰქონდა. ადამიანებმა ერთმანეთის ჭამა დაიწყეს... ამ დროისთვის მე, როგორც ტრავმირებული, ლენინგრადის პურის ქარხანაში ვმუშაობდი. იქვე ახლოს იყო ფეკლიის საწყობი, რომელსაც „Бадаевские склады“ ერქვა. ამ საწყობში ინახებოდა ფეკლიის სამწლიანი მარაგი. კარგად მახსოვს — ერთხელ, საწყობს ჭურვი რომ მოხვდა, როგორი თავგამოდებით ვცდილობდით, გადაგვერჩინა ფეკლი. ნახევრად დამწვარი ტომრები ცის ქვეშ აღმოჩნდა. ნანგრევების გარშემო, შენობების სახურავებზე სნაპერები დააყენეს, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ: ვინც ფეკლიის ტომრებს მიუახლოვდებოდა, იქვე მოეკლათ. ყოველ დღით, 30-40 ადამიანის გვამი გაჰქონდათ იქიდან. მათი სისხლით გაუფრთხილი ფეკლით კი, პურს აცნობდნენ და მოსახლეობას ურიგებდნენ...

— თქვენ რით იკვებებოდით? თუ პურის ქარხანაში მუშაობა გშველოდათ?

— ბევრი კომბოსტოს მწნილი მქონდა და თავიდან, იმით გამიქონდა თავი. შემდეგ გამოჩნდა საქმე, რომლის წყალობითაც, ნორმის ზემოთ, დღეში 200-400 გრამით მეტ პურს ვიღებდი.

— ამჯერადაც თქვენმა სილამაზემ გიშველათ?..

— არა, საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ. ერთ დღეს, ჩვენს შტაბში მივედი. ოთახში 3-4 ადამიანი იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი ოთახიდან გავიდა. მე ვთქვი: ეს კაცი ადამიანის ხორცი იკვებება-მეთქი... თითქოს ყურადღება არ მიაქციეს ჩემს სიტყვებს, მაგრამ თურმე მასზე



ნინა ლაგროვა — 1949 წელს, სპეცდავალებით თბილისში გამოემგზავნეს

მეთვალყურეობა დაუწყესებიათ და აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი... ამის შემდეგ, ისევ დამიბარეს შტაბში, მომცეს სპეციალური შტაბში, რომელზეც ნომერი იყო ამოტვიფრული და დამავალეს — მეგლო ქუჩებში, აღმოჩენინა ის ადამიანები, რომლებიც ადამიანის ხორცს ჭამდნენ და გამენადგურებინა ისინი; მოკლულისთვის სხეულზე შტაბში ნომერი უნდა დამეტოვებინა...

— რა ნიშნით ცნობდით ასეთ ხალხს?

— კარგად ნაკვებ ადამიანს იოლად ამოიცნობდით — ჯან-ღონით სავსე და ენერგული იყო. გარდა ამისა, თვალები თითქოს ფოსფორისფერად უელავდა... თეძოების რხევით ჩავევლიდი და ჩხში შევიტყუებდი, შემდეგ იარაღით ვკლავდი. მძღარ ადამიანს ქალთან სიანხლოვის სურვილიც უჩნდებოდა და იოლად ებმებოდა მხეში... შემდეგ, მორიგე მანქანა ჩამოვიღო და მკვდრებს აგროვებდა. თითოეული მოკლულისთვის 200 გრამ პურს მაძლევდნენ...

— ლენინგრადში ბევრი თქვენნაირი დამსჯელი იყო?

— ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ ვიცოდი, რომ 7-8 ადამიანი მუშაობდა კანიბალების ლიკვიდაციაზე და თითოეულს, საკუთარი შტაბში გვქონდა.

— თუ კაცობიას ვერ მოძებნდით, ალბათ შეგეძლოთ, უდანაშაულო კაციც მოგვეკლათ...

— არა, გამოიცხვლია. ცოცხალი ისედაც ბლომად მაქვს და ტყვიად ნურაფერს დამაბრალებთ...

— კიდევ რა ცოდვები გაქვთ?

— ომის დამთავრების შემდეგ, კა-გუბემ თავის სისტემაში სამუშაოდ დამტოვა. 1949 წელს, სპეცდავალებით თბილისში გამოემგზავნეს. ჩემი პირველი ქმარი სწორედ საქართველოში გავიცანი. ის გვარად მაცაბერიძე გახლდათ და შესაძლოა, დღესაც ცოცხალია. სამხედრო პირი იყო და დავალებული მქონდა, დამეღინა, თუ რას საქმიანობდა, „სუფთა“ იყო თუ არა და ჰქონდა თუ არა კავშირები საზღვარგარეთ.

მის მოსახიბლად ბევრი დრო არ დამჭირვებია. მალე, ვიქორწინებ კიდეც. მასთან ერთად რაიონში ვცხოვრობდი და თავს მშვენივრად ვგრძობდი... როდესაც დავალბა შევასრულე და გასარკვევი აღარაფერი მქონდა, უნდა მომეხებნა მიზეზი, რომლის გამოც მისგან წამოვიდოდი. არც ეს გამჭირვებია, რადგან მალე ეჭვიანი გახლდათ...

— ვისზე ეჭვიანობდა?

— ცხენზე...

— უკაცრავად, ვერ გაიგე—

— ყოველ დღით, დედამოხილა ვვადებოდი ხოლმე ცხენზე და ასე დავვირიოთბოდი. ამ დროს, ქალი ერთ აუწერელ სიამოვნებას განიცდიდა... ჰოდა, ჩემი ქმარი სწორედ ცხენზე ეჭვიანობდა. ცხარე კამათი მოგვიხდა, დანთი დავჭერი და იქიდან გამოვიქეცი.

— გადარჩა?

— დიას, გადარჩა და რამდენიმე წლის შემდეგ, ლენინგრადში ჩამომაკითხა, მაგრამ იოლად მოვიშორე თავიდან, რადგან უკვე გათხოვილი ვიყავი...

— მეორე ქმარსაც თქვენი სამსახურებრივი ინტერესების გამო გაპყვევით ცოლად?

— დიას, ჩემი მეორე ქმარი ერთ-ერთი ქვეყნის ელჩი იყო. მასთან ერთად 4 წელი ვიცხოვრე. მიყვარდა. საუკეთესო თვისებები ჰქონდა და კარგი მუშაურობდა იყო. კაგებე ჩემგან უამრავ ინფორმაციას იღებდა მის შესახებ. ბოლოს, მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცეს. იცით, როგორ დამწყდა გული? ორი კვირის მანძილზე ვაჯანჯვლებდი. ყოველ დღით მირეკავდნენ, მეუქრობდნენ: თუ ბრძანებას არ შეასრულებ, ორივეს ერთად „გაგასაღებთო“!... ის უკვე 60 წლის გახლდათ და ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. დღეში რამდენჯერმე სვამდა წამლებს და ნესებსაც იკეთებდა. დილა-საღამოს, ინიექციას მე ვუკეთებდი და სწორედ ამ დროს უნდა შემეშხაზუნებინა მისთვის ის წამალი, რომელიც კაგებემ გადმომცა. ერთ საღამოს, ვიღაც თავგადახოტრილი, მკვლელის-სახიანი კაცი მოვიდა, საფეთქელზე იარაღი მომადო და მითხრა: შენი ქმარი დღეს უნდა მოკვდეს, მეორე ოთახიდან გადევნებ თვალყურს, თუ არ შეასრულებ, ნაბრძანები მაქვს, ორივე მოკვლათო... რა უნდა მექნა?! როცა ჩემი ქმარი შინ დაბრუნდა, ივანშმა და ჩემთან საუბარი გააბა, უგუნებობა შემატყო. ამის მიზეზად თავის ტკივილი დავუსახელე. საღამოს 9 საათზე, ნემსის გაკეთებს დრო რომ მოახლოვდა, ტანტზე წამოწვა, გაემხადა. ხელის კანკალით ჩავარჭვე ნემსი, შემდეგ მისი თავი კალთაში ჩავიდე და ვუყურებდი, როგორ კვდებოდა; ჩემი ცრემლები მას სახეს უსველებდა... მეორე დღეს, პრესაში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ელჩი გულის შეტევისგან გარდაიცვალა... მის პანაშვილებზე მართლა გულით ვტიროდი. თან ნაბრძანები მქონდა,

რომ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაკრძალვის დღესვე „შემეხა“...

— მე რე „შეხაბო“?

— არა, განგებ ავარიდე თავი. უფროსებს კი მოვასხენე, რომ ამ საქმეს დრო სჭირდებოდა... გადაწყვიტეს, ედროვებინათ, მაგრამ მალე, ტიბეტში გაბეზავენს...

— ამჯერად რა დავალება გქონდათ?

— ტიბეტელი ლამებისგან ადამიანის დასამორჩილებლად საჭირო, სხვადასხვა ხერხის შესწავლა მევალებოდა. მათთან კონტაქტის დამყარება კი, არცთუ ისე იოლი გახლდათ... 1947 წელს, ტიბეტში ჩინელები შევიდნენ. 400 ჩინელი ჯარისკაცი შევიდა გამოქვაბულში და ოთხსაივე ჭკუიდან შეიშალა. ისინი მასობრივი ფსიქოზის მსხვერპლი გახდნენ, რომელიც გამოქვაბულში მყოფმა ლამებმა გამოიწვიეს. გამოდის, ისინი ფლობდნენ რაღაც ზებუნებრივ ძალას და სწორედ ეს შედიოდა კაგებეს ინტერესების სფეროში...

— ბოლოს და ბოლოს, შეისწავლეთ ეს მეთოდი თუ ვერა?

— ტიბეტელი ლამები 1924 წელს გაიყვნენ თეთრ და შავ მაგებად. როგორც ვარაუდობდნენ, შავი მაგები ჰიტლერის ინტერესის სფეროში შედიოდნენ და ფიქრობდნენ, რომ ის სწორედ მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მე დავუკავშირდი ლამებს, რომლებიც თეთრი მაგიის მიმდევრები იყვნენ. ისინი მხოლოდ ხანდაზმულ, ბრძენ ადამიანებთან ურთიერთობაზე მიდიან, მაგრამ როგორღაც შევძელი და მათი ნდობა მოვიპოვე... სწორედ მათ მიჩვენეს ქალაქი შამპალა — უბეკლესი ცივილიზაციის ნაშთი. ლამებისგან შევისწავლე უამრავი მეთოდი, რომლითაც ადამიანზე ზემოქმედება შესაძლებელი. მაგალითად, თვალბეჭდვა უყურებ კაცს, თითქოს ყურადღებით უსმენ და ამ დროს, რასაც გინდა, იმას შთააგონებ და გააკეთებინებ... ასევე შევისწავლე მრავალი



დავალების მკურნალობის მეთოდი... ყოველივე ამას შემდეგ, ჩემს საქმიანობაში ვიყენებდი. როდესაც მეამდე გავთხოვიდი, მალე სისხლის გათეთრების დიაგნოზი დამისვეს, მაგრამ როგორც ხედავთ, დღესაც ცოცხალი ვარ და მალე კარგად ვგრძობ თავს...

— მესამე მეუღლის შესახებაც გვიამბეთ...

— ის ლიტველი გახლდათ. კაგებეს, ინტერესის მრავალი სფერო აქვს და მათ სხვადასხვა განყოფილება კურირებს. ვალდისი (მესამე ქმარი) სამრეწველო კაგებეში მუშაობდა და კერძოდ, ოქროს მოპოვებასა და ქვეყნიდან მის გადინებას მეთვალყურეობდა. მე კი, ვალდისის ცხოვრების შესწავლა დამევალა. დავუახლოვდი, ცოლად გავყვე და ყველაფერი დაწვრილებით დავადგინე. აღმოჩნდა, რომ ის უცხოეთის ქვეყნის რამდენიმე რეზიდენტთან იყო „შეკრული“, ასევე ჩათრეული იყო ყალბი ფულის დამზადების საქმეში... მისი ლიკვიდაცია მე დამეკვალა. თვალის არ დამიხამებია, ისე მოგვალა. სადარბაზოში შემოსულს, კიბეზე დავხვდი, იარაღი შუბლზე მივადე და სასხლეტს გამოვკარი თითი. შინ უცებ შეებრუნდი და კარი მხოლოდ მას შემდეგ გაუღე, როდესაც კიბეზე ჩოჩქოლი ატყდა და რომ დავინახე, ისე შევიცხავე, როგორც საჭირო იყო...

— საინტერესოა — არ გიფიქრათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თქვენც მოგიშორებდნენ თავიდან?

— ერთი რამ ვიცოდი კარგად: მანამდე ვიქნებოდი ცოცხალი, ვიდრე კაგებეს ვჭირდებოდი. მისთვის კი, დღემდე საჭირო ვარ...

— როგორ? ისე მუშაობთ?..

— ძირითადად, მომავალ თაობას ვზრდი. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ასაკოვანი ქალი დასჭირვებიათ ამა თუ იმ საქმისთვის და მე გავუგზავნივარ.

— ბოლო დავალებას ხომ არ გაიხსენებდით?

— ეს ექვსი წლის წინ იყო. ერთ-ერთი მინისტრის ოჯახში ყვავილების მომვლელად ვმუშაობდი. დაწვრილებით ვეღარ ვიამბობთ, რადგან ახალი ამბავია და არ მინდა, სიბერე ჩავიმწარო...

— წარსულის გახსენებას უფროსით?

— არსებობს ხალხი, რომელიც უარესს აკეთებს...

— მაგრამ ჩვენ ჩვენი დანაშაულისთვის ვაგებთ პასუხს...

— ტიბეტელი ლამების თეორიის თანახმად, სიკვდილის შემდეგ, ადამიანი იმ ცხოველად გადაიქცევა, რომლის მსგავსადაც სიცოცხლეში ცხოვრობს, მაგალითად: ბინძური ადამიანი — ღორად, ძალაუფლების მოყვარული — ლომად, მშმშარა — თავგადვფიქრობ, მე სიკვდილის შემდეგ, მეელი ვიქნები. ისინი სწორედ ჩემსავით დაუნდობლები არიან.

ბინა, რომელშიც ეპბ მამბლბქ და ნანი ბრეგვაძე უკვე 13 წელია ცხოვრობენ, თბილისის პრესტიჟულ უბანში — ვაკეში მდებარეობს. მასში მცხოვრებთა რიცხვი ხან იკლებს, ხან იმატებს — იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებიან ქალბატონი ნანი და ეკას უფროსი ვაჟი ლევანი: ის პროფესიით სტომატოლოგია, მოსკოვში ორდინატურა გაიარა და დამატებითი პრაქტიკის მისაღებად კიდევ ცოტა ხნით აპირებს რუსეთის დედაქალაქში დარჩენას. ქალბატონი ნანი კი შვილიშვილს მზრუნველობას არ აკლებს და დროის დიდ ნაწილს ლევანთან ერთად ატარებს. მათთან ჩემი სტუმრობაც ისეთ დროს დაემთხვა, როცა ქალბატონი ნანი თბილისში არ იმყოფებოდა.



ლონდონში ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ მანუქა თოჯინა, რომელიც ძალიან მაშინებს

ქველფუნქციონალური აზრები, რუსი მუშაობის ნაქტნი ხალხობი და ნანი ბრეგვაძის სატყნობა სხსლი

ემა ტუნიაშვილი

ინტერირი და იქ განთავსებული ბეჭერი საინტერესო ნივთი, ბინის პატრონისა და ოჯახის სხვა წევრების კარგ გემოვნებაზე მეტყველებს. ტელევიზორებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარდა, თანამედროვე ნივთებს თითქმის ვერ ნახავთ. ანტიკვარული ხის ავეჯი, ძველებური დიდი სარკე, საიდანაც ცოტა გაცრეცილი შენივე გამოსახულება ვიშურს, აღმოსავლური შორბ, რომელიც ბუსარს ფარავს, წინათ, რომელიც მუზეუმში ინახებოდა. ძველებური სასანთლე — კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის საჩუქარი, ანტიკვარული ზარდახმა მეფე ნიკოლოზის გამოსახულებებით, ანტიკვარული სურათი დედოფალ სოფიას გამოსახულებით (მაგრამ არავის ახსოვს, თუ რომელი სოფიაა ამ სურათზე), ანტიკვარული ჭადრაკი, რომელიც ქალბატონმა ნანამ ტაშკენტადან ჩამოიტანა და, ბოლოს, უამრავი აღმოსავლური ხალიჩა — ეს ყოველივე განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. ინტერიერის კიდევ ერთი თავისებურება იპყრობს ყურადღებას — ესაა მავიდების სიმრავლე.

— გვინდა, ძველ ნივთებს უზორატულობას ანიჭებთ...

— ჩვენს სასლში მართლაც, ძალიან ბევრი ძველი ნივთია. მათგან ბევრი ნაჩუქარია, ზოგი დღეს წინაპრებისგან შემორჩა, ზოგი კი მისი შექმნილია. ალბათ სიძველისადმი სიყვარული მეც განმივითარდა, ვინაიდან ცოტა ხნის წინ, სრულიად შემთხვევით, ძველებური სკივრის შექმნა მოვინდომე...



...მეპატრონის ანდერძის თანახმად, ეს ხალიჩა მხოლოდ ნანი ბრეგვაძის საკუთრება შეიძლება გამხდარიყო

— ბევრი ხალიჩა გაქვთ, ფოტოზე ვნახე, რომ მოსკოვურ ბინაშიც ხალიჩა გაქვთ კედელზე გაკრული...

— ნანის ძალიან უყვარს აღმოსავლური ხელოვნება. მას ზმირად იწვევდნენ გასტროლებით ახლო აღმოსავლეთში, საიდანაც თითქმის ყოველთვის ჩამოჰქონდა ხელით ნაქსოვი ხალიჩები, შარვები, რომლებსაც შეძლომ, ფარდების მაგივრადაც კი იყენებდა. ყველაზე დიდი ხალიჩა კი, რომელიც მთლიანად ფარავს კედელს, რომანოვე-

ბის გვარს ეკუთვნოდა. ნანიმდე მისი მულობელი მარიამ მუხრანელი ბაგრატიონი ყოფილა. გამიგონია, რომ ბევრი ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი თუ არქიტექტორი სოლიდურ თანხას სთავაზობდა მანიას (ასე ეძახდნენ მარიამ ბაგრატიონს ახლობლები), მაგრამ მეპატრონის ანდერძის თანახმად, ეს ხალიჩა მხოლოდ ნანი ბრეგვაძის საკუთრება შეიძლება გამხდარიყო, თანაც — სიმბოლური თანხის საფასურად, რითიც მანიას დაკრძალვის ხარჯები უნდა დაეფარათ. ამ ხალიჩაზე ერთი ადგილი შესამჩნევად გაცრეცილია. ამბობენ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ქვეშევრდომები მეფის წინაშე მუხლს იდრეკდნენ...

— ადამიანის გემოვნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ის იზრდება. როგორ ყალიბდებოდა დედათქვენის მუსიკალური გემოვნება?

— დედაჩემის ბებია და ბაბუა (დედის მხრიდან) თავადები, საკმაოდ შეძლებული და განათლებული ადამიანები იყვნენ. ჰქონდათ საკუთარი საღონი, სადაც იმ დროის ყველაზე წარჩინებული ადამიანები იკრიბებოდნენ. ნანის ოჯახში ყველა მღეროდა. მისი ალალი დედა — ქეთევან მიქელაძე, რომელიც ახლა უკვე 80 წლისაა, პროფესიონალი მომღერალი იყო. იგი მღეროდა ხალხური სიმღერის ანსამბლებში და აგრეთვე პირველი ქართული ჯაზორკესტრის მომღერალიც გახლდათ. ქეთევანი 18 წლის ყოფილა, როდესაც ქართული დეკადის დღეებზე მოსკოვში, სტალინისთვის „პარი-ჰარალე, ბიჭო“ უმღერია. ასე სიმღერით ის თურმე, პირადად სტალინს მიმართავდა.

როგორც თავად ამბობს, ამის შემყურე, ყველა, შიშს შეუპყრია, სტალინი კი ფეხზე წამოდგარა და ქეთევანისთვის ხანი უთქვამს. ამ ამბის შემდეგ ქეთევანი ორდენითაც დაუჯილდოვებიათ... ძალიან ბრძენი და საკმაოდ მკაცრი იყო ბებია – დედაჩემის დედა. როგორც ნანი ამბობს, იგი არასოდეს უშვებდა მას მეგობრებთან, მაგრამ მისი 14-მეტრიანი ბინის კარი, შვილის მეგობრებისთვის ყოველთვის ღია იყო. სწორედ ბებიის დამსახურებაა, რომ ნანამ პირველი მუსიკალური განათლება მუსიკალურ შვილ-წულელში მიიღო, შემდეგ ოთხი წელი მუსიკალურ ტექნიკუმში ისწავლა, ორი წელი კონსერვატორიაში ჩასაბარებლად ემზადებოდა და ჩააბარა კიდეც.

— **თქვენს მუსიკალურ გემოვნებაზე ალბათ დედამ იქონია დიდი გავლენა, ახლა თქვენს ოჯახს, თქვენი შვილის — ნატალიას სახით, კიდევ ერთი მომღერალი შეემატა. თქვენ თუ ცდილობთ, რომ თქვენთვის მისაღები მუსიკალური გემოვნება ჩამოუყალიბდეს?**

— უღაოა, რომ დედის ფაქტორმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია. კარგია, როდესაც გყავს მისაბაძი მაგალითი, ვისგანაც შეგიძლია ბევრი რამ ისწავლო. ნატალიას რაც შეეხება — მართალია, მე და ნანი ვცდილობთ, რომ მისი მუსიკალური გემოვნების განვითარებას სწორი მიმართულება მივცეთ, მაგრამ მასზე და მთელ მის თაობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ასე მომრავლებული უგემოვნო სიმღერები. ძნელია, ხელალებით აუკრძალო ბავშვს ასეთი მუსიკის მოსმენა, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, რომ გარკვეული მინიშნებები ამასთან დაკავშირებით გავაკეთო.

— **ნანი ბრვეგადის ოსტატობის გარდა, მისი თაყვანისმცემლები მუდამ აღნიშნავენ მის განსაკუთრებულად გემოვნებიან ჩაცმულობას. როგორ იქმნებოდა ეს სასცენო კოსტიუმები?**

— დედა ხშირად დადიოდა გასტროლებზე უცხოეთში, საიდანაც იშვიათად მზატანსაცმელი უფრო ხშირად კი, ქსოვილები ჩამოჰქონდა. ბებიჩემი პროფესიონალი მკერავი არ ყოფილა, მაგრამ ხშირად სა-



ინტერიერი და იქ განთავსებული ბევრი საინტერესო ნივთი, ბინის პატრონისა და ოჯახის სხვა წევრების კარგ გემოვნებაზე მეტყველებს

კონცერტო კაბებს ნანის გემოვნებით, ბებიაჩემი ქნია. ერთხელ, კიევიში ვისვენებდით და დედას კონცერტისთვის ახალი კაბა სჭირდებოდა. ჩვენთან ერთად ნანის მეგობარი, არქიტექტორი ქალბატონი ატარებდა ზაფხულს. მასსოვს, როგორ დაუნაზამან კაბის თარგი და ბუბამ ამ თარგით ნანის საოცარი საკონცერტო კაბა შეუქურა... ნანის კაბებს შემდეგ დიდხანს ვინახავდით, რადგან ზოგჯერ მისი გარდერობიდან რაღაც დეტალები მეც გამომიყვანებია. მეტიც, ჩვენს დროს ხშირად ეწყობოდა სახალწლო მეგჯლისები და მე ნანის გარდერობის წყალობით, კოსტიუმების ფართო არჩევანი მქონდა.

— **უცხოეთიდან ჩამოტანილი კარგი სამოსით ალბათ თქვენც განებივრებდით...**

— ნამდვილად ასე იყო. ყოველთვის კარგად და რაც მთავარია, გემოვნებიანად მეცვა. ვის ჰქონდა მაშინ ჯინსი, ნანის რომ უცხოეთიდან ჩამოჰქონდა ჩემთვის?! სკოლაში კალამი და ბლოკნოტიც კი ყველასგან გამოჩენილი მქონდა... ჩაცმულობის სტილს რაც შეეხება, ნანი ჩემთვის ამ საკითხშიც მისაბაძი მაგალითია. ყველას უკვირს, თუ როგორ ინარჩუნებს ის ახალგაზრდულ იერს, მაგრამ მერწმუნეთ, ამისთვის სპეციალურად ნამდვილად არ ირჯება. ნანის დედაც ასეთი კოპწია ქალი იყო, სიბერეშიც კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. თანამედროვე მოდური სამოსი მეც ძალიან მიყვარს. მართალია, მთლად ტინიჯერივით ვერ ჩავიცვამ და ჭიპს ვერ გამოვჩენ, მაგრამ არც ახალგაზრდულ სა-

მოსზე ვიტყვი უარს...

— **თქვენი ლიტერატურული გემოვნება როგორ ყალიბდებოდა?**

— ვერ ვეტყვით, რომ სკოლაში განსაკუთრებული ნივთი გამოვიჩინოდი, მაგრამ ძალიან კარგი კერძო პედაგოგები მყავდა. იყო პერიოდი, როდესაც სერიოზულად გამიტაცა დოსტოევსკის, ტოლსტოის შემოქმედებამ, მოგვიანებით კი, ცვეტაევასა და ახმატოვას პოეზიამ დამაინტერესა.

— **თქვენსა და ქალბატონი ნანის კულინარიულ გემოვნებაზე რას გვეტყვით?**


— ნანის კერძების დეკუსტაცია უფრო უყვარს, ვიდრე მათი მომზადება. მე კი კულინარიული ნიჭი ბებიისგან გამომეცა. მართალია, შინ დამხმარე ქალი მყავს, მაგრამ სამზარეულოში ტრიალი სიამოვნებას მანიჭებს, ნანის კი ჩემი მომზადებული ყველაფერი მოსწონს.

— **სამიროსპირო სექსისადმი თქვენი და ქალბატონი ნანის გემოვნებაც ხომ არ ემთხვევა? როდესაც საქმე თქვენს თაყვანისმცემლებს ეხებოდა, ამაში თუ ეროდა ხოლმე დედა?**

— იმის გამო, რომ ბებიჩემი აქტიურად ეროდა ნანის პირად ცხოვრებაში, დედაჩემს ამგვარი დამოკიდებულების მიმართ შინაგანი პროტესტი ჩამოუყალიბა, ამიტომ თითქმის არაფერში მზლუდავდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ადრე — 17 წლის ასაკში გათხოვიდი და დედას გავუმხილე, რომ ოჯახის შექმნა მქონდა გადაწყვეტილი, წინააღმდეგობა არ გაუწევია. სამწუხაროდ, ჩემი პირველი მეუღლე ძალზე ახალგაზრდა გარდაიცვალა... დედამ მეორედაც მოიწონა ჩემი არჩევანი, როდესაც ცხოვრება ჩემს ახლანდელ მეუღლეს — მერაბს დავუკავშირე.

— **ევა, საკმაოდ ბევრი ოთახის მცენარე გაქვთ. თქვენ უვლით?**

— ეს მცენარეებიც ნანის საკუთრებაა. ძალიან უყვარს ჩინური ვარდი, არყის ხე,



ანტიკვარული ჭადრაკი, რომელიც ქალბატონმა ნანამ გაშენიდან ჩამოიტანა

რომლის ორი ფოთოლი ბელორუსიდან წყლის ჭურჭელში მოთავსებული ჩამოიტანა და გაახარა. როდესაც ნანი მოსკოვშია, მცენარეებს მე ვუვლი, მაგრამ ჩამოსვლის დღიდან, არც ის აკლებს მზრუნველობას.


— თუ გაქვთ შინ ისეთი ნივთი, რომელიც არ მოგწონთ და უბედურად მიგაჩნიათ?

— ლონდონში ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ მარჯა თოჯინა, რომელიც ძალიან მაშინებს და ამის გამო არ მიყვარს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ პიროვნებას ნანისთვისაც ზუსტად ასეთი მიუთითებია საჩუქრად და ნანისაც ისეთივე რეაქცია ჰქონდა...

— ეკა, თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მრავალი წელი იდგე სცენაზე და თითქმის ყველა თაობის მსმენელის გემოვნებას აკმაყოფილებდე?

— ნებისმიერი ნამდვილი ხელოვნის შემოქმედებაში დგება როგორც წარმატების, ასევე წარუმატებლობის — ე.წ. „ჩავარდნის“ პერიოდები. დღეაღმის ცხოვრებაშიც იყო შემოქმედებითი პაუზები, მაგრამ ნანი არასოდეს გაჩერებულა ერთ ადგილზე. ის ყოველთვის მუშაობდა საკუთარ თავზე და ვითარდებოდა. სწორედ საქმისადმი ამგვარმა მიდევნებამ განაპირობა ის, რომ ნანის შემოქმედებამ წლებს გაუძლო.

ჩვენი საუბრის დასასრულს, ეკამ ქალბატონი ნანის ოცნება გაგვიმხილა: სახელოვანი მოძღვრალი თურმე, ახლო მომავალში, საკუთარი სახლის აშენებას აპირებს. „ნანის ოცნებაა, რომ მისი კაბინეტის კედლებზე წიგნების სტელაჟები იყოს განთავსებული, ოთახის ცენტრი მილიანად როიალმა უნდა დაიკავოს, იატაკზე კი, დიდი აღმოსავლური ხალიჩა უნდა ეფინოს“ — ასე აღგვიწერა ეკამ ნანი ბრევკაძის საოცნებო საშუალო ოთახი.



ჩვენი საუბრის დასასრულს, ეკამ ქალბატონი ნანის ოცნება გაგვიმხილა

ცვინის ნაცამალოც არ გაქვით...

ილია ბორელი

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის თბილისის ომი თავისთავად დიდი ტრაგედია იყო ქართველი ერისთვის. მისი მსვლელობისას კი, მრავალი ტრაგიკომიკური სიტუაციაც „თამაშდებოდა“.

აი ერთ-ერთი მათგანი.

საახალწლო დღესასწაული გვარდიის გენერლის ცოლის დაბადების დღეს ემთხვეოდა და გენერალმა გადაწყვიტა, უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, ცოლისთვის მისალოცად შინ ტანკით წასულიყო...

გვიან ღამით, უფრო სწორად, ღალადრიანად — 4 საათისთვის, შეზარხ-ოშებულმა გენერალმა, რომელსაც ცაქულად არ მიაჩნდა და დღემიწა ქალამნად, გადაწყვიტა, დისლოკაციის ადგილზე, „მტრის“ ტერიტორიის გავლით დაბრუნებულიყო და თავისუფლების მოედნისკენ გაემართა.

— გაიღვიძეთ, ტანკებით გვიტყვენ! — წამოიყვირა დაცვის უფროსმა.

— ვინ? საიდან? — წამოხტნენ მებრძოლები.

— თავისუფლების მოედნის მხრიდან მოდიან! გაგვიდგეს — ეტყობა, მე-8 პოლკი ჩაერთო საქმეში, ალყაში გვაქცევენ... გავიქცეთ!.. — დამარცვლა დაცვის უფროსმა.

— არა, გაქცევას აზრი არა აქვს!.. — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ტანკის ხმა კი უფრო და უფრო ახლოვდებოდა. აი, მთავრობის სასახლესაც მიუახლოვდა... ჯარისკაცები საბრძოლო მზადყოფნაში არიან... ამასობაში კი, ტანკი მთავრობის სასახლეს გასცდა...

გათამამებულმა გენერალმა რუსთაველის თეატრთან ტანკს სარქველი ახადა, მთელი ტანით ამოიძარა და მეცნიერებათა აკადემიისკენ „გაგრუნუნდა“.

— „ბატა“, ტანკებით გვიტყვენ!.. — მოახსენეს გვარდიის სარდალს. ისიც სწრაფად წამოხტა და მაუზერს დასწვდა.

— ტანკსაწინააღმდეგო დაცვა! — იყვირა აღუტანტმა და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

იგრილა „პროტივოტანკოვი გრანატამ“-მა. ტრიუმფატორი გენერალი ჰაერის ტალღამ ტანკიდან ამოაგდო და შუა ქუჩაში მოისროლა. ტანკი ტროტუარზე ავარდა და მყისიერად დაღუშდა. მას ავტომატმომარჯვებული გვარდიელები და „მხედრიონელები“ შემოეხვივნენ...



მალე ყველაფერი გაირკვა. სარდალსაც გაახსენდა, რომ წინაღუეს გენერალმა მისგან ცოლის დაბადების დღეზე ტანკით წასვლის ნებართვა აიღო. მაგრამ ახლა ყველაფერი გვიანი იყო და გვარდიელებმა გენერლის ნემტი შტაბის მორგში გადაასვენეს.

დღის 10 საათზე, როგორც წესი, მორგში ექიმი ჩავიდა.

— ამას მაჯა ესინჯება. აიყვანეთ საოპერაციოში!.. — მიმართა მან თანმხლებ გვარდიელებს და გენერალზე მიუთითა.

საოპერაციოში ექიმმა დაჭრილს, დაცემის შედეგად თავზე მიღებული ჭრილობა-დაჟეღილობები დაუმუშავა და გადაუხვია.

— ლიუკი რომ ღია ჰქონდა, იმან უშველა, თორემ, ტანკში გაზი და წნევა გაგულავდა. იღბალი ჰქონია, რომ გადმოვარდა, ბედმა კონტუზია აკმარა... — დაასკვნა ექიმმა.

ამ დროს, დაჭრილმაც გაახილა თვალები და შეწუხებულმა იკითხა:

— სადა ვარ? რა ხდება?

— ნუ გეშინია, შენთანხებთან ხარ. გადარჩი! — უბასუნეს თანამებრძოლებმა...

— ბიჭებო, ტვინი! მგონი, ტვინი გადმოდის!.. მომკალით! ტვინი თუ გადმოდის, ნულარ მარჯვალეთ!.. — აყვირდა მოულოდნელად დაჭრილი. ერთ-ერთმა გვარდიელმა ექიმს შეხედა და საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიღო — ალბათ „გარეკაო“... დაჭრილი კი, არა და არ ცხრებოდა...

— დამშვიდდით. შოკში ხართ, კონტუზია გაქვთ და მეტი არაფერი. ეს კი მხოლოდ სისხლია. ტვინის ნატამალიც კი არსად გაქვთ — გარწმუნებთ!.. — აწყნარებდა ექიმი გენერალს.

მარი ჯაფარიძე

ნათქვამია: ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო. თუმცა, ჩხუბს გააჩნია და ეს წესი მუდამ როდი მოქმედებს... მაგალითად, ლუარსაბი და დარეჯანი იმაზე კამათობდნენ, ჩიხრთმა სჯობს თუ ბოზბაშიო, მაგრამ მეორე წუთში, ერთმანეთს სულის ტარხუნასა და ცუგრიას ეძახდნენ... მე კი ისეთი ჩხუბი მინახავს, რომ არ მოგიყვებო, გული არ მითმენს: ჩემს კორპუსში, მე-ნ სართულზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა და 6 შვილი ჰყავდა. ქალი „ბიზნესმენობდა“ — წითელ ხიდზე პროდუქტს ყიდულობდა და ქალაქის ბაზრობაზე ყიდდა. ზაფხულის ერთ საღამოს, სადარბაზოსთან საზამთროთი დატვირთული მიკროავტობუსი გაჩერდა და ვინაიდან ბაღჩეულს ეზოში ვერ დატოვებდნენ, ლიამ და მისმა შვილებმა მე-ნ სართულზე სულ ფეხით აზიდეს. ქმარი ამ დროს ფანჯრიდან იყურებოდა და სიგარეტს აბოლებდა... გვიან ღამით, ჩხუბის ხმა შემომესმა, რომელიც მათი ბინის ფანჯრიდან გამოდიოდა: — ქალო, ჩემთან დანეჭე, რომ გეუბნები! — უთხრა ქმარმა. — თავი დამანებე, დავიღალე, — უპასუხა ცოლმა. — რამ დაგღალა, შე... — შეაგინა კაცმა. — ამდენ საზამთრო ამოვზიდე, შენ ხელიც არ გაგინძრევი; კარგია, ხომ, მზამზარეულზე ცხოვრება?.. — მოიგერია ლიამ. — მაშ, უარს მეუბნები? — ჰო! — საზამთროს გულისთვის მეუბნები უარს? — ჰო! — ეს კი ველარ აიტანა ქმარმა და უცებ, ერთი საზამთრო გამოფრინდა ფანჯრიდან და გინებაც მოჰყვა... — აი, შენ! — და მეორე საზამთროც დაეხეთქა მინაზე... მოკლედ, საზამთროები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა ფანჯრიდან და ხან კაცის გინება მოსდევდა უკან, ხან ფრაზა — тоже мне, бизнесменша! — და სიმწრით აზიდული საზამთრო სულ ფანჯრიდან გადმოყარა განრისხებულმა კაცმა... შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, სიჩუმე დაისადგურა. მეორე დღით კი, ცოლ-ქმარი ეზოს გვიდა და თან სიცილით კვდებოდა ერთიც და მეორეც...

ახლა კი, ჩვენი მკითხველების „მესიჯებს“ გავეცნოთ. პირველი რესპონდენტი, 30 წლის ქალია, რომელიც საკუთარი ეჭვიანობის მსხვერპლი გახდა.

სტუმრული უსამართლოება



ჩემი უსამართლოება

„მურაბით მოსვრილ-მოთხუპნილი, უკან გაბრუნდა...“

„ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის უსამართლოება შარშან ზაფხულში დაიწყო. გვიან საღამოს, ტელეფონზე საეჭვო ხარი გაისმა. ყურმილი რომ დაღო, ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ გამოძიხადა — სვალ კახეთში, ახლობლის მამის გასვენებაში მივდივარო. მივხვდი, რომ მატყუებდა. გამოვკითხე, ვისთან ერთად მიდიოდა ან ვისი მამა დაიღუპა, მაგრამ ვერაფერი ვათქმევინე. აბაღუბდა პასუხებს მცემდა. ცოტა ვადროვე, შემდეგ ვთხოვე: გზად მაინც ლილოსკენ უნდა გაიაროთ, მე ბაზრობაზე წასვლა მინდა და გამიყოლე-მეთქი. აშკარად შეეტყო, რომ გალიზიანდა. ველარ მოვეთმინე და როგორც კი უარი მითხრა, ავფეთქდი. გაჯიუტდა — შენ რაც არ უნდა გაახურო, მაინც წავალ, რადგან მეგობარს პატივი უნდა ვცეო. — ორი-სამი საათი ვიღავთ, მაგრამ ვერაფერს გავხდი. გაბრაზებული, დასაძინებლად დაწვა. მეც ნერვებს ვერ თოკავდი და გამწარებული, აფთარივით მიმოვდიოდი ოთახში. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, რომ მისთვის წასვლაში ხელი შემეშალა. ვიფიქრე — ჩავალ ავტოფარეხში და საბურავებს დაუხვრეუტ-მეთქი, მერე — საქრე მინის ჩამტკვრევა მინდოდა... ბოლოს, მშვენიერმა აზრმა გამიელვა და არც დაფიქრებულვარ, ისე მოვიყვანე სისრულეში: აბაზანა წყლით გავავსე და მთელი მისი

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შიგ ჩავყარე. ცხვირსახოციც კი არ დამიტოვებია. დაარხინებული დავწექი და ღვიძინე, ოღონოდ — ცალკე, სხვა ოთახში... დღით, საშინელმა შეგრძნებამ გამომაფხიზლა. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. ლოგინიდან წამოვხტი. თავიდან ბოლომდე სველი ვიყავი. ჩემი მეუღლე ოთახიდან გადიოდა, ხელში კი უკვე ცარიელი ვედრო ეჭირა. მიხვდით? ერთი ვედრო ცივი წყალი გადაამავლო თავზე მძინარეს. თან გინებით იკლებდა იქაურობას. სანამ ტანისამოსი გამოვიცვალე, მან კარი გაიჯახუნა. ფანჯარას მივვარდი და დაეინახე, როგორ ჩავაღა მანქანაში. ტანზე ჩემი, პირსახოცის ხალათი ეცვა, ფეხებზე — ოთახის ჩუსტები... მთელი დღე არ გამოჩენილა. მე კი ბოლმისგან ვსკდებოდი. შურისძიების გეგმა მქონდა შედგენილი და მოუთმენლად ველოდი მის მოსვლას. კარის თავზე პატარა, პლასტმასის სათამაშო ვედრო ისე დავკიდე, რომ კარის გაღებისას, ნელა-ნელა ამოიარავებულიყო, შიგ კი მურაბის წვენი ჩავასხი... იცოცხლეთ, იმან ღრო გაატარა!.. მურაბით მოსვრილ-მოთხუპნილი, უკან გაბრუნდა და მთელი ღამე შინ აღარ დაბრუნებულა... მეორე დღეს, ორშაბათი იყო და სულ ღიღინ-ღიღინით წავედი სამსახურში. შინ მობრუნებულმა, კარი რომ გავაღე, პირკატა მეცა: ოთახებში, იატაკზე ყველგან მურაბის წვენი იყო მოსხმული, საშხარეულოში — ზეთი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი! ბევრი

ვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი. ამასობაში, მეზობელმა დამირეკა და საიდუმლოდ გამანდო: შენმა ქმარმა თქვენი ოინების შესახებ ჩემს ქმარს უამბო და ახლაც ჩვენთან არის, ოღონდ, გამაფრთხილა, რომ შენთვის არ გამეძინებო... ოკ, რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა მისთვის სამაგიეროს გადახდა და თანაც, როგორ მეზარებოდა იმ „ძუნგლიანი“ ბინის დალაგება?! სწორედ ამ დროს, კვლავ მშვენიერი რამ მომაფიქრდა: დავრეკე დედამისთან და ყურმილში ბლაგვლით ჩავძახე – ვაიმე, მიშველვეთ! თავს მოვიკლავ, გიგა თუ ცოცხალი არ არის, მეც არ მინდა სიცოცხლე, მოკვდა, ჩემი გიგა მოკვდა... ზუსტად ათი წუთის შემდეგ, ეზოში დედამისი მოთქვამდა და სახეს იხოკავდა, ჩემი მაზლის ცოლი კი, ცრემლებს აღვარდვარებდა და დედამთილს ამშველებდა. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. ჩემი ქმარი კიბეზე შემოხვდა და ამან მთლად გადარია მისი ოჯახის წევრები... ერთი სიტყვით, ძალზე დიდი ამბავი გადავიტანეთ, მაგრამ ბოლოს, შევრიგდით. დედამთილმა და მაზლის ცოლმა ბინა დაალაგეს და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. აბა, მოდი და ნუ გაგეცინება... დღესაც კარგად ვხალისობთ ხოლმე, როცა ამ ბავშვურ ოინებს ვისხენებთ. აზა.“

კაცმა რომ თქვას, მთლად ბავშვურსაც ვერ უწოდებ ამ ოინებს და საერთოდაც, ვფიქრობ, შურისმაძიებელი ცოლი ცოტა სახიფათოცაა. მაგრამ მომდევნო „მესიჯის“ წაკითხვის შემდეგ, უთუოდ დამეთანხმებით, რომ შესაშურად არც აზარტული ცოლების პატრონებს აქვთ საქმე. გვიამბობს 35 წლის თამილა:

„უღვაში პირწმინდად მოვპარსე...“

„გამარჯობათ. დიდი სიამოვნებით მოგიყვებით, როგორი უსიამოვნება შეგვემთხვა მე და ჩემს მეუღლეს... ერთ საღამოს, მეზობელმა ქალებმა ერთ ოჯახში მოვიყარეთ თავი. ოთხნი ვიყავით და გადავწყვიტეთ, „ჯოკერი“ გვეთამაშა. რაღაც ანცობის ხასიათზე ვიყავით და „მაზიანზე“ ვითამაშეთ. პირობა კი ასეთი იყო: ვინც ბოლო ორ ადგილზე გავიდოდა, ქმრისთვის უღვაში უნდა მოეპარსა (თუ ჰქონდა) ან თმა შეეღებოდა... ერთი სიტყვით, „მოსისხლე მტრებად“ ვიქექით, ისეთი თამაში გავაჩაღეთ. ბედმა მიმუხთლა და ბოლო ადგილი დავიკავე. გადაწყდა: მე მამუკასთვის უღვაში უნდა მოეპარსა, მზიას – თავისი ქმრისთვის თმა უნდა შეეღებო. სათ-

ქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად – ძნელი. რა უნდა გვექნა? მე და მზიამ მოვილაპარაკეთ და მეორე საღამოს, ქმართან ერთად შინ გვეწვია. გავშალეთ პურმარული და გავაჩაღეთ ქიფი. ღვინოში არაყი შევურიეთ და ქმრებს ისე ვასმევედით, რომ დაგვეტორო. მართლაც, მალე მოეკიდათ სასმელი. მზიამ ძლივს წაიყვანა თავისი გელა შინ. თავი დასაბანი გაქვსო, – გადაჰკიდებია ქმარს, აბაზანაში შეუყვანია და თავზე გამაღია ავებელი ხსნარი წაუსვამს, შავთმიანი გელა სულ „გაქერავდა“... ჩემი საქმე უფრო იოლად გადაწყდა: დავაწვინე ქმარი დივანზე, უღვაშივე საპარსი ქაფი წაუვუსვი და პირწმინდად მოვპარსე. თურმე, ეს ამბავი მთელი კორპუსის მამაკაცებს გაუგიათ და დილით, გელას ეზოდან დაუწყეს ძახილი, ისიც ლოგინიდან წამოდგა და პირდაპირ ფანჯარას მიადგა. ღმერთო! ახლაც ტანში მცრის, რომ მასწენდება, რა ამბავი ატყდა ეზოში. მეზობლების სიცილ-ხარხარი მთელ უბანს ესმოდა, გელას კი ვერაფერი გაეგო. ამ ხმაურზე ჩემს ქმარსაც გამოეღვიძა და მანაც ფანჯარას მიაშურა. სიცილის ტალღამ ხელმეორედ იფეთქა... მტერსა და ავს არ ვუსურვებ იმ დღეს, რაც მე და მზიას დაგვადგა, ლამის ოჯახი დაგვენგრა ორივეს. მაგრამ ბოლოს შევრიგდით და ახლა ყოველთვის სიცილით ვისხენებთ ამ ამბავს. სამაგიეროდ, იმის შემდეგ, ჩემი ქმარი უღვაშს აღარ ატარებს და ასაკიც ათი წლით „ჩამოაკლდა“...“

როგორც ჩანს, ეჭვიანობა მართლაც ხშირად ხდება ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნების საბაბი. ის, რაც 40 წლის ხათუნას გადახდა, ვფიქრობ, მოსაყოლად მართლა ღირს:

„ღამე კიბეზე ჩამომჯდარმა გავათენე...“

„გამარჯობათ. მინდა, ჩემ შესახებ მოგიყვებო. ეს ამბავი 5 წლის წინ მოხდა. წინასწარ გეტყვით, რომ ძალზე ეჭვიანი ადამიანი ვარ. სულ უმნიშვნელო მიზეზიც კი მაგიჟებს. მეუღლის თანამშრომელ ქალებზეც კი ვეჭვიანობდი ხოლმე. თუ ტელეფონზე ქალი იკითხავდა, იმ დღეს, ოჯახში სკანდალი გარანტირებული გვქონდა. სულ ვეკითხებოდი მის ძმაკაცებს, მათ ცოლებს, მეზობლებს – ჰყავდა თუ არა საყვარელი, ვინ გაიარა მის გვერდით და ასე შემდეგ... ამის გამო, სულ დამცინოდნენ ახლობლები. ერთხელ, მეზობელ მამაკაცებს მოუსურვებიათ, ქალები მოეყვანათ

და დრო გაეტარებინათ, მაგრამ არ ჰქონდათ ბინა, სადაც თავს მოიყრიდნენ. ერთ-ერთ მათგანს მოუფიქრებია – ხათუნას ისეთ ოინს მოვუწყობ, რომ არასოდეს დაავიწყდება, თანაც, ბინას საკუთარი ნებით დაგვიტოვებსო... დამიმართლებოდა რამდენიმე მეზობელმა და მითხრა: თუ ორ ბოთლ არაყს იკისრებ, გავიმხელთ, შენი ქმარი ქალს სად ხვდებაო. გამიხარდა. რა თქმა უნდა, არაყი ვუყიდე. შემდეგ მითხრეს: როგორც კი შევიტყობთ მათი შეხვედრის დროსა და ადგილს, მაშინვე შეგატყობინებთ... ჰოდა, როგორც კი თავიანთი საქმე მოაგვარეს და ქალები შეხვედრაზე დაითანხმეს, იმ საღამოს მიმიყვანეს ერთ-ერთ კორპუსთან, ამიყვანეს მე-4 სართულზე, მიმითითეს ერთ კარზე და მითხრეს: შენი ქმარი უკვე აქ არის, თუ დაელოდები, რომ გამოვა, ფაქტზე დაიჭერო... მთელი ღამე კიბეზე ჩამომჯდარმა გავათენე. ჩემს სახლში კი, ამ დროს, დიდი ქიფი იყო გაჩაღებული, ქალებიც იქ ჰყავდათ მიყვანილი და ჩემს ქმარსაც მშვენიერი დრო უტარებია... დილით, კარზე ბრახა-ბრუხი ავტეხე, მაგრამ როგორც ჩანს, იქ არავინ ცხოვრობდა და ვინ გამიღებდა?! შინ წამოვედი. სახლი დალაგებული დამხვდა, ქმარი კი არხეინად ხვრინავდა... რამდენიმე დღის შემდეგ, ერთმა ჭორიკანა მეზობელმა დაწვრილებით ჩამიკაკლა ყველაფერი, რაც მოხდა. ძალიან მაგრად ვიჩხუბეთ მე და ჩემმა ქმარმა, შემდეგ შევრიგდით და მას შემდეგ, ვეღარ ვამჟღავნებ, რომ ვეჭვიანობ, თორემ, ამ დაავადებას ალბათ ვერაფერი კურნავს...“

ეჭვი ეჭვია, მაგრამ როდესაც ფაქტის წინაშე დგები და ქმარს დალატში ამხელ, აქ უკვე საქმე რთულდება:

„ჩემი ქმრისგან ტყუპი ვაჟი გააჩინა...“

„მარი, მართალია, თემის მიხედვით, ისეთი ამბის მოყოლაა განსაზღვრული, რომელიც ღიმილით გვახსენდება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მეღიბება, მაინც მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვებო. გათხოვილი ვიყავი და ერთი შვილი მყავს. ჩემი ყოფილი მეუღლე ძალიან ლამაზი და წარმოსადგეი მამაკაცი გახლდათ. ქალების ყურადღების ცენტრში მუდმივად ექცეოდა. ჩვენს კორპუსში, პირველ სართულზე სურსათის მაღაზია იყო განთავსებული. იქ ერთი ქალი მუშაობდა, რომელსაც პირადად ვიცნობდი. ნინო გათხოვილი იყო, მაგრამ შვილი არ ჰყავდა. მერე გავიგე, რომ ტყუპი ბიჭი შეეძინა, შემდეგ

კი აღმოჩნდა, რომ მას შვილები ჩემი ქმრისგან ჰყოლია. დათოსთვის თვალი დაუდგამს, რადგან ფიზიკურად მოსწონებია. შემდეგ შეუთავაზებია – 5.000 ლოლარს გადაგიხდი, თუ დამაფეხმძიმებო. ეს ფული მაშინვე გადაუხდია, როგორც კი დაორსულებულა... არ ვიცი, მისმა ქმარმა იცოდა თუ არა ეს ამბავი. ჩემმა მეუღლემ მაშინვე შშენიერი მანქანა იყიდა. მე არაფერი ვიცოდი, მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან დათო საქმოსნობდა და ხანდახან, ბევრ ფულსაც აკეთებდა. შემდეგ, როდესაც შეიტყო, რომ ნინოს ტყუილი შეეძინა, მეორე 5.000-ზე დაუწყო დავა... მათ ხელშეკრულებაც ჰქონიათ გაფორმებული, რომ დათო შვილს არასოდეს მოიკითხავდა. რადგან ამ საქმის გამო ოფიციალური დოკუმენტი არსებობდა, დათოს სასამართლოში შეუტანია სარჩელი. მე სწორედ ამ დროს შევიტყვე ეს ყველაფერი და კინადამ ჭკუიდან შევიშალე. დათომ პროცესი მოიგო. მათ კიდევ 5.000 გადაუხადეს. დათომ ეს ფული მე მარჯუა, ჩემი გული რომ მოეგო. იმ ფულით ერთოთხანანი ბინა ვიყიდე და დათოს გავყვარე. არ მეგონა, ასეთი უსინდისო ქმარი თუ მყავდა. აღვშფოთდი, მარტო იმის გამო კი არა, რომ მიღალატა, არამედ მისმა ქმედებამ გამაგო: წარმოგიდგენიათ? – მეორე ბავშვისთვისაც ფული მოითხოვა... ასე დამენგრა ოჯახი და ამ ამბავს რომ ვიხსენებ, სულაც არ მეღიმიება, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს...

როგორღაც ისე მოხდა, რომ ამჯერად, ქალები უფრო აქტიურობდნენ და საკმაოდ ბევრი საინტერესო „მესიჯიც“ გამომივზავნეს. რესპონდენტებს შორის, ერთადერთი მამაკაცი გამოერია და ახლა, სწორედ მის ნამბობს ვაღმოვცემთ:

„ჩემს ცოლს ქალთმთიანი ბავშვი შეეძინა“

„მე მოვიყვებით ჩემი და ჩემი ცოლის ურთიერთობის შესახებ და თქვენ თუ გაგეღიმიებათ, არ ვიცი, მე კი ნამდვილად არ მეცინება... 37 წლის კაცი ვარ და ასე მგონია, ჩემი ცხოვრება დამთავრდა. ცოლი 10 წლის წინ მოვიყვანე. უზომოდ მიყვარდა კესო. ოჯახი ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო, მაგრამ არ დავიშალე და მაინც შევირთე ცოლად. კესო სიყვარულს მეფიცებოდა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, – მეუბნებოდა. მაშინ საკმაოდ ბევრ ფულს ვშოულობდი და საჩუქრებსა

და სიურპრიზებს არ ვაკლებდი. რადგან დედაჩემი და ის ერთად ვერ „თავს დებოდნენ“, ცალკე ბინა ვიყიდე და საცხოვრებლად იქ გადავედი. შვილი არ გვყავდა და კესო ძალზე ნერვიულობდა, მაგრამ მე დიდად არ განვიცდიდი, რადგან ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ საყვარელი ადამიანი ჩემ გვერდით ყოფილიყო... შემდეგ, მატერიალურად გავვიჭირდა. კესოს ჩემგან სიურპრიზები მოაკლდა, სამაგიეროდ, ოჯახში უკმაყოფილებამ იმატა. ხშირად ვჩხუბობდით. მალე ჩემმა თანამეცხედრემ სამსახური იშოვა. ცოტა ხანში, ძველებურად კარგად ჩაცმა-დახურვა დაიწყო, საკუთარ თავს ყველა კაპრიზს უსრულებდა... ახლა მე დავიწყე ნერვიულობა – შვილი რომ არ გვიჩნდებოდა, იმის გამო, მაგრამ კესო სულაც აღარ განიცდიდა ამას. დავიწყე ეჭვიანობა, რადგან უკვე ჩემთან დაწოლაზეც უარს ამბობდა. გადავწყვიტე, მეთვალთვალა მისთვის და სულ მალე დავრწმუნდი, რომ მღალატობდა. კარგა ხანი დამჭირდა გონზე მოსასვლელად. მას ვერაფერს ვეუბნებოდი... ერთ დღეს, გააქტიურდა და დიდ ინციატივას იჩენდა, რომ ჩვენ შორის ინტიმური ურთიერთობა გაეხშირებინა. უარი არ მითქვამს, მაგრამ მივხვდი – რაღაც მახეს მივებდა. ისე ავიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ამიხდა ეს ეჭვი: რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიცხადა – ფეხმძიმედ ვარო. აი, თურმე რას მიზნავდა. ეჭვიც არ შემაპრავია, რომ ბავშვი ჩემი არ იყო. მაშინვე ვუთხარი – ერთმანეთს ვეყრებით-მეთქი. გაოცებულმა აახამხამა თვალები. რომ ვუთხარი – ბავშვი ჩემი არ არის-მეთქი, – თავზე დამამხო ყველაფერი – ჩემში ეჭვი როგორ შეგეპარაო?!. ავღეჭი და მივატოვე. უღალთმიანი ბავშვი შეეძინა და მაშინ დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი, რადგან მისი საყვარელი სწორედ ასეთი გახლდათ... ის დღესაც ხელგამლილად ცხოვრობს, მე კი შშობლებთან ვარ და სიცოცხლე არ მინდა. როგორ ფიქრობთ – სასაცილოა?...“

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯებს“ ვავეცნოთ:

„ჩემი მშობლები ყოველდღე ჩხუბობენ...“

„მე და გივას 11 წელია, ერთმანეთი გვიყვარს და ორი წელია, ცოლ-ქმარი ვართ. ძალიან ხშირად ვჩხუბობთ, მაგრამ მეორე დღეს, ღიმილით გვახსენდება. მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. მინდა,

არასოდეს ვიჩხუბოთ. გოცინი“.

„ჩემი მშობლები ყოველდღე ჩხუბობენ. მინდა, ვთხოვო მათ, რომ აღარ იჩხუბონ და ცოტა მეც მომხედონ“.

„ერთხელ, დედამ და მამამ იჩხუბეს. მერე მამამ შესარიგებლად მაგარი მანქანა აჩუქა. ჰოდა, ნეტავ, ასე კიდევ იჩხუბონ. ანუკი“.

„ყოველი ჩვენი ჩხუბი რატომღაც დილიდან, ლოგინშივე იწყება და საღამოს იქვე, გრანდიოზულად მთავრდება... და ეს სასიამოვნო, დილა-საღამოს პროცედურა უკვე 10 წელია, გრძელდება. კენინა“.

დაბოლოს, რამდენიმე გზავნილი, რომელიც თემას არ ეხება, მაგრამ ჩვენი მკითხველისთვის მნიშვნელოვანი გახლავთ:

„ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედავ, ღიმილს სიტყვები მახსენდება: ციხეში ყველა პატიმარს თვალები სველი აქვს და მისთვის ყველა ქალი ლამაზიაო. მაშინ არ მჯეროდა. მაშინ მხოლოდ „რომეო და ჯულიეტასი“ მჯეროდა. თურმე, ღიმილს არ ტყუოდა“.

„ერთ ბიჭს სიყვარულზე უარი ვუთხარი. ათი თვეა, არ მინახავს. მე ბუტება. მე კი, მისი ნახვა მინდა. მამუკა, დამიბრუნდი, ბოდიშს გიხდი, ძალიან მიყვარხარ“.

„მარი, შენ მაინც გააგებინე სენაკელ გოგი ვახანიას, რომ ძალიან მიყვარს. გვანცა, ღუშეთი“.


ამჯერად, ამით დავასრულებ „გზაჯინილებს“. მომდევნო თემად კი ვთავაზობთ: ყველაზე ორიგინალური თავყანისმცემელი. თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ხართ ის, ვისაც ყველაზე ორიგინალური ხერხით აუხსნეს სიყვარული ან ამგვარად შექმნით ოჯახი, „დამიხსიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61 და გვიამბეთ ამის შესახებ. მომავალ სუთშაბათამდე ვემშვიდობებით.

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

822 009 005

ზარი ფასიანია, 18 წლიდან





გივი თუშიშვილი პროფესიით პატენტმცოდნეა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პატენტმცოდნეობის კურსს კითხულობს. იგი 40-მდე გამოგონებისა და 20-მდე ნიგნის ავტორიტაცია. ოთარ რამიშვილის ნამონაფარი, მასწავლებელს არც სმიაში ჩამოუფარდება, არც თამადაობაში, არც გიტარის დაკვრასა და არც იუმორში. ბატონ გივის არაერთ ცნობილ ადამიანთან ჰქონია შეხება, ბევრთან უმეგობრია, ამიტომაც უამრავი საინტერესო რამ აქვს გასახსენებელი...

ამიყვანეთ შვილად და თუ გინდათ, პარალელურად ცოლიც კილო ვიქნები თქვენთვის... მისი მოულოდნელი წინადადებით დაბნეულმა და „ნოვატორული“ იდეით გაკვირვებულმა, ძლივს ამოვლერღე: – შვილად აყვანა კიდეც მესმის, ბევრად უფროსი ვარ, მაგრამ ეს „შეთავსებით“ ცოლობა რამ მოგაფიქრებინა, ხალხი რას იტყვის, ძალიან უხერხული ხომ არ იქნება ეს ყველაფერი-მეთქი?... – რას მიქვია, უხერხული იქნება! „ნაბაროტ“ – „ხერხულიანიც“ კი იქნება „დაჟე“; ხალხს რას უყურებთ თქვენ? მაგნები ვერ გეიგებენ ვერაფერს, ყველაფერი „ოტ-ი-ლო“ მაქვს მოფიქრებული: გარეთ, ხალხის თვალში ქალიშვილი ვიქნები თქვენი, ხოლო „სპალნაში“ კი – ცოლი, ამაზე მეტი რა გინდა?! – გათამამდა კლარნეტა... რა თქმა უნდა, ჩვენ შორის გარიგება ვერ შედგა, რის შედეგადაც მოსწავლე გამინაწიყენდა და მეცადინეობაც მიატოვა. მე კი, უნდა ვაღიარო, რომ ასეთი ორიგინალური წინადადებით ჩემთვის ცხოვრებაში არავის მოუპაროთავს...

ნოვატორი კლარნეტა: სალის თვალში – ქალიშვილი, «სპალნაში» კი – ცოლი...

ოთარ რამიშვილის ოინები

– როგორც იცით, ოთარ რამიშვილი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სამუსიკო სკოლებსა და სტუდიებში, კერძო მოსწავლეებიც ჰყავდა. მათ შორის, რბილად რომ ვთქვა, ზოგი უცნაური გონებისა და ფსიქიკის ადამიანიც გამოერეოდა. ჰოდა, ასეთებს ოთარი თავიდან იშორებდა და ჩემთან აგზავნიდა ხოლმე. დიდი ტანჯვა-წამება გამომივილია, სანამ ამ სწავლამოწყურებულებს მოვიშორებდი... ერთ დღეს, ვიღაცამ ზარი დარეკა. კარი გავაღე და ვხედავ – თმაგაჩილი, შავკვრემანი კაცი დგას. – გივი-ჯან, სახლში ვარ? – მეკითხება. – დიახ, სახლში ვარ, რა გნებავთ-მეთქი? – შეკუბრუნე კითხვა. – მე, გიტარისტი ოთარა რო არი, იმან გამამგზავნა, სამეულა მქვია, გიტარაზე „ბლატნოი პესნები“ გინდა ისწავლო, – მეუბნება... საუბრის დროს, მარცხენა ხელს ზურგს უკან მალავდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამომიტყდა, რაშიც იყო საქმე: – გივი-ჯან, ჩემი საქმე ცოტა ფინთათ არი – „ლევი“ თითები „იოხტურ“, – და როგორც იქნა, დამანახვა მარცხენა ხელი,

ნინო ჯავახიშვილი

ნოვატორი კლარნეტა

– რამდენიმე წლის წინ, ახალგაზრდა ქალმა დამირეკა. გიტარის შესწავლის თაობაზე პირობების გაგება სურდა. გვარიანი მეგრული აქცენტით ლაპარაკობდა, საუბრის დროს, რუსულ სიტყვებსაც იყენებდა: – ალო! კლარნეტა ვარ, კლარნეტა, უფრო სწორად – კლარა; გიტარის ფლობა მინდა ვისწავლო, მარა რას ვისწავლი, მე უბედური, როცა ერთდროულად ორი პრობლემა მაწუხებს?... – რა პრობლემაა-მეთქი? – დავინტერესდი. – რა და, „ვა პერვიზ“, ოცდაათს „გადაპოჭიკებული“, „სტარაია დევა“ ვარ მე და „ვა ვტარის“, თითები მაქვს „ჩერეზინურ“ გატკეინინებული და ჩემისთანა „უჩენიკებს“ ღებულობთ სწავლებაში?... მოკლედ, მეცადინეობა დავიწყეთ. კლარნეტა ბევრითი მოსწავლე აღმოჩნდა. პირველმა თვემ უექსცესოდ ჩაიარა. ერთხელ, საუბრისას აღვინშენ

– დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მთელი საოჯახო საქმეები მე დამაწვა კისერზე და ნეტავ, ორ ვაჟთან ერთად, ქალიშვილიც მყოლოდა, ზოგჯერ სახლის დალაგებაში მაინც მომხმარებოდა-მეთქი... გავიდა მცირე ხანი და ერთხელაც, კლარნეტა მეცადინეობაზე დავვიანებით, წვეულებიდან მოვიდა. გადაკრულში იყო, თვალები ეშმაკურად უშუშუნებდა. – პირად საკითხზე თუ შეიძლება თქვენთან საუბარი? – მკითხა და დაიწყო: – დღეს ხომ არის სამშაფათი, მანამდე, ხომ ვიყავი თქვენთან პარასკევს? კილო უფრო მანამდე, ხომ ვიყავი თქვენთან სამშაფათს და პარასკევს, მარა ქალი მაინც ვერ ვნახე აქ; ბოდიშით და, ოჯახობა არ გაქვენ? ერთხელ კი თქვით – ნეტავ, ქალიშვილი მყოლე... ბოდა, სახლს მაინც დამილაგებდაო, ჰოდა, მაქ ერთი კონკრეტულ-ეკონომისტური და ორი კურდღლის ერთდროულად გასასკვანნი „პრედლაჟენიაო“... ბუნებრივია, დავინტერესდი მისი წინადადებით. – რა და, თუ არ შეწუხდებით,

ესპანელი მხატვარი ფრანსისკო კიხობ ლამანჩელი	საბავშვო მწერალი ... ევლოშვილი	თანამედროვე აბაზანის ტიპი	მომღერალთა ჯგუფი, როგორც მხატვრული კოლექტივი	... შიგნიდან ტყდებაო	გამის ნოტი	დასას...
იაპონური ჭადრაკი	მგალობელი ფრინველი	შტატი ... აილენდი	ჰაყე, ვირო, არ მოკვდე, გაზაფხულზე ... ამოვათ	... სამარე გაასწორებსო	ქვეყნის გასწორებს	სწრაფად გათამაშებული პარტია ჭადრაკში	ლოქი



მაშინვე ოთარი გამახსენდა და სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილმა, უცნობს ვუთხარი...

რომელზეც მხოლოდ საჩვენებელი თითი ჰქონდა. გულწრფელად შემეცოდა და ვუთხარი: – სამველ-ჯან, სამწუხაროდ, ვერ გასწავლი, მაგ ერთადერთი თითით აკორდებს ვერ აიღებ-მეთქი. – ვა, როგორ, ტო? – აი, ნახე! – და თითი ზარის ღილაკს მიაჭირა: – ხედავ, როგორ დავრეკე? ერთი თითი ზარზე თუ დარეკა-მს, გიტარაზე ვეღარ გარეკამს?.. სამველას წასვლა და მის პროტექტორთან დარეკვა ერთი იყო. – შე კაი კაცო, ეს ცალთითა კაციც მე რომ გამომიგზავნე, გზაში თითები ამოუვიდოდა თუ ქრისტე ღმერთი მნახე, სასწაულები მოვახდინო? რას მერჩი, რა დავიშავე-მეთქი?! – შევჩვილე ოთარს. – თბილისში გიტარისტების მეტი რა არის, მაგრამ როგორ ფიქრობ – ამ საცოდავებს სხვებისთვის გავიმეტებ და სხვებს ვანდობო?!. – მთელი სერიოზულობით მიპასუხა... რამდენიმე ასეთი „ცოცხალი ამანათის“ შემდეგ გადავწყვიტე, რევანში ამელო და შესაფერის მომენტს დაველოდე... ზაფხულის ერთ დილას, საკმაოდ ასაკოვანი კაცი მეწვია. ოთახში შემოსვლისთანავე, სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და ღრმად ამოიხარა: – ეჰ, რომ იცოდეთ, რა უბედურება დამატყდა თავსო... – რაშია საქმე-მეთქი? – შევწუხდი. – რაშია საქმე და ამ გაზაფხულს, მეხუთე ცოლს გავყვარე, – შემომღალადა მოხუცმა... გამიკვირდა: – მე არც ექიმი გახლავართ და არც ადვოკატი, ჩემგან რას ითხოვთ? – ალბათ, მისამართი შეგეშალათ-მეთქი. – არაფერიც არ შემშლია, მეხუთე სართულზე ტყუილად რა ამომიყვანდა ფეხით?! – საქმე ისაა, რომა ღამე ვერ ვიძინებ – გულზე სულ „პასკები“ მაწვება (უკბილო იყო და მივხვდი, უნდოდა ეთქვა – „ტასკები“ (ე.ი. სევდა). მაწვებაო) და

მის გასაქარვებლად, გიტარაზე რუსული რომანსების დამღერება მირჩიესო... – ღმერთო, რა შეგცოდე ამისთანა, რა „პასკები“? ამ, ჩემი ცოდვით სავსეს, რაღა ერომანსება-მეთქი?! მოხუცმა დააყოლა – ბევრი რომანსი ვიცი და „კალიტკას“ გიმღერებო. ისეთი ღრიალი მორთო, ძლივს ვაკჩუმე... მაშინვე ოთარი გამახსენდა და სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილმა, უცნობს ვუთხარი: დიდი სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ რამდენიმე თვით თბილისიდან მივემგზავრები, თქვენ კი, ჩემზე ბევრად უკეთეს პედაგოგს მიგასწავლით – ოთარ რამიშვილს-მეთქი... ამის თქმაზე, მოხუცმა ნაღვლიანად შემომხედა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია და ჩაიბუტბუტა – ოთარ რამიშვილთან უკვე გახლდით და სწორედ მან მირჩია თქვენთან მოსვლაო... ასე რომ, ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩამივარდა...

დუეტი იშხნელთან

– მამაჩემი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. ისიც მელექსე და პოეტი კაცი იყო. ალბათ მისგან დამეყვა წერის ნიჭი. ძალიან მინდოდა, მუსიკალური განათლება მიმელო, მაგრამ ჯარში რომ არ წავეყვანე, მამამ სასწრაფოდ, მექანიზაციის ფაკულტეტზე შემატანინა საბუთები... უმაღლესის შემდეგ, ასპირანტურაც დავამთავრე, მაგრამ პარალელურად მუსიკის პედაგოგობაც დავიწყე. დავამთავრე ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის საორკესტრო ფაკულტეტი, გიტარის სპეციალობით. მუსიკის სიყვარ-

უცებ მკითხა – „სულიკოს“ თუ დაუკრავო? დაკვრა დავიწყე, იშხნელი ამღერდა, თან მთხოვა – ამყევით

ულს ვუმაღლი, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, ბევრი ცნობილი ადამიანი გავიცანი.

– თქვენს ალბომში თამარ იშხნელთან ერთად გადაღებული ფოტოც ვნახე...

– ერთხანს ვთანამშრომლობდი ჟურნალთან – „საქართველოს ქალი“. მაშინ მთავარი რედაქტორი ქალბატონი მარიკა ბარათაშვილი გახლდათ. ერთხელ მითხრა – თამარ იშხნელის საიუბილეო თარიღი ახლოვდება და ახლავე დავურეკავ, რომ ინტერვიუზე შევთანხმდეთო. დათქმულ დროს შინ ვესტუმრე. ბევრი ვისაუბრეთ. ინტერვიუს შემდეგ, უცებ დატრიალდა და სუფრა გამალა: ისე როგორ გაგიშვა, რომ ღვინო არ დაგალევიხო?! – მითხრა. საუბარში მისი შვილი – ლილიც შემოვივრთდა. სასმელი რომ მომეკიდა, გავთამამდი და კედელზე დაკიდებული გიტარა ჩამოვიღე. – უკრავ, გენაცვალეო? – მკითხა ქალბატონმა თამარმა. – რაღაცას ვახერხებ-მეთქი, – ვუპასუხე და დავიწყე ესპანურები, კლასიკურები... უცებ მკითხა – „სულიკოს“ თუ დაუკრავო? დაკვრა დავიწყე, იშხნელი ამღერდა, თან მთხოვა – ამყევით. – როგორ გეკადრებათ? თქვენთან ხმას როგორ ამოვიღებ-მეთქი?!. – მოკრძალებით ვიუარე. ქალბატონ თამარს გაეღიმა და მითხრა: ჩემთან ვანო სარაჯიშვილი არ თაკილობდა სიმღერას და როგორ – შენ არ კადრულობო?!. ეს ამბავი ანეკდოტით დადიოდა მაშინ...



დადის ან მამის მამა	ნობი	გმა, რომელსაც გასასვლელი არა აქვს	რეცხვაში გამოსუფთავებული ლურჯი საღებავი	მოდულებული ყურძნის წვენი	მომღერალი ჯონ ... ჯოვი	... და არა ... რა	ფულის გამოძალვა

განვადგინოთ სისხლიანი შესანიშნავი თემაზე „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს. ჩვენს კითხვებს უპასუხებს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა კონსტანტინე ვიორბაძე.

შეგწიროთ თუ არა უფლის სახელზე აღთქმული „საღმრთო“?

მორენა მერკვილაძე

— როგორც აღნიშნეთ, მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა ჯვარზე დაღვრილი სისხლით იხსნა ცოდვით დაცემული კაცობრიობა, სისხლიანი მსხვერპლშენიშნა გაუქმებულია ანუ ქრისტეს ეკლესიისთვის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა მიუღებელია. მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე შემორჩენილია უფლის სახელზე „საღმრთოს“ დაკვლა. როგორ შეიძლება აღვიქვათ ეს ქმედება — დასაშვებ ხალხურ ჩვეულებად თუ უფლის წინაშე ჩადენილ ცოდვად?

— მართლმორწმუნე ქრისტიანმა უნდა იცოდეს, რომ როდესაც ადამიანი სწირავს სისხლიან მსხვერპლს, ამით იგი უარყოფს ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს. არც ერთი ცხოველის დაღვრილ სისხლს არ შეუძლია, გვიხსნას განსაცდელისგან ან გამოიყიდოს ჩვენი ცოდვები. არ შეიძლება, უფალმა წყალობა მოგვანიჭოს იმის გამო, რომ ჩვენ მის სახელზე საკლავის დაკვლა აღუთქვით და შემდეგ, შესაწირის სახით, დაკვალთ. „საღმრთოს“ დაკვლით არ გამოიხატება მადლიერება უფლისადმი, მით უმეტეს, რომ საკლავის დაკვლა ძირითადად, ხდება სალოცავებზე და არა მოქმედ ტაძრებში და ამას ხშირად, ღრუბა მოსდევს. ამით კი ადამიანი, იმის ნაცვლად, რომ ღვთის მიმართ მადლიერება გამოხატოს და სანაცვლოდ, ღვთის წყალობა მიიღოს, იმრავლებს ცოდვებს და იმძიმებს სულს. როგორც აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც უფალი შეეწირა ზვარაკად, ადამიანთა განსაწმენდად და მათი ცოდვების გამოსაყიდად, სისხლიანი შესაწირი აღარ შეიწირება. აქედან გამომდინარე, როდესაც ადამიანი მაინც სწირავს უფლის სახელზე სისხლიან შესაწირს, უფლის ნებას გადადის, ე.ი. სცოდავს.

— საქართველოში მიცვალებულის სახელზე კენტ ცხვარს კლავენ. რა უნდა ვიცოდეთ მიცვალებულის სახელზე დაკვლულ ცხვართან დაკავშირებით?

— მიცვალებულის სახელზე ცხვრის დაკვლაც არაქრისტიანული ჩვეულებაა და ამ ქმედებით მიცვალებულის სულს ვერანაირად ვერ შევეწვევით. მიცვალებულის სახელზე ცხვარს კლავენ ორმოცსა და წლისთავზე. ჭირისუფალს ცხვრის დაკვ-



ლა შეუძლია მხოლოდ ხალხის დასაბურებლად და ამ ქმედებას რელიგიური მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს. მიცვალებულის სულს კი შეიძლება შეგვეწიროთ, მის სახელზე გაღებული მოწყალებით, „ფსალმთა“ კითხვით, მის სახელზე შეკვეთილი პანაშვილის გაღვნილი, მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში ტაძარში აღვლენილ, სპეციალურ მოსახსენიებელ პანაშვიდზე დასწრებითა თუ სხვა ქრისტიანული ქმედებით, რომლებიც დაღვნილია წმინდა ეკლესიის მიერ.

— აკურთხვებს თუ არა ეკლესია ცხვრის ან სხვა შინაური ცხოველის შემწირველთა რომელიმე შემთხვევაში?

— ცხვარი ან რომელიმე სხვა ცხოველი, ქრისტიანმა შეიძლება დაკლას საქველმოქმედო მიზნით, ყოველგვარი რიტუალური დატვირთვის გარეშე; თუ საკლავი ეკვლება უპოვართა დასაბურებლად — დაურიგოს გაჭირვებულებს, მიიტანოს მოხუცთა ან მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფარში. ასეთი ქმედება ადამიანს ღვთის სათნო საქმედ ეთვლება და უფლის წყალობასაც დაიმსახურებს.

— როგორ შეიძლება მოიქცეს ადამიანი, რომელსაც უცოდინარობის გამო, უკვე აღთქმული აქვს უფლის სახელზე „საღმრთოს“ დაკვლა?

— თუ ადამიანს აღთქმული აქვს უფლის სახელზე საკლავის დაკვლა, აღთქმა უნდა შეასრულოს. მას შეუძლია, აღთქმული ცხოველი დაკლას და დაურიგოს

გაჭირვებულებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ტაძრის შემოგარენში. შემწირველს შეუძლია ასევე, აღთქმული საკლავი მიიყვანოს მოქმედ ტაძართან და ჩააბაროს ღვთისმსახურს, თან, გადასცეს შემწირველთა სახელები, რათა მოიხსენიონ საეკლესიო ლოცვებში. შემწირველს შეუძლია, ღვთისმსახურს გადასცეს თანხაც, რომლითაც უნდა შეეძინა ცხვარი ან ღვთისმსახურის კურთხევით შესწიროს ტაძარს. თანხა შეიძლება გასცეს მოწყალების სახით. თუკი ამის საშუალება არა აქვს, ადამიანს შეუძლია საკლავის შესაძენი თანხა ნაწილ-ნაწილ გაიღოს — რამდენის გაღების საშუალებაც ექნება.

— როგორ შეიძლება გამოხატოს ადამიანმა მადლიერება უფლისადმი მძიმე ავადმყოფობისა თუ სხვა განსაცდელისგან ხსნის გამო ისე, რომ ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლი უფლისთვის მისაღები იყოს?

— საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ მადლიერების გამოხატვაში, არსებობს თხოვნა. ამიტომ ნებისმერი განსაცდელის ჟამს, უფლის მიმართ უპირველესად უნდა აღვაგვინოთ თხოვნა — ანუ ლოცვით შევთხოვოთ უფალს შეწყვენა. მთავარია, ჩვენი ლოცვა იყოს გულწრფელი და თან ახლდეს რწმენა იმისა, რომ უფალი აუცილებლად შეგვეწყვე და მოგვმადლებს წყალობას. მას შემდეგ, როდესაც უფლისგან მივიღებთ წყალობას, გამოვხატავთ მადლიერებას. მადლიერების გამოხატავად, ადამიანს შეუძლია, მივიღოს ტაძარში და მოძღვარს სთხოვოს, ავადმყოფის სპეციალური „სამადლობელი პარაკლისი“. უფლისადმი მადლიერების გამოხატავად, ადამიანმა უმანკო ცხვარი კი არ უნდა დაკლას, არამედ მოკლას საკუთარი არაქრისტიანული ფიქრები და სურვილები.

— რა სახის შესანიშნავია მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უფრო მისაღები?

— ქრისტიანმა უფალს უპირველესად უნდა შესწიროს ლოცვა, მარხვა, ღვთისმსახურებაზე დასწრება და დაიცვას ქრისტეს მცნებები — ანუ დაადგეს უფლის მართალ გზას, მივიღოს უფალთან მისივე ტაძარში და დაემორჩილოს მის კანონებს. ამასთანავე, ქრისტიანს შეუძლია, შესაწირის სახით გაიღოს და ეკლესიას შესწიროს: ხორბალი, სანთელი, ნახშირი, ფქვილი, ღვინო, ზეთი, ხატი თუ ეკლესიისთვის საჭირო სხვა ნივთები. ასევე შეიძლება, შეგწიროთ თანხა, ოქრო ან ის ნივთი, რომელიც შეიძლება გავიღოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ნივთიერი შესაწირი არის ის, რასაც შენს გულს სწყვეტ, შენ იკლებ და უფალს სწირავ, სანაცვლოდ კი უფლისგან უდიდეს წყალობას მიიღებ.



მარცხნიდან, პეგრე გელბახიანი (უმცროსი), გედი გელბახიანი, მეულესთან, ნუსიკო გაგიშვილთან ერთად

გედი გელბახიანი:

პატიშრობა ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია პატიშრობის მოვლა...

ნუსა თოფჩიშვილი

ამ ოჯახთან და მის დევნასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. გედი გელბახიანთან შეხვედრისას, ამ პასუხების მიღებას ვისახავდით მიზნად.


— ბატონო გედი, უპირველესად გთხოვთ, მოგვითხროთ იმ ავადსახსენებელი ტერაქტის შესახებ. რის საფუძველზე დაგაპატიმრეს თქვენ და თქვენი შვილი?

— ჩემი და ჩემი შვილის საქმე, როგორც ჩვენთვის მერე გახდა ცნობილი — მთავრობის სპეცსამსახურების მიერ წინასწარ დაგეგმილი და მოწყობილი ისეთი მასშტაბის პროვოკაცია-ტერაქტი იყო, რომლის შედეგადაც ბევრი ხალხი უნდა დახოცილიყო (ოლონდ, ჯაბა იოსელიანს არაფერი უნდა მოსვლოდა). ის, რაც შევარდნაძემ ვერ აისრულა მამაჩემთან დაკავშირებით (ვევლისხმობ სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას), ჩვენ მიმართ უნდა განეხორციელებინა... როდესაც ჩემი და ჩემი შვილის პროცესი მიმდინარეობდა, ბატონმა შევარდნაძემ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა: უზენაეს სასამართლოს დაავიწყდა უმაღლესი ზომის არსებობა. დიდი ხანია ეს სასჯელი არ ამოქმედებულა... გეკითხებით — ნიშნავს თუ არა ეს პირდაპირ ზეწოლას სასამართლოზე?.. სწორედ ამიტომ მოსამართლემ, ჩემს შვილს, სასჯე-

ლის უმაღლესი ზომა — დახვრეტა გამოუტანა. რაც შემეხება მე, მაშინდელმა პატივცემულმა პროკურორმა თქვა: მასაც დახვრეტა ეკუთვნის, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მის ასაკს, 13 წლით თავისუფლების აღკვეთას ვაკპარბთო... ჩემი მონაწილეობა ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში განსაკუთრებული თემაა. მინდა გავიხსენო ჩემი და ანზორ ბალუაშვილის (გენპროკურორის მაშინდელი მოადგილე — ავტ.) საუბარი დაკითხვაზე. მე ვუთხარი — ანზორ, რომ გამოვიდე ტელევიზიით და განვაცხადო, რომ ეს ტერაქტი ჩემი ხელმძღვანელობით არის მოწყობილი, ამას ხომ ქალაქში არც ერთი ჭკუათამყოფელი არ დაიჯერებს-მეთქი. ეს საუბარი შეეხებოდა თემურ ხაჩიშვილის განცხადებას გაზეთში, რომ ტერაქტის ორგანიზატორი მე ვიყავი. მაშინ იგი უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე იყო. დაკავების დღეს, როდესაც მე ოსადის კაბინეტში ხაჩიშვილმა და „წამლისაგან“ გათიშულმა რამდენიმე „მხედრიონელმა“ მიმიყვანეს, ცემის შედეგად ცალ ყურსა და თვალში 50% მგრძობელობა დავკარგე. ამ და სხვა დროს განხორციელებულ ძალადობაზე აღბრუნდი იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც პროკურატურამ მიაფუჩნა. ჩემი დაკითხვების დროს არავითარი აზრი არ ჰქონდა ჩემს მიცემულ ჩვენებებს. ისინი, რასაც უნდოდათ იმას წერდნენ. ჩვენ, სასამართლო პროცესს გამოუეცხადეთ უნდობლობა და პრო-

„ჩემი ცხოვრების გზა უმძიმესი იყო. ოჯახის წევრების პატიმრობა მიყოლებით, 30 წელი გრძელდებოდა...“ — ამბობს გედი გელბახიანი — კაცი, რომელმაც ჯერ მამის — აკადემიკოს პეტრე გელბახიანის გასამართლების სიმწარე განიცადა, წლების შემდეგ კი, შვილთან ერთად, თავადაც საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. გელბახიანის გვარი არაერთხელ მოქცეულა საყოველთაო ყურადღების ცენტრში: პირველად, გასული საუკუნის 70-იან წლებში როცა იმ დროს ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი მექრთამედ და დამნაშავედ გამოაცხადეს და სამეცნიერო წოდებებიც კი ჩამოართვეს... არანაკლებ ხმაურიანი და შესაძლოა, უფრო გამოგნებელიც კი იყო მისი შვილის — გედისა და შვილიშვილის — პეტრე-უმცროსის მიმართ წაყენებული ბრალდება — ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მონაწილეობაში, — რომელიც 1992 წელს წაუყენეს...

ტესტის ნიშნად აღარ დავსწრებივართ სხდომების ძირითადად ნაწილს. უცხოური ორგანიზაციების ზეწოლის და ევროსაბჭოს რეკომენდაციების და ჩარევის შემდეგ, შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელმაც კარგად შეისწავლა ჩვენი საქმე. უამრავი დარღვევისა და უკანონო სასჯელის გამო საქმე ხელმეორედ განიხილეს და სასჯელი შეცვალეს. დეტალურად ამაზე საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანს. ვინაიდან ჩვენი საქმე ძალზე გახმაურებული იყო, ციხეში ხშირად ვხვდებოდით უცხოელ წარმომადგენლებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, საკუთარი პროფესიონალიზმის წყალობით, სწორ დასკვნებს აკეთებდა, რაც უცხოეთიდან მნიშვნელოვანი რეკომენდაციების სახით უბრუნ-




იძულებული იქნა, გაექირავებინა თბილისში არსებული ბინა და იმით ერჩინა დატუსაღებული ქმარ-შვილი

ინფორმაციულ-მედიცინური კოლაჟი

ეონა ღვალის უბის წიგნაკვან:

1. პაგონოფობია წვერების შიშია.
2. გვარი — ვან გოგი აღარ არსებობს.
3. „კაფელი“ და „შორენკევი“ სინონიმებია.
4. ჩიხრინი ბამბის კურკის გამოსარჩევი მოწყობილობაა.
5. რახმანინოვის ხელის მტევანი 12 კლავოშს სწვდებოდა.
6. ჩხიკვს მეთრენაირად ჯაფარა ჰქვია, კაჭკაჭს — ჯოფარი.
7. რიჩარდ ტელმაჯი კასკადიორების მამამთავრად ითვლება.
8. ადამიანს, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებდა, ჩალვადარი ერქვა.
9. ნაპოლეონის გვირგვინი გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტებით იყო შემკული.
10. კანზასის შტატის ქალაქ სტარკში იხვისებურად დაყვინთება კანონით ისჯება.
11. ივრითული სიტყვები, არაბულის მსგავსად, მარჯვნიდან მარცხნივ იწერება.
12. ტუველები სასამართლოში ჩვენების მიცემისას, დათვის გამხმარ ცხვირზე იფიცებდნენ.
13. ფეხბურთელი თამაზ კოსტავა და მოდელი ლალი ტოტიკაშვილი 29 თებერვალს არიან დაბადებულები.
14. „ჩელენჯერის“ აფეთქების შემდეგ, ნასას ორი წლის განმავლობაში არც ერთი შატლი არ გაუშვია კოსმოსში.



15. რონალდ რეიგანი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა მსახიობის სტატუსით, რომელსაც კინოში გადაღებული ყველაზე ხანგრძლივი კოცნა ეკუთვნოდა — ეს კოცნა 3 წუთსა და 5 წამს გრძელდებოდა.

16. „ემშაკის ფრინველი“ — ასე ეძახიან ნამგალას ინგლისელები. ამ ფრინველს შეუძლია, ჰაერში გაატაროს მთელი ცხოვრება.
17. ვილი, ზუანიტო, ტიპი და ტეპი, გაუჩო, ნარანხიტო, პიკე, ჩაო — ეს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების თილისმათა ჩამონათვალია.
18. თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღე დამარსებლებმა 8 თებერვალს — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაამთხვიეს.
19. ივანოვის სურათზე — „ქრისტეს

ღებოდა შევარდნადის მთავრობას. ყველაფერმა ამან, ჩვენ, სიკვდილს გადავვარჩინა. მასხენდება, შემდეგ წლებში ერთ-ერთ ინგლისელ ჟურნალისტთან საუბარი. მან ერთი ათჯერ გამიმეორა კითხვა — თუ როგორ მოხდა ჩემი დაპირისპირება მოწმესთან სასამართლოზე. მეც რამდენჯერმე გავუმეორე, რომ მე იქ არ ვყოფილვარ. ჩვენ ისე დავამთავრეთ საუბარი, რომ მან ეს ყველაფერი არ დაიჯერა. არც ის დაიჯერა, რომ განაჩენი ჩვენ საკანში გამოგვიცხადეს და მე, როგორც ტერაქტის ორგანიზატორს, 13 წელი მომისაჯეს... მწარედ მეცინება, როდესაც ახლა შევარდნადის შვილები ლაპარაკობენ ეთიკური ნორმების დაცვაზე, საქმის პოლიტიკურ შეკვეთასა და შურისძიებაზე...

— შევარდნაძე თქვენს ოჯახს არ ნყალობდა. მამიდან დაინყო და მესამე თაობასაც გადასწვდა... თუ შეხვედრისათვის ოდესმე?

— შევარდნაძე მართლაც არ წყალობდა ჩვენს ოჯახს. ყველაფერი კი უმაღლეს საბჭოში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე დაიწყო. მაშინ შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. შეხვედრაზე განიხილავდნენ ნარკოტიკული საშუალებების მოქმედებას. მოგეხსენებათ, მამაჩემი წამალთმცოდნე განვლდა და მას შევარდნაძესთან კამათი მოუვიდა. მამაჩემმა უთხრა: ელჟარდ, შენ პრიმიტივი ხარ და ჩემს ნათქვამს ვერ გაიგებ, იმისათვის, რომ ეს გაიგო, ჩემს დონემდე უნდა მოხვიდეო... ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გულში ბოღმა ჩაეღო და სამაგიერო როგორც გადაუხადა, უკვე ყველამ იცის. მით უმეტეს, როგორ გვაპატიებდა ეროვნული ხელისუფლების და ბატონი ზვიად გამსახურდიას გვერდით ღვობას?... რაც შეეხება შევარდნაძესთან შეხვედრას — მას პირადად არ ვიცნობდი, საერთოდ არ შეხვედრივარ და დმერთს ვთხოვ, არც არასოდეს შემახვედროს. აი, მამაჩემი კი კარგად იცნობდა. შევარდნაძე

ხშირად აწუხებდა მას თხოვნით — პროტექციას უწევდა ვილაც-ვილაცებს — და მამა შეძლებისდაგვარად უსრულებდა. ამგვარი 15 ეპიზოდი მამაჩემის მიერ მასალებშიც არის მოხსენიებული. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ იმდროინდელი კა-გე-ბეს თავმჯდომარის ალექსი ინაურის პროტექციათა რიცხვი 10 წლის მანძილზე 35-ს აღწევდა...

— ბატონო გედი, მასხოსეს, საზოგადოებაში ლეგენდები დადიოდა სამედიცინო ინსტიტუტში მონყობაზე, გამოცდებზე გასული აბიტურენტები თუ მათი მშობლები პირდაპირ ასახელებდნენ თითოეული საგნის ფასს და ბევრმა დაიჯერა კიდეც, რომ მამათქვენი დამნაშავე იყო...

— სამედიცინო ინსტიტუტის რექტორობიდან მამაჩემი 1972 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. ეს, ცეკას პირველ მდივნად შევარდნადის დანიშვნის შემდეგ, პირველსავე ბიუროს სხდომაზე მოხდა. მამა 10 თვის შემდეგ დააპატიმრეს. რამდენიმე თვე პატიმრობაში ისე გაატარა, რომ უმაღლესი საბჭოს წევრად რჩებოდა... როდესაც ბიუროს სხდომაზე მისი დაპატიმრების საკითხი იხილებოდა, ერთ-ერთმა წევრმა შეპბედა შევარდნაძეს: ამ მასალებით ძნელია ადამიანის დაპატიმრებაზე საუბარიო. მისი პასუხი მკვახე იყო: დავიჭერო და შემდეგ გამოჩნდებო... 1972 წელს სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრილ პირველკურსელებს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ხელახლა ჩააბარებინეს გამოცდები. ამ გამოცდებზე რაიმე განსაკუთრებული გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა. ის ადამიანები, რომლებიც იმ და წინა წლებში მოხვდნენ სამედიცინო ინსტიტუტში, როგორც მაშინ შევარდნაძე ბრძანებდა, — პროტექციონიზმის წუმქეში მიღებულნი და ყველანი, განურჩევლად, უღირსნი იყვნენ. მაგრამ დღეს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, წამყვანი პროფესიონალია დღევანდელ ქართულ მედიცინაში, ზოგი კი, თვითონ შევარდნადის ხელისუფლების პირველ პირებს შორის აღმოჩნდა. მე მათ ყველას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მათი უმრავლესობა კარგად სწავლობდა. ახლა, რაც შეეხება იმას, იღებდა თუ არა პირადად პეტრე გელბახიანი ქრთამს? სამწლიანი გამო-



პეტრე გელბახიანი (უფროსი)

ძიების შედეგად, რომელშიც პროკურატურის, კა-გე-ბესა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯგუფები მონაწილეობდნენ, მისალბე გამოცდებში ინსტიტუტის და განსაკუთრებით, მოწვეულ პედაგოგებში აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც აღებული ჰქონდათ ქრთამი. მე კარგად ვიცი, რომ მათზე არნახული ზეწოლა იყო, რათა მათ ეღიარებინათ, რომ აღებულ ქრთამს გელბახიანს აძლევდნენ. აქ ლაპარაკია ათასობით მოწმის სახით დაკითხულებზე და აღმოჩნდა მხოლოდ ერთი პედაგოგი – ფიზიკის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე სერგო მეტრეველი, თანაც ის მაშინ ავად იყო, უროლოგიის ინსტიტუტში იწვა მძიმე მდგომარეობაში და სწორედ იქ მოხდა მისი „დაბრუნება“ კა-გე-ბეს მიერ; რის შედეგადაც თქვა, რომ მის მიერ აღებული 10 ათასი მანეთიდან 5 ათასი პეტრე გელბახიანს გადასცა. სასამართლო პროცესზე არც ეს ფაქტი დადასტურდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, განაჩენის გამოცხადების დღეს, პროცესზე შემოვიდა უმაღლესი სასამართლოს პასუხისმგებელი პირი და მოსამართლე სულავას მაგიდაზე დაუდო ფურცელი რომელზეც ეწერა ციფრი 15 (ეს, თვითონ მამაჩემმა დაინახა) – ე.ი. 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. რამდენიმე წელში მეტრეველი გარდაიცვალა... მე ვიცნობ მისი ოჯახის წევრებს და მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს შევარდნადის დავალებით შეთხზული ეპიზოდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეტრეველი აღიარებდა ქრთამის სახით აბიტურიენტ ღვალაძისაგან ამ თანხის აღებას, იგი ერთი საათითაც არ დაუკავებიათ. შევარდნადის უშუალო მითითებით, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ (სამეცნიერო წოდებების მიმნიჭებელი საკავშირო ორგანო. – ავტ.) მამაჩემს 20 წლის წინ დაცული სადოქტორო დისერტაცია გაუუქმა. მისი უშუალო მითითებით პეტრე გელბახიანი აკადემიიდანაც გარიცხეს, რის შესახებაც, წლების შემდეგ, აწ გარდაცვლილი აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე წერდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დიდხანს ვერ ჩამოირეცხავს იმ სამარცხვინო ლაქსს, რაც მან გელბახიანის აკადემიიდან გარიცხვით ჩაიდინა... წყნეთის აგარაკი, რომელიც 1959 წელს, 6 ათას მანეთად იყო აშენებული მთავრობის მიერ, სასახლედ შერაცხეს. ჩხრეკისას კედლებიც კი დათხარეს – ფულს და ოქროს ამაოდ ეძებდნენ. წყნეთის სახლი ახლაც ისევ ისეთი დანგრეულია. ჩვენი ოჯახი ვერ იქნა და ვერ დადგა ფეხზე მის შესაკეთებლად.



გედი გელბახიანი ცოლთან ერთად ციხეში

გადახედონ შევარდნადის ოჯახის წევრებმა თავიანთ აგარაკებს და ბინებს ბადენბადენში, საგურამოში, პარიზში და კიდევ ბევრ პრესტიჟულ ადგილას... მისი ოჯახის წევრებმა, იმ უზარმაზარ ქონებას, რომელიც საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში დააგროვეს, შეიძლება, კანონიერი უწოდონ, როდესაც მილიონობით ქართველი ლუკმაპურის საშოვნელად მთელ მსოფლიოშია მოძებნილი შევარდნადის „წყალობით“? და ამ დროს მისი შვილები დემოკრატიაზე, სინდისსა და პატიოსნებაზე გველაპარაკებიან...

— სასწაული რომ მოხდეს და ოცდაათი წელი მოგაკლდეთ, ცხოვრების ისევ იმ გზას აირჩევდით?

— ხშირად მივმართავ ჩემს თავს ამ კითხვით. მიყოლებით, 30 წელი გრძელდებოდა ოჯახის წევრების პატიმრობა. ყველაზე მხელი პერიოდი ჩემთვის, 1992 წლის სექტემბრიდან 1994 წლამდე იყო. საგამომიბუო ორგანოებში შევარდნადის რეჟიმის დროს სრული განუკითხაობა სუფევდა. ქალაქის პოლიციაში, ციხეში, უშიშროების ჯურღმულებში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა იყო გაჩაღებული. ამ წლების პოლიტპატიმრები, რომლებიც სიკვდილს გადაურჩნენ, ფიზიკურად დასახიჩრდნენ... ჩემგან მოთხოვნიდნენ, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია მეგინებინა. რასაკვირველია, მე ეს არ გავაკეთე. ვინც ეს ვერ შეძლო და წამებას ვერ გაუძლო, ისინი ძალიან მალე გათავისუფლდნენ. დაპატიმრებული ხალხის რაოდენობა იმ პერიოდში ძალიან დიდი იყო. მათი აბოლოუტური უმრავლესობა ნაწამები ან მოკლულია. ტელევიზიის ზოგიერთი არხი ტყუილად ცდილობს, დღევანდელი მოვლენები იმ პერიოდს შეადაროს... 7 წლის პატიმრობის შემდეგ, როდესაც გერმანიის ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ (იგფმ) მე და ჩემი მეუღლე მიგვიწვია, ამ ორგანიზაციის წლიურ შეკრებაზე სიტყვით გამოვედი. არ დამეწყდება 100-მდე გერმანელის თვალცრემლიანი სახე. გამოსვლის ბოლოს, მე ვთხოვე აუდიტორიას, უფრო აქტიურად დახმარებოდნენ ჩემს შვილს (მა-

ინფორმაციულ-შეფხვნილობითი კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკოდან:

გამოცხადება ხალხთან – უკანა პლანზე ხალხის მასაში ნიკოლოზ გოგოლის სახეს შენიშნავთ.

20. „მეფისტოფელის“ სიუჟეტზე 53 ოპერაა დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი, იტალიელი არიო ბოიტოს შექმნილია და 6 საათი და 10 წუთი გრძელდება. ამის გამო იგი არსად არ იდგმება.

21. სადაზღვევო კომპანიაა „ლოიდი“ ნებისმიერი რამისაგან აზღვევს ადამიანს. ერთადერთი, რის დაზღვევაზეც ეს კომპანია კატეგორიულ უარს აცხადებს, ესაა ჰოლივუდის ვარსკვლავების დაზღვევა განქორწინებაზე.

22. რადგან პეტრე ბურგის ასაშენებლად ქვითხურობი არ ჰყოფნიდათ, 1714-1741 წლებში, პეტრე პირველის განკარგულებით, რუსეთის ყველა ქალაქში აიკრძალა ქვისაგან საცხოვრებელი სახლების შენება.



23. ესპანეთის ფეხბურთის ერთ-ერთი რეგიონული ლიგის მატჩის დროს, არბიტრმა ისე უსამართლოდ იმსაჯა, რომ მასპინძელი გუნდის აღმფოთებულმა ხელმძღვანელობამ მას ჰონორარი – 11.200 პესეტი ერთპესეტანი მონეტებით გადაუხადა. სურდა ფულით სავსე ტომარა 36 კილოგრამს იწონიდა, რის გამოც არბიტრი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ჰონორარზე.

24. ინგლისელი მწერალი ბენეტი სამეფო კარის ნადიმზე მიიწვიეს. მან შეამჩნია, რომ მისკენ იორკელი პერცოგი, მომავალი მეფე გეორგ VI გაეშურა. შემფოთებულმა ბენეტმა მეზობელს გადაუწერწულა: „დემერთი ჩემო, თუ გამომელაპარაკა, ვშიშობ, დარჩენილ სიცოცხლეს ტაუერში გავატარებ“. ბენეტს, გეორგ მეექვსის მსგავსად, ენა ებოდა...

25. XX საუკუნის 50-იანი წლების რუსეთში, ორი ლოთი, როდესაც ერთი ბოთლი არყის საყიდლად ფული არ ჰყოფნიდა, მესამე თანამეინახის ძებნაში გამეულელებს ეკითხებოდა: „ბაშაშკინი ბუდეშ“ ანატოლი ბაშაშკინი საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების მცველი იყო და მესამე ნომრით ასპარეზობდა. P.S. 80-იან წლებში, ზემოთ ხსენებულ ფრაზაში ბაშაშკინის გვარი ჩივაძით შეიცვალა.

შინ პეტრეს დახვედრა ჰქონდა მის-
ჯილი). საერთაშორისო ორგანიზაციე-
ბის ძალიან ფართო გამოხმაურებას
მოჰყვა ჩვენი საქმეების გადასინჯვა და
ამან გადავარჩინა... მიუხედავად ამ
ყველაფრისა, ვიპასუხებთ: ჩემი ცხოვრე-
ბის წესიდან გამომდინარე, იმავე გზას
გავივლიდი...

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— დღეს თბილისის სახ. სამედიცი-
ნო უნივერსიტეტის შინაგან სნეულება-
თა №5 კათედრის გამგე გახლავართ.
ეს კათედრა მე-8 საავადმყოფოს ტერი-
ტორიაზეა განთავსებული. ციხიდან გა-
მოსვლის შემდეგ შექმნილი, მომეწყო ეს
ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თან-
ამედროვე აპარატურით, იქვეა ლაბორა-
ტორიები, სადაც მე და ჩემი მეგობრები,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის პროფესორ ვაი მრევლიშვილთან
ერთად პრინციპულად ახალ ოსმომეტრ-
ვისკოზომეტრზე ვმუშაობთ სრული დაუ-
ფინანსებლობის პირობებში. მე და აკა-
დემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი უკვე
ორი წელია, ვიბრძვით იმისთვის, რომ
როგორმე 15-საწლიანი უფასო სამედი-
ცინო დახმარება მოვაწყოთ უმწვეო-
თათვის. ესეც ძველი ხელისუფლების
დამსახურებაა. არადა, უამისოდ არას-
რულყოფილია სასწავლო პროცესი, შეუ-
ძლებელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაო-
ბა. ძალიან მიყვარს პედაგოგიური საქმი-
ანობა. ყველაზე მეტად ციხეში ყოფნი-
სას სტუდენტებთან ურთიერთობა
მენატრებოდა. სხვათა შორის, ციხეში
ხშირად შეგხვედრივარ ჩემს ყოფილ
სტუდენტებს — ექიმებს და მათგან უაღ-
რესად დიდ სიყვარულს და პატივისცე-
მას ვგრძნობდი. ახლაც მგონია, რომ
ჩემს სტუდენტებს ვუყვარვარ, მიუხედა-
ვად კათედრაზე დამკვიდრებული სიმკაც-
რისა...

— ახლა თქვენი ოჯახის, შვილების შესახებაც მოგვიყვით. რას საქმიანობს პეტრე?

— პეტრე შარშან, 6 ნოემბერს ფი-
ნეთში წავიდა პოლიტიკური ემიგრან-
ტის სტატუსით. „ვარდების რევოლუცი-
ის“ წინ, როდესაც რკინიგზის დეპარ-
ტამენტის უფროსი აკაკი ჩხაიძე მის
დაპატიმრებას მოითხოვდა, რადგან მისი
თქმით, სამტრედიაში გზის გადაკეტვამ
(სამი საათით!...) დიდი ზიანი მიაყენა
საქართველოს ბიუჯეტს, შინ მოგვიტანეს
ოთხი უწყება, რომლითაც მას რკინიგ-
ზის პროკურატურაში დაკითხვისთვის
იძახებდნენ. ბოლოს, სანქცია გასცეს
დაპატიმრებაზე. ასე რომ, შევარდნაძის
რეჟიმის წყალობით და მისი უშუალო
მონაწილეობით, პეტრეს კვლავ ციხე
ელოდა და ამის გამო მას მოუწია
საქართველოს დატოვება და ფინეთში
გამგზავრება. ის ემიგრაციიდან სულ
ახლახან დაბრუნდა და პოლიტიკურ
საქმიანობას აპირებს. პროფესიით თერ-
აპეკტი-იმუნოლოგია, მედიცინის მეც-
ნიერებათა კანდიდატი გახლავთ.
საუკეთესო წლები მან ციხეში გაატ-
არა, მაგრამ არასოდეს უღალატია ზვი-
ად გამსახურდასთვის და მისი იდე-
ალებისთვის. ეს უკანასკნელი სამშობ-
ლოს სიყვარულია. მყავს ქალიშვილი
თამარი, ინლისური ენის სპეციალისტი,
რძალი ლელა გიორგობანი — ექიმი-
კარდიოლოგი, სიძე ირაკლი კიკალიშ-
ვილი — ინჟინერი, წყალბურთელი, საერ-
თაშორისო კატეგორიის მსაჯი; 4 შვილ-
იშვილი: ოთარი, გედი, თინათინი და
დავითი. ასე რომ, გელახიანების გენი
მრავლდება და ალბათ მოვა დრო და
ისინიც იტყვიან თავიანთ სათქმელს.
არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩემი მეუღ-
ლის — ნუციკო ტატიშვილის მძიმე
ხვედრი ოჯახის წევრების 30-წლიანი
პატიმრობის პერიოდში. იგი პროფესიით ექიმა,
მედიცინის მეცნიერება-
თა კანდიდატი, წლების
მანძილზე ეწეოდა აქ-
ტიურ პედაგოგიურ
მუშაობას სამედიცინო
ინსტიტუტის კათე-
დრაზე. მიატოვა სამ-
უშაო და უვლიდა მოხ-
უც, უკვე მძიმედ და-
ვადებულ მამამთილს და
ორ პატიმარს — მე და
ჩვენს შვილს. ყვე-
ლაფერს აკეთებდა
წარბმუხრელად, ვაჟკა-
ცურად და კიდევ აქეთ,
ჩვენ გვამხნევებდა. არა-
სოდეს დაუწუწუნია და

ახლაც რომ შეხედოთ მას, ვერ წარ-
მოიდგენთ, რომ ამ ქალბატონმა ასეთი
მძიმე წლები გააარა... ნუცა, საქართველო-
ში პათოლოგიური ანატომიის ერთ-ერთი
ფუძემდებლის, აკადემიკოს ირაკლი
ტატიშვილის ქალიშვილი გახლავთ.
ნაფერები, განებივრებულად გაზრდილი,
მაგრამ ვაჟკაცური ბუნების ადამიანია.
პატიმრობა, მოგესხენებათ ძნელია, მა-
გრამ უფრო ძნელია პატიმრების მოვლა,
თუმცა მან ეს გმირულად შეძლო სამივე
თაობასთან. ჩემი და ჩემი შვილის დაპ-
ატიმრების შემდეგ იძულებული იქნა,
გაექირავებინა თბილისში არსებული ბინა
და იმით ერჩინა დატუსაღებული ქმარ-
შვილი. ჩემმა მეუღლემ სამი ბინა შე-
იცვალა, უფრო პატარაში გადავიდა
ავადმყოფ „მილიონერ“ მამამთილთან
ერთად, რომ ნაკლები ქირა ეხადა და
როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა 1996
წელს, ნაქირავები ბინიდან გაასვენა...
ამით კარგად ჩანს, თუ ვინ ვინ იყო და
არის. შევარდნაძეები კი, ზომ გესმით, რა
თამამად ლაპარაკობენ 2 მილიონი
ლარის გირაოდ გადახდასა თუ უცხ-
ოელი ადვოკატების ჩამოყვანაზე?..

**— ...ძალზე სიმპათიური პატი-
მარი ბრძანდებოდით კლიპში — „მზიური ქვეყნის სერენადა“. ცოტა
რამ ამის შესახებაც გვითხარით.**

— როდესაც ბატონმა გურამ აბსან-
ძემ მითხოვა, ამ კლიპში მიმელო მონაწი-
ლეობა, მაშინვე დავთანხმდი, ვფიქრობ-
დი, რომ საინტერესო კლიპი გამოვი-
დოდა. გულახდილად გეტყვით — რომ
მცოდნოდა, კლიპში შევარდნაძეც იქნე-
ბოდა, არავითარ შემთხვევაში არ ვი-
სურვებდი მონაწილეობის მიღებას...

**— დაბოლოს — რა შეიცვალა
თქვენს ცხოვრებაში „ვარდებ-
ის რევოლუციის“ შემდეგ?**

— შეიძლება ეს სუბიექტურობაში
ჩამომერთვას, მაგრამ ყველაზე მთავარი,
რაც „ვარდების რევოლუციამ“ პირადად
ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის
მოიტანა, ეს შევარდნაძის რეჟიმის დამხ-
ობაა. მისი „შემოქმედება“ უკავშირდე-
ბა ათასობით ქართველი ოჯახის გა-
ნადგურებას (20000 პატიმარი, 30000
ლტოლვილი), ტერიტორიების დაკარგ-
ვას, გაძარცვულ ბიუჯეტსა და სახელმ-
წიფო პოლიტიკის რანგში აყვანილ
კორუფციას... რა შეიძლებოდა შეცვ-
ლილიყო ჩემს ცხოვრებაში ამ რამდენ-
იმე თვეში, გარდა დიდი იმედის გაჩენისა,
რომ ქვეყანა სიმართლის გზას დაადგე-
ბა, აღდგება საქართველოს ერთიანობა,
მოხდება დაქსაქსული ხალხის კონსოლ-
დაცია და შერიგება.



**პეტრე გელახიანი
(უმცროსი) შვილებთან
ერთად**

NBA -ს განმსტერი



მაიზნი, ნარჩნი, ნაციხარი, განსტერი, ნიგერი – ამ მეტსახელებით მოიხსენიებენ NBA-ს მოედნების ტრიბუნებზე კალათბურთის ქომაგები „ფილადელფის“ უკანახაზელ ალენ აივერსონს. როდესაც ალენი პირველად გამოჩნდა ლიგაში, ზოგი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ზოგიც ვერ იტანდა და მისი სახელის ხსენებაც არ სურდა. აივერსონს ჯერ არც ერთი მატჩი არ ჰქონდა ჩატარებული NBA-ში, როცა პრესაში მასზე უკვე ისეთ სკანდალურ და შემაფოთებელ ცნობებს აქვეყნებდნენ, როგორსაც ასოციაციის მთავარი ხულიგნის, დენის როდმანის გამოც კი არავინ მოიფიქრებდა... ალენს უტიფარ ახალბედად მიიჩნევდნენ, რომლისთვისაც თვით მისი უდიდებულებობა „მფრინავი მაიკლიც“ კი არაფერს წარმოადგენდა. კალათბურთელის საწინააღმდეგოდ წამოწყებულ კამპანიას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ აივერსონი არცთუ ისე იშვიათად ეხვეოდა სკანდალებში. ერთი სიტყვით, „ფილადელფის“ ახალწვეულის მისამართით ტრიბუნებიდან ყოველთვის უხამსი რეპლიკები ისმოდა. ახალგაზრდა მოთამაშესთან არც მის კოლეგებს ჰქონდათ მაინცდამაინც მეგობრული დამოკიდებულება. სხვა სპორტსმენი ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო ალბათ, ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ალენ აივერსონი მათ რიგს ნამდვილად არ განეკუთვნებოდა და დიდ მორალურ სიმტკიცეს იჩენდა.

მან ღირსეულად ჩააბარა ყველა გამოცდა. „თითოეულ მატჩზე ისეთი განწყობით გავდივარ, როგორც ჩემ-

თვის უკანასკნელ თამაშზე...“ – ამბობდა იგი, ყოველ შეხვედრაში მართლაც, ბოლომდე იხარჯებოდა და ყველას უმტკიცებდა, რომ შეუდარებელი იყო. ალენი დაასახელეს საუკეთესო ახალწვეულად, რამდენჯერმე შეიყვანეს გუნდში, რომელმაც ყველა ვარსკვლავის მატჩში მიიღო მონაწილეობა, აღიარეს NBA-ს საუკეთესო მოთამაშედ. აივერსონი ათასობით გულშემამტკიერის საყვარელ კალათბურთელად იქცა, მაგრამ ქომაგთა ნაწილისთვის იგი კვლავაც რჩებოდა ლიგის ყველაზე საძულველ პერსონად. „ფილადელფის“ ვარსკვლავისადმი სექსტიკურად განწყობილ ადამიანებს ძალზე აღიზიანებდათ ალენის ვარცხნილობა, სვირინგები და ჩაცმულობა. მიუხედავად ამისა, სკანდალური კალათბურთელი მაინც მოხვდა საოცნებო Dream Team-ში. ამ აღიარებამდე კი, მას დიდი ბრძოლა უხდებოდა NBA-ს ჩინოვნიკებთან, მოთამაშებთან და პრესასთან, რათა საკუთარი უარყოფითი იმიჯი პოზიტიურით შეეცვალა.

1975 წლის 7 ივნისს, ჰამპტონში (ვირჯინიის შტატი) 15 წლის ენი აივერსონს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც ალენი დაარქვა. მომავალი ვარსკვლავის მამა უმეტეს დროს ციხეში ატარებდა, ამიტომ ალენი ხანგრძლივი დროის მანძილზე ოჯახში ერთადერთ მამაკაცად ითვლებოდა. იგი არა მარტო უმცროს დებზე, არამედ ოჯახში ცხელი წყლისა და ელექტროენერჯის პრობლემის გადაჭრაზეც ზრუნავდა. ენიც იმდღეს არ კარგავდა, რომ მისი ვაჟიშვილი წამოიზრდებოდა და ოჯახს დაეხმარებოდა.

ძალე ალენი ამერიკული ფეხბურთითა და ბეისბოლით დაინტერესდა. სპორტის ამ სახეობებში ბავშვობაში მას გარკვეული მიღწევებიც ჰქონდა, კალათბურთი კი თავიდან, მეტისმეტად „რბილ“ თამაშად ეჩვენებოდა. დადგა დღე, როდესაც „ფილადელფის“ მომავალი ლიდერი დედამ აიბუღა, რომ კალათბურთის სექციაში სავარჯიშოდ შესულიყო, რამაც ალენი ძალზე გაანაწყენა. იგი ბავშვობაშივე შეამბოხის ხასიათით გამოირჩეოდა და მისი მოთვინიერება (ისევე, როგორც ამჟამად) მხოლოდ

დელას შეეძლო. ამრიგად, მისი აივერსონმა თავისი გაიტანა და არც შემცდარა. ალენი კალათბურთით დაინტერესდა და უმაღვე გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. იგი გამხდარი და არცთუ ისე მაღალი იყო, თუმცა, როგორც იმ დროს მისი მნახველი სპეციალისტები ამბობენ, 10 წლის ასაკში უკვე 16 წლის კალათბურთელთა დონეზე თამაშობდა და არც უფროსებთან ძალისმიერ ორთაბრძოლას გაურბოდა. ერთი სიტყვით, სპორტი აივერსონის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ANSWER (პასუხი, გადაწყვეტილება) – ასე მოიხსენიებდნენ თანატოლები ალენს, რადგან მას მოედანზე ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეეძლო. ახალგაზრდა აივერსონისთვის საკალათბურთო კარიერა მართლაც, ჩინებულად დაიწყო, მაგრამ 17 წლის ასაკში ისეთი დანაშაულის თანამონაწილე აღმოჩნდა, რომლის გამოც ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. წმინდა ვალენტინის დღეს, ალენსა და მის შავკანიან მეგობრებს ბარში თეთრკანიან თანატოლებთან კონფლიქტი მოუხდათ, რის შემდეგაც კალათბურთელს, გოგონას სკამით ცემაში დასდეს ბრალი... ციხეში აივერსონმა მხოლოდ 4 თვე დაყო – იგი ვირჯინიის შტარის პირველი შავკანიანი გუბერნატორის ძალისხმევით,





თავდებით გაათავისუფლეს. „ამ შემთხვევამ ძაღები შემმატა. არ ვიცი, გავხდებოდი თუ არა ასეთი, აღნიშნული ინციდენტი რომ არ შემთხვეოდა. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში, ბევრი რამ ვნახე და გავიგე“, – ამბობდა მოგვიანებით აივერსონი, რომელსაც ვარჯიში ციხეშიც არ შეუწყვეტია, რადგან გათავისუფლების შემდეგ, კოლეჯში სწავლის გაგრძელებას აპირებდა. როდესაც გაათავისუფლეს, არც ერთ უნივერსიტეტს არ სურდა მისი მიღება. ენი აივერსონმა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელს, ჯონ ტომპსონს მიმართა და ეს უკანასკნელი, ვაჟიშვილის მიღებაზე დათანხმდა. ალენი გუნდში მართლაც ჩარიცხეს, ხოლო ტომპსონმა უდიდესი როლი ითამაშა მის საკალათბურთო წინსვლაში. „ტომპსონი ჩემთვის მამასავით იყო. მან დიდი დახმარება გამიწია, – ისწავებს აივერსონი, – ნებისმიერ დროს შემქმნელი მასთან მისვლა და საკუთარ პრობლემებზე საუბარი. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მომისმენდა და სიძნელების დაძლევაშიც დამეხმარებოდა. ჩვენ უფრო ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ვიდრე ჩვეულებრივი მწვრთნელი და მოთამაშე“.

ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სწავლისას, აივერსონი იძულებული იყო, ფეხბურთი მიეტოვებინა და კონცენტრაცია მთლიანად კალათბურთზე მოეხდინა. მაღე იგი სასწავლებლის გუნდის ლიდერად იქცა. ალენი მატჩში საშუალოდ, 23 ქულას აგროვებდა, ხოლო უკვე მომდევნო წელს, ის All-American-ის პირველ ხუთეულში მოხვდა და NCAA-

ს აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო მცველადაც აღიარეს. 1996 წელს კი, „ფილადელფია 76“-მა აივერსონი NBA-ს დრაფტში პირველ ნომრად აირჩია.

183 სმ სიმაღლის აივერსონმა „ფილადელფიაში“ არაერთი რეკორდი დაამყარა. იგი მოედანზე უკან არასოდეს იხევდა და თვით მაიკლ ჯორდანის პირისპირ თამაშის დროსაც კი არ ფრთხილობდა. 1996-97 წლების სეზონში „ფილადელფიისა“ და „ჩიკაგო ბულზის“ ერთ-ერთი დაპირისპირებისას, ალენს „მფრინავი მაიკლი“ ელვისებური მოძრაობებით ჯერ რამდენჯერმე მოუტყუებია, შემდეგ კი ბურთი კალათში მოუთავსებია. „ხომ არ გებრდები?!“ – უკითხავს ახალგაზრდა მეტოქის ოსტატობით აღტაცებულ ჯორდანს.

NBA-ს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, დიდოსტატთა ესა თუ ის თაობა უპირისპირდებოდა ერთმანეთს და ასეთი დაპირისპირებები ყოველთვის ალაფრთოვანებდა კალათბურთის მოყვარულთ. ალენ აივერსონმა მთელი NBA გამოიწვია დუელში – უთქვამს ერთ-ერთ ცნობილ საკალათბურთო მიმოხილველს. „NBA-ში ყველას დაჯანა შემიძლია. მოედანზე არავის ვცემ პატივს“, – ეს სიტყვები უკვე თავად „ფილადელფიის“ ლიდერს ეკუთვნის.

„ფილადელფია 76“-ში თამაშის პირველივე სეზონის რამდენიმე მატჩში ალენი ზედიზედ 40 ქულას აგროვებდა, რითიც უილტ ჩემბერლენის რეკორდი გააუმჯობესა. იმავე წლის აპრილში კი, იგი NBA-ს ისტორიაში მეორე ახალწვეულად იქცა, რომელმაც სადებიუტო სეზონში, ერთ მატჩში 50 ქულა მოაგროვა. 2000 წელს, აივერსონი პირველად აირჩიეს NBA-ს ყველა ვარსკვლავის შეხვედრის სასტარტო ხუთეულში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალენ აივერსონი საზოგადოებაში თავისი ნეგატიური იმიჯითაა ცნობილი. ამბობენ, რომ ერთნი მის პლაკატებს ისრებს ესვრიან, ხოლო მეორენი ტელეეკრანზე ალენის

გამოჩენისას, სიძულვილს პულტის სროლით გამოხატავენ და ხშირად, ტელევიზორსაც ამსხვერვენო... მაინც რაში მდგომარეობს NBA-ს ყველაზე „ცუდი ბიჭის“ მიმართ ქომაგთა ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება?

1. განგსტერული გარეგნობა. სინამდვილეში აივერსონს განგსტერებთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ, იგი ჰიპ-ჰოპის სტილს მისდევს და შესაბამის ტანისამოსაც ატარებს. ალენის სხეული ათასგვარი სვირინგითაა მოხატული, რაც კალათბურთელის კრიმინალურ იმიჯს კიდევ უფრო ამძაფრებს. ბევრს მისი ფრანგული ნაწნავიც არ მოსდის თვალში. თუმცა, „ფილადელფიის“ ლიდერის ქომაგები ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი სტერეოტიპია და ალენ აივერსონის პიროვნებაზე გარეგნობის მიხედვით საუბარი დაუშვებელია.

2. შავბნელი წარსული. იგულისხმება პატიმრობაში მისი ყოფნის პერიოდი, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. თავად ალენი ამტკიცებს, რომ იგი სრულიად უდანაშაულო იყო, თუმცა მას სახელი უკვე გატეხილი აქვს, რის გამოც საზოგადოებაში ყოველთვის უნდობლობას იწვევს.

3. პრობლემები სამართალდამცავებთან. 1997 წელს, ალენს მანქანაში მარიხუანა და გაუფორმებელი იარაღი აღმოუჩინეს. ერთი წლის შემდეგ კი, მის „მერსედესში“, რომელშიც აივერსონის მეგობრები ისწდნენ, კვლავ იპოვეს ნარკოტიკები. 2000 წელს, საზოგადოება აღაშფოთა კალათბურთელის მიერ გამოშვებულმა რეპალბომმა, რომელშიც დამამკირებლად იყვნენ მოხსენიებულნი ქალები და ცისფერები. 2002 წელს, პოლიციამ აივერსონს მოქალაქის სახლში შეჭრაში, მუქარასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებაში დასდო ბრალი. საგულისხმოა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულის გამო მისთვის თავისუფლების



10 წლის ასაკში, პირველ მწვრთნელთან ერთად



აღკვეთა რომ მიესაჯათ, საერთო ჯამში 54 წელი გამოვიდოდა...

4. „აივერსონის ბანდა“ – სწორედ ასე მოიხსენიებენ ამერიკულ პრესაში ალენის მეგობრებს. ალბათ ისინი ნამდვილად არ არიან ისეთი ცუდები, როგორც მათზე წერენ. მაგალითად, როდესაც აივერსონი ციხეში იჯდა, „ბანდა“ მის ოჯახზე ზრუნავდა ისევე, როგორც ამას საქართველოში აკეთებენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები... თუმცა, როგორც ჩანს, აქაც და იქაც ხალხს ყველაფრის „გაზვიადება“ უყვარს.

5. საკალათბურთო ეგოიზმი. ეს მართალია: აივერსონი თამაშის დროს, ძალზე ბევრს იღებს საკუთარ თავზე და ხშირად, კალათში ვერ ავდებს ბურთს. ამის გამო გუნდი მოთამაშე სტეკპაუზმა და მწვრთნელმა ლერი ბრაუნმა დატოვეს. იგი აცდენდა და ავციანებდა ვარჯიშებზე. მაგრამ შეძლებდა კი „ფილადელფია“ ასეთ დონეზე თამაშს ალენის გარეშე?..

6. უხეშობა ჟურნალისტებთან კონტაქტისას. მასმედიის წარმომადგენლებთან კალათბურთელს მართლაც რთული ურთიერთობა აქვს. აივერსონს კორესპონდენტებისთვის ლანძღვა-გინებაც აუტყუავს და პრესკონფერენციაც ჩაუშლია, თუმცა, დენის როდმანისგან განსხვავებით, სკანდალების მოწყობა მისთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. „ჟურნალისტებს ვერასოდეს გაუგებ, – ამბობს ალენი, – მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მათთან ურთიერთობას მოვავგარებ და იმ ყველაფრის ატანასაც შევძლებ, რასაც ისინი ჩემზე ამბობენ. ამას უკვე შევეგუე და ოპონენტებს ჩემზე ცუდი სტატიების წერის საფუძველს აღარ ვაძლევ“.

ფეხბურთის მეფემ თანამემამულანი აღაშფოთა

პელემ ყველა დროის 100 საუკეთესო ფეხბურთელის საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, სიაში ყველაზე მეტნი ბრაზილიელები არიან (15%). „ტყავის ბურთის ჯადოქრებს“ ფრანგი და იტალიელი ოსტატები მოჰყვებიან (14-14%), ხოლო ჰოლანდიელები 13 ფეხბურთელით არიან წარმოდგენილი. არგენტინიდან და გერმანიიდან კი, „ფეხბურთის მეფე“ 10-10 მოთამაშე დასახელა. საუკეთესო ბრაზილიელთა შორის მან ისეთი ვარსკვლავები შეიყვანა, როგორც ნილტონ და ჯალმა სანტოსები, კარლოს ალბერტო, რიველინი, რონალდო და რობერტო კარლოსი არიან. ფრანგთა შორის ჟუსტ ფონტენი, რამონ კოპა, მიშელ პლატინი და ზინედინ ზიდანი ფიგურირებენ. ხოლო ჰოლანდიელთა „გვარდიას“ იოჰან კრუიფი ლიდერობს (საუკეთესოთა შორის მოხვდა რუდ ვან ნისტელროიც). ბუნებრივია, ელსონ არანტეს დუნასიმენტოს არგენტინელთაგან ალფრედო დისტეფანო და დიეგო მარადონა არ გამოჩნებოდა, ხოლო გერმანელთაგან – ფრანც ბეკენბაუერი. ინგლისელთა შორის გორდონ ბენკსი და ბობი ჩარლტონიც მოხვდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან კი პელემ მხოლოდ ორი ფეხბურთელი გამოყო: რინატ დასაევი და ანდრეი შევჩენკო. ასეულში მოხვდა ორი ქალი ფეხბურთელიც – მია ჰემი და მიშელ აკერსი (ორივე აშშ). თავდაპირველად სან-პაულუს ერთ-ერთმა გაზეთმა ასეულის შავი ვერსია გამოაქვეყნა, რასაც ბრაზილიაში პელეს მისამართით საპროტესტო განცხადებები მოჰყვა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მასში პენტაკამპონები მხოლოდ 12 მოთამაშით იყვნენ წარმოდგენილი. ერთი სიტყვით, „ფეხბურთის მეფე“ არაერთმა ცნობილმა ოსტატმა გააკრიტიკა, მათ შორის ზაგლომ, ფერსონმა და რიველინომ. ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ასეულში ბრაზილიელებზე მეტი ფრანგები და იტალიელები იყვნენ დასახელებული. მითქმა-მოთქმა „ეროვნული შეურაცხყოფის“ შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ჩაცხრა, რაც „პელეს ასეულის“ საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდა, თუმცა „ფეხბურთის მეფის“ არჩევანმა ბევრი მაინც გაკვირვებული დატოვა. საკულისხმოა ის, რომ ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა საუკეთესოთა სიაში 1966 წლის ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტნის, ბობი მურისა და

ლეგენდარული მეკარის, ლევ იაშინის ადგილი ვერ მოძებნა, მაშინ როდესაც მას დევიდ ტრეზეგე და ვან ნისტელროი არ დაეწყვებია. ფეხბურთის ქომავთა და სპეციალისტთა ნაწილის მოსაზრებით, ობიექტური ასეული რომ შემდგარიყო, ტრეზეგე 20 საუკეთესო ფრანგს შორისაც ვერ მოხვდებოდა. თავად პელეს კი, ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტი აქვს. „100 ძალიან ცოტაა, – ამბობს მსოფლიოს სამეფოს



ჩემიონი, – მე 100 საუკეთესო ბრაზილიელის დასახელებაც არ გამოგიზრდებოდა“.

აქვე გაცნობებთ, რომ ფიფას 100 წლისთავთან დაკავშირებით ლონდონში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ინგლისელი ფანები მეტისმეტად აღაშფოთა მაიკლ ოუენის ნათქვამმა, რომელიც ასეულში ბობი ჩარლტონთან, გორდონ ბენკსთან, გარი ლინეკერთან, კევინ კიგანთან, ალან შირერთან და დევიდ ბექჰემთან ერთად მოხვდა. „თავდასხმამ არაერთი დიდებული პარტნიორი მყავდა, რომელთა შორის ალან შირერი საუკეთესოა, მაგრამ ჩემთვის ყველა დროის ნომერ პირველი ფეხბურთელის ამორჩევის საშუალება რომ მოეცათ, უპირატესობას უთუოდ დიეგო მარადონას მივანიჭებდი“, – განაცხადა „ლივერპულის“ თავდამსხმელმა, რითიც თანამემამულეთა გულსწყრომა გამოიწვია. ფეხბურთის გულშემატკივართათვის კარგადაა ცნობილი ის, რომ მას შემდეგ, რაც 1986 წლის მუნდიალზე არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა „დემერტის ხელის“ დახმარებით, ინგლისის ნაკრების კარში გოლი გაიტანა, იგი ბრიტანელი ფანების დიდი ნაწილისთვის საძულველ პიროვნებად იქცა.

(დასაწყისი იხ. «ზა» №48-52,1-10)

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი გამოცდას გამოცდაზე უწყობს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, 9 აპრილის ღამეს, დედა მოწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. მამა ამ უბედურებას ვერ გაუძლებს და ოჯახს მიატოვებს. გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის იმედადღა დარჩებიან. გვანცას პირველი სერიოზული გრძობაც სკოლაშივე ეწვევა. თავიდან ის თანაკლასელ ლუკა ჩადუნელითაა გატაცებული, მაგრამ შემდეგ, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი — ირაკლი იაშვილი შეუყვარდება და დაუახლოვდება. ირაკლი გვანცას ცოლად მოყვანას ჰპირდება, მაგრამ ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უგზო-უკვლოდ დაიკარგება. ამით დამწუხრებული გვანცა მალე აღმოაჩენს, რომ ფეხმძიმედაა. გვანცას ბებია-ბაბუას ბავშვის მამა ლუკა ჰგონიათ. მისდა გასაკვირად, ამას არც ლუკა უარყოფს. თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბებია-ბაბუის დაჟინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ძებნაში, არაერთ ჩინოვნიკს მიაკითხავს. მათ შორის ირაკლის ნახევარძმაც აღმოჩნდება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარება. იქ მას ახალი უბედურება დაატყდება თავს: მას და მის ორ მეგობარ გოგონას თურქი ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში. გვანცა საშინლად დაუნდობელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის არაღვებულ სამფლობელოში აღმოჩნდება. ზეინაბ-ხანუმი მის ხელში ჩავარდნილ ქალებს ნამდვილი მონათმფლობელივით ექცევა: ლამაზ გოგონებს ჯერ



თავისუფალი თემს

რუსულან ბერიძე

სხეულით ვაჭრობას აიძულებს, შემდეგ კი, როცა ისინი კლიენტებს თვალში აღარ მოსდით, თავის უზარმაზარ სამღებროში სამუშაოდ უკრავს თავს. ზეინაბ-ხანუმი გვანცასაც იმავეს დაუპირებს, მაგრამ რომ შეიტყობს, ქართველიაო, დაინდობს და ხელზე მოსამსახურედ დაიყენებს. მალე გვანცა ზეინაბ-ხანუმის ნდობას იმდენად მოიპოვებს, რომ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ანკარაშიც ჩაიყვანს. ანკარაში ზეინაბ-ხანუმს სეიბარი ძმა — უმარი ჰყავს, რომელსაც მშობლების დანატოვარი ქონების დიდი ნაწილი ეკუთვნის. გაქნილი ზეინაბ-ხანუმი უმარს შესთავაზებს — ჩემს ქართველ მოსამსახურეს დროებით დაგიტოვებ, შენ კი, რაღაც დოკუმენტებზე მომიწერე ხელიო. უმარს გოგონა შეებრალება და მართლაც, დაიტოვებს. მალე გვანცა გაიგებს, რომ უმარი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად...

გვანცა მაშინვე შეღვა და გაოცებულმა მოიხელა უკან:

— თქვენ... თქვენ ქართულიც იცით?

— კი, — მშვიდად მიუგო უმარმა და თან, თეფშზე რამდენიმე კოვზი ბაჟე გადაიღო. — ისე, ამას, პურზე მეტად, ღომი მოუხდებოდა, — დასძინა მან შემდეგ. — ღომის გაკეთება არ იცი, გვანცა?

— ვიცი... — ამოილულულა გვანცამ. — მაგრამ რატომღაც ვიფიქრე, რომ თქვენ არ მოგეწონებოდათ...

— მე ყველაფერი ქართული ძალიან მომწონს... — ეშმაკურად გაეღიმა უმარს. — განსაკუთრებით — ქალები...

— ძალიან სასიამოვნოა... — შეიშმუშნა გვანცა.

— მოდი, შემომიერთდი, — სუფრასთან მიიპატიჟა ის უმარმა. — სამწუხაროდ, თქვენებურად ფეხზე ვერ წამოვიდგები და უნდა მაპატიო...

— რას ბრძანებთ?! — სასწრაფოდ სუფრასთან გაჩნდა გვანცა. — თუ ნებას დამრთავთ, მოგემსახურებით...

— აი, ამის ნებას კი ნამდვილად ვერ დაგრთავ... — გააწყვეტინა უმარმა და თან, სკამზე ანიშნა. — დაჯექი და შენი ნახელავი ერთად გავსინჯოთ.

გვანცა სკამის კიდეზე მორიდებულად ჩამოჯდა, უმარმა კი, ჯერ სუფრას მოავლო თვალი და მერეღა მიუბრუნდა გვანცას:

— რით დაიწყებ? რა მოგაწოლო?

— ნუ შეწუხდებით, მე თვითონ... — ისევე ფეხზე წამოხტა გვანცა.

— არა, ასე ნამდვილად არაფერი გამოგივა, — თეფში გვერდზე გასწია უმარმა. — წესიერად დაჯექი და კარგად მომისმინე!

გვანცა მაინც სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— მაშ, ასე! — დაიწყო უმარმა. — პირველი და მთავარი: დღეიდან, ამ სახლში შენ მოსამსახურე კი არა, მხოლოდ სასიამოვნო სტუმარი ხარ, ამიტომ წამლაუწუმ ფეხზე ნულარ წამომიდგები და ნურც ჩემს მომსახურებას შეეცდები. და მეორე: კარგი იქნება, თუ შენობით დამელაპარაკები.

— ასე უცბად ნამდვილად ვერ შევძლებ... — დამნაშავესავით თავი დახარა გვანცამ. — ამას ალბათ, დრო დასჭირდება...

— დრო-ო? — გაეღიმა უმარს. —

გატყობ, შენ აქ დიდხანს აპირებ დარჩენას.

— მე-ე? — გაუკვირდა გვანცას. — აბა, ამას მე ვინ მეკითხება?

— მე გეკითხები და სიმართლე მითხარი: შენი ნება რომ იყოს, რას იზამდი?

— ჩემი ნება რომ იყოს... — უცბად თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა უმარს გვანცამ. — აქედან დღესვე გადავიკარგებოდი.

ამ სიტყვების შემდეგ, გვანცამ თვალები სწრაფად დახარა, მაგრამ ხელები კი ისე გამეტებით მომუშტა, თითქოს ვიდაცის თავდასხმის მოგერიებას აპირებო. უმარმა მას ცოტა ხანს აღტაცებით უცქირა და შემდეგ ტამიც შემოჰკრა:

— ყოჩაღ! ვიცოდი, რომ სიმართლეს პირდაპირ მომხლიდი! სწორედ ეგ პირდაპირობა და შეუპოვრობაა, ქართველ ქალებში ყველაზე მეტად რომ მომწონს. ბები-აჩემიც ეგეთი იყო — რასაც ფიქრობდა, ყოველთვის იმას ამბობდა და აკეთებდა.

— სამწუხაროდ, მე ჩემი ნათქვამის შესრულებას ვერ შევძლებ... — თვალზე სიმწერის ცრემლი მოადგა გვანცას.

— რატომ? შეიძლება, შეძლო კიდევ... — მრავალმნიშვნელოვნად აათვალიერა ჩათვალიერა გვანცა უმარმა. — ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული...

უჩვეულო სადილის შემდეგ, უმარმა თავის საბუშარო კაბინეტში გადაინაცვლა, გვანცა კი ისევ ზულიეპასთან დაბრუნდა.

— რა უნდოდა? რატომ დაგტოვა? ამდენ ხანს რაზე გელაპარაკებოდა?... სადილი თუ მოეწონა? — კითხვა კითხვაზე დააყარა ზულიეპამ გვანცას.

— არაფერიც არ უნდოდა, — მშვიდად უპასუხა გვანცამ. — უბრალოდ, ვლაპარაკობდი. სადილზე კი, მგონი, საერთოდ არაფერი უთქვამს.

— როგორ თუ საერთოდ არაფერი? — ბავშვივით გული დასწყდა ზულიეპას. — მე კიდევ, იმედი მქონდა, რომ ძალიან მოეწონებოდა...

ამ ამბის შემდეგ, მთელი კვირა ისე გავიდა, რომ გვანცას უმარისთვის თვალი ერთხელაც არ მოუკრავს. კვირის ბოლოს ვეღარ მოითმინა და ზულიეპას, ვითომ სასწავთაშორისოდ ჰკითხა, — ჩვენ ბატონი სადმე ხომ არ გაემგზავრა?

— შენ რა? აქამდე არ გაგივია? — გაუკვირდა ზულიეპას. — უმარ-ეფენდი საზღვარგარეთ წავიდა. სამაგიეროდ, ზეინაბ-ხანუმი ჩამოდის, მგონი, ამ საღამოს და მერე ნამდვილად აღარ მოვიწყენთ.

— რას გულისხმობ? — შეცბა გვანცა.

— რას და საკმარისია, ზეინაბ-ხანუმი ამ სახლში უმარ-ეფენდის გარეშე დაიგულოს თავი, რომ მაშინვე ათას ნაცნობ-უცნობს იწვევს, ტაშ-ფანდურას მართავს და რამდენიმე დღე გადაბმულად ქეიფობს. ჩვენ კი სუფრის გაშლა-ალაგებითა და სტუმრების მომსახურებით წელში გვწვევს...

ზეინაბ-ხანუმი საღამოს, მართლაც გამოჩნდა და პირველ რიგში, თავისი ყოფილი მოსამსახურე მოიკითხა. გვანცაც მას უმალ, მოწიწებით მიეხლა. ტახტზე ნებიერად გაწოლილმა ზეინაბ-ხანუმმა გვანცა აგდებულად აათვალიერა ჩათვალიერა:

— გავიგე, ჩემს ძმას ძალიან გაუნებიერებინარ. მგონი, უკვე სუფრასთან ერთად სადილობთ, ხომ?

— რას ბრძანებთ, ზეინაბ-ხანუმი?! — შეცბა გვანცა. — უმარ-ეფენდისთან სადილობას როგორ გავებდავ?! უბრალოდ, ერთხელ მე და ზულიეპამ სადილად ქართული კერძები მოვუშნადეთ და მაშინ დამიძახა — ეს იყო და ეს...

— თავსაც იმართლებ, ტუტუცო?! — დაუტახტანა გვანცას ზეინაბ-ხანუმმა. — ამ სახლში კედლებსაც რომ ყურები აქვს, შენთვის არავის უთქვამს?... შენი ბედი, რომ ქართულად ლაქლაქებდით, თორემ, ყველაფერს სიტყვასიტყვით ჩამიკაკლავდნენ... მაინც, რაზე ილაპარაკეთ? რა უნდოდა ჩემს ძმას?

— ისეთი არაფერი... ქართულ კერძებზე მკითხა რაღაც... — თავი ჩაქინდრა გვანცამ და ნიკაპიც ციბიანივით აუკანკალდა.

— ქართულ კერძებზე, ხომ?... — აკივლდა ზეინაბ-ხანუმი. — ქართულ კერძებს კი არა, ცოტა ხანში, დღის სინათლესაც მოგანატრებ, თუ ყოფილვარ ზეინაბ-ხანუმი! ახლა შენს ოთახში გაეთრიე და სანამ აქედან არ წავალ, გარეთ ფეხი არ გამოადგა, გასაგებია?

— გასაგებია... — ზეინაბ-ხანუმის საძინებლიდან სასწრაფოდ გამოვარდა გვანცა...

ზეინაბ-ხანუმმა იმ საღამოს მართლაც, უმარავი სტუმარი დაპატიჟა და გულიანად მოიხინა. გვანცამ მისი ბრძანება პირნათლად შეასრულა და თავისი ოთახიდან წამითაც არ გამოსულა. მერე საღამოს, როცა გვარაიანად მოღლილმა ზეინაბ-ხანუმმა ბოლო სტუმარი გააცილა და როგორც იქნა, თავადაც გულანაბადი აიკრა, გვანცას მაშინვე ზუ-

ლიეპამ მიაკითხა.

— წამოდი, ბაღში ჩავიდეთ, ცოტა სუფთა ჰაერი ჩაგვალავს, თორემ, უკვე თვალები გამოვიდამდა. ნეტავ, ვიცოდე, ზეინაბ-ხანუმმა ოთახში რისთვის გამოგკეტა?

— არ გამოვუკეტივარ, — თუარა გვანცამ. — უბრალოდ, თავად ვერ ვიყავი კარგად...

— მართლა? ხომ არ გაცივიდი? — შეწუხდა ზულიეპა. — ზეინაბ-ხანუმმა კი გაგავფრთხილა, გვანცა ავად არის და დასახმარებლად არ დაუძახოთო, მაგრამ მე მაინც მომეჩვენა, რომ შენი თავი სტუმრებს შეგნებულად დაუშალა, — ხმადაბლა დასძინა შემდეგ ზულიეპამ. — თუმცა, მაგასაც ჯანდაბამდე გზა ჰქონია და მაგის სტუმრებსაც! მთელი სახლი ნომარს დაამსგავსეს. კიდევ კარგი, რომ უმარ-ეფენდი ზვალ ჩამოდის და მანამდე, დალაგებას მოვასწრებთ...

უმარი შინ დილაადრიან დაბრუნდა და მაშინვე კაბინეტში შეიკეტა. რაღაც სიანლის ჯიუტად მოძლოდინე გვანცა კი ადგილს ვეღარ პოულობდა და თავის ოთახში ნერვიულად გადი-გამოდიოდა. ნაშუადღევს, ზულიეპამ დაუკაკუნებლად შეულო კარი:

— ჩქარა წამოდი, უმარ-ეფენდი გეძახის!

გვანცა ოთახიდან ტყვეისავით გამოვარდა, წამში უმარის კაბინეტთან გაჩნდა და ოდნავ შეღებულ კარზე ნერვიულად დააკაკუნა.

— ღიას! — ოთახის სიდრმიდან ქართულად გამოსძახა უმარმა.

გვანცამ ფრთხილად შეაღო კარი და საწერ მაგიდასთან მჯდარი, რაღაც დოკუმენტებში თავჩარგული უმარი დაინახა. მან თავი ნელ-ნელა ასწია და გვანცას თბილად გაუღიმა:

— მანდ რას უდგახარ? მოდი, აქ დაჯექი, — მაგიდასთან მიდგომულ ერთ-ერთ სკამზე ანიშნა მან.

გვანცა მაგიდას მიუახლოვდა და სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა. უმარმა კი დოკუმენტებს კიდევ ერთხელ გადააწყო და ისევ გვანცას მიუბრუნდა:

— როგორ ხარ?

— გმადლობ... — დაიწყო გვანცამ, მაგრამ რატომღაც ხმა ჩაუწყდა და სათქმელი ვეღარ დაასრულა.

— ეს რას ნიშნავს? გმადლობ — კარგად თუ გმადლობ — ცუდად? — კითხვა ისევ შეუბრუნა უმარმა.

— განა თქვენთვის ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — როგორც იქნა, ხმა დაუბრუნდა გვანცას.

– შენ წარმოიდგინე, რომ აქვს. კვირაზე მეტია, აქ არ ვყოფილვარ და ხომ უნდა ვიცოდე, ჩემი სტუმარი უჩემოდ თავს როგორ გრძნობდა?.. თანაც, გავიგე – ჩემს სულთამხუთავ დას მოუკითხინარ. რაო, რა გითხრა, რა მინდაო?

– მალე ისევ ჩემთან დაგაბრუნებო... – ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა გვანცას.

– არც იოცნებოს! – მაგიდას მუშტი გამეჭებით დაჰკრა უმარმა. – შენი აქ ჩამოყვანა მისი ნება იყო, უკან წაყვანა კი – ნურას უკაცრავად!.. კიდევ რა გითხრა?

– ახალი არაფერი. ჩემი მონა ხარ და რასაც მინდა, იმას გიზამო.

– ნუ გეშინია, შენ მაგის მონა აღარასოდეს იქნები!

– აბა, ვისი? თქვენი? – ცრემლიანი თვალები შეანათა უმარს გვანცამ.

– განა, შენ ჩემთან თავს მონად გრძნობ?! – ალაღად იწყინა უმარმა, მაგრამ გვანცამ მის კითხვას მხოლოდ ღუმილით უპასუხა.

– გასაგებია... – თავისთვის ჩაილაპარაკა უმარმა და ისევ ღოკუმენტებს მიუბრუნდა, მაგრამ მალე გვერდზე მოისროლა, შუბლზე ჩამოშლილი შავი ტალღოვანი თმა ორივე ხელით უკან ნერვიულად გადაიწია და გვანცას ჰკითხა:

– თუ იცი, სად ვიყავი წასული?

– აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე? – მხრები ბავშვივით აიჩეჩა გვანცამ.

– საქართველოში.

– სა-ად?... – გაოცებისგან თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა გვანცას. – თბილისში?

– არა, თბილისამდე ვეღარ ჩავალწიე. ბათუმში მქონდა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე.

– ბათუმში? – უცნაურად იკითხა გვანცამ.

– ჰო, ბათუმში. ხომ არ დაგავიწყდა, საქართველოში ასეთი ქალაქიც რომ არსებობს? – გაელიმა უმარს.

– ჯერჯერობით არა... – სევდიანად ჩაილაპარაკა გვანცამ.

– არ გაინტერესებს, საქართველოში რას ვაკეთებდი?

– ძალიან მაინტერესებს.

– მაშ, რატომ არაფერს მეკითხები?

– თუ თქმა გინდათ, ისედაც მეტყვით, თუ არა და, ჩემს ინტერესს აბა, რა მნიშვნელობა აქვს?! – ისე, მაგარი მწარე ენა კი გაქვს, ხომ იცი?! – გაელიმა უმარს.

– ცხოვრებამ გამიმწარა.

– შენი მწარე ცხოვრების მთავარი

მიზეზი კი, რა თქმა უნდა, ჩემი დაა, ხომ?

– დიას. თუმცა, მარტო ის – არა.

– აბა, ვინ?... შენც სხვებივით ფიქრობ, რომ ჩემი დისგან დიდად არც მე განვსხვავდები?

– არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ,

– სასწრაფოდ უკან დაიხია გვანცამ.

– ფიქრობ, ფიქრობ... – ამოიოხრა უმარმა. – ყველა ასე ფიქრობს და რაღა შენ იქნები გამონაკლისი?! ვიცი, არ დაიჯერებ, მაგრამ ჩემი დის საშინელი ბიზნესის შესახებ მხოლოდ რამდენიმე წლის წინ და თანაც, სრულიად შემთხვევით ვავიგე. მას შემდეგ, მასთან ჩხუბისა და შესლა-შემოხლის მეტი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ჯერჯერობით, შედეგით დიდად ვერ დავიკვივნი...

– რატომ? – უცბად წელში გამომწვევად გასწორდა გვანცა. – არ მითხრათ, ფაქტები მაკლიაო. თუ ასეა, ჩადით თქვენი დის სამფლობელოში და საკუთარი თვალით ნახეთ, იქ რა საშინელებებიც ხდება!

– საქმე ისაა, რომ მე იმ სამფლობელოს ადგილსამყოფელი ჯერ მიახლოებიოთაც კი ვერ დავადგინე.

– მერედა ეგ რა პრობლემაა?! შეინაბ-ხანუმის პირად მძღოლს ჰკითხეთ ანდა სულაც, თქვენს აყლაყულა კარისკაცს, რომელიც თქვენი დის ყველა ვერაგობის მონაწილე ყოფილა...

– ახრი არა აქვს...

– რატომ?

– იმიტომ, რომ სიმართლეს არ მეტყვიან, საქმეს კი საბოლოოდ გააფუჭებ... ჩემს დას ჰგონია, რომ მას მხოლოდ სიტყვით ვუპირისპირდები – ისე, უბრალოდ, ენას ვიჭაუბრებ. რომ გაიგოს, მის ზურგს უკან საქმეს მართლა ვიკვლევ, მაშინვე უკვალოდ გამაქრობს... თუმცა, ასეც რომ არ მოხდეს და საქმე სასამართლომდე მართლა მივიღეს, ამ ეტაპზე ჩემი უდანაშაულობის დამტკიცება ძალიან გამიჭირდება. უმეტესობის თვალში ხომ, მეც ჩემი დის ბიზნესის განუყოფელი ნაწილი ვარ...

– აბა, რა უნდა ქნათ?... – უმწეოდ იკითხა გვანცამ.

– რაც შეიძლება მეტი სამხილი და მტკიცებულება უნდა მოვიპოვო... – მშვიდად უპასუხა უმარმა.

– კი, მაგრამ როგორ?

– ნაბიჯ-ნაბიჯ... სხვათა შორის, მე უკვე რამდენიმე ისეთ ორგანიზაციასთან მაქვს კავშირი, რომლებიც მარტო ქველმოქმედებით როდი არიან დაკავებულნი. მათ პერიოდულად, მოზრდილ თანხას უურიცხავ, ისინი კი, ინფორმაციას მი-

გროვებენ. სწორედ მათი დახმარებით დავადგინე ჩემი დის რამდენიმე თანამზრახველის ვინაობა, რომელიც მას ქალებით ამარაგებს. ბათუმშიც მაგისთვის ვიყავი ჩასული...

– მართლა? – გაოცდა გვანცა.

– ჰო. ინფორმაცია მქონდა, რომ იქიდან გოგონების მოზრდილი ჯგუფი არალეგალურად უნდა შემოეყვანათ თურქეთში...

– მერე?

– მერე არაფერი. სულ რამდენიმე საათით დავაგვიანე და საზღვარზე გადმომასწრეს... ასე რომ, ცოტა ხანში, ზეინაბს თავის ბუნაგში რამდენიმე ქართველი გოგონა ერთად ეყოლება და შენთვის შეიძლება, საერთოდ ვეღარ მოიცალოს...

– ზეინაბ-ხანუმთან ჩემი ორი მეგობარიც დარჩა... – სევდიანად ჩაილაპარაკა გვანცამ.

– ისინიც ქართველები არიან? – დაინტერესდა უმარი.

– არა. ერთი იტალიელია, მეორე კი – ჩინელი.

– ერთად საიდანაა მოხვდით?

– სამივე გერმანიაში ვსწავლობდით, საიდანაც ვიღაც ალიმ ჩამოგვიტყუა და აქ ჩამოგვიყვანა. სხვათა შორის, თავიდან, ალიმ ამ სახლში მოგვიყვანა...

– ვიცი... – ამოიოხრა უმარმა. – საკმარისია, სახლიდან გამიგულოს, რომ ჩემი და აქ ან ღრეობებს აწყობს, ანდა ნამდვილ სატრანზიტო პუნქტს ხსნის. მაგრამ ადრე თუ გვიან, ამ ყველაფერს ბოლოს მოვუღებ და ამ საქმეში შენი დახმარების იმედიც მაქვს.

– ჩემი? – გაუკვირდა გვანცას. – კი, მაგრამ მე რა შემიძლია?!

– როგორ თუ რა?! შენ იმ ჯოჯოხეთიდან თავდაღწეული ერთადერთი ცოცხალი მოწმე ხარ. სასამართლოზე შენი ჩვენება ფასდაუდებელი იქნება.

– სასამართლო როდისლა იქნება? – უხალისოდ ჰკითხა საქციელწამხდარმა გვანცამ.

– ზუსტად ვერაფერს გეტყვი. შეიძლება, ყველაფერი რამდენიმე თვეში გაირკვეს, შეიძლება, რამდენიმე წელიც გახდეს საჭირო.

– რამდენიმე წელი? – ხმა ჩაუწყდა გვანცას და ვედრებით სავსე თვალები შეანათა უმარს. – იცით, რომ მე უკვე მესამე წელია, რაც აქ ვარ?

– ვიცი... – ამოიოხრა უმარმა.

– მაშინ გამიშვით, რა, ჩემს სახლში, მეტი აღარ შემიძლია...

საღამოს, უმარმა ისევ თავისთან მი-



იხმო გვანცა, რომელიც მის კაბინეტში მუხლებაკანკალებული შევიდა და კართან გაჩერდა.

— რამდენჯერ უნდა გითხრა? — კარში ნუ ჩერდები. შემოდი და დაჯექი! — ისევ იმ სკამზე ანიშნა უმარმა.

გვანცა დაჯდა, უმარმა კი, ჯერ თავი ხელებში ჩარგო და ცოტა ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ გრუზა თმა თითებით გულმოდგინედ გადაივარცხნა და გვანცას თვალი თვალში გაუყარა:

— მაშ ასე, გვანცა, დაუშვათ, რომ მე შენ მართლა გაგიშვი. სად წახვალ და რას გააკეთებ?

— მე-ე? — გაოგნდა გვანცა.

— შენ, აბა, მე აქედან გასაშვები ჯერ ნამდვილად არაფერი მჭირს, — გაელიმა უმარს.

— რას გავაკეთებ და... — ირგვლივ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა გვანცამ. — მაშინვე საქართველოს საკონსულაოში მივალ და კონსულს ყველაფერს მოვუყვები...

— გასაგებია... — გააწყვეტინა უმარმა. — ესე იგი, ყველაფერს მოუყვები, სომ?

— არა, არა! — ხელები გაასავსავა შეშინებულმა გვანცამ. — ეს რა ვთქვი?! „ყველაფერში“ მხოლოდ ჩემი ვინაობა ვიგულისხმე, თქვენზე და ზეინაბ-ხანუმზე კი, კრინტსაც არ დავძრავ. დამიჯერეთ, რა!.. ჩემი ლუკას სიცოცხლეს გეფიცებით, ნამდვილად არაფერს ვიტყვი... — ატირდა გვანცა.

— ლუკა ვინლა? — დაინტერესდა უმარი.

— ჩემი შვილი.

— შენ რა, შვილიც გყავს?

— კი.

— რამხელა?

— სამი თვის... არა, არა, რა სისულელეს ვამბობ?! მალე სამი წლის გახდება...

— სამი წლისო?... — გაელიმა უმარს. — უკვე დიდი ბიჭი ყოფილა...

უცხად, გვანცა ფეხზე წამოხტა, მაგიდას შემოუარა და უმარის ფეხებთან მუხლებზე დაეცა:

— უმარ-ფეხნდი, გემუდარებით, გამიმვით, რა, ჩემს შვილთან!

უმარი გვანცასგან ასეთ საქციელს ნამდვილად არ ელოდა, ამიტომ თავიდან, ძალიან დაიბნა, შემდეგ, მის წინ დამხობილ ქალს მხრებში სწვდა და ძალით წამოაყენა ფეხზე:

— იცოდე, ასე აღარასოდეს მოიქცე! — უთხრა მან თავდახრილ გვანცას, მერე ნიკაპქვეშ საჩვენებელი თითი ამოსდო, თავი უკან გადაუწია და ცრემლიან თვალებში ჩახედა: — ისე, მარტო ჩემი ნება რომ იყოს, აქედან საერთოდ არ გაგიშვებდი...

მეორე დღით, გვანცას ოთახის კარზე ვიღაცამ უხეშად დააბრაზუნა. გვანცა მაშინვე ფეთიანივით წამოხტა, ხალათი შემოიცვა და კარი შიშით გამოაღო. ზღურბლზე უმარის ახმაზი მსახური გამოჩნდა:

— გაემზადე! — უხალისოდ მიუგო მან გვანცას. — უმარ-ფეხნდის სასაქონლო მიჰყავხარ...

ქალმა სწრაფად ჩაიცვა და ეზოში ჩაირბინა. იქ უკვე იდგა პრიალა „მერსედესი“, რომლის საჭესაც თავად უმარი ეჯდა. მსახურმა მანქანის წინა კარი გამოაღო და გვანცას თვალით ანიშნა, დაჯექო. გვანცა მანქანაში მოწ-

ყვეტით ჩაჯდა...

როგორც კი ცენტრალურ ქუჩაზე გადაუხვიეს, გვანცა მაშინვე თვალუბად იქცა, თუმცა მანქანის ჩამუქებული მინის იქით ყველა შენობა ერთნაირი ჩანდა.

— ფანჯარა ჩამოსწიე და ისე გაიხედე, — ურჩია მას უმარმა.

გვანცამ საჭესთან მშვიდად მჯდარ უმარს ერთი ქურდულად გახედა და ფანჯრის მინა სასწრაფოდ ჩამოსწია. სალონში მაშინვე ხმაური შემოვარდა, ქუჩის გასწვრივ გამწვკრივებულ შენობებს კი, ბუნებრივი ელფერი დაუბრუნდა.

— მოგწონს ჩვენი ქალაქი? — ჰკითხა უმარმა.

— დიახ... — უპასუხა გვანცამ. — თუმცა, მე ის მხოლოდ მანქანის ფანჯრიდან მაქვს დანახული...

— არა უშავს — ხვალღიან, მის ქუჩებში გავლასაც მოახერხებ...

— როგორ?... — უმარის ვაჟკაცურ პროფილს გაოცებით მიაშტერდა გვანცა.

ამასობაში, უმარმა მანქანა გააჩერა, ძრავაც გამორთო და გვანცას მიუბრუნდა:

— ახლა ზედმეტი კითხვების დასმის დრო არ არის: ამ ქუჩის მეორე მხარეს, აი, იქ, — თვალით ანიშნა მან ერთ-ერთ შენობაზე, — საქართველოს საკონსულაო...

— ვიცი... — გააწყვეტინა გვანცამ.

— საიდან იცი? — გაუკვირდა უმარს.

— ერთხელ, ზეინაბ ხანუმმაც მომიყვანა აქ.

— კარგი. ახლა ამის დრო არ არის, — საათზე დაიხედა უმარმა. — ორ-სამ წუთში, ეზოდან კონსულის მანქანა გამოვა. ჭიშკარი რომ გაიღება, ქუჩაზე ყველა მანქანა გაჩერდება და კონსულს გაატარებს. როგორც კი მოძრაობა შეწყდება, ქუჩას გადაირბენ და კონსულის მანქანას წინ გადაუდგები. ოღონდ, არ დაგავიწყდეს — ორივე ხელი მაღლა უნდა გქონდეს აწეული, თორემ შეიძლება, დაცვას ტერორისტი ეგონო და გესროლოს... გასაგებია?..

— გასაგებია... — წაიჩურჩულა სუნთქვაშეკრულმა გვანცამ.

— რას იზამ — გაბედავ?

— გავბედავ... — ახლა კი მტკიცედ უპასუხა გვანცამ და როგორც კი უმარმა ნიშანი მისცა, მანქანიდან გიჟივით გადახტა...

კიდმანი გაეტს სხდომისაც ესწრება

ცნობილი მსახიობი ნიკოლ კიდმანი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრება, რათა უკეთ შეითვისოს ახალი როლი ფილმისთვის „თარჯიმანი“, რომელშიც ის თარჯიმანს განასახიერებს. ერაყის თემისადმი მიძღვნილ ბოლო სხდომაზე იგი სწორედ თარჯიმანების მუშაობის სტილს აკვირდებოდა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჰოლივუდის ისტორიაში ფილმს პირველად გადაიღებენ ნიუ-იორკის შტაბბინაში.

რეჟისორმა სიდნეი პოლაკმა გაეროს გენერალური მდივნისაგან გადაღებების უფლება ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოიპოვა.

როგორც ამბობენ, კოფი ანანის ამ გადაწყვეტილებამ გაეროს ზოგიერთი წარმომადგენელი გააღიზიანა. მათი აზრით, კოფი ანანს უფლება არ ჰქონდა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიეღო, ვინაიდან გაეროს შენობა ამ ორგანიზაციის კოლექტივის საერთო კუთვნილებას წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ფილმის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ უსიამოვნო სიურპრიზები არ ელით.

„თარჯიმანის“ გადაღებები ნიკოლ კიდმანისა და შონ ჰენის მონაწილეობით, მიმდინარე წლის მარტში დაიწყება.



სპიდსი გულახდილდმას გვპიბრება

ბრიტნი სპირსს გადაწყვეტილი აქვს, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ჯასტინ ტიმბერლეიკთან, ფრედ ღერსტსა და ჯეისონ ალექსანდრთან დაკავშირებული ინტრიგები გაამჟღავნოს. 22 წლის მომღერალი წიგნს, რომლის სახელწოდებაც იქნება On My Own, მიმდინარე წელს დაასრულებს და მკითხველს გაუშვებს, თუ როგორ გაჰყვა ცოლად ბავშვობის მეგობარს ლას-ვეგასში გატარებული უიკენდის შემდეგ...



როგორც ვარაუდობენ, წიგნი 2004 წლის ბესტსელერი გახდება. მომღერალს დიდი სურვილი აქვს, გულწრფელი იყოს მკითხველთან და გარდა სასიყვარულო ინტრიგებისა, დაწვრილებით აღწერს თავისი ოჯახისა და მეგობრების ამბებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ დაიპყრო შოუბიზნესის ოლიმპი.

ჯასტინმა ათტამედიაკულში განაბისსა



პოპულარულ შემსრულებელს, ჯასტინ ტიმბერლეიკს სადღესასწაულო ტელეშოუს წამყვანობაზე, რომელიც Motown-ის ლეიბლის იუბილეს ეძღვნებოდა, უარის თქმა მოუწია. მისი პარტნიორი, ანუ მეორე წამყვანი ლაინელ რიჩი უნდა ყოფილიყო. პროექტიდან ჯასტინის გამოთიშვა დაკავშირებული იყო ზოგიერთი აფროამერიკული ორგანიზაციის პროტესტთან. ისინი კატეგორიულად აცხადებენ უარს ტიმბერლეიკის კანდიდატურაზე. „ტიმბერლეიკის მონაწილეობა პროექტში შავკანიანი საზოგადოებრიობის შეურაცხყოფაა. პატივსაცემი ლეიბლის იუბილეს აღსანიშნავად საეჭვო არტისტების მოწვევა არ არის აუცილებელი“, – ნათქვამია ერთ-ერთი ორგანიზაციის განცხადებაში.

ანტიტიმბერლეიკური კამპანია აშშ-ში თებერვლის დასაწყისში დაიწყო, როცა ყველასათვის ცნობილი ინციდენტი მოხდა ჯანეტ ჯექსონთან ერთად Super Bowl-ის შოუზე.

Motown-ის იუბილეს პროგრამიდან ტიმბერლეიკის მოხსნა, ოფიციალურად მისი გადაღებებზე დაკავებით ახსნეს.

„ჯუძმანჯი 2“-ს გადაიღებენ

კინოპროდიუსერებს 1995 წლის სიქველის პროექტის – „ჯუძმანჯის“ გადაღებების განახლება აქვთ განზრახული.

ბლოკბასტერების – „ადამიანი-ობობა“ და „იურიული პერიოდის პარკის“ ავტორმა, დევიდ კოპმა სცენარის წერა დაასრულა და ფილმზე მუშაობას „ელფის“ რეჟისორთან ერთად შეუდგება.

ჯონ ფავრეი კი, კირსტენ დანსტსა და პოლ ბეტანთან ერთად „უიმბლდონზე“ მუშაობას ასრულებს, რომელიც კინოეკრანებზე მიმდინარე წლის ზაფხულში გამოჩნდება.



ელვის პრესლის 14 წლის შვილიშვილი პტიდემგე იხილეს

მილანში მაღალი მოდის კვირეულზე (2004 წლის შემოდგომა-ზამთარი) D&G-ს ჩვენებაზე სრულიად ახალგაზრდა მოდელის – როკ-ენ-როლის მეფის, ელვის პრესლის შვილიშვილის დებიუტი შედგა. მაშინ, როცა ლეგენდარული მომღერალი „მოკლეკაბიან და გრძელფეხება გოგონას“ უძღვრებოდა, ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მისი შვილიშვილი სწორედ ამგვარი სახით წარდგებოდა პუბლიკის წინაშე.



პრესლის ქალიშვილის, ლიზ მარია პრესლისა და მისი პირველი ქმრის – მომღერლისა და სიმღერების ავტორის – დენი კეოპის 14 წლის ქალიშვილი პოლიუმზე ჯინსის მოკლე ქვედაკაბითა და წარწერიანი თეთრი სპორტული მანისურით შემოსილი გამოჩნდა. ფეხზე მას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

დანიელ რაილი კეოპი მსოფლიოში ცნობილი მოდელიერების ყოველდღიური ტანსაცმლის დემონსტრირებას ახდენდა.

დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა მოხიბლულნი არიან რაილის სილამაზითა და სინორჩით.

როგორც AP იუწყება, დანიელს დედისგან მემკვიდრეობად სილამაზე ერგო, ხოლო ბაბუისგან – კეთილშობილური ჰაბიტუსი.


სალმა ჰაიუკის ახალი შეყვანებული

სალმა ჰაიუკმა სიდნეის კინოფესტივალზე პრესის წარმომადგენლებს სიამოვნებით წარუდგინა თავისი ახალი შეყვარებული – 32 წლის მსახიობი, ჯოშ ლუკასი. 37 წლის მექსიკელი მზეთუნახავი ავსტრალიას იმისათვის ეწვია, რომ იქ, გულის სწორს შეხვედროდა. ლუკასს ცხელ კონტინენტზე ახალ ფილმში – Stealth-ში იღებენ.



შეგახსენებთ, რომ სალმა გასულ წელს თავის საქმროს, ედვარდ ნორტონს დაშორდა, თუმცა მსახიობი ამის გამო სასოწარკვეთილებაში არ ჩაყარდნილა. ამჟამად მას პირს ბროსნანთან ერთად ფილმში – „მზის ჩასვლის შემდეგ“ იღებენ და ლუკასის გვერდით თავს ბედნიერად გრძნობს.

Rolling Stones-ის გიფანისცმა სიკუდილს აჯამა



ამერიკელმა გერონტოლოგმა დევიდ ლემკომ, რომელიც ყურადღებით სწავლობდა ჯგუფ The Rolling Stones-ის ცნობილი წევრის, კეიტ რიჩარდსის ცხოვრების სტილს, მოულოდნელი დასკვნა გააკეთა. მეცნიერის მტკიცებით, მუსიკოსი წესით 8 წლის წინ უნდა გარდაცვლილიყო. „ის 52 წლის ასაკში უნდა მომკვდარიყო. ვერაფრით ამიხსნია, როგორ ცოცხლობს აქდენ ხანს“, – ამბობს ლემკო. თვითონ მუსიკოსსაც ძალზე უკვირს, რომ აქდენი ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მიღების მიუხედავად, დღესაც ცოცხალია.

დევიდ ლემკოს არც სხვა ვარსკვლავები დაუტოვებია უყურადღებოდ. მისი გამოთვლებით, ოზი ოსბორნი 65 წლამდე იცოცხლებს, უილნი ჰიუსტონი 59 წლის გარდაიცვლება (ახლა ის 40 წლისაა), 45 წლის მაიკლ ჯექსონი 76 წლამდე მიაღწევს, კორტნი ლავი კი 62 წლის ასაკში თავის ბოლო დაბადების დღეს აღნიშნავს.

ლემკოს პროგნოზით, ყველაზე დღევანდელი იქნება სტინგი, რომელიც 93 წელი იცოცხლებს, თუმცა, საკითხავია, რიჩარდსის შემდეგ, რამდენად სანდოა მეცნიერის „წინასწარმეტყველებანი“.

ჯანეც ჯექსონს სკანდალი

10 მილიონი დაუჯდა

ჯანეტ ჯექსონს სცენაზე მკერდის უნებლიე თუ საგანგებოდ გაშიშვლება 10 მლნ გირვანჯა სტერლინგი (15 მლნ დოლარი) დაუჯდა. საქმის არის, რომ მომღერალს ამერიკელი ვარსკვლავის, ლენა ჰორნზე შექმნილ ბიოგრაფიულ ფილმში უნდა ეთამაშა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ABC-ის ბოსებმა მისი კანდიდატურა კატეგორიულად უარყვეს. The Daily Star-ის ინფორმაციით, ჯანეტი სწორედ სკანდალის გამო დაისჯა. მომღერალი ვერც ჰორნის ხსოვნისადმი მიძღვნილ ალბომს ჩაწერს. ჯანეტი თავყანს სცემს ლენა ჰორნს და ფილმში მისი განსახიერება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. სკანდალური გამოხდომის გამო ჯექსონი ცოტა ხნით გახეთების პირველ გვერდებზე კი მოხვდა, მაგრამ ეს ეპატაჟი ძალზე ძვირად დაუჯდა.

ჯანეტ ჯექსონისა და ჯასტინ ტიმბერლეიკის დუეტს 89 მლნ კაცი უსმენდა და უყურებდა. 2004 წლის პირველი თებერვალი ალბათ თითოეულ მათგანს დიდხანს ემასხოვრება – ამ დღეს მათ სიმღერის მოსმენის გარდა, ჯექსონის შიშველი მკერდიც იხილეს. ამ ფაქტმა აშშ-ის კონგრესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და უამრავი ტელემაყურებლის აღშფოთება გამოიწვია.

37 წლის მომღერალმა საჯაროდ მოუბოდიშა ამერიკელ მაყურებელს – MTV-მ ამაზე არაფერი იცოდა, გადაწყვეტილება ჩვენ ფინალური რეპეტიციის დროს მივიღეთ; არ მეგონა, თუ ამგვარად განვითარდებოდა მოვლენები.



ცნობილი პარაფსიქოლოგის დალი ავაგუმაშვილის მოსაცდელში ისეთ ამბებს მოიხმენთ, თვითმხილველთა მონათხრობი რომ არ იყოს, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა. აქ დილიდანვე უამრავი ადამიანი ელოდება თავის რიგს, მათ შორის უცხოეთიდან ჩამოსულებიც არიან და სანამ ქალბატონ დალისთან შეველენ, სასწაულებს ჰყვებიან მისი ლოცვის მადლსა და ძალაზე. „გზის“ №7-ში დალი ავაგუმაშვილზე დაბეჭდილ წერილსაც აქტიურად გამოეხმაურნენ ჩვენი მკითხველები და ამჯერად, სწორედ მათი თხოვნით ვესტუმრეთ საქვეყნოდ აღიარებულ პარაფსიქოლოგს.



პარაფსიქოლოგი დალი ავაგუმაშვილი:

ლოცვის ძალა სასწაულებს ახდენს

ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, ეშმაკუული ძალებისგან ღვთის შეწევნითა და თქვენი საქმიანობის წყალობით გათავისუფლებულლებზე მოსაცდელში სასწაულებს ჰყვებიან...

— სამწუხაროდ, ბოლო წლებში, საგრძნობლად გაიზარდა შეპყრობილთა რიცხვი... ჩემთან ქმარმა და დედაბილმა კახეთიდან ჩამოიყვანეს ასალგაზრდა ქალი, რომელსაც ეშმაკი სახეს უკარგავდა. სამი ბრჭყალის სისხლიანი ნაკვალევი ერთ ლოყაზე აჩნდა, სამი — მორეზე. ქმარს ვერ ფსიქოატრთან მიუყვანა: ოჯახის წევრებს უფიქრიათ, გაგიჟა და სახეს თვითონ იკარგავსო. ბუნებრივია, უწმინდურ ძალას წაძლებით ვერ განდევნი, ამიტომ, რა გასაკვირია, თუ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო?! დედაბილმა რძალს, ექიმის რჩევით, ძირში დაკურა ფრჩხილები, მაგრამ როცა საბრალოს იმ დღეს გაუჩნდა ნაკარები ლოყაზე, მიხვდნენ, რომ ეშმაკი, რომელიც მას ეცხადებოდა მხოლოდ სულის ავადმყოფის ვიზუალური ჰალუცინაციის ნაყოფი არ იყო და დედაბილის დაქინებული თხოვნით, ჩემთან ჩამოიყვანეს შესალოცად.

— ახლა როგორ გრძნობს თავს?
— ლოცვის ძალა, ღვთის შეწევნით, სასწაულებს ახდენს... უწმინდურის განდევნის შემდეგ, ქალმა სიზმარში იხილა, თუ როგორ ატირდა, დაპატიარავდა და გაიქცა ეშმაკი, რომელიც აწვალებდა, ამინებდა და ებრძოდა, რათა მის სულს დაჰპატრონებოდა.

— თქვენს მოსაცდელში ერთი ქალბატონი ჰყვებოდა, თუ როგორ ყოფიდა და ღრუჭუნებდა შეპყრობილი გოგონა, რომელიც აქ მშობლებმა

შესალოცად მოიყვანეს...

— 13 წლის ბავშვის სხეულში ჩასახლდა უწმინდური და პერიოდულად, ხან მამალივით აყოლებდა, ხანაც ღირვით აღრუტუნებდა. ერთ შუაღამის ქალბატონს კი, ეშმა სხვადასხვა ადამიანის ხმით ალაპარაკებდა. მაგრამ ლოცვის ძალამ დაამარცხა და განდევნა ბოროტი.

— თქვენზე ამბობენ, დანგრევის პირას მისული ოჯახები გადაარჩინაო, მართალია?

— როცა ადამიანებს აურა დასაშვებ ნორმაზე მეტად უბინძურდებათ, უარყოფითი ემოციებით, სტრესებითა და ფსიქოტრაპებით თავს ვეღარ ერევიან. ბიოველის დაბინძურებას ხელს უწყობს აგრეთვე ტელევიზორის, კომპიუტერისა და ნებისმიერი სხვა ელექტრონულსაწყობის გამოსხივება, რომელიც ყოველდღე ვიყენებთ ყოფაში. ამას ემატება ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარება, რომელიც უარყოფითად დამუხტულ ოჯახის წევრებს შორის უსიამოვნებისა და კამათის წყარო ხდება. როგორც უკვე აღვნიშნე, ზედმეტად დაბინძურებული აურის მქონე ადამიანი თავს ვეღარ იმორჩილებს და როგორც კი მიხვები ეძლევა, უარყოფითი ენერჯისგან განმუხტვას ანუ ჩხუბსა და აყალმაცალს იწყებს. სხვათა შორის, აურას მასშტაბით გავრცელებული უარყოფითი ინფორმაციაც აბინძურებს.

— რას გულისხმობთ ზედმეტად დაბინძურებულ აურაში?

— როცა ბიოველი 25%-ითა დაბინძურებული ანუ უარყოფითად არის დამუხტული, ადამიანი ფლობს საკუთარ თავს და ადვილად მართავს დავროვილ ნეგატიურ ენერჯას. მაგრამ როცა დაბინძურების პროცენტი იზრდება და პიკს აღწევს, უკვე თავ

ვად იწყებს უარყოფითი მუხტის გამოსხივებას, რასაც სშიზა, ოჯახური ურთიერთობებიც ეწირება. უსიამოვნება, სისტემატური ჩხუბი, აყალმაცალი ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობს დედა-შვილს, რძალ-დედაბილს, ცოლ-ქმარს და ა.შ. გარდა ამისა, აურის ზედმეტად დაბინძურებას ისეთივე სიმპტომები აქვს, როგორც ნევროზსა და დეპრესიას. ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მკურნალობენ ექიმებთან, სვამენ ათასნაირ აბს, მაგრამ ვერც ნევროზისგან განიკურნდნენ და ვერც დეპრესიიდან გამოვიდნენ.

— რატომ გაუჭირდათ მდგომარეობიდან გამოსვლა?

— ავადმყოფობის მიზეზი დაბინძურებული აურაა, რომელიც სამკურნალო პრეპარატებით არ იწმინდება, პირიქით — ამ დროს, ორგანიზმს ქიმა კიდევ უფრო წაძლავს და შესაბამისად, მდგომარეობაც ურთულდება. საერთოდ, ნევროზსა და დეპრესიას, რომელსაც ნეგატიური ემოციებითა და ფსიქოსტრესებით, ელექტრონულსაწყობთა გამოსხივებით ან სხვა უამრავი მიზეზით უარყოფითად დამუხტული აურა იწყებს ანუ, როცა დაავადება ორგანული არ არის, მხოლოდ შელოცვა შეეძლება. თუ შეატყობთ, რომ ნევროზის მკურნალობა ან დეპრესიიდან გამოსვლა ქიმიური პრეპარატებით გაგიძინელოდათ, უთუოდ აურა უნდა გაისუფთაოთ.

— შელოცვა აურასაც ასუფთავებს?

— რა თქმა უნდა! ასე რომ, ნევროზსაც და დეპრესიასაც, ვიმეორებ — თუ დაავადება ორგანული არ არის და გამოწვევი მიზეზი აურის დაბინძურება — მხოლოდ ბიოველის შელოცვით გასუფთავება შეეძლება. საერთოდ, ორგანულ დაავადებებს არ ვმკურნალობ. ამას წინათ, 20 წლის მშვენიერი ასალგაზრდა კაცი მომიყვანა დედა, რომელიც, მისივე თქმით, 11-12 წლის ასაკში დაკაცდა, მაგრამ მშობლებმა თავიანთი უნაიათობით შევიდნენ ქალთან მიყვანა დღემდე ვერ მოახერხეს, რამაც გამოიწვია შიში და თავის ტვინის პათოლოგია. ასალგაზრდა კაცს ესმის ხმები, მოჩვენებები აქვს, დეპრესიულია, მაგრამ ამის მიზეზი ეშმაკის უწმინდურ ძალთა ზემოქმედება არ არის; სამწუხაროდ, მას ორგანული დაავადება აქვს და ექიმს უნდა მაკითხო, შეპყრობილი ნამდვილად არ არის და მე ვერაფრით დავებმარები.

— ოჯახურ პრობლემებსაც შელოცვით აგვარებთ?

— დიახ. როგორც უკვე ვთქვი, მაქსიმალურად დაბინძურებული აურის მქონე ადამიანი თავად იწყებს უარყოფითი ენერჯის გამოსხივებას — მას ხომ განმუხტვა სჭირდება. ასე რომ, სულ უმნიშვნელო მიზეზიც კი საკმარისია, რომ მამინე ჩხუბი და აყალმაცალი ატეხოს, რადგანაც სწორედ ამ დროს იცლება ნეგატიური ენერჯისაგან და უარყოფ

ოვითი მუხტი ოჯახის დანარჩენ წევრებზე გადააქვს. არასასურველ ინფორმაციას საცხოვრებელი ბინის აურაც ავიქსირებს და იკვრება მოჯადოებული წრე, რადგანაც კვლავი უარყოფითი პროგრამებს მოგვიანებით ისევ აღამიანებს უბრუნებენ და ა.შ. ოჯახში შექმნილი დაძაბული ვითარება ურთიერთობებს ანადგურებს და ცოლი ქმარს ეყრება, დედაბილი რძალს სახლიდან ავდებს, შვილს მშობლებზე ეყვარება და პირიქით. უახლოესი აღამიანები ვეღარ იტანენ ერთმანეთს, რადგან მათ აურაში დიდი რაოდენობითაა უარყოფითი ენერგია დაგროვილი. შელოცვებით ოჯახის წევრებს ბოივებს ვუსუფთავებ, მერე სახლის დაბინძურებულ აურასაც ვწმენდ და პრობლემებიც თავისთავად ქრება. მაგრამ ამ პროცესში ოჯახის ყველა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, სასურველი შედეგის მისაღწევად. აუცილებელია აგრეთვე, მათი საცხოვრებელი ბინის გაწმენდაც, სხვაგვარად ოჯახური პრობლემები არ მოგვარდება, რადგანაც ლოცვებით განწმენდილ აღამიანებს მერე, უკვე დაბინძურებული სახლი დააბრუნებენ უარყოფითად და პროცესი თავიდან დაიწყება. ძალიან ხშირად, როცა ოჯახში მძიმე მდგომარეობა იქმნება, ჰგონიათ, რომ ვიღაცამ მათ ჯადო გაუკეთა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. საერთოდ, ჯადო სუსტი ბოივების მქონე აღამიანზე ახდენს ზემოქმედებას, ასე რომ, მზად ვარ, ნებისმიერ მსურველს დავეხმარო აურის გაწმენდას და გაძლიერებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ჯადოც არსებობს. როცა აურის დაბინძურება პიკს აღწევს, აღამიანი უარყოფითად არის დაბრუნებული და მის ცხოვრებაში კარგი აღარაფერი ხდება, ეს იგივეა, საკუთარ თავს ჯადო თვითონვე გაუკეთო.

— გამიგონია, რომ ქრისტიანი მოლასთან წასულა, ბარაქზე შესალოცად...

— მერწმუნეთ, მოლა ქრისტიანს კარგს არაფერს გამოატანს... ჩემთან მოვიდა ერთი ქალბატონი, რომელიც მოლასთან მეგობარს გაჰყვა, ბარაქზე შესალოცად, თუმცა, მისი მეუღლე ფულს კარგად შოულობდა. მას შემდეგ, რაც მოლას რჩევით ქმრის კოსტუმის გადანაკეცი მიუძღვა ჩემად ჩააკურა შავქსოვილგადაკრული თილისმა, ოჯახის მატერიალური მდგომარეობა უკან-უკან წავიდა; ამ ქალბატონის მეუღლე კინაღამ დაიჭირეს. საბედნიეროდ, დროზე მოვეო ცოლი გონს, თილისმა ჩემთან მოიტანა და მიხოვა — ნახეთ ერთი, მოლამ რა მოტკარა... წარუმატებლობის პერიოდის დასაწყისი მან ლოგიკურად დაუკავშირა მოლასთან ვიზიტს.

— რა იყო გამოკვერილი შავ ქსოვილში?

— ჩვეულებრივი არაბული შავი მაგიის ნიმუში — ქიმიური ჯადო, რომელსაც მოლები აკეთებენ: შავ ქსოვილში არაბულწარწერი-

ანი, მელის ქონით გაყვანილი ქალაქი იყო ჩაკრებული. დროზე რომ არ გაგვენიტრალეზინა მოლის მიერ ამ ქალბატონის ქმარზე გაკეთებული ჯადო, შესაძლოა, უარესიკ მოსვლიდა.

— ამბობენ, მჩხიბავებს ჯადოს ახლობელი აღამიანები უკვეთენო, მართალია?

— დიახ, ასეა... გასულ ზაფხულს, ჩემთან ერთი არაჩვეულებრივი ქალბატონი, შესანიშნავი ოჯახის დასახლისი მოვიდა. გადასარევი ქმარ-შვილი, რძალი და შვილიშვილი ჰყავს.

— რამ მოიყვანა თქვენთან?

— ზაფხულში, როცა ვაჭიშვილი, რძალი და შვილიშვილი ზღვაზე გაისტუმრა, შინ ქალი მოიყვანა და სთხოვა, ლეიბები დაეშალა და მატყლი გაერეცხა. მოხუცმა, რომელმაც საბუშო აიღო, ამ ქალბატონის ერთადერთი ვაჭიშვილისა და რძლის საძინებლიდან გამოტანილ ლეიბში შემთხვევით ჯადო იპოვა და დასახლისის მისცა. ქალი გაოგნებული დარჩა, არ იცოდა, რა ეფიქრა; ჯადოს არსებობა საერთოდ არ სჯეროდა, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ აღმოჩნდა, იტულებული გახდა, ჩემთან მოსულიყო.

— როგორ მოგტყუანა?

— ახლობლისთვის შეუჩივია — შვილისა და რძლის ლეიბში მგონი, ჯადო ვიპოვე და არ ვიცი, რა ვქნა, ვის ვაჩვენო. ამ ქალბატონის დაქალი ადრე, იყო ჩემთან ნამყოფი და უთქვამს — დალიზე უკეთესს ვის მოუტან? — ზვალვე გავცეხო.

— ვინ აღმოჩნდა ჯადოს დამკვეთი?

— ამ ქალბატონის არაჩვეულებრივი რძალი. ვაჭი კარგი ჰყავს და ცოლიც შესაფერისი მოიყვანა, დედაბილსაც ძალიან უყვარს და მამამთილსაც.

— კი, მაგრამ რაში დასჭირდა?

— სასიყვარულო ჯადოა გაკეთებული. როგორც ჩანს, შეეშინდა — იქნებ, ცოლად არ შემირთოსო, — და საქმრო მოაჯადოვა.

— მერე რა ქნა დედამთილმა, როცა თქვენგან სიმართლე შეიტყო?

— იღენად კარგი წველია და ისე უყვარს რძალი, რომ ქმარ-შვილს არაფერი უთხრა. სიყვარულზე იყო გაკეთებული და არ გაღიზიანებულა, თავის რძალს გაუგო, როგორც ქალმა ქალს.

— რა ბედი ეწია სასიყვარულო ჯადოს?

— რა თქმა უნდა, გავანეიტრალე. დედაბილი ჩემი რჩევით, ეკლესიაში წავიდა, სანთლები დაანთო და რძლის ნაცვლად მონანია ჩაღვნილი დანაშაული, უფრო სწორად — ღმერთს შესთხოვა, შეუნდოს ცოლმა მისი შვილიშვილის დედას. სხვათა შორის, ბერს ჰგონია, რომ სასიყვარულო ჯადოს გაკეთება დიდ ბოროტებად არ ითვლება. როგორც ჩანს, იმ ქალბატონის რძალიც მათ

რიგს მიეკუთვნება... ორი კვირის წინ, ჩემთან მოვიდა გამწარებული ცოლი, რომლის ქმარსაც საყვარელი ჰყოლია 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ქმარს ოჯახის დანგრევა და მეუღლის მიტოვება არც უფიქრია, საგულდაგულოდ მაღავედა თურმე თავის სასიყვარულო ურთიერთობას; ვიღაცას ქალისთვის სიმართლე უთქვამს, ქმარი ვალაატობსო. მოტყუებულ ცოლს უფიქრია — ალბათ, საყვარელმა ჯადო გაუკეთაო და თვითონაც წასულა მჩხიბავთან, იმ ქალის „ჩასაკეტად“. როგორც კი დამელაპარაკა, მაშინვე მოვიდა ინფორმაცია, რომ მან ჯადო გაუკეთა ქმრის საყვარელს. ვიფიქრე, საუბარში თვითონვე აღიარებს-მეთქი დანაშაულს, მაგრამ მჩხიბავთან რომ იყო, ამაზე სიტყვაც არ დასცდენია. ვუტრიალე ამ თემას, მაგრამ სიმართლე რომ ვერ ვთქვინე, შევუტეე: რატომ არ მიყვები ყველაფერს? შეგნებულად მიმაღავ, შენი ქმრის საყვარელი მჩხიბავს რომ „ჩასაკეტებინე“? რას ერჩიდი იმ ქალს-მეთქი? — ქმარი წამართვა, ჯადო გაუკეთა, მე მხოლოდ მისი დაბრუნება მინდოდაო, — გამოძიცხდა.

— რა უნდა ქნას აღამიანმა, რომელიც შეცდა და მიზნის მისაღწევად ვინმეს ჯადო გაუკეთა?

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ სხვა აღამიანზე ნებისმიერი მაგიური ზემოქმედება დიდი ცოდვაა, რომელიც ეკლესიაში უნდა მოინანოს ერთხელ და სამუდამოდ. თუ მოძღვარი ჰყავს, აღსარების დროს უთხრას და შენდობა ითხოვოს, თუ ეკლესიური არ არის, მივიღეს ტაძარში, დაანთოს სანთლები და უფლის წინაშე აღიაროს დანაშაული. მაგრამ ამ ცოდვის მონანიების მერე, იგივე ბოროტება მეორედ და შესამდდ არ უნდა ჩაიდინოს. სამწუხაროდ, ზოგიერთები გვიან მოგვებიან ხოლმე გონს და მონანიების მერეც მიდიან მჩხიბავთან იმ იმედით, რომ ღმერთი მოწყალეა და ისევ შეუნდობს ჩაღვნილ დანაშაულს.

— ქალბატონო დალი, ზოგს ნათელმზილველი ჰგონიათ...

— ზაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ მე არც მკითხავი ვარ და არც ნათელმზილველი, ასე რომ, სამარჩილოდ ნურავინ დამირეკავს. თუ შელოცვის დროს, ღვთის ნებით, ზვიდან მოვა ინფორმაცია, უფლის ძალა მათქმევინებს სათქმელს. მე მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა უზენაესს სურს, გაგაფრთხილოთ ჩემი პირით. ასე რომ, ხმები იმის შესახებ, თითქოს მარჩიელი ან ნათელმზილველი ვარ, მერწმუნეთ, ჭორია და ნუ აჰყვებით.

ქალბატონი დალი წინასწარ ჩაწერის გარეშე არავის იღებს. შეგიძლიათ, ჩასაწერად დაურეკოთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9-დან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00; 8(99).10.73.06.

ლელა ჭანკოტაძე

მინისტრთა კაბინეტის წევრების უმეტესობა, საზოგადოებისთვის ახალ სახეს წარმოადგენს. ბუნებრივია, მოსახლეობას აინტერესებს, თუ ვინ ვინაა. ცხადია, რამდენიმე ინტერვიუ, რომელიც მასმედიაში გაჩნდა, ამ ინტერესს სრულად ვერ დააკმაყოფილებს. ახალი მინისტრების უკვე გაშუქებულ მხარეებს, ნათელმხილველი ნატაშა სკოროსოდოვა საკუთარ პროგნოზებს შემატებს. დღეს ის ცდილობს, სამი ახლი მინისტრის უახლოესი მომავალი იწინასწარმეტყველოს.



გოკა გაბაშვილი

გოკა გაბაშვილი, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

— მშვიდი, წყნარი, გაწონასწორებული ადამიანია. ყოველთვის ცდილობს, ანგარიში გაუწიოს სხვების აზრს. მასთან ურთიერთობა იოლია, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა იმდენად აქვს გამაფრებელი, რომ მაქსიმუმს აკეთებს სხვების დასახმარებლად. მას მშვიდად შეგიძლიათ ენდოთ და დახმარება სთხოოთ.

— მისი ხასიათის უარყოფითი თვისებებიც შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?

— ზედმეტად მიმდობია. ადამიანების სჯერა და ფიქრობს, რომ მის მიმართაც ისეთივე გულისხმიერება უნდა



„ამ მინისტრის პირად სწორებას უკოვენაროდ დაპროუბ...“

გამოიჩინონ, როგორსაც თვითონ იჩენს სხვების მიმართ. როცა გოკა გაბაშვილზეა საუბარი, შეუძლებელია, ყურადღება არ მიექცეს მის ინტიმურ სამყაროს. როგორია იმ ქალის მიმართ, რომელიც უყვარს? გოკას თვალში ჩანს, რომ ამ ქალისადმი გრძნობას ის მთლიანად მოუცავს. ცოლი ისეთი სიძლიერით უყვარს, როგორც დღეს იშვიათობა. მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება, ოდესმე სხვა ქალთან მოუწიოს ცხოვრება. ამიტომ მის ოჯახს საფრთხე არასდროს დაემუქრება. მის ცოლს შეუძლია, მშვიდად იყოს. გოკასთვის, მის გარდა, სხვა ქალი არც არსებობს. მათ კიდევ ორი ბავშვი ეყოლება და მშვიდი, სტაბილური ოჯახი ექნებათ.

— რა ელის გოკა გაბაშვილს პოლიტიკურ ასპარეზზე?

— მისი მომავალი საინტერესო და მრავალფეროვანია. ის მინისტრად მუშაობისას სულიერ სიამოვნებას ვერ მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ამის იმედი აქვს. ენთუზიაზმით არის აღსავსე და თავის მინისტრობას ძალზე იმედიანი თვალთ შეჰყურებს. მაგრამ ის მალე დატოვებს ამ თანამდებობას და სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წავა. უცხოეთში რამდენიმეწლიანი ცხოვრების შემდეგ, ისევ პოლიტიკას დაუბრუნდება. საჯარაუდოდ, ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორი

გახდება. მისი სახელი ყოველთვის წარმატებებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ცხოვრებაში უსიამოვნებებიც არ მოაკლდება. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ის ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული და ყველაფერში გაუმართლებს, რასაც კი ხელს მოჰკიდებს.

— რას მალავს?

— იმას, რომ საშინლად ეშინია მარცხის. მარცხს ვერასდროს ეგუებოდა და მასზე ყოველთვის მტკივნეულად რეაგირებდა. ისეთი ალელვება შეუძლია, რომ ამას მისი ახლობლებიც კი ვერ წარმოიდგენენ. ხშირად, გარეგნულად არ ამჟღავნებს ემოციას, შინაგანად კი ბოლოქრობს. მაგნე ჩვევებისკენ მიდრეკილება აქვს — ბევრ სიგარეტს ეწევა და რაც არ უნდა იღონოს, მოწევას ვერ



ნიკა გილაური

გადაეჩვენა.

რაიმე საფრთხე სომარ ემუქრება?

ერთადერთი, რამაც შეიძლება, მომავალში დისკომფორტი შეუქმნას – გულაია. ვურჩევ, გულს გაუფრთხილდეს.

ნიკა გილაური, ენერგეტიკის მინისტრი.

კარგი ადამიანია. პრინციპული, ენერგიული, ერთუხიანებით აღსავსე და რაც მთავარია, განათლებული. წესით, ეს თვისებები მას ახალ სამსახურში უნდა გამოადგეს. მაგრამ ნიკა პირველი მერცხალი აღმოჩნდება, რომელიც მინისტრის თანამდებობას დატოვებს, რაც მისთვის მოულოდნელი ნამდვილად არ იქნება: ნიკას კარგი ინტუიცია აქვს და თვითონაც კარგად აცნობიერებს, რომ მინისტრის პოსტზე დიდხანს ვერ დარჩება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას მომავალში წარმატებები არ ექნება. წლების შემდეგ, ის კვლავ დაინიშნება მინისტრად, ოღონდ – სხვა სფეროში.

როგორია ნიკა გილაურის ინტიმური სამყარო?

ერთი შეხედვით მშვიდი, გაწონასწორებული და დინჯია, შინაგანად – ემოციური. ზოგჯერ ისე „აზვირთდება“, რომ მოზღვავეებული ენერჯის დასახარჯად დიდი ძალისხმევა სჭირდება. მისი გულის დაპყრობა იოლია. უყვარს ქალები, რომლებიც მის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ. თუ მის მიმართ ყურადღებიანი და მზრუნველი ხარ, თუ გრძნობს, რომ ის გულწრფელად გიყვართ, ბევრ შეცდომას გაპატიებთ. საერთოდ, ქალების გარემოცვაში ბედნიერად და ლაღად გრძნობს თავს.

როგორია მისი უახლოესი მომავალი?

ბევრი უსიამოვნება და გაუგებრობა ელის. ბევრ კითხვაზე ვერ იპოვის პასუხს. მის თვალეში ვხედავ, რომ ცდილობს, სიფრთხილედ გამოიჩინოს და ყველა ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონოს. ძალიან დაძაბული დღეები, ბევრი სანერვიულო და უამრავი წყენა ნიკა გილაურის მინისტრობის თანამდევნი იქნება.

თუ შეგიძლიათ, ჩამოთვალეთ მისი ხასიათის უარყოფითი თვისებები?

ამბიციურია. ამიტომაც დათანხმდა იმ თანამდებობაზე მუშაობას, რომელიც მის კარიერაში წარმატებულად არ ჩაი-

თვლებოდა და ეს ნიკამ წინასწარ იცოდა. ახალი იდეების ხორცშესხმა მას არ დასცალდება. მისი დევიზი – „ნებისმიერი მდგომარეობიდან არსებობს გამოსავალი“ – ამჯერად, არ გაამართლებს.

თამარ სულუხია, ინფრასტრუქტურის მინისტრი.

ერთი შეხედვით ნაზი, სიფრიფანა, მფრთხალი ქალბატონი, სინამდვილეში ძალზე პრინციპული, თამამი და მომთხონია. მისი პირდაპირობა და სიმკაცრე ზოგჯერ აფრთხობს კიდევ ადამიანებს. მას შეუძლია, იყოს ძალზე მორჩილი და წყნარი, მაგრამ ასევე – ბოლოქარი და უკომპრომისოც. დათმობებზე იოლად მიდის, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპებს არასდროს ღალატობს. მისი თვალეები მეუბნება, რომ გეგმაში მინისტრობა არასდროს ჰქონია. უბრალოდ, ის სიახლეების მოყვარულია, ზედმეტად ამბიციურიც და ამ თანამდებობასაც ამიტომ დათანხმდა. თუმცა, ჰქონდა შიშისა და გაურკვევლობის პერიოდი. მართალია, არ იმჩნევს, მაგრამ საკმაოდ შეშინებულია. ამიტომაც, კარგა ხნის მანძილზე, დამოუკიდებლად ვერც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. მისგან სასწაულებს არც სხვები ელიან.

როგორ შეფასდება მისი მინისტრობის პერიოდი?

ის მინისტრის თანამდებობას ხმაურიანად და უსიამოვნების გამო არ დატოვებს. საკუთარი განცხადებით გადადგება, თუმცა სინამდვილეში, აიძულე-



თამარ სულუხია

ბენ. ვერ გეტყვით, რომ მისი მინისტრობა წარმატებული იქნება, მაგრამ მას კარგი მომავალი აქვს. პოლიტიკაში დარჩენას არ აპირებს. ის სამეცნიერო მოღვაწეობას გააგრძელებს, კათედრაზე იმუშავებს და ყველაფრით უზრუნველყოფილი მომავალი ექნება. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში მისი ადგილი არ მოიხსნება. ვერც ვხედავ, რომ ამის დიდი სურვილი ჰქონდეს. მისთვის საშინლად შემაწუხებელი აღმოჩნდება ის უსიამოვნებები, რომლებიც მინისტრობას ახლავს თან.

რა შეგიძლიათ თქვათ მის ინტიმურ სამყაროზე?

ამ მინისტრის პირად ცხოვრებას უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან თავადაც არ უყვარს ამის აფიშირება და ყველა წერილმანს საგულდაგულოდ მალავს. ექსპერიმენტებსა და სიახლეებს პროფესიონალურ ასპარეზზეც მიესალმება და პირად ცხოვრებაშიც...

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ხეობი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დისაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი. საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამომცემებში. დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
 მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
 დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ყველაზე ცდილობს „ლიუდპოლდის“ სტრატეგიული რეკლამინგები

„ლიუდპოლდის“ და „ასტონ ვილას“ ყოფილი ვარსკვლავი სტენ კალიმორი კარგი დისციპლინით არასოდეს გამოირჩეოდა. მას ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით ხშირად ექმნებოდა პრობლემები მწვრთნელებთან, რის გამოც იძულებული გახდა, ადრე დაესრულებინა კარიერა. ცოტა ხნის წინ კი გაირკვა, რომ ფეხბურთელი გარყვნილებითაც გამოირჩევა. მართალია, სტენს ცოლშვილი ჰყავს, მაგრამ უბრატესობას



გაუკუღმართებულ სექსს ანიჭებს. კალიმორი ვუაიერიზმით, ექსპლიციტინიზმითა და ჯგუფური სექსობრივი კავშირით ყოფილა გატაცებული. The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იგი დაუფარავად ჰყვება იმ „ტექნოლოგიების“ შესახებ, რომლებიც ზემოთ დასახელებულ სფეროებში თავადვე შეუშუშაგებია. მაგალითად, სტენს ძალზე იზიდავს სექსი მანქანაში. ამასთანავე, თურმე, ხან დამკვირვებლის როლს ამჯობინებს, ხანაც ერთობლივი სასიყვარულო თამაშებისთვის ოჯახურ წყვილებს ქირაობს. გარდა ამისა, ყოფილი ფეხბურთელი არც სუტენირობას თაკილობს. კალიმორის მიერ გაგზავნილი ერთ-ერთი „მესიჯი“ The Sun-ის კორესპონდენტსაც წაუკითხავს. „ლუსი ძალიან მიმზიდველია და თქვენთან ინტიმური ურთიერთობის დამყარება სურს. ოღონდ, ჯერ მან თქვენ უნდა გიხილოთ“, – აცნობებდა თავის ნაცნობ ბიჭებს სტენი, რომელიც ცოტა ხნის წინ, სპორტში დაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ მოიცალა, რადგან ახლა მთელი მისი არსება გაუკუღმართებულ სექსობრივ ვნებებს შეუპყრია.

მედი მენეჯერმა და მენეჯერმა



შარშან დევიდ ბექჰემმა მხოლოდ რეკლამით 6,75 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა. ფეხბურთელის საერთო შემოსავალმა კი 11 მილიონი შეადგინა. ამასთან, „ოლდ ტრაფორდზე“ ასპარეზობისას („რეალში“ გადასვლამდე), მან 4 მილიონი მიიღო. ეს მონაცემები ბრიტანულმა Daily Mirror-მა ბექსის სახარჯთაღრიცხვო კომპანია Footwork Productions-ის ცნობებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა. დევიდი მილიონ გირვანქას Vodafone-თან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე იღებს (ამდენივეს გამოიმუშავებდა იგი Brylcreem-ის რეკლამირებისას). ფეხბურთელს თითო მილიონს უხდიან აგრეთვე კომპანიები Police sunglasses და Rage Software.

ანტიგლობალისტური ტოლიმპიზმის წინააღმდეგ

ათენის ცენტრალურ ქუჩაზე რამდენიმე ასეულმა ანტიგლობალისტმა დემონსტრაცია მოაწყო და საბერძნეთის დელაქალაქში 13-29 აგვისტოს ოლიმპიური თამაშების გამართვასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. ანტიგლობალისტების გამოსვლა ათენში სოკ-ის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს შორის საქმიან შეხვედრას დაემთხვა. „აქ სოკ-ის ინსპექტორები იმყოფებიან, რომლებიც ხალხის აზრს არ ითვალისწინებენ, – ამბობს ერთ-ერთი ანტიგლობალისტი. – ჩვენ არ გვინდა, რომ ოლიმპიური თამაშები ათენში ჩატარდეს“. როგორც ჩანს, ანტიგლობალისტთა გამოსვლებს უკვე ყურადღებას აღარავინ აქცევს, რადგან სოკ-ის წარმომადგენლებს აღნიშნული აქციის შესახებ არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ. ცნობილია, რომ ანტიგლობალისტები უკვე დიდი ხანია, რაც ოლიმპიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მაგალითად, საბერძნეთში ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ უსაფრთხოების გამკაცრებული ზომების გამო, რომლებიც ოლიმპიადის მსვლელობისას განხორციელდება. განსაკუთრებით კი, მათ ათენის გარშემო დამონტაჟებული ვიდეოკამერები და ოლიმპიური თამაშების მსვლელობის დროს ქუჩის დემონსტრაციების აკრძალვა აღიზიანებთ. გაცნობებთ, რომ საბერძნეთი უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად 800 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს. ამასთან მობილიზებული იქნება 50000 პოლიციელი, რომლებსაც ნატო-ს შეიარაღებული ძალების ნაწილებიც გაუწევენ დახმარებას, რაც ანტიგლობალისტებისთვის ასევე მიუღებელია.

ალექს ბესტის საყვარელი, პრეტულიანი აღმთინდა

ცოტა ხნის წინ, ჯორჯ ბესტის ყოფილი მეუღლის, ალექსის საყვარელი, ბიზნესმენი ჯორჯ კრუგერი 6 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს. ბრაიტონის (სუსეკის საგრაფო) პოლიციაში კრუგერის დაკითხვას ალექს ბესტიც ესწრებოდა, რომლის მეგობრებიც ამბობენ, რომ მომხდარმა მას დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა. მიუხედავად ამისა, ალექსი ბოლომდე აპირებს საყვარლის გვერდით დგომას. თავად კრუგერი კი ცდილობს, საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს. შეგახსენებთ, რომ ალექსი ლოთბაზარა ჯორჯ ბესტს არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაეყარა და მალევე გაიჩინა მეგობარი, რის გამოც მას ყოფილი მეუღლე გაუნაწყენდა. ბესტი ალექსს საყვარელს უწუნიებდა და ამ უკანასკნელს ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.



ცოტა ხნის წინ, 55 წლის სახელგანთქმული მსახიობი ჟერარ დეპარდიე საფრანგეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალთან — კაროლ ბუკესთან ერთად ცხოვრობდა; და აი, ყველასთვის სრულიად მოულოდნელად, მას ახალი შეყვარებული გაუჩნდა — ასევე სახელგანთქმული მსახიობი ფანი არდანი.



სიყვარულმა გახსნოღიღუნ

23 წლის უაღრეს იფეთქა...

ვერავენ იფეთქებდა, თუ განუყოფიერებულ კაროლთან თითქმის 7-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ჟერარი სხვა ქალისკენ გაიხრდა. ფირმა „მანელი“ სახესა და კინოვარსკვლავს ღებარდიე პირველად 1997 წელს, ფილმის — „ორ ნაპირს შორის გადებული ხიდი“ — გადასაღებ მოედანზე შეხვდა. სცენისა და ეკრანის ორმა აღიარებულმა ოსტატმა მალე გამონახა საერთო ენა. მათ საახლოობლო წრეებში ამბობდნენ, რომ კაროლი და ჟერარი ერთმანეთისაგან განსხვავებულები იყვნენ და თითქოს ავსებდნენ ერთმეორეს: ემოციურ, მუდამ ენერგიულ ღებარდიეს, ღინჯი მანერების მქონე, აუღელვებელი ბუკე აწონასწორებდა... რამდენიმე წლის წინ, ჰამა-სმის საკითხში სრულიად დაუღევარი ღებარდიე საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა — მას გულმა უმტყუნა. რამდენიმე კვირა, კაროლი მის საწოლს არ მოშორებია. ჟერარი მას ჰპირდებოდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ, მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა — სმას მოუკლებდა, მაგრამ ხშირად არღვევდა შეყვარებულისთვის მიცემულ სიტყვას. ამბობენ, რომ ამის გამო ბოლო დროს, მათ შორის ძალზე გახშირდა კამათი, ვარსკვლავები სულ უფრო ხანგრძლივი დროით ებუტებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ბოლოს, მაინც რიგდებოდნენ.

და აი, მამაკაცის ცხოვრებაში გაჩნდა ახალი ქალი — ასე იტყოდნენ ღებარდიეზეც, რომ არა ერთი გარემოება: ღებარდიემ ფანი არდანი კარგა ხნის წინ — 1981 წელს გაიცნო, როცა ისინი ფრანსუა ტრიუფოს ფილმში — „მეზობელი ქალი“ — შეყვარებულებს თამაშობდნენ. მაშინ ღებარდიე უკვე ცნობილი მსახიობი

ბი გახლდათ, არდანისთვის კი, ეს საღებუტო კინოროლი იყო.

მაშ, როგორ მოხდა, რომ ქალების მოყვარულმა ღებარდიემ მაშინვე არ მოინჯა არდანზე საკუთარი მამაკაცური მიზიდულობის ძალა? როგორც ჩანს, ამის დრო ჯერ არ იყო მოსული: ჟერარი ჯერ კიდევ თავისი ოჯახის — ცოლის, კატრინის, შვილების — ვიოიზისა და აუღიეტიის ერთეული იყო. არდანი კი, „მეზობელი ქალის“ რეჟისორზე გახლდათ შეყვარებული. იმავე წელს, ის ცოლად გაჰყვა ტრიუფოს და სამი წელი — ფრანსუას სიკვდილამდე — მასთან ერთად გაატარა. რამდენიმე თვეში კი, ქალიშვილი აუზიფინა შეეძინა, რომელსაც მამის ნახვა არ ეწერა...

ფანი არდანი და ჟერარ ღებარდიე



დროადრო კვლავ ხვდებოდნენ ერთმანეთს. 1993 წელს, მათ ისევ მოუხდათ გადასაღებ მოედანზე შეხვედრა („პოლკონიკი შაბერი“), მოგვიანებით კი, ტელესერიალში — „ბალზაკი“ შეყვარებული წყვილის როლში მოველინენ მაცურებელს (ბალზაკი და ეველინა განელი). ამბობენ, მათ შორის სიმპათია იმ წლებშიც იჩინდა თავს, მაგრამ ღიდ გრძნობაში ეს სიმპათია სულ ახლანახან და თითქოს შემთხვევით გადაიზარდა. ეს რეჟისორ ან ფონტენის ფილმის — „ნატალის“ გადასაღებ მოედანზე მოხდა.

ეს სურათი, რომელსაც ამჟამად, საფრანგეთის ბევრ კინოთეატრში უჩვენებენ, კლასიკურ სასიყვარულო სამკუთხედზე მოგვითხრობს. არდანი და ღებარდიე ცოლქმარს თამაშობენ, მათ ცხოვრებაში „გოგონა გამოძახებით“ (მსახიობი ემანუელ ბერი) შემოიჭრება, რომელსაც ცოლი იქრავებს: ფანის პერსონაჟს სურს, გაერკვეს იმაში, თუ რა უნდა მოიმოქმედოს, რათა კვლავ გახდეს სასურველი, მის მიმართ გაცივებული ქმრისთვის...

რეალობაში, ამ ორ ადამიანს შორის სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: გაცნობიდან 23 წლის შემდეგ, ღიდმა სიყვარულმა იფეთქა. „ის, რაც ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს, ქორწინებაზე გაცილებით მეტს მოიცავს, — ამბობს ღებარდიე. — ეს სულთა კავშირიცაა და სიყვარულის მისტერიაც. ფანი ჩემი სულიერი ცხოვრების ნაწილად იქცა. ის ჰკუითა და ფანტაზიით დაჯილდოებული, იდეალური ქალია!“

არდანი, რომელიც არასოდეს გამოიჩეოდა საკუთარი პირადი ცხოვრებისა და გრძნობების გამოშხუერებისკენ მი-

დრეკილებით, ამჯერად ღიად ამბობს, რომ უფერაროდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

თუ დეპარდის სასიყვარულო თავდასაველები მუდამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, ფანი არდანის შესახებ პუბლიკამ ფაქტობრივად, მხოლოდ ის იცოდა, რომ ის ფრანსუა ტრიუფოს ცოლი იყო. საინტერესოა, რომ პროფესიონალი მსახიობის გზა მან საკმაოდ გვიან აირჩია – გაცილებით გვიან, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. მანამდე კი, ფანი არდანმა პარიზში პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაამთავრა, მხოლოდ 25 წლის ასაკში (1974 წელს) აღმოჩნდა თეატრის სცენაზე და თავდაპირველად, უმეტესად კლასიკოსი ავტორების – მაგალითად, რასინისა და კლოდელის ნაწარმოებებიდან კითხულობდა ნაწყვეტებს.

„მეზობელ ქალში“ წარმატებით განსახიერებული პერსონაჟის შემდეგ, მსახიობს ბევრმა ცნობილმა რეჟისორმა მიაქცია ყურადღება. ფანი არდანი თავის ფილმებში გადასაღებად მიუწვევიათ: კოსტა-გავრასს, ფოლკერ შლენდორფს, მიქლანჯელო ანტონიონის, ალენ რენეს... 1997 წელს, ის „ოსკარის“ ფრანგულ ვარიანტად წოდებული „ცეზარის“ პრემიით დაჯილდოვდა, როგორც ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი. სხვადასხვა ქვეყნის კინოს მოყვარულებს კარგად დაამახსოვრდათ ღრმა ფსიქოლოგიურობით აღბეჭდილი ეკრანული სახეები, რომლებიც ფანი არდანმა ფრანსუა ოზონის ფილმში – „რვა ქალი“, ფრანკო ძეფირელის ფილმში – „მარია კალასი“ – შექმნა. მსახიობი თავს არიდებს ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას, იშვიათად დადის მხიარულ წვეულებებზე, რომლებსაც ბევრი მისი კოლეგა ეძალება და ხმაურთან საზოგადოებაში ყოფნას, განმარტობასა და წიგნების კითხვას ამჯობინებს.

როგორც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, მისი ერთ-ერთი საოცნებო როლია, გამოჩენილი რუსი მწერლის ფეოლორ ლოსტოვესკის რომანის – „ილიოტის“ მთავარი გმირი ნასტასია ფილიპოვნა, რომელსაც ფანი ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში ეზიარა და შემდეგ, ხშირად მიპბრუნება ამ წიგნს, მის არსში უფრო ღრმად ჩასაწვდომად. შესაძლოა, მის პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება შემოქმედებისთვისაც სიახლის მომტანი აღმოჩნდეს და მან უფრო დეპარდისთან ერთად განახორციელოს კიდევ ღიად ხნის ნანატრი ეს პროექტი...



● დენიელ
მახფარალი,
● თამაზ
ბუაჩიძე,
● რაჭოუჰან
ბანდი...

ხათუნა ჯავახიშვილი

– საერთოდ, ამერიკული საზოგადოების ბიურგერულ ფენაში გაბატონებულია აზრი, რომ მწერლები და პოეტები გამოუსადეგარი ხალხია და მათ გიჟებდნენ მიიჩნევენ. დენიელმა კი თქვა – მიიჩნევენა, ვიცხოვრო ედგარ პოს მსგავსად, ვიდრე წარმატებული ვექილი, ბიზნესმენი ან ექიმი ვიყო – ანუ მიიჩნევენა, სულიერი სიმდიდრით გამოვიჩინო... ამერიკაში სულიერების შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე საქართველოში, თუმცა, ამერიკელები ღიად ერია. მათ ჰყავთ ბობ დილანები, ჯერი გარსიები და ა.შ. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და სანამ ასეთი ადამიანები იარსებებენ, ამერიკელები ყოველთვის ღიად ერი იქნება. მე და დენიელი სამი წელი ვცხოვრობდით ერთად საერთო საცხოვრებელში. არაჩვეულებრივი პიროვნებაა. მისთვის არ არსებობს ბურჟუაზიული ღირებულებები და სულიერ ღირებულებებს მისდევს. ნამდვილი რომანტიკოსია. ჩემი სულიერი ძმა და სადაც და როგორც არ უნდა იყოს, ჩემთან ერთად იქნება ყოველთვის. დენიელი პოეტია და დარწმუნებული ვარ, მას აუცილებლად დააფასებენ – მის სიცოცხლეში თუ არა, მერე მაინც.

... სტუდენტთა იმ შეკრებაზე ირაკლის თავის იდეალად ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ინსტიტუტის

ამერიკაში, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში სწავლისას, ირაკელი კაპაბუბაძის კურსის ერთ-ერთ შეკრებაზე სტუდენტები საკუთარ იდეალებს ასახელებდნენ. ერთმა პრეზიდენტი კენედი გამოყო, მეორემ — რეიგანი, ზოგმა როკფელერი, ზოგმაც — ბილ გეიტსი და ა.შ. ერთი სიტყვით, სტუდენტებმა წარმატებული ადამიანების სახელები ჩამოთვალეს. ირაკლის ამერიკელმა მეგობარმა დენიელ მაკფერელმა წყნარად თქვა: ედგარ ალან პო — ადამიანი, რომელსაც სიღარიბეში ამოხდა სული, მაგრამ გენიალურ ლექსებს წერდაო. დამსწრე საზოგადოებას გაჰკვირვებია: კარგი პოეტი იყო, მაგრამ როგორ შეიძლება, გიფი, იდეალი იყოსო?!

ღირეკტორი – თამაზ ბუაჩიძე დაუსახელებია. მეც, როდესაც ვთხოვე, გაეხსენებინა ადამიანი, რომელიც არასოდეს დაავიწყდება, თამაზ ბუაჩიძე გაიხსენა: „იგი იყო XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ღიად მოაზროვნე და როდესაც მისნაირი პიროვნება არ არის ცნობილი ახალგაზრდა, ფართო მასებისათვის – ეს ღიად ტრაგედიაა“. – კანტს აქვს ასეთი გამოთქმა: „მე ვცხოვრობ იმით, რომ მზე ამოდის, ანათებს დედამიწას და – ჩემი კატეგორიული იმპერატივით“. მე შემიძლია ვთქვა ასე: მე ვცხოვრობ იმით, რომ მზე ამოდის, ანათებს დედამიწას და – თამაზ ბუაჩიძის არაკატეგორიული იმპერატივით... მე ვესწრებოდი ბატონი თამაზის ლექციებს. ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან, პირველ რიგში – ნამდვილი ჰუმანიზმი, რომელიც დღეს, საქართველოში თითქმის არ არსებობს. ვისწავლე ის, რომ ადამიანი არ არის ბოროტი არსება და მას შეუძლია, იყოს კეთილი. ვისწავლე ის, რომ არ შეიძლება, ყველაფერი გაიყოს – საკუთარი დედა, საკუთარი და, საკუთარი მიწა... არსებობს ისეთი ღირებულებები, რომლებიც მყარ ვალუტაზეც არ იცვლება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბატონი თამაზის ფრაზა, რომელიც შოპენჰაუერის, კირეგორის და ნიცშეს შესახებ ლექციის კითხვისას თქვა: „ხანდახან ღებება პერიოდი, როცა ღირებულებების სრული დეგრადაცია და ნიველირება ხდება.

მოდის ბოროტი, არასწორი ფილოსოფია და იპყრობს ყველაფერს, მაგრამ ვერასდროს ახერხებს ყველა ადამიანის ტვინის „გარეცხვას“. ყოველთვის დარჩება დედამიწაზე ერთი-ორი პატიოსანი ადამიანი, სანამ დედამიწა იარსებებს“. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, დღეს ჩვენ გვყავს პოეტები: ზურაბ რთველიაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, რატი ამბროსიანი — ეს არის სული, რომელიც „ბიძიკების“ ერაში და იმ ეპოქაში, სადაც ცეკას მდივანი და ქურდი იყო მთავარი ავტორიტეტი, არ დაიღუპა.

— როგორ გაიცანით თამაზ ბუაჩიძე?

— თაზო მამაჩემის (ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე — ავტ.) ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი იყო. შემძლია ვთქვა, რომ მის ხელში გავიზარდე. მან ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა.

— თამაზ ბუაჩიძეს რომ არ შეხვედროდით, სხვანაირი ადამიანი იქნებოდით?

— ნამდვილად — რატომაც არა?! ჩვენ გვაყალიბებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს აღზრდაში იღებენ მონაწილეობას. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელდასხმული ადამიანი ვარ ან ვინმე არის საერთოდ ხელდასხმული. შეიძლება, არ ვყოფილიყავი ცუდი ადამიანი, მაგრამ რაც ახლა გითხარით, ის არ მეცოდინებოდა. იყო პატარა შანსი, რომ სხვისგან გამეგო, მაგრამ მე მისგან გავიგე და სიმართლე გითხრათ, მსგავსი რამეები ბევრისგან არც მსმენია.

— ბატონ თამაზთან ერთ-ერთ კონკრეტულ შეხვედრას ხომ ვერ გაიხსენებთ?



ირაკლი კაკაბაძე შვილთან ერთად

— შვიდი წელი ამერიკაში ვცხოვრობდი. რომ ჩამოვედი (თუ არ ვცდები, 1997 წელი იყო), ფილოსოფიის ინსტიტუტში მოვინახულე ბატონი თამაზი. ისევ ძველი თაზო დამხვდა, ოლონდ — ძალიან დასუსტებული. 67 წლის იყო და ასაკი ეტყობოდა. ისიც ემჩნეოდა, რომ მატერიალურად უჭირდა. ძალიან გამხდარი იყო, ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კვლავ დიდი იუმორის პატრონი იყო. მითხრა — ადრე, ხელფასი ნორმალური იყო და პურის ფული მაინც გვქონდა, ახლა მთავრობამ ხელი შეგვიწყო და ძველი ფილოსოფოსების მდგომარეობაში აღმოვჩნდით — ნამდვილი დიოგენეზებივით გავხდით: ეს ყველაფერი კასრივით არის, ოლონდ — ცოტა ფორმით განსხვავდება... ეს მას სინანულით არ უთქვამს. არც ერთი წუთით არ დასწყევვია გული, რომ ღარიბი იყო. მისი სიმდიდრე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ასე შეეძლო ამის ატანა. საქართველოში მცხოვრები ყველა მდიდარი ადამიანი რომ შეაერთო და ათასზე გადაამრავლო, თაზო ბუაჩიძის სიმდიდრის ერთი წვეთიც არა აქვთ. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ — უბრალოდ, საქართველოს ძალიან ბევრი მართებს თამაზ ბუაჩიძის. ის თავისთავად დარჩება ისტორიაში, თავისი შრომებითა და ცხოვრების წესით. მას აუცილებლად დააფასებენ შემდეგი თაობები; უბრალოდ, ჩვენ უფრო მეტი წვლილი უნდა შევიტანოთ იმაში, რომ ახალმა თაობამ გაიგოს სულ რაღაც ორი წლის წინ გარდაცვლილი დიდი ქართველი ფილოსოფოსის შესახებ, იმ უდიდესი მოაზროვნის შესახებ, რომელიც ჩვენ გვერდით ცხოვრობდა, ხანდახან პურის ფულიც არ ჰქონდა, სამსახურში დახეული წინდებით დადიოდა და ჩვენდა სამარცხვინოდ, შიმშილით გარდაიცვალა...

თაზო ბუაჩიძესთან ერთად, ირაკლის კიდევ ერთი იდეალი, მსოფლიო მოღვაწეებს შორის ჰყავს — ეს მაჰათმა განდია:

— სიკვდილის შემ-



შეიძლება, არ ვყოფილიყავი ცუდი ადამიანი, მაგრამ რაც ახლა გითხარით, ის არ მეცოდინებოდა

დღე, მთელი ქონება, რაც მაჰათმამ დატოვა, იყო სანდლები, მოსასხამი, საათი და თევში — მეტი არაფერი მოეპოვებოდა. მე მქონდა ბენდიერება, მის შვილიშვილს — ინლოეთის პარლამენტის წევრს რაჯუპან განდს შეხვედროდი: ამერიკის ინსტიტუტში მიიწვიეს და ლექციებს გვიკითხავდა. ძალიან ძლიერი მეცნიერია, მაგრამ მაჰათმასგან განსხვავებული ადამიანია — ის უფრო ევროპეიზებული, რაფინირებული ინტელიგენტი... 1991 წლის აპრილში, მასთან ინტერვიუ ჩავწერე. მისი საუბრის მთავარი „მესიჯი“ ასეთი იყო: როდესაც გზედავთ უსამართლობას, მას არ უნდა დავეთანხმობთ, მაგრამ ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შემოვებრუნოთ შუქი — მიუშვიროთ საკუთარ სულს და ვნახოთ, თუ რომელ უსამართლობას ეთანხმება, იტევს ჩვენი სული და აქედან დავიწყეთ თვითგანწმენდა... ჩემი აზრით, ეს ძალზე მნიშვნელოვანია და სრულად გამოსატყვევს მაჰათმას აზრს.

ირაკლი ამბობს, რომ დღეს საქართველოში სულიერების პრობლემა დგას, თუმცა მიაჩნია, რომ სწორი, გვემართად ქრისტიანულ, ჰუმანისტურ გზაზე გადასვლა დაიწყება — „იმ გზაზე, სადაც მატერიალიზმი და მატერიის, ასე ვთქვათ, ვაჭრული სული კი არ არის მთავარი, არამედ ის სულიერი ღირებულებები, რაც აქამდე აძლებინებდა საქართველოს.“

Mitsubishi-ს „ევოლუცია“ — VIII ეტაპი




ცოტა ხანში, ევროპაში ახალი სპორტული ავტომობილის — Mitsubishi Lancer Evolution VIII — რეალიზაცია დაიწყო. თუმცა გარეგნულად ეს მანქანა ჩვეულებრივ Lancer-ს მოგავსებთ, ტექნიკურად ის რალისთვის განკუთვნილი ვერსიის პლატფორმაზე დაყრდნობით დამზადდა. Evo VIII აღჭურვილია 2 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი ძრავით, რომელიც 265 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,1 წმ-ში აღწევს და 245 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარე აქვს. მანქანა სრულამპრაიანია და 5-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. მის თითოეულ ბორბალს დამოუკიდებელი საკიდარი და ცნობილი იტალიური ფირმის — Brembo-ს მიერ დამზადებული,

დისკის ფორმის მუხრუჭები აქვს. სხვა ტექნიკური ელემენტებიდან აღსანიშნავია დინამიკური კონტროლის სისტემა AYC (Active Yaw Control), რომელიც მკვეთრ ვირაჟებზე და მაღალი სიჩქარით მოძრაობისას, მანქანის უსაფრთხო მართვას უზრუნველყოფს.

მიუხედავად სპორტული დანიშნულებისა, ახალი „ლანსერი“ შორეული მოგზაურობისთვისაც ძალზე მოსახერხებელია: მას 430 ლ მოცულობის საბარგული აქვს, საბაზო კომპლექტაციაში კი, კლიმატკონტროლიანი კონდიციონერიც შედის. მომხმარებელს ახალი მოდელის ორ ვარიანტს შესთავაზებენ. სპორტული ვერსიის სალონს ცნობილი ფირმის — Recaro-ს სპორტული სავარძლები და საგანგებო დიზაინით დამზადებული ხელსაწყოთა პანელი ამშვენებს, მეორე კომპლექტაციის სალონი მთლიანად ტყავისგანაა დამზადებული.

„მიცუბისის“ მანქანები ყოველთვის გამოირჩეოდა ხარისხისა და ფასის ადეკვატურობით. გამონაკლისს ამ მხრივ, არც ახალი Evolution წარმოადგენს: სპორტული ვერსია 38.490 ევრო, მეორე კი

— 38.990 ევრო ეღირება. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ფასების წყალობითაც მას ბაზარზე დამკვიდრების კარგი შანსები აქვს. „მიცუბისის“ ძირითადი კონკურენტები — C-კლასის „მერსედესისა“ და მე-3 სერიის „ბეემ-ვეს“ სპორტული ვერსიები, „ალფა რომეოსა“ და „ვოლვოს“ გაძლიერებული მოდიფიკაციები რამდენადმე ძვირი ღირს.



პაცივმოყვახე Opel

ამერიკულ კორპორაცია General Motors-ში შემაგალი გერმანული ფირმა „ოპელი“ ბიზნესკლასის ავტომანქანების სექტორში დაბრუნებას აპირებს. ბოლოდროინდელი ინფორმაციის თანახმად, ამის შესაბამის პროექტს უკვე განიხილავენ დეტროიტში. პირველ რიგში, საუბარია მოდელზე, რომელმაც შარშან ზაფხულში წარმოებიდან მოხსნილი Opel Omega უნდა შეცვალოს. ბიზნესკლასის მანქანის „ოპელი-სეულ“ ხედვას ფრანკფურტის სალონზე წარმოდგენილი, ელევანტური კონცეპტუალური მანქანა — Insignia წარმოადგენს. თუ ეს მოდელი სერიული გახდა, ფირმის მესვეურთა გეგმის მიხედვით, ის მხოლოდ გერმანიაში 20-ათასიანი ტირაჟით უნდა გაიყიდოს. თუმცა, მისი მასობრივი რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ კორპორაცია მისთვის შესაბამის პლატფორმას მოძებნის. ეს კი 2006 წელზე ადრე ვერ მოხერხდება.

მაშინ, როცა Insignia „ოპელის“ საბოლოო რიგის

ფლაგმანობაზე აცხადებს პრეტენზიას, კომპაქტური Astra არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას უნდა შეეჭიდოს: მან ევროპული ბაზრისთვის ტრადიციული ლიდერის — Volkswagen Golf-ის პოზიციები უნდა შეასუსტოს. ოფიციალურად, ახალი „ასტრაც“ ფრანკფურტში იყო წარმოდგენილი, მაგრამ თუ „გოლფი“ უკვე წარმოებაშია და კარგადაც იყიდება, მისი კონკურენტი მხოლოდ რამდენიმე კვირაში მოხვდება დილერებთან. თუმცა, ამ ორი ავტომანქანის დუელი, ექსპერტთა ვარაუდით, საკმაოდ მწვავე იქნება: ტექნიკური მახასიათებლებით „ასტრა“ პრაქტიკულად არაფრით ჩამოუვარდება „გოლფს“, დიზაინით კი, მასზე ელევანტურად კია. როგორც გერმანული სპეციალისტები ფიქრობენ, 60-კილომეტრიანი წლიური გარბენის შემთხვევაში, 3-წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ, „ასტრას“ ფასი იმდენივე პროცენტით შემცირდება, რამდენითაც „გოლფისა“ — ე.ი. 49%-ით, მაშინ, როდესაც „ტოიოტა კოროლასთვის“ ეს მაჩვენებელი 55%-ს შეადგენს, „ფიატ სტილოსთვის“ — 56%-ს, „ფორდ ფოკუსისთვის“ კი — 60%-ს.

თავდაპირველად, ბაზარზე 5-კარიანი ჰეჩბეკი Opel Astra გამოვა, შემდგომ კი — მისი 3-კარიანი ვერსია და უნივერსალი. 5-კარიანი მოდიფიკაცია, რომელიც 1,4 ლ მოცულობის (90 ცხ.ძ.) ბენზინის ძრავით, 5-საფეხურიანი მექანიკური გადაცემითაა კოლოფით, სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემით (ESP) და უსაფრთხოების 6 ბალიშით იქნება აღჭურვილი, გერმანიაში 15.200 ევრო ეღირება.

წამლისმიერი ალერგია

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი

საშიში სცენარი

უნდა აღვნიშნოთ, რომ წამლისმიერ ალერგიას არაფერი აქვს საერთო იმ გვერდით ეფექტებთან, რომლის შესახებაც პრეპარატთა ანოტაციაში რეგულარულად გვაფრთხილებენ. საუბარია მედიკამენტის მიღებისას განვითარებულ ორგანიზმის ინდივიდუალურ იმუნურ პასუხზე. წამლისმიერი ალერგიის განვითარების მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის. მიიჩნევენ, რომ ეს სინთეზური პრეპარატის მიმართ ორგანიზმის დამცავი რეაქციაა, რომლის დროსაც სისხლში მნიშვნელოვანი რაოდენობის ანტი-სხეულები გამოიყოფა. რაც მეტია მათი კონცენტრაცია, მით უფრო მწვავეა რეაქცია და შესაბამისად – მძიმეა შედეგიც.

იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ ვინ როდის, რომელი პრეპარატის „თავდასხმის“ მსხვერპლი გახდება, შეუძლებელია. მედიკამენტური ალერგია არ არის დამოკიდებული არც „საშიში“ წამლის მიღების ხანგრძლივობაზე და არც ორგანიზმში მოხვედრილი ალერგენის რაოდენობაზე. რეაქციის განვითარებისთვის ზოგჯერ აგრესიული ნივთიერებების მიკროსკოპული დოზებიც კი საკმარისია. ექიმებისთვის ცნობილია შემთხვევები, როცა მწვავე ალერგიული რეაქცია განვითარებულა პოტენციურად საშიში პრეპარატის ორთქლის შესუნთქვისას.

მედიკამენტური ალერგიის გამოწვევა ნებისმიერ პრეპარატს შეუძლია. თუმცა ალერგოლოგებს აქვთ იმ პრეპარატთა „შავი სია“, რომლებიც უფრო ხშირად ხდება ასეთი რეაქციის მიზეზი:

- ყველაზე ხშირად ამანაშავეები ან-ალგეტიკები (ტიკვილიგამაყუჩებლები), არასტეროიდული ანტიანთებითი პრეპარატები და პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკები.


- ძალიან მძიმე რეაქცია აღინიშნება სულფანილამიდების მიღებისას.

- ალერგიის პროვოცირება შეუძლია ანტიბიოტიკურ შრატებს, წნევის დამწვევ (ჰიპოტენზიურ) პრეპარატებს და ვიტამინებსაც კი (უფრო ხშირად B ჯგუფის).

- ალერგოლოგიური განყოფილებების პრობლემა ბოლო წლებში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების მსხვერპლთა რიცხვის ზრდაა. შიმშილობისას, რომელიც არღვევს საჭმლის მონელებისა და ფერმენტაციის პროცესებს, ამ ერთი შეხედვით უსაფრთხო კაფ-

ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი რუსი ჟურნალისტი და დუმის დეპუტატი იური შჩეკოჩინი. ამ შემთხვევას ბევრი ქორი მოჰყვა თან და ბევრი უპასუხოდ დარჩენილი კითხვაც გაჩნდა: როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელსაც არასოდეს ჰქონია ალერგია, რეანი-მაციულ განყოფილებაში მოხვდა მწვავე ტოქსიკო-ალერგიული რეაქციის ნიშნებით (მაღალი ტემპერატურა, კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანება, თირკმლისა და სუნთქვის მზარდი უკმარისობა).

ავადმყოფობის ისტორიის შესწავლისას მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ ავადმყოფი წამლების უნესრიგოდ მიღების მსხვერპლი გახდა. ჩვენ კი ამ საშიშროების შესახებ ხშირად ვივინყვებთ ხოლმე.



სულებს ორგანიზმში სერიოზული დარღვევების გამოწვევა შეუძლია.

დათვური სამსახური

იმის განსაზღვრა, თუ რომელმა პრეპარატმა გამოიწვია მწვავე ალერგიული რეაქცია, ზოგჯერ ძალიან ძნელია. საავადმყოფოში მოხვედრამდე ბევრი პაციენტი წამალს პეშვით ღებულობს, ხშირად – სრულიად უსაფუძვლოდ. ასეთი თვით-შემოქმედებითი თერაპიის მსხვერპლთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ამ სამწუხარო ფენომენს მედიკოსები მარტივად ხსნიან: სამკურნალო საშუალებები ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომია და ადამიანები მათ რეკლამის ნახვის შემდეგ თავისუფლად ყიდულობენ.

წამლისმიერი ალერგიის ფორმირების მეორე წყარო ჩვენი საკვებია. ხშირად ვიყენებთ ანტიბიოტიკებით გამდიდრებულ ხორცსა და რძის პროდუქტებს ისე, რომ ვერც კი ვხვდებით ამას და ამგვარად გამოვიმუშავებთ ალერგიას ამა თუ იმ პრეპარატზე.

წამლისმიერი გართულებების გახშირების საქმეში თავიანთი წვლილი სამწუხაროდ ექიმებსაც შეაქვთ. საავადმყოფოში ხშირად ხვდებიან პაციენტები, რომლებსაც არათუ არ ჩაუტარდათ საჭირო გამოკვლევები, არამედ სამედიცინო ფურცელზე ისიც არ არის აღნიშნული, აქვს თუ არა პაციენტს ალერგია სამკურნა-

ლო საშუალებებისადმი. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ექიმი, დაუღერობის გამო, პაციენტს უნიშნავს მისთვის საშიში პრეპარატის ანალოგს. ღლეჯანდლობის დიდი პრობლემა ექიმთა გარეგება სხვადასხვა ფარმაცევტულ ფირმებთან, რის გამოც იგი ვალდებული ხდება გამოუწეროს პაციენტებს ესა თუ ის ძვირად ღირებული ახალი პრეპარატები და გაყიდული ნაწარმიდან პროცენტები მიიღოს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამკურნალო საშუალებათა ფალსიფიკაცია. ფალსიფიცირებულ პრეპარატებს ახლავს ყალბი ინფორმაცია მათ შემადგენლობაზე. რა ზიანს მიაყენებს დასუსტებულ ორგანიზმს ასეთი პრეპარატები, ადვილი მისახვედრია.

ქიმია და სიცოცხლე

ორგანიზმისთვის უცხო ქიმიური პრეპარატებით გამოწვეულ რეაქციათა სპექტრი საკმაოდ ფართო შეიძლება იყოს – კანის მსუბუქი შეწითლებიდან და ტემპერატურის მატებიდან, სუნთქვის უკმარისობის შეტევებამდე და შინაგანი ორგანოების დაზიანებამდე.

მედიკამენტური ალერგიის უმძიმესი გამოვლინება ანაფილაქსიური შოკი (წნევის მკვეთრი დაცემით და სისხლძარღვთა უკმარისობით) და ლაიელის სინდრომი, რომლის დროსაც საკმაოდ მცირე დროში ხდება კანის, ლორწოვანისა და შინაგანი ორგანოების ტოტალური დაზიანება. ასეთი ავადმყოფის გადარჩენა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ რეაქცია ელვისებურია და მდგომარეობა ყოველ წუთში უარესდება. საეჭვო სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება. ექიმს უნდა ჩამოუთვალოთ ყველა მიღებული პრეპარატი.

განსაკუთრებული ყურადღება მართებთ 30-40 წლის ადამიანებს, უპირატესად ქალებს, სტატისტიკური მონაცემებით ყველაზე ხშირად სწორედ მათ უვითარდებათ წამლისმიერი ალერგია. ამასთან ყველაზე სერიოზო პროფესია მედიკოსობაა, რადგან სწორედ მათ უწევთ ხშირი კონტაქტი წამლებთან, რომლებიც ორგანიზმის სენსიბილიზაციას (ანტისხეულების დაგროვება) იწვევს. სხვა რისკფაქტორებია: წამლების ხანგრძლივი და ხშირი მიღება, რამდენიმე პრეპარატით ერთდროული მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადება, ღვიძლისა და გულის პათოლოგიები, შაქრიანი დიაბეტი, კვებითი ალერგია.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ: თუ შეუძლოდ ყოფნის დროს მიჩვეული ხართ აბების უზომო რაოდენობით ყლაპვას, მედიკამენტური ალერგიის რისკი დიდია. ამიტომ უარი თქვით ამ მავნე ჩვევაზე, სანამ გვიან არ არის.

როგორ განვასხვავოთ ფალსიფიცირებული პრეპარატი ნამდვილისგან?

- პრეპარატის შექმნისას ყურადღება მიაქციეთ ფასს. თუ იგი ჩვეულებრივ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებია, გაფრთხილდით.
- დაათვალიერეთ წამლის შეფუთვა. თუ პრეპარატს არა აქვს შტრიხკოდი და ანოტაცია, იგი ფალსიფიცირებულია.
- აფთიაქში უნდა იყოს თითოეული

პრეპარატის შესაბამისი სერტიფიკატი.

ყველაზე საშიში

ანტიბიოტიკების მიღებისას ალერგია შემთხვევათა 40-50%-ში აღინიშნება. ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი რეაქციას 26,6%-ში იწვევს, სულფანილამიდები – 41,7%-ში, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები – 25,9%-ში. ალერგიული რეაქციის გარდა არსებობს ფსევდოალერგიული რეაქციაც. ორგანიზმზე ასეთი პროვოკაციული მოქმედება აქვს მაგალითად, კონტრასტულ ნივთიერებას, რომელსაც შინაგანი ორგანოების გამოკვლევისას იყენებენ.

მედიცინის სიახლეები

ჰვირფასი ნაშალი


ტეხასელმა მეცნიერებმა სიმსივნურ დაავადებათა მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც ოქროს კაფსულებისა და ინფრაწითელი გამოსხივების გამოყენებას გულისხმობს. ოქროთი დაფარული მიკროსკოპული კაფსულები, რომელთა შიგნით განსაკუთრებული ნივთიერება – ქარსია მოთავსებული, კარგად შთანთქმის ინფრაწითელ სხივებს და ამის შედეგად ცხელდება. კაფსულის სიმსივნის ქსოვილში მოთავსებით და დასხივებით შესაძლებელია ქსოვილის განადგურება. ინფრაწითელი სხივები უსაფრთხოა ჯანმრთელი ორგანოებისათვის. კაფსულის შეყვანა შესაძლებელია როგორც უშუალოდ სიმსივნეში, ისე ჩვეულებრივი ინტრავენური ინექციის საშუალებით. კაფსულები გროვდება კიბოს ქსოვილში, რადგან მისი სისხლძარღვების კედლებში მრავალრიცხოვანი დეფექტია. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტის მსვლელობისას კიბოს უჯრედები 4-6 წუთის განმავლობაში იზოცებოდა, ხოლო მის გარშემო მდებარე ჯანმრთელი ქსოვილი დაუზიანებელი რჩებოდა. ახლა მეცნიერები კაფსულის სიმსივნურ ქსოვილში მოხვედრის უფრო ეფექტურ მეთოდს ეძებენ. შემდეგ კი მეთოდს ადამიანებზე კლინიკურად გამოცდიან.

მენსკლავალია აბორტის პროგნოზირება

სისხლის ანალიზით შესაძლებელია დროულად გამოვლინდეს თვითნებური აბორტის მომატებული რისკი – ასეთ დასკვნამდე მივიდა ავსტრალიელ მეცნიერთა ჯგუფი. მათ დაადგინეს, რომ აბორტამდე რამდენიმე კვირით ადრე სისხლში განსაკუთრებული ნივთიერების MIC 1-ის დონე მცირდება. ეს ნაერთი განეკუთვნება ციტოკინების კლასს, გამოთქმავდება პლაცენტაში და, როგორც ჩანს, ნაყოფს დედის იმუნური სისტემის აგრესიისგან იცავს. როგორც ნაშრომის ავტორები ვარაუდობენ, MIC 1-ის დონის განსაზღვრა ორსულებში რისკის ვგუფის გამოვლენისა და აბორტების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს. გარდა ამისა, არსებობს იმის ალბათობაც, რომ აღნიშნული ციტოკინი შესაძლოა უნაყოფობის საწინააღმდეგო წამალი გახდეს.

გულის ტაიპილის გენი

ამერიკელი მეცნიერების მიერ პირველად იქნა გამოყოფილი გენი, რომელიც არტერიის ათეროსკლეროზული დაზიანების განვითარებას განაპირობებს. მკვლევარები მუშაობდნენ ერთი გვარის 100 ადამიანთან. ყველას, ვისაც მემკვიდრულად მიღებული ჰქონდა MEF 2A გენის განსაკუთრებული ვარიანტი, განუვითარდა ათეროსკლეროზი. ხოლო ნორმალური გენის მატარებლებს გულ-სისხლძარღვთა დაავადება არ აწუხებდათ. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ MEF 2A გენის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე უდავოა, თუმცა შედეგები მხოლოდ ერთ კონკრეტულ გვარს შეეხება. გენის როლი სხვა ადამიანებში ჯერ კიდევ გამოსაკვლევი.



სალბის სმა ჰავიანარი

მეხსიერების გასაუმჯობესებლად კარგი საშუალებაა სალბი – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ნიუკასლის სამკურნალო მეცნიერთა უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის სპეციალისტები. კლინიკურმა ცდებმა დაადასტურა, რომ მოზარდები სალბის ზეთის კაფსულების მიღების შემდეგ, გაცილებით უკეთ ათმევენ თავს სიტყვათა დამახსოვრების ტესტებს. სალბი შეიძლება გამოყენებულ იქნას დემენციის (ჭკუასუსტობის) და ალცჰაიმერის დაავადების სამკურნალო პრეპარატების ძირითად კომპონენტად. წინასწარმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სალბის საფუძველზე დამზადებული პრეპარატი თრგუნავს ენზიმ აცეტილქოლინესტერაზის მოქმედებას. ეს ენზიმი კი მეხსიერების დარღვევაზე პასუხისმგებელი. პრეპარატს გვერდითი ეფექტები არ აღინიშნება.

მარილი მამაჩაჯაში აიბოს იწვევს

იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარილის გადაჭარბებული გამოყენება არა მხოლოდ ჰიპერტონიის განვითარებას უწყობს ხელს, არამედ შეიძლება კიბოს გამოწვევი მიზეზიც გახდეს. ამასთან ეს ტენდენცია უპირატესად მამაკაცებშია გამოკვეთილი. იაპონიის ნაციონალური ონკოლოგიური ცენტრის სპეციალისტთა მონაცემების მიხედვით, დამარილებული პროდუქტების მოყვარულ მამაკაცთა შორის კუჭის კიბოთი დაავადების რისკი 500-დან 1 ადამიანს აქვს. მარილიანი პროდუქტის მოყვარულ ქალთა კიბოთი დაავადების საშიშროება კი გაცილებით ნაკლები – 2000-დან 1 ადამიანია. მეცნიერები განავრძობენ კვლევას.

გაგორიანი სჯამიანათ მოსწავლე გაგონათქვეყნი

გამოუვალი მდგომარეობა

— ცოლს რატომ არ ირთავთ? — ჰკითხა ნაცნობმა ქალმა ერთ საკმაოდ სახელმძღვანელო, მაგრამ შეუხედავი გარეგნობის კომპოზიტორს.

— ჯერ ერთი, ჩემ მიმართ საამისო სურვილი არავის გამოუთქვამს, მაგრამ რომც გამოჩენილიყო ვინმე, მაინც არ ვითხოვდი... მისი ცუდი გემოვნების გამო.

ასეც ხდება

ერთმა ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა გაზეთში წაიკითხა ლექსი, რომელსაც მისი გვარი ჰქონდა მიწერილი, თუმცა მას არ ეკუთვნოდა.

იგი აღშფოთებული მიიჭრა რედაქციაში.

— ...თანაც, ლექსი ძალზე სუსტია, — დასძინა ბოლოს.

— ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, მაგრამ მაინც დაგვბეჭდეთ, რადგან თქვენი გვეგონა... — უპასუხა რედაქტორმა.

გასამრჯელო

ვენის საუკეთესო ექიმის ნოთნაგელის ქება-დიდება ქრონიკულად დაავადებული ერთი ვაჭრის ყურამდეც მიაღწია და ისიც სამკურნალოდ მასთან მივიდა.

ვაჭარი, ცოტა არ იყოს, ძუნწი და ყაირათიანი კაცი

გასლდათ და ექიმს წინასწარ ჰკითხა, რა გასამრჯელოს გამომართმევით? ექიმმა უპასუხა: პირველ გასინჯვაში 25 ოქროს, ხოლო ყოველი მომდევნო ვიზიტისთვის — 10 ოქროსო.

— 25 ოქრო! ეს ხომ ფულის მთელი გროვაა! — ეძვინა ვაჭარს და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეხერხებინა, რომ უფრო იაფად გამოსულიყო. მიაგნო კიდეც ხერხს და მეორე დღეს, საკუთარ თავში დარწმუნებულმა, ექიმისაკენ გასწია.

როცა რიგმა მოუწია და მის წინ ექიმის სამუშაო ოთახის კარი გაიღო, ვაჭარი ღიმილით გაემართა ნოთნაგელისკენ, ძველი ნაცნობივით ხელი დაუქნია და მხიარულად შესძახა:

— მაქვს პატივი კვლავ გეახლოთ, ბატონო პროფესორო! ნოთნაგელი მისულს ერთი წუთით დაბნეულად მიაჩერდა, მაგრამ კარგი მეხსიერების წყალობით მალე მიხვდა, რომ მისი ძველი პაციენტი არ იყო და ეშმაკობდა. ექიმმა არაფერი აგრძნობინა და ვაჭარი კარგად გასინჯა.

— თქვენი სნეულება ისევ უცვლელ მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ უნდა იხმართ ის წამლები, რომლებიც უკანასკნელად გამოვიწერეთ, — უთხრა ექიმმა, ჯიბეში ჩაიღო 10 ოქრო და ნირწამხდარი პაციენტი გარეთ გაისტუმრა.



ანეკდოტები

— ვერ მეტყვი, ვინ არის ეს საერთოზობელა?



— ჩემი ცოლია.

— ოჰ, უკაცრავად, ნამდვილი დეგენერატი ვარ.

— დეგენერატი თქვენ კი არა, მე ვარ.

— თქვენი სექსუალური ორიენტაცია?

— როგორც წესი — ჰორიზონტალური.

ერთი ქალი ჭკუას არიგებს მეორეს:

— ნუ განიცდი, შენი ქმარი ასე რომ ეტორლილება ყველა ქალს. ჩემი ძალიც ყველა მანქანას გაეკიდება ხოლმე, მაგრამ რომ დაეწევა, მერე აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

პაციენტი ეუბნება ექიმს:

— მირჩიეთ, რა გქნა. შინ მისულს, ცოლთან უცხო მამაკაცი მხვდება. ჩხუბის ატეხას ვაპირებ და ცოლი მეუბნება: „გადი სამზარეულოში, ფინჯანი ყავა დალიე, დამშვიდდები“. ასე გრძელდება უკვე ერთი თვეა.

ექიმმა მხრები აიჩინა:

— მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— მითხარით, ამდენი ყავა მაგნებელი ხომ არ არის?

ხალხური სიბრძნე:

„თუ მერცხალი კუდიტ წინ მიფრინავს, ე.ი. ხელფასებს დაარიგებენ“.

საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი:

— მორჩა, დღეიდან, ფეხბურთელებთან თეორიულ მომზადებას ვწყვეტთ!



— რატომ?

— ღარტემის წინ ძალიან ბევრს ფიქრობენ!

ცოლი ძვირადღირებულ, ლამაზ კაბაში გამოწყობილი დაბრუნდა შინ. ქმარი ეკითხება:

— საიდან ასეთი კაბა? მთელი ჩემი 5 წლის ხელფასი არ მეყოფოდა მის საყიდლად.

— წარმოიდგინე — მივედი სამსახურში და ეს კაბა მაგიდაზე დამხვდა. ჩავიცვი. გავოგნდი. ზომა — ჩემი, ფერი — ჩემი, პირდაპირ დამხატა. ავდექი და ჩავიცვი.



— აჰა!.. — თქვა ქმარმა.

მეორე დღეს, ცოლი ულამაზესი ცისფერი ქურქით მივიდა შინ.

— საიდან ეს ქურქი? — კვლავ შეეკითხა ქმარი.

— ლიფტთან დაგდებული ვიპოვე. ავიდე, ჩავიცვი... ხომ არ გადავაგდებდი?!

— აფსუს, მე კი... ბალიშის ქვეშ მამაკაცის ტრუსი ვიპოვე. არც ზომაა ჩემი, არც ფერი...

კვირის (15 - 21 მარტი)

ასპროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV

ქალი: ეს კვირა თქვენთვის მეტისმეტად იღბლიანი იქნება. ამიტომ ნუ აჰყვებით ემოციებს. კვირის ბოლოს მოგეცემა შანსი, კიდევ ერთხელ დაამტკიცოთ, რომ პატიოსანი ადამიანი ხართ. პირად ცხოვრებაში სიახლე შემდეგ კვირაშია მოსალოდნელი.

მამაკაცი: საქმიანი სარბიელი მეტად ნაყოფიერია. მგზავრობა თუ გადაწყვეტით — ბევრ სიამოვნებას მიიღებთ. უარი არ თქვათ ახალ წინადადებაზე. დოკუმენტებზე ხელმოწერისას სიფრთხილე გმართებთ.

პერი - 21/IV-21/V

ქალი: პირად ცხოვრებაში გრანდიოზულ გეგმებს ნუ დაისახავთ. სამსახურშიც იმდენი იშრომეთ, რამდენიც მოგეთხოვებათ. სერიოზული საქმეების წამოწყებისგანაც თავი შეიკავეთ. მეტი იზრუნეთ ოჯახის წევრებზე.

მამაკაცი: ვარსკვლავები სასიამოვნო სიურპრიზს და მაღალ მატერიალურ ანაზღაურებას გპირდებიან. თავი აარიდეთ ხალხმრავალ ადგილებს — შესაძლოა, ვინმესთან კონფლიქტი მოგივიდეთ.

პარნოზი - 22/IV-21/V

ქალი: სამსახურში ცვლილებებია მოსალოდნელი. ახალ თანამდებობას ან ახალ პროექტს შემოთავაზებენ. ნებისმიერ შემთხვევაში წარმატება გელით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას სულგრძელობა გამოიჩინეთ.

მამაკაცი: სასიყვარულო შეხვედრები სხვა დროისთვის გადადეთ და საქმეს მიხედეთ. თქვენს შრომისმოყვარეობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ კოლეგები თქვენი ავტორიტეტის შელახვას შეეცდებიან, არ აჰყვეთ — ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

პირნოზი - 22/VI-22/VII

ქალი: კონკრეტულ პრობლემებზე გმართებთ მობილიზება და ფინანსური საქმეებიც თქვენს კონტროლქვეშ მოექცევა. თვის ბოლოს საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებენ. ნუ დაკარგავთ წარმატების შანსს.

მამაკაცი: კვირის ბოლოს ახალი ნაცნობობა გელით, რომელიც შესაძლოა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. ყურადღებით იყავით: ფული არ დაკარგოთ! უქმე დღე განტვირთვისთვის გამოიყენეთ.

ლირი - 23/VII-23/VIII

ქალი: ეცადეთ, თქვენი საიდუმლო ახლობლებსაც არ გაანდოთ. წვრილმანებში კი ნურც ფულს დახარჯავთ და ნურც ნერვებს. ბედნიერებაში ხელს მხოლოდ სიახლე გიმშობი.

მამაკაცი: ადამიანი, რომელსაც ამ კვირაში გაიცნობთ, საქმიან პარტნიორად არ გამოგადგებათ. მოლაპარაკება, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, სასურველია, პარასკევს გამართოთ. შემოსავალს იქიდან მიიღებთ, საიდანაც არ ელით.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: ახლა თქვენთვის მთავარია, სწორი ინფორმაცია მიიღოთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ. ჰკითხეთ რჩევა გამოცდილ ადამიანებს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის სფეროში მოღვაწეობთ, ყურადღებით მოუსმინეთ ოპონენტებს.

მამაკაცი: ახლა სწორედ ის დროა, კარიერაზე იფიქროთ. შესთავაზეთ ახალი იდეები უფროსობას, ისინი სათანადოდ შეაფასებენ თქვენს საქმისადმი ერთგულებას. მეტი ყურადღებით მოეკიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სანტორი - 24/IX-23/X

ქალი: თავიანთსმცემლებთან თუ უფრო კორექტული არ იქნებით, მალე მარტო დარჩებით. შეეცადეთ, დაინახოთ მათი კარგი თვისებები. ჭიკრიჭის შესახებ არ იდარდოთ და ამის გამო ცხოვრების სტილი არ შეცვალოთ. მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

მამაკაცი: ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ — ნუ მიიღებთ სწრაფ გადაწყვეტილებებს. ყურადღებით იყავით საჭესთან. გამოიჩინეთ დიპლომატიური ნიჭი და ჭკვიანურად დაგვეთ თქვენი საქმეები.

ღრინაპალი - 24/X-22/XI

ქალი: დაიოკეთ თქვენი ტემპერამენტი, თორემ ახლობლებთან კონფლიქტი გარდაუვალია. თუ მშობლებისგან ცალკე ცხოვრება გადაწყვეტით, ნუ აჩქარდებით — ამის შესანიშნავი შესაძლებლობა მოგვიანებით მოგეცემა.

მამაკაცი: სამსახურში ახალი პერსპექტივა გამოგინდება და ეს თქვენს ოჯახურ ბიუჯეტსაც შეეტყობა. სიფრთხილის გამოჩენაც გმართებთ, რომ პარტნიორებმა არ მოგატყუონ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

მეზილონა - 23/XI-21/XII

ქალი: მოეშვით ფუჭ ოცნებებს და იმოქმედეთ. ფინანსურ სფეროში წარმატებაა მოსალოდნელი, თუმცა, ყველაფერი თქვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. ამ კვირაში დაგეგმილ საქმეს სხვა დროისთვის ნუ გადადებთ.

მამაკაცი: დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამ კვირაში დაწყებულმა საქმემ წარმატება მოგიტანოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში გიმართლებთ. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ალტაცებით ხვდებიან თქვენს ნებისმიერ წინადადებას.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: დროა, ერთფეროვან საქმეს მოსწყდეთ და ცხოვრება გაინახოსოთ. თუმცა, ენაზე კბილის დაჭერა, ახლა ისე გვირდებათ, როგორც არასდროს. ახალ პროექტებს თქვენთვის წარმატება მოაქვს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პროექტზე თქვენთან ერთად მამაკაციც იმუშავებენ.

მამაკაცი: თუ ყურადღებით არ იქნებით, სამსახურებრივ პრობლემებს თავიდან ვერ აიცილებთ. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. ჯობს, გაითვალისწინოთ გამოცდილი ადამიანების რჩევები.

პირნოზი - 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში მომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. ნუ გაასესხებთ ფულს, მეგობრებთან ურთიერთობისას კი თავი შეიკავეთ საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალია.

მამაკაცი: მოერიდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენდამი მტრულად არიან განწყობილნი. ამ კვირაში მათი აგრესიულობა იზრდება და კრიტიკულ ზღვარს აღწევს. თქვენი მოთმინება შედეგს უახლოეს მომავალში გამოიღებს.

თეზეზი - 20/II-20/III

ქალი: ნუ გაგიტყუებთ ყოველდღიური საზრუნავი ისე, რომ საკუთარ იმიჯზე ზრუნვა დაგავიწყდეთ. დროა, შეართოთ მალაზიაში და თავს ასამოვნოთ. არ დარს წუწუნი იმაზე, რისი გამოსწორებაც იოლად შეგიძლიათ.

მამაკაცი: ამ კვირაში დიდი ხნის ოცნებას აიხდენთ. ბედი განსაკუთრებით ხელოვნებით გატაცებულ ადამიანებს წყალობთ. ნუ გაიფუჭებთ განწყობილებას და ნუ ჩაერევით ოჯახურ კამათში. ამ დროს მეგობართან ვიზიტი საუკეთესო გამოსავალია.

„მსტელით მუსიკა“ ნინო ქათამაძესთან უბრალოდ

ნინო ქათამაძემ ფილარმონიის ფოიეში ჟურნალისტები მიგვიწვია, სადაც სპეციალურად ჩვენთვის ეთნომუსიკალური პროექტის მინი-კონცერტი ჩაატარა და ალა-ფურ-შეტით გაგვიმასპინძლდა. 10 მარტს კი, ფილარმონიის დიდ დარბაზში მომღერლის გრანდიოზული და განახლებული სოლო კონცერტი გაიმართა. საგანგებოდ ამ საღამოსთვის საფრანგეთიდან ჩამოვიდა გიტარისტი ირაკლი ხუციშვილი. ჯგუფ „ინსაითის“ წევრებთან ერთად, კონცერტში მონაწილეობდნენ: რომა რცხილაძე (კლავიში) და მერაბ სანოძე (პერკუსია). კონცერტში გამოყენებული იყო გია ყანჩელის, დავით თორაძისა და ნიკა მემანაშვილის კომპოზიციები. როგორც მუსიკოსებმა აღნიშნეს, მათ მიერ შესრულებული მუსიკა არის „მსოფლიო მუსიკა“ – ისეთი მიმდინარეობა, როდესაც სხვადასხვა ჟანრისა და ქვეყნის მუსიკოსები იკრიბებიან და ერთობლივად ქმნიან ახალ კომპოზიციებს. მუსიკოსების საკონცერტო დევიზი იყო – „დაიწყე ახალი, მშვიდობიანი დღე“. მათი აზრით, მეტი ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ დღეს საქართველოში მიმდინარე რთულ, დაძაბულ პროცესებს.



„სტეპი“ ქართულ მთქმიზნისში

რამდენიმე დღის წინ, რეჟისორებმა – დანი დარჩიამ და ლევან (ბასა) სამხარაძემ, ნორჩი მომღერალი ძმების – ირაკლი და თორნიკე გულაშვილების კლიპის გადაღება დაიწყეს. გადაღებები პირველ საშუალო სკოლაში, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიასა და სოლოლაკის ერთ-ერთ უბანში მიმდინარეობდა. სიმღერა ინგლისურენოვანია და „მომღერალი ძმები“ ჰქვია. ტექსტი ბიბი კვაჭაძეს ეკუთვნის, მუსიკის ავტორი კი, ირინა მაისურაძეა. სიმღერა ჯაზისა და როკის სინთეზს წარმოადგენს, არანჟირება ზურა მახნიაშვილს ეკუთვნის. ძმები კლიპში „სტეპის“ მოცეკვავეები არიან, მათი მასწავლებელი კი – კლიპშიც და ცხოვრებაშიც – საქართველოში „სტეპის“ ერთადერთი მოცეკვავე კახა ხოშტარიაა. როგორც ძმებმა გულაშვილებმა გვითხრეს, ისინი ყოველთვის დუეტში იმღერებენ – და ქართული ანდაზა – „ძალა ერთობაშია“ მოიშველიეს.



თემო ხვიშლიანი, სიგატა და ქალოში

თემო ხვიშლიანი ახალ კლიპს იღებს. სიმღერის – „გეფერები დილაღე“ ტექსტიც და მუსიკაც თავად მომღერალს ეკუთვნის, კლიპის რეჟისორი კი ანი მაღლაკელიძე გახლავთ. გადაღებაში მონაწილეობდნენ სამოდელიო სააგენტოების: „ნატალის“, „ნიუ სთარსის“, „ელენისა“ და „მაქსიმუმის“ მოდელები. კლიპში თემო „დონჟუანია“, რომელიც შილიფად ჩაცმულ გოგონებთან ცეკვით, ალერსით, სიგარის მოწვევითა და კონიაკის სმით ირთობს თავს. მოდელები ზალიკო ბერგერის მიერ შექმნილი აქსესუარებით იყვნენ შემკულნი, ხოლო თემოს ჩაცმულობაზე ავთო ცეკვიტინიძემ და მადაზია „პომპონმა“ იზრუნეს. კლიპის პრემიერას რამდენიმე დღეში, „მაესტროს“ ეთერში ვიზილავთ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თემო კიდევ ერთ კლიპზე მუშაობს, რომლის რეჟისორადაც თავად მოგვევლინება. სიმღერა კი – „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“ – ჩვენს სახელოვან კომპოზიტორს იაკობ ბობოხიძეს ეკუთვნის.



ვინ ხართ თქვენ: „ბუ“ თუ „ტორტლა“?

1) გიჭირთ თუ არა დილით ადგომა?

- ა) დიახ, თითქმის ყოველთვის – 3;
- ბ) ზოგჯერ – 2;
- გ) იშვიათად – 1;
- დ) ძალზე იშვიათად – 0.

2) რომელ საათზე ამჯობინებთ დაძინებას?

- ა) ღამის პირველი საათის შემდეგ – 3;
- ბ) თორმეტიდან პირველ საათამდე – 2;
- გ) ათიდან თორმეტის ნახევრამდე – 1;
- დ) ათ საათამდე – 0.

3) გაღვიძებიდან ერთი საათის განმავლობაში, როგორ საუზმეს ანიჭებთ უპირატესობას?

- ა) ნოყიერს – 3;
- ბ) მრავალფეროვანს, ოღონდ არც-თუ ისე კალორიულს – 2;
- გ) ერთ ცალ მოხარშულ კვერცხს ან ბუტერბროდს სჯერდებათ – 1;
- დ) ჭიჭა ჩაი ან ყავაც გაკმაყოფილებთ – 0.

4) გაიხსენეთ, შინ თუ სამსახურში დღის რომელ მონაკვეთში ხართ ხოლმე გაღვიძებული და როდის ეკინკლავებით ირგვლივმყოფებს?

- ა) დღის პირველ ნახევარში – 1;
- ბ) დღის მეორე ნახევარში – 0;

5) რაზე არ გაგიჭირდებოდათ უარის თქმა?

- ა) დილის ყავასა თუ ჩაიზე – 2;
- ბ) საღამოს ჩაიზე – 0.

6) შეგებულებაში ყოფნის პერიოდში, იოლად იცვლით თუ არა საკვების მიღებასთან დაკავშირებულ ჩვევებს?

- ა) ძალზე იოლად – 0;
- ბ) საკმაოდ იოლად – 1;



როგორც ცნობილია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ საქმის კეთებას დილის საათებში ამჯობინებენ. ამ ტიპის ადამიანებს „ტორტლებად“ მოიხსენიებენ. „ბუები“ კი, უფრო კმეფუნარიანი საღამოს საათებში არიან. ქვემოთ მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ იმაში, თუ ადამიანთა რომელ ტიპს განეკუთვნებით — ე.ი. დღის რომელ მონაკვეთში ხართ უფრო კმეფითი.

- გ) ძნელად – 2;
- დ) ჩვევებს საერთოდ არ იცვლით – 3.

7) დილიდან მნიშვნელოვანი საქმეების კეთება გელით. რამდენად ადრე დაწვებით დასაძინებლად?

- ა) ორ საათზე მეტი ხნით ადრე – 3;
- ბ) ერთი-ორი საათით ადრე – 2;

- გ) თითქმის ერთი საათით ადრე – 1;
- დ) ჩვეულებრივ დროს – 0.

8) დროის ერთნუთიანი მონაკვეთი რამდენად ზუსტად შეგიძლიათ განსაზღვროთ უსაათოდ? ამის გასარკვევად ვინმე დაიხმარეთ.

- ა) დროის ეს მონაკვეთი თქვენთვის წუთზე ნაკლები აღმოჩნდა – 0;
- ბ) ერთ წუთს გადააჭარბა – 2.

დააჯავიეთ ქულები

0-7 ქულა: აშკარად გამოკვეთილი „ტორტლა“ ბრძანდებით.

8-13 ქულა: ქულათა ასეთი რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ არც ერთ განსაზღვრულ ტიპს არ მიეკუთვნებით. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ართომიული პიროვნება ბრძანდებით და ხან ერთ და ხან მეორე

უკიდურესობაში ვარდებით.

14-20 ქულა: აშკარად გამოკვეთილი „ბუ“ ბრძანდებით.

მხოლოდ ერთ რამეს დავძენთ: ადამიანთა ყოველ ტიპს საკუთარი უპირატესობა აქვს. ასე რომ, მხოლოდ თქვენზე დამოკიდებული, რამდენად შეძლებთ ამ უპირატესობის გამოყენებას.

ტონი ბლერის ოცნება ხოჯვასხვ-დავობა ყოფიდა

უსახლკართო დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებაზე, რომელიც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დაუნინგ-სტრიტზე მდებარე რეზიდენციაში გაიმართა, ტონი ბლერის მეუღლემ სტუმრებს თავშესაქცივი ამბავი უამბო: თურმე ახალგაზრდობაში ტონი ბლერი როკვარსკვლავობაზე ოცნებობდა. შოტლანდიური კერძო კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მას ჩანაფიქრის განხორციელება დაუსახავს მიზნად და ოქსფორდში ჩაბარებამდე, მთელი დრო კარიერის შექმნისთვის მოუნდომებია. მომავალი პრემიერ-მინისტრი თვითნაკეთი გიტარით ქალაქის ქუჩებში დახეტილებდა და შეუსვენებლივ უკრავდა. ტონი ბლერმა თავადაც გაიხსენა თავისი ცხოვრების საინტერესო დეტალები – კერძოდ, ის პერიოდი, როცა დროს ძირითადად ჰიპების გარემოცვაში ატარებდა: „არ მინდოდა მამისთვის მეყურებინა ხელებში. ამგვარი ქცევით საკუთარი დამოუკიდებლობის დემონსტრირებას ვახდენდი.“ ის მაშინ საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ცხადია, სასტუმროში ღამის გასათევად ფული არ ეყოფოდა, ამიტომ სადაც უთენდებოდა, იქ უღამდებოდა. პარკში, ღია ცის ქვეშაც ხშირად სძინებია – სხვათა შორის, ეს ინფორმაცია ტონი ბლერის პრესმდივანმაც დაადასტურა. ■



ჯოჯებს განადგუებით ემუქებიან

ავსტრალიის ბუნების დაცვის საზოგადოების წარმომადგენლებმა უცნაური წინადადებით მიმართეს ხელისუფლებას: ისინი მოითხოვენ, დაიწყოს კოალების მასობრივი განადგურება. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ათასობით სიმპათიური, პლუმის დათუნის მსგავსი ცხოველი, იმდენად გამრავლდა სამხრეთ ავსტრალიის შტატის კუნძულ კენგურუს მიმდებარე სანაპიროზე, რომ მალე თავიანთი ერთადერთი საკვების – ევკალიპტის ფოთლების გარეშე დარჩენა ემუქრებათ. „კუნძულის ზოგიერთ რაიონში ხეებს ფოთლები საერთოდ აღარ შერჩა. ასე თუ გაგრძელდა, ევკალიპტის ყველა ხე გახმება.“ – ამბობს საზოგადოების მეცნიერ-თანამშრომელი მეტ ტერნერი. ხელისუფლების წარმომადგენლები ეცადნენ, კოალების მობილიზაცია მოეხდინათ და ისინი კუნძულიდან გაეყვანათ, მაგრამ ამ ღონისძიებამ შედეგი არ გამოიღო – იქ კვლავ 30 ათასზე მეტი კოალაა. ამასთან ერთად, შტატის გარემოს დაცვის მინისტრი ჯონ ჰილი კატეგორიული წინააღმდეგია კოალების მასობრივი განადგურებისა. მისი აზრით, ეს საგრძნობლად შეაფერხებს ტურიზმის განვითარების საქმეს, რაც თავის მხრივ, არნახულ ზარალს მოუტანს ქვეყნის ბიუჯეტს. გარემოს დაცვის მინისტრს მხარს საზოგადოებაც უჭერს და გმობს მსგავს ბარბაროსულ აქტებს. ■



ქალი სახეცხის თოყებში გაიხლართა

დღისით მზისით, ქალაქ უფგოროდში, მრავალსართულიანი სახლის მეორე და მესამე სართულებს შორის გაჭიმულ სარეცხის თოყებში ქალი გაიხლართა და საათზე მეტხანს ასე გაუნძრევლად ეკიდა. დანიშნულების ადგილას მისულმა მაშველებმა შიშისგან დაზაფრული ქალი ასაწვევი კიბის საშუალებით ჩამოიყვანეს. დაზარალებულის თქმით, მან „დაშვება“ მეოთხე სართულიდან დაიწყო, მესამე სართულის აივნის გისოსებს ჩამოჰყვა, მაგრამ მესამე და მეორე სართულებს შორის, სარეცხის თოყებში გაიხლართა.



თურმე პროვინციელი ქალბატონი მანამდე არასდროს ყოფილა მრავალსართულიან შენობაში. უფგოროდში ის ნათესავებთან სტუმრად ჩასულა, დილით გაღვიძებულს კი აღმოუჩნია, რომ შინ სულ მარტო იყო. როგორც თავად ჰყვება, დილის 11 საათზე კარზე ვიდაცას ბრახაბრუნი აუტენია და ქალს დამუქრებია, – გააღე, თორემ კარს შემოვამტკრევეო. გვარიანად დამფრთხალ სტუმარს სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდა, აივნიდან გადაძრომა გადაუწყვეტია. ■

ფოტოკუჩიოზები

